ახალგაზრდობის პოლიტიკა
მასიური ღია ონლაინ კურსი
კურსის ტრანსკრიპტები

პირველი
გამოცემა

საგანმანათლებლო
მასალა

ახალგაზრდობის პოლიტიკა
მასიური ღია ონლაინ კურსი

ახალგაზრდობის
სააგენტო

ახალგაზრდობის პოლიტიკა
მასიური ღია ონლაინ კურსი
კურსის ტრანსკრიპტები

საგანმანათლებლო პუბლიკაცია

პირველი გამოცემა

მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის
განვითარების პროგრამა

2021

ახალგაზრდობის სააგენტო | Youth Agency

სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო
www.youthagency.gov.ge
76ბ ვაჟა-ფშაველა 0186, თბილისი, საქართველო

ახალგაზრდობის პოლიტიკა მასიური ღია ონლაინ კურსის ტრანსკრიპტები

პირველი გამოცემა

© ახალგაზრდობის სააგენტო, 2021
ყველა უფლება დაცულია

სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო
ვაჟა-ფშაველას 76ბ, 0186 თბილისი
ტელეფონი: 032 230 51 65
ელფოსტა: info@youthagency.gov.ge

ISBN

ავტორები:
ანა კვერნაძე,
გუბაზ კობერიძე,
დეა აბულაძე,
თეონა დალაქიშვილი,
ირმა გიორგობიანი,
ნაზი ბურდულაძე,
ნატო ანთია
ნიკა ბახსოლიანი,
რატი ჭეიშვილი,
რევაზ ბარბაქაძე

რედაქტირება:
თამარ ტყემალაძე
თამარ მამულია
მარიკა მეიშვილი

მთავარი რედაქტორი:
ნიკა ბახსოლიანი

ონლაინ კურსის მენეჯერი:
თამარ ტყემალაძე

განსაკუთრებული მადლობა
ონლაინ კურსის ბეტა ვერსიის
მოხალისე-შემფასებლებს
და
ალფა ვერსიის შეფასების ფოკუს
ჯგუფის მონაწილეებს.

აგრეთვე,
მონიკა ალანიას,
თამარ ცაცკრიალაშვილს,
მარიამ მელიქიძეს,

ქრისტინა კაპანაძეს და
მაკა ზურაბიშვილს.

წინათქმა

ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარება მუნიციპალიტეტების ინსტრუმენტია გაუმკლავდეს ისეთ გამოწვევებს, როგორიცაა ახალგაზრდების უმუშევრობის მზარდი რიცხვი, მიგრაცია, ხარისხიან განათლებასთან, სოციალურ და სამოქალაქო უფლებებთან ხელმისაწვდომობა და ა.შ. ახალგაზრდობის პოლიტიკის ციკლის ყველა ეტაპზე მონაწილეობის უზრუნველყოფა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ხარისხიანი, ანგარიშვალდებული და მტკიცებულებებით გამყარებული სტრატეგიისა და საგეგმო გეგმის შესაქმნელად, განსახორციელებლად და შესაფასებლად. ადგილობრივი განზომილების შემოტანა ახალგაზრდობის სფეროში, პოლიტიკასა და საქმიანობაში გარდაუვალია თუ მისი გვსურს ახალგაზრდების სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგება, მისი სიკეთეების ბენეფიციარებამდე მიტანა და მისი ეფექტურობის გაზრდა. ამ მიზნისკენ სწრაფვაში განსაკუთრებული როლი აქვთ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, ახალგაზრდულ მუშაკებს და ადგილობრივ თვითმმართველობას. ეს ონლაინ კურსი სწორედ ამ ინდივიდებისთვისაა და ემსახურება მათ საფუძვლიან აღჭურვას იმ ინსტრუმენტებით, რაც დაეხმარება მათ უპასუხონ ამ გამოწვევებს ხარისხიანი ახალგაზრდობის პოლიტიკის ფორმირებით, განხორციელებითა და მონიტორინგით.

რევაზ ჩარკვიანი
სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს
ხელმძღვანელი

სარჩევი

აბრევიატურები: 8

შესავალი 9

I მოდული - ახალგაზრდობის პოლიტიკა - შესავალი 15

1.1 ახალგაზრდული სფეროს ეკოსისტემა 16
1.2 ახალგაზრდობის პოლიტიკა 17
1.3 ახალგაზრდობის პოლიტიკა და ახალგაზრდული საქმიანობა 20
1.4 ახალგაზრდობის პოლიტიკა საქართველოში 22
1.5 ახალგაზრდობის პოლიტიკა ადგილობრივ დონეზე 24
1.6 ადამიანის უფლებები - შესავალი 28
1.7 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 29
1.8 ადამიანის უფლებები და ახალგაზრდები 30
1.9 ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები საჯარო პოლიტიკაში 31
1.10 დისკრიმინაცია 33
1.11 რა არის გენდერი? 34
1.12 გენდერის მეინსტრიმინგი პოლიტიკის შემქმნელებისთვის 35
1.13 გენდერის მეინსტრიმინგი პრაქტიკაში 37
1.14 გამჭვირვალობა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა 39

II მოდული - ახალგაზრდული საქმიანობა და სერვისები 43

2.1 ახალგაზრდული საქმიანობა და მისი მახასიათებლები 44
2.2 ახალგაზრდული საქმიანობის მიზნები 46
2.3 ახალგაზრდული საქმიანობის ისტორია - I ნაწილი 49
2.4 ახალგაზრდული საქმიანობის ისტორია - II ნაწილი 51
2.5 ახალგაზრდული საქმიანობა ევროპაში 55
2.6 ახალგაზრდული საქმიანობის ფორმები - I ნაწილი 57
2.7 ახალგაზრდული საქმიანობის ფორმები - II ნაწილი 60
2.8 ახალგაზრდების ინფორმირება და კონსულტირება 63
2.9 ახალგაზრდული მუშაკი და მისი როლი 66
2.10 ინტერვიუ ევროპელ ახალგაზრდულ მუშაკთან 68
2.11 ინტერვიუ ქართველ ახალგაზრდულ მუშაკთან 74
2.12 არაფორმალური განათლება - I ნაწილი 79
2.13 არაფორმალური განათლება - II ნაწილი 82
2.14 კომპეტენციები ახალგაზრდულ საქმიანობაში 83
2.15 შეფასება 87
2.16 მეწარმეობის არსი 89
2.17 რა არის სტარტაპი? 91

2.18 სოციალური მეწარმეობა 93
2.19 სოციალური მეწარმეობის მაგალითები 96
2.20 მეწარმეობის კომპეტენციები 97
2.21 სამეწარმეო ეკოსისტემა და ინსტრუმენტები 99

III მოდული - ახალგაზრდების მონაწილეობა. 103

3.1 რა არის ახალგაზრდების მონაწილეობა? 104
3.2 მონაწილეობის პრინციპები 106
3.3 მონაწილეობის კიბე 109
3.4 მონაწილეობის ფორმები 112
3.5 ახალგაზრდების მონაწილეობის ინსტრუმენტები 114
3.6 ახალგაზრდების ინსტიტუციური მონაწილეობა 116
3.7 ციფრული მონაწილეობა 118
3.8 მონაწილეობრივი ახალგაზრდული პოლიტიკა 120
3.9 სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების ჩართულობა 122
3.10 მონაწილეობრივი ბიუჯეტი 124
3.11 პრაქტიკული რჩევები ახალგაზრდების მონაწილოების გასაზრდელად 127
3.12 10 ხერხი ცუდი ახალგაზრდული პოლიტიკისთვის 128
3.13 ახალგაზრდული საბჭო 131
3.14 სტუდენტური თვითმმართველობა 134
3.15 მოხალისეობა 137
3.16 მოხალისეობა საქართველოში 140
3.17 მოხალისეობის პროგრამებში ხშირად დაშვებული შეცდომები 143

IV მოდული - ახალგაზრდული სივრცეები 147

4.1 ახალგაზრდული სივრცეები - შესავალი 148
4.2 ახალგაზრდული სივრცეების ფორმები და მაგალითები 149
4.3 ხარისხი ახალგაზრდული სივრცეებისთვის 152
4.4 ახალგაზრდული სივრცეების კონცეპტუალიზაცია 154
4.5 ახალგაზრდული სივრცეების კონცეპტუალიზაცია - პირველი ნაბიჯები 156
4.6 ახალგაზრდული სივრცეების კონცეპტუალიზაცია - შემდეგი ნაბიჯები . 158
4.7 ახალგაზრდული სივრცეების მენეჯმენტი 159
4.8 ახალგაზრდული სივრცეების ინფრასტრუქტურა 161
4.9 ახალგაზრდული სივრცეების დაფინანსება და მდგრადობა 163
4.10 ახალგაზრდული სივრცის პროგრამა 164
4.11 ევროპული ახალგაზრდული ცენტრები 166
4.12 ევროპული ახალგაზრდული ცენტრების ხარისხის იარლიყი 167

4.13 ევროპული ახალგაზრდული ცენტრების ხარისხის იარლიყის მიღება 170
4.14 ინტერვიუ ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენელთან 171

V მოდული - ახალგაზრდული პოლიტიკა მოქმედებაში 177
5.1 ახალგაზრდობის პოლიტიკის სტანდარტი და ხარისხის კრიტერიუმები178
5.2 პოლიტიკის ციკლი - მისი ეტაპობრივი ფორმირება 179
5.3 პოლიტიკის დოკუმენტის სტრატეგიული ნაწილი 183
5.4 ლოგიკური ჩარჩო 187
5.5 სამოქმედო გეგმა და ფინანსები 190
5.6 რისკები 192
5.7 კარგი მმართველობა 194
5.8 ახალი საჯარო მმართველობა 197
5.9 ადვოკატირება და ლობირება 200
5.10 ფონდების მოძიება 203
5.11 მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა და მათი შესრულების ნაბიჯები 206
5.12 მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია 207

ლიტერატურის კატალოგი 212

ახალგაზრდობის სფეროს ლექსიკონი 218

აბრევიატურები:

ააიპ	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
CoE	ევროპის საბჭო
CLRA	ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი
CCJ	ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის საკითხთა მრჩეველთა საბჭო
CDEJ	ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის საორგანიზაციო ევროპული კომიტეტი
CMJ	ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის საკითხთა გაერთიანებული საბჭო
CM	ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი
CSR	კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა
EU	ევროკავშირი
HRBA	ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა
MOOC	მასიური ღია ონლაინ კურსი
NALA	ადგილობრივი თვითმმართველობების ეროვნული ასოციაცია
NEET	განათლების, დასაქმებისა და ტრენინგის მიღმა მყოფი
OSFG	ფონდი ღია საზოგადოების საქართველო
UN	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
USAID	შეერთებული შტატების სააგენტო საერთაშორისო განვითარებისთვის
YFJ	ევროპის ახალგაზრდული ფორუმი
YMCA	ახალგაზრდა მამაკაცთა ქრისტიანული ასოციაცია

შესავალი

რაციონალი

ახალგაზრდობა - ტრანზიციული პერიოდი ბავშობიდან მოზრდილობამდე. რა პერსპექტივები და შესაძლებლობები უნდა ეძლეოდეს ინდივიდს ამ პერიოდში დემოკრატიულ საზოგადოებაში? როგორი მიდგომები, ხედვები და ღონისძიებები უნდა აირჩიონ მუნიციპალიტეტებში მოქმედმა აქტორებმა კონსისტენციური ეფექტური და ცოცხალი ახალგაზრდობის პოლიტიკის შესაქმნელად, განსახორციელებლად და შესაფასებლად? ეს ყველაფერი დაფარულია სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ შექმნილ მასიურ ღია ონლაინ კურსში.

მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების პროგრამა

ახალგაზრდობის სააგენტოს მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების პროგრამის მიზანია ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული და მტკიცებულებებზე დამყარებული ახალგაზრდობის პოლიტიკის შექმნის, განხორციელების და შეფასების ხელშეწყობა, სტანდარტის დადგენის, მონიტორინგის და პოლიტიკაში ჩართული აქტორების ინსტიტუციური გაძლიერების გზით. პროგრამის განხორციელებით მოსალოდნელი შედეგები:

- პროგრამაში მონაწილე მუნიციპალიტეტები მიიღებენ ხარისხიანი მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტებს;
- მუნიციპალურ ახალგაზრდობის პოლიტიკაში ჩართული აქტორების რესურსები და შესაძლებლობები გაძლიერდება;
- ეროვნულ დონეზე გაიზრდება მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის აქტუალობა;
- გაიზრდება ახალგაზრდებისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა მუნიციპალურ ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში;
- პროგრამის ბოლოს შეიქმნება მდგრადი მექანიზმები, რომლის გამოყენებითაც მუნიციპალიტეტები შეძლებენ ავტონომიურად შექმნან, განახორციელონ და შეაფასონ ადამიანის უფლებებზე, მტკიცებულებებზე დაფუძნებული და პროგრესული ახალგაზრდობის პოლიტიკა და უზრუნველყონ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა.

ცხრილი 0.1

რას ნიშნავს მასიური ღია ონლაინ კურსი?

ამ ბროშურაში გადმოცემულია ის კონტენტი, რომელიც კურსში ვიდეოლექციების სახით გვხდება. ბროშურის საშუალებით დაინტერესებულ პირს ინტერნეტის გარეშეც მუდმივად ექნება წვდომა ახალგაზრდობის პოლიტიკის განხცორციელებისათვის საჭირო მასალებსა და ინფორმაციაზე. თუმცა ბროშურა მთლიანად ვერ შეცვლის ონლაინ-კურსში მონაწილეობას.

რისთვის შეიქმნა ეს პუბლიკაცია?

ამ პუბლიკაციაში გადმოცემულია ის კონტენტი, რომელიც კურსში ვიდეოლექციების სახით გვხდება. ბროშურის საშუალებით დაინტერესებულ პირს ინტერნეტის გარეშეც მუდმივად ექნება წვდომა ახალგაზრდობის პოლიტიკის განხცორციელებისათვის საჭირო მასალებსა და ინფორმაციაზე. თუმცა პუბლიკაცია მთლიანად ვერ შეცვლის ონლაინ-კურსში მონაწილეობას. პუბლიკაციაში თითოეული თავის სათაურში მოცემულია Qr-კოდი, რომელიც ლექციის ვიდეოს ბმულზე გადაგიყვანთ.

იმპლემენტაცია

კურსის იდეა 2020 წლის ზაფხულში დაიბადა, თუმცა ვიდეოლექციების დაწყება მომდევნო წლის ზაფხულამდე ვერ მოხერხდა. 2021 წლის მარტში შედგა კურსის ავტორების შეთანხმებები, აპრილსა და მაისში დაიწერა ტექსტები, ხოლო მაისსა და ივნისში აქტიურად მიმდინარეობდა ვიდეოგადაღებები. ივნისში ვიდეოლექციები დამუშავდა და აიტვირთა canvas-ის პლატფორმაზე, რომელიც მანამდე გამზადდა. ივნისშივე გაეშვა კურსის ბეტა-ვერსია, რომელიც მოხალისეებმა შეაფასეს, ხოლო ივლისის შუა რიცხვებში გაეშვა კურსის დახურული ალფა-ვერსია, რომელიც ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მერიების წარმომადგენლებმა გაიარეს და დაიხურა 2021 წლის 30 სექტემბერს. იგეგმება კურსის ახალი ვერსიის გაშვება, რომელიც რეგულარულად უმასპინძლებს მსურველებს.

მოდულები და გამოყენებული მეთოდოლოგია

კურსი აერთიანებს ახალგაზრდობის პოლიტიკის შექმნის, განხორციელებისა და შეფასებისთვის საჭირო მნიშვნელოვან თემებს, იგი მოიცავს, ყველა იმ საკითხს, რომელიც ახალგაზრდულ სფეროში მოღვაწე პროფესიონალებს გამოადგებათ და დასჭირდებათ. იგი მოიცავს 5 მოდულს:

თითოეული მოდულის უმეტეს ნაწილს შეადგენს მოდულის თემის გარშემო, სხვადასხვა საკითხებზე ჩაწერილი მოკლე ვიდეოლექციები. თითოეული მოდული ასევე მოიცავს: წინასწარ გამზადებულ დისკუსიის თემებს, ინტერვიუებს სხვადასხვა პროფესიონალებთან, სულ მცირე ერთ ან რამდენიმე პრაქტიკულ დავალებასა და შემაჯამებელ ტესტებს.

ავტორების მოკლე ბიოგრაფიები:

ანა კვერნაძე - ექსპერტი საჯარო პოლიტიკის დარგში, მუშაობდა საქართველოს ახალგაზრდული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის სტანდარტის დოკუმენტზე.

გუბაზ კობერიძე - ახალგაზრდული საქმიანობის ექსპერტი და ადამიანის უფლებათა სწავლების ტრენერი, ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის საკითხთა მრჩეველთა საბჭოს წევრი 2022-2023 წლებში.

დეა აბულაძე - ზრდასრულთა განათლების, სათემო განვითარებისა და ახალგაზრდული საქმიანობის მაგისტრი, ახალგაზრდობის სააგენტოს რეფორის ფარგლებში, ახალგაზრდული მუშაკის პროფესიის დანერგვისა და მხარდაჭერის მიმართულების ხელმძღვანელი.

თეონა დალაქიშვილი - 2014 წლიდან - დღემდე - კრეატიული განვითარების ცენტრის საერთაშორისო პროექტების კოორდინატორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - მოწვეული ლექტორი (მეწარმეობის თეორიული და პრაქტიკული კურსი) 2017 - 2018 წწ.

ირმა გიორგობიანი - ზრდასრულთა განათლების, სათემო განვითარებისა და ახალგაზრდული საქმიანობის მაგისტრი, ახალგაზრდობის სააგენტოს ჰობი-განათლების მიმართულების ხელმძღვანელი

ნაზი ბურდულაძე - საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი, მკვლევარი, დამოუკიდებელი ექსპერტ-კონსულტანტი გენდერული თანასწორობისა და ადამიანის უფლებების საკითხებში.

ნატო ანთია - ექსპერტი ახალგაზრდების მონაწილეობაში, ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის საკითხთა მრჩეველთა საბჭოს წევრი 2016-2019 წლებში.

ნიკა ბახსოლიანი - ექსპერტი ახალგაზრდობის პოლიტიკაში, ადამიანის უფლებათა სწავლების ტრენერი, ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის საკითხთა მრჩეველთა საბჭოს ბიუროს წევრი 2020-2021 წლებში. ახალგაზრდობის სააგენტოს რეფორმის მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი.

რატი ჭეიშვილი - ექსპერტ-ტრენერი ახალგაზრდობის პოლიტიკაში, ახალგაზრდობის სააგენტოს მრჩეველი რეფორმის მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების მიმართულებით.

რევაზ ბარბაქაძე - ექსპერტი ადგილობრივი თვითმმართველობების რეფორმის საკითხებში. რუსთავის მერიის "მონაწილეობითი ადგილობრივი ბიუჯეტირება ქალაქ რუსთავში" დირექტორის მრჩეველი 2016-2018წწ, ადგილობრივი თვითმმართველობების ეროვნული ასოციაციის (NALA) ექსპერტი. 2019 წლიდან ქ. რუსთავის ინოვაციების ჰაბის გამგეობის თავმჯდომარე.

დამატებითი რესურსები

ახალგაზრდობის პოლიტიკის ერთ-ერთი ხარისხის კრიტერიუმია მისი მტკიცებულებებზე დაფუძნებით განვითარება – კვლევები, ნოუ-ჰაუ და პრაქტიკა უმნიშვნელოვანესია საქართველოში ახალგაზრდობის სფეროს განსავითარებლად. სწორედ ამიტომ ვებ-გვერდი www.mooc.youthagency.gov.ge/ბიბლიოთეკა მასიური ღია ონლაინ კურსის მონაწილეებსა და სხვებს მოემსახურება სხვადასხვა კონტენტით, მოამარაგებს შესაბამისი ლიტერატურითა და კვლევებით. ბიბლიოთეკის ნაწილი შეგიძლიათ ამ პუბლიკაციაშიც იხილოთ. იგი შედგება შემდეგი სახის ელემენტებისგან:



აქ იხილავთ ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების, ახალგაზრდული საქმიანობისა და არაფორმალური განათლების შესახებ სხვადასხვა ქვეყნებში გამოცემული სახელმძღვანელოების, პუბლიკაციების ელექტრონულ ვერსიებს ინგლისურ და ქართულ ენებზე. კატალოგის ნაწილი ამ პუბლიკაციის ბოლოშიც შეგიძლიათ იხილოთ.



სააგენტოს მიზანია ხელი შეუწყოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდები სმონაწილეობისა და ჩართულობის შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკებისა და გამოცდილებების შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და ხელმისაწვდომობას.

კიდევ ერთი მიზანია, ხელი შევუწყოს ახალგაზრდობის სფეროში ცოდნისა და მტკიცებულებების გამოყენების კულტურას, ამ გვერდზე შემოგთავაზებთ სხვადასხვა კვლევის შედეგებს, რომელიც ჩატარებულია სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს და/ან მისი პარტნიორების მიერ.

ამ გვერდზე თქვენ მოგეცემათ შესაძლებლობა იხილოთ ახალგაზრდულ საქმიანობასთან დაკავშირებული სპეციფიური ტერმინების მნიშვნელობების განმარტებები. ლექსიკონი ამ პუბლიკაციის ბოლოშიც შეგიძლიათ იხილოთ.

ბიბლიოთეკა შექმნილია პროექტის „ნამდვილი მონაწილეობა უფლებამოსილების აღჭურვის გზით“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ადამიანის უფლებათა ასოციაცია („აირას,“ „ათინათის“ და სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსთან პარტნიორობით). პროექტი ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით.

I მოდული

ახალგაზრდობის
პოლიტიკა -
შესავალი

I მოდული - ახალგაზრდობის პოლიტიკა - შესავალი

1.1 ახალგაზრდული სფეროს ეკოსისტემა;
1.2 ახალგაზრდობის პოლიტიკა;
1.3 ახალგაზრდობის პოლიტიკა და ახალგაზრდული საქმიანობა;
1.4 ახალგაზრდობის პოლიტიკა საქართველოში;
1.5 ახალგაზრდობის პოლიტიკა ადგილობრივ
1.6 დონეზე;
1.7 ადამიანის უფლებები - შესავალი;
1.8 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია;
1.9 ადამიანის უფლებები და ახალგაზრდები; ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული
1.10 მიდგომები საჯარო პოლიტიკაში;
1.11 დისკრიმინაცია
1.12 რა არის გენდერი? გენდერის მეინსტრიმინგი პოლიტიკის
1.13 შემქნელებისთვის; გენდერული მეინსტრიმინგი პრაქტიკაში;
1.14 გამჭვირვალობა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა.

1.1 ახალგაზრდული სფეროს ეკოსისტემა

ჩვენ ვქმნით ახალგაზრდული სფეროს ეკოსისტემას, რომლის მიზანია უზრუნ-ველყოს ახალგაზრდების, როგორც ინდივიდების და როგორც ქვეყნის მთავარი ადამიანური კაპიტალის განვითარება და პოტენციალის სრულად რეალიზება.

ეკოსისტემა შედგება ურთიერთდაკავშირებული რვა მდგენელისგან და მათი კომპონენტებისგან. მხოლოდ თითოეულის სრულფასოვანი ფუნქციონირებით არის შესაძლებელი მდგრადი და გრძელვადიანი შედეგების მიღება ახალგაზრდულ სფეროში.

1. საჯარო პოლიტიკა - საკითხებზე არსებული სტრატეგიული ხედვაა, რომელიც ასახულია ოფიციალურ დოკუმენტებში: საკანონმდებლო აქტები, კონვენციები, სტრატეგიები, სამოქმედო გეგმები და პროგრამები;

2. ადამიანური კაპიტალი - ახალგაზრდული სფეროს მთავარი ადამიანური რესურსი, ახალგაზრდული მუშაკები, მომიჯნავე სფეროებში ახალგაზრდებთან მომუშავე სპეციალისტები, ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე მენეჯერული რგოლები და სხვა.

3. ორგანიზაციები - სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო სექტორში არ-სებული სტრუქტურები, რომლებიც ახალგაზრდულ სფეროში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ (საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე);

4. ცოდნა ახალგაზრდების შესახებ - თავს უყრის ცოდნას, გამოცდილებას, მტკიცებულებებს, და სხვა, რასაც ეფუძნება ახალგაზრდულ პოლიტიკა, ახალ-გაზრდული საქმიანობა და ახალგაზრდული სერვისები;

5. ინფრასტრუქტურა - მოიცავს ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა აქტივობების დასანერგად ან შესასრულებლად საჭირო ფიზიკურ და ვირტუალურ სივრცეებს, ლოგისტიკას და სხვა სახის ინფრასტრუქტურას;

6. კულტურა და დამოკიდებულება - საზოგადოებრივი, ინდივიდუალური და სისტემური შეხედულებები და დამოკიდებულებები ახალგაზრდებსა და ახალგაზრდობის საკითხებზე, რაც ახალგაზრდული სფეროს ფუნქციონირებისთვის ქმნის შესაბამის პოზიტიურ გარემოს და მყარ საფუძველს.

7. ფინანსები - დაფინანსების მრავალმხრივი წყაროები, რომლებიც უზრუნ-ველყოფენ ეკოსისტემის კომპონენტების ფუნქციონირებას;

8. ბაზარი - ასპარეზი, სადაც სამოქალაქო და საჯარო მომწოდებლების მიერ იქმნება ახალგაზრდული საქმიანობის მრავალმხრივი სერვისები და ხდება მათი მიწოდება მომსახურების მიმღებ პირთათვის - ახალგაზრდების, მოზარდების, NEET ჯგუფებისა და სხვა ბენეფიციარებისთვის;

მდგრადი და გრძელვადიანი შედეგების მომტანი ეკოსისტემის არსებობა, ამ მოდელში შემავალი რვავე მდგენელისა და მათი კომპონენტების სრულფასოვანი ფუნქციონირებით არის შესაძლებელი.



ცხრილი 1.1.1.

1.2 ახალგაზრდობის პოლიტიკა

ავტორი: რატი ჭეიშვილი

ახალგაზრდობა ასაკობრივი განვითარების მნიშვნელოვანი პერიოდია, რომლის დროსაც ხდება საზოგადოებაში ინტეგრაცია და პიროვნების ჩამოყალიბება. შესაბამისად, ახალგაზრდობის პოლიტიკა უნდა პასუხობდეს გამოწვევებსა და დაბრკოლებებს, რომლებსაც ახალგაზრდები ამ პერიოდში ხვდებიან და შესაბამისი მიდგომები და მიზნები ასახული უნდა იყოს ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული ხელისუფლებების გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებში.

ახალგაზრდობის პოლიტიკა საჯარო პოლიტიკის ერთ-ერთი კატეგორიაა, რომელიც სპეციფიკური სამიზნე ჯგუფის - ახალგაზრდების მხარდაჭერას ისახავს

მიზნად. „ახალგაზრდობის პოლიტიკა არის ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული სტრატეგია, რომ ახალგაზრდებმა მიიღონ შესაძლებლობები და გამოცდილება, რომელიც ხელს შეუწყობს, რომ ახალგაზრდებმა მიიღონ შესაძლებლობები და გამოცდილება, რომელიც დაეხმარება მათ წარმატებულ ინტეგრაციას საზოგადოებაში და საშუალებას მისცემს მათ, იყვნენ საზოგადოების აქტიური და პასუხისმგებლიანი წევრები და ცვლილების აგენტები. ის 4 მიმართულებას მოიცავს, რომლებიც ახალგაზრდების ცხოვრების ყველა ასპექტს ეხება:

ა) კარგ ფორმაში ყოფნა (ფიზიკურად და მენტალურად);

ბ) სწავლება (ფორმალური, არაფორმალური და ინფორმალური);

გ) მონაწილეობა;

დ) ინკლუზია.

ახალგაზრდობის პოლიტიკა ემსახურება ყველა ახალგაზრდას, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდეს მათ, ვინც სოციალურად, ეკონომიკურად ან კულტურულად მოწყვლადია“.

ახალგაზრდობის პოლიტიკის თანამედროვე გაგებაში ცხადად ჩანს მიდგომა - „ახალგაზრდობა როგორც რესურსი და არა პრობლემა“. ახალგაზრდობა აღიქმება „რესურსად“ თუ „პრობლემად“ დიდწილად განსაზღვრავს ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანობას და რაობას. „პრობლემაზე ორიენტირებული მიდგომით“ ახალგაზრდობა განიხილება როგორც მოწყვლადი ჯგუფი, რომელიც საფრთხეშია და დაცვას საჭიროებს ან თავად ქმნის პრობლემებს. ისინი არიან პოტენციური მსხვერპლი და ხელისუფლებისა და უფროსების ინტერვენციის ობიექტი, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ ყველაზე კარგად იციან, თუ რა სჭირდებათ ახალგაზრდებს. თუ ახალგაზრდები აღქმული არიან როგორც რესურსი, მოქალაქეები, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი შესაძლებლობები, ახალგაზრდებისთვის დამახასიათებელი პოტენციალი, ტალანტი და ძლიერი მხარეები, ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანი იქნება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი აქტიური მონაწილეობის, დამოუკიდებლობისა და კრიტიკული აზროვნებისადმი სწრაფვის ხელშეწყობა. ამ შემთხვევაში ხელისუფლების როლია შესაძლებლობების შექმნა ახალგაზრდებისთვის, რომ გამოხატონ საჭიროებები და იპოვონ მათი დაკმაყოფილების გზები, ხოლო სხვები მხარს უნდა უჭერდნენ მათ და არა ხელმძღვანელობდნენ. ახალგაზრდობის პოლიტიკა მსოფლიოს მასშტაბით განსხვავებულია და დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: ეკონომიკური განვითარების დონეზე და ხელმისაწვდომ რესურსებზე, კულტურულ და სოციალურ თავისებურებებზე, ახალგაზრდების წინაშე არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებზე და სხვ.

ახალგაზრდების ასაკი განსხვავებულად განისაზღვრება ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ხშირ შემთხვევაში ბავშვები და ახალგაზრდები არ გამოიყოფა ცალ-ცალკე და საჯარო პოლიტიკის თვალსაზრისით ისინი ერთ ასაკობრივ ჯგუფში ერთიანდებიან. შესაბამისად, ახალგაზრდობის პოლიტიკა სხვადასხვა მიზნებსა და პოლიტიკის მიმართულებებს მოიცავს.

ახალგაზრდობის პოლიტიკა განსხვავდება ფორმების მიხედვითაც. ის შეიძლება იყოს ცალკეული ქმედებების ერთობლიობა, რომელსაც ხელისუფლება პრაქტიკაში ახორციელებს ახალგაზრდებისთვის; ის ასევე შეიძლება გაბნეული იყოს სხვადასხვა პოლიტიკის მიმართულებებში და მათში წყდებოდეს ახალგაზრდებთან დაკავშირებული საკითხები (მაგ. დასაქმების პოლიტიკის დოკუმენტში ცალკე მიმართულებად იყოს გამოყოფილი ახალგაზრდების მხარდაჭერა). თუმცა საუკეთესო ფორმად მიჩნეულია სპეციფიკური ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუ-

მენტის იგივე სტრატეგიის არსებობა.
შეიძლება იყოს ცალკეული ქმედებების ერთობლიობა, რომელსაც ხელისუფლება პრაქტიკაში ახორციელებს ახალგაზრდებისთვის; ის ასევე შეიძლება გაბნეული იყოს სხვადასხვა პოლიტიკის მიმართულებებში და მათში წყდებოდეს ახალგაზრდებთან დაკავშირებული საკითხები (მაგ. დასაქმების პოლიტიკის დოკუმენტში ცალკე მიმართულებად იყოს გამოყოფილი ახალგაზრდების მხარდაჭერა). თუმცა საუკეთესო ფორმად მიჩნეულია სპეციფიკური ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის იგივე სტრატეგიის არსებობა.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, არსებობს გარკვეული პრინციპები, მიდგომები და ელემენტები, რომელთაც ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება ეფუძნება.
ერთ-ერთი მათგანია ე.წ. 5 კომპონენტის მიდგომა, რომელიც ინგლისური სიტყვების აბრევიატურას წარმოადგენს და გამოიყენება ახალგაზრდული პოლიტიკის შესწავლისთვის, განვითარებისთვის, შეფასებისა და ხარისხის დადგენისთვის. ისინი განსაზღვრავენ ახალგაზრდული პოლიტიკის ძლიერ მხარეებს (ან სისუსტეებს). და ეს 5 კომპონენტია შემდეგი:

1. დაფარვა (coverage) - ანუ გეოგრაფიული არეალი და ახალგაზრდების ჯგუფები, რომელთაც ფარავს ახალგაზრდობის პოლიტიკა, ასევე პოლიტიკის მიმართულებები;
2. შესაძლებლობა (capacity) - ხელისუფლებისა და ახალგაზრდული არა-სამთავრობო სექტორის ურთიერთობა და როლი;
3. კომპეტენცია (competence) - კვალიფიკაციისა და ტრენინგის საკითხი;
4. თანამშრომლობა, კოორდინაცია და თანმიმდევრობა (co-operation, co-ordination, coherence) - იერარქიული და ჰორიზონტალური;
5. და ბოლოს, ღირებულება (cost) - საჭირო ფინანსური და ადამიანური რე-სურსების არსებობა.

სხვა მიდგომით ეფექტიანი, თანამედროვე და ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებული ახალგაზრდული პოლიტიკა უნდა აკმაყოფილებდეს 11 მოთხოვნას. ისინი განისაზღვრა ეროვნული ახალგაზრდული პოლიტიკისთვის, თუმცა მათი გამოყენება ნებისმიერ დონეზე შეიძლება. ეს მოთხოვნები შემდეგია:

1. მკაფიოდ განსაზღვრული სახელმწიფო უწყება, რომელიც ახალგაზრდობის საკითხებზეა პასუხისმგებელი;
2. მკაფიოდ განსაზღვრული სამიზნე ჯგუფი;
3. კონკრეტული და გამჭვირვალე სტრატეგია;
4. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა;
5. ახალგაზრდების განხილვა როგორც რესურსად და არა როგორც პრობლემად;
6. ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა;
7. მულტისექტორული, ინტეგრირებული მიდგომა;
8. უწყებათაშორისი თანამშრომლობა;
9. გამოყოფილი ბიუჯეტი;
10. თანამშრომლობა და კავშირი ადგილობრივ, რეგიონულ და ცენტრალურ დონეებს შორის; და ბოლო:
11. ევროპულ და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობა.

ყველა ეს მიდგომა ეხება ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებას და არა მის შინაარსობრივ მხარეს, ვინაიდან, როგორც ზემოთ ითქვა, შინაარსი ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული და ის ადგილობრივ კონტექსტს უნდა შეესაბამებოდეს.

1.3 ახალგაზრდობის პოლიტიკა და ახალგაზრდული საქმიანობა

ავტორი: რატი ჭეიშვილი

ახალგაზრდული პოლიტიკა ორ მიმართულებას მოიცავს: ინტეგრირებული (მულტისექტორული) ახალგაზრდული პოლიტიკა და ახალგაზრდული საქმიანობა.

ინტეგრირებული ახალგაზრდული პოლიტიკა გულისხმობს, რომ ახალგაზრდების საჭიროებები და ინტერესები გათვალისწინებული იყოს საჯარო პოლიტიკის ყველა სფეროში, რაც მათთვის მნიშვნელოვანია: განათლება, დასაქმება, ჯანმრთელობის დაცვა და ა.შ.

ახალგაზრდული საქმიანობა სპეციფიკური სფეროა და წარმოადგენს საგანამანათლებლო საქმიანობას ახალგაზრდებთან და ახალგაზრდებისთვის, რომელიც ხორციელდება ფორმალური განათლების, ოჯახური და სამსახურებრივი კონტექსტის მიღმა და ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებასა და კეთილდღეობას, საზოგადოებაში მათ აქტიური მონაწილეობას და ინტეგრაციას.

ახალგაზრდულ საქმიანობას საგანმანათლებლო ფუნქცია აქვს და ავსებს ტრადიციულ და ფორმალურ ინსტიტუტებს. არაფორმალური და ფორმალურს გარე განათლების მიდგომებით ის ხელს უყობს ახალგაზრდებში მრავალმხრივი კომპეტენციების განვითარებას (ცოდნა, უნარი, დამოკიდებულება). ახალგაზრდული საქმიანობის ფორმების მაგალითებია:

- სკოლის შემდგომ თავისუფალი დროის ორგანიზება და სხვადასხვა კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა ახალგაზრდებში;
- პრევენცია, რომ ახალგაზრდები არ აღმოჩნდნენ ჩართული ასოციალურ ქცევებში და დანაშაულში;
- ახალი შესაძლებლობების შეთავაზება იმ ახალგაზრდებისთვის, რომელთაც ნაადრევად შეწყვიტეს სწავლა;
- ახალგაზრდების მხარდაჭერა ისეთი უნარების (ე.წ. soft skills) განვითარებაში, რომელზედაც დღეს შრომის ბაზარზე უფრო მეტი მოთხოვნაა, ვიდრე კონკრეტულ ცოდნაზე;
- არაფორმალური განათლების კონცეფციაზე დაფუძნებული სხვადასხვა პროგრამების, საკლუბო აქტივობების და სხვა ღონისძიებების ორგანიზება მოსწავლეებისათვის სკოლის ბაზაზე (სასკოლო ახალგაზრდული საქმიანობა);
- ახალგაზრდების ჩართვა მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- ახალგაზრდების ინფორმირება და კონსულტირება ხელმისაწვდომი სერვისებისა და შესაძლებლობების შესახებ;
- ახალგაზრდების მხარდაჭერა, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან დასაქმებული და არ გადიან ტრენინგს (ე.წ. NEET ახალგაზრდები);
- უსაფრთხო და ჯანსაღი გართობისა და დასვენების საშუალებების შექმნა ახალგაზრდებისთვის;
- მუშაობა ახალგაზრდებთან იქ, სადაც „ისინი არიან“ გეოგრაფიულად და განვითარების თვალსაზრისით (ე.წ. ქუჩის ახალგაზრდული საქმიანობა).

ახალგაზრდული საქმიანობა მოიცავს მრავალფეროვან აქტივობებს (სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო, გარემოსდაცვითი და სხვ.), რომლებიც ახალგაზრდების მიერ, მათთან ერთად და მათთვის, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად ხორციელდება. ახალგაზრდულ საქმიანობას 3 ძირითადი მა-

ხასიათებელი აქვს:

- ეფუძნება არაფორმალურ და ფორმალურს გარე სწავლების პროცესს, რომელიც ფოკუსირებულია ახალგაზრდებზე, პიროვნულ განვითარებაზე
- და ნებაყოფლობით მონაწილეობაზე;
  მიმდინარეობს იქ, სადაც ახალგაზრდები არიან;
- სწავლების პროცესში ახალაგზრდები და ახალგაზრდული მუშაკები პარტნიორები არიან.

ახალგაზრდული საქმიანობა ხორციელდება პროფესიონალი (ანაზღაურებადი) და მოხალისე ახალგაზრდული მუშაკების მიერ. ისინი ფლობენ შესაბამისს კვალიფიკაციას და კომპეტენციებს, რათა იმუშავონ განსხვავებული ინტერესებისა და საჭიროებების მქონე ახალგაზრდებთან ან მათ ჯგუფებთან. ახალგაზრდულ მუშაკებს აქვთ ძლიერი პროფესიული იდენტობა და მკაფიოდ განსაზღვრული მუშაობის სფერო შესაბამისი მიდგომებით.
ახალგაზრდული პოლიტიკის ფარგლებში მნიშვნელოვანია სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების მიმართ გატარებული მიდგომების დიფერენცირება, რომ სათანადოდ მოხდეს განვითარების მხარდაჭერა ბავშვობიდან ზრდასრულობამდე. არსებობს გარკვეული მახასიათებლები, რომლებიც განვითარების თვალსაზრისით საერთოა ადამიანების უმრავლესობისთვის კონკრეტულ ასაკობრივ ჯგუფში. ახალგაზრდებთან მუშაობისას აუცილებელია მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება მაქსიმალურად ეფექტიანი შედეგის მისაღწევად.

განვითარების ეტაპების დაყოფა შესაძლოა მოხდეს შემდეგ ასაკობრივ კატეგორიებად:

- ბავშვები 12 წლამდე;
- 12-17 წლის ახალგაზრდები/მოზარდები;
- 18-24 წლის ახალგაზრდები;
- 25 წლის ზემოთ ახალგაზრდები.

12 წლამდე ბავშვები, როგორც წესი, არიან ძალიან აქტიურები, განსაკუთრებულად ცნობისმოყვარეები, უყვართ ექსპერიმენტები, სურთ გამოცადონ და შეისწავლონ ახალი ნივთები, გააკეთონ ახალი აღმოჩენები. ბავშვები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ უსაფრთხო გარემოთი, სადაც ისინი იზრდებიან და პოულობენ მათი ასაკისთვის შესაბამის აუცილებელ მხარდაჭერას.

12-17 წლის მოზარდები/ახალგაზრდები მზად არიან უფრო ღრმა და საფუძვლიანი სასწავლო გამოცდილებისთვის, უყალიბდებათ აბსტრაქტული აზროვნება და შეუძლიათ იდეების გენერირება; მწიფდებიან სოციალურად და ფსიქოლოგიურად სოციალურ ჯგუფში მუშაობისთვის; უვითარდებად კრიტიკული აზროვნება და ეცნობიან სოციალურ საკითხებს; იწყებენ ფიქრს, რას გააკეთებენ როცა გაიზრდებიან; ხშირად არიან გაურკვევლობაში ფასეულობების მიმართ; სურთ დამოუკიდებლობა, მაგრამ ამავე დროს მხარდაჭერაც; აქვთ უფრო დიდი სოციალური მოთხოვნილებები და სურვილები; სურთ შეიცნონ გარემო მათი თემის მიღმა; ეწყებათ ფიზიკური განვითარების ახალი ეტაპი და სქესობრივი მომწიფების პერიოდი; თვითშემეცნება იწყება როგორც ფიზიკური, ასევე პიროვნული სტრუქტურის თვალსაზრისით. ეს არის იდეალური ასაკი დაწყებითი სამოქალაქო განათლებისა და მონაწილეობისთვის. ეს არის ასევე ასაკი, როცა დევიანტური ქცევების უმრავლესობა იჩენს თავს და შესაბამისად, ადრეული პრევენციის ზომები უნდა იქნას მიღებული. ახალგაზრდული საქმიანობა, როგორც წესი, ამ სფეროებს მოიცავს.

18-24 წლის ახალგაზრდების მთავარი საზრუნავი არის განათლების მიღება, რომელიც უზრუნველყოფს მათ ინტეგრაციას შრომის ბაზარზე. დამოუკიდე-

ბელი ცხოვრების დაწყება და საზოგადოების სრულფასოვან წევრად გახდომა. ეს ასაკობრივი პერიოდი ასევე დაკავშირებულია ასოციალური ქცევის, სოციალურ ურთიერთობებში პრობლემების, წარუმატებელი კარიერული არჩევანის, სიღარიბის და სხვა რისკებთან. საზოგადოებაში ახალგაზრდების ინტეგრაცია დამოკიდებულია მასზე, თუ როგორ არის დაცული ახალგაზრდების საჭიროებები და ინტერესები სხვადასხვა სექტორებში: დასაქმება, განათლება, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვა, საცხოვრებელი საკითხები და სხვ. როგორც წესი, 25 წლის ზემოთ ახალგაზრდების ძირითადი მიზანია, რომ იყვნენ საზოგადოების სრულფასოვანი დამოუკიდებელი წევრები, მოახდინონ შრომის ბაზარზე მათი მდგომარეობის სტაბილიზაცია და დაიწყონ ოჯახური ცხოვრება. ინტეგრირებული ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანია, რომ ახალგაზრდების ამ გამოწვევებს უპასუხოს.

თუმცა აღნიშნული დაყოფა უფრო მიდგომების პრიორიტეტიზაციას ეხება და არ გულისხმობს, რომ ახალგაზრდული საქმიანობა არ არის საჭირო 18 წლის ზემოთ ახალგაზრდებისთვის, ან ინტეგრირებული ახალგაზრდული პოლიტიკა - 18 წლამდე ახალგაზრდებისთვის, განსაკუთრებით ოჯახის მხარდაჭერის კონტექსტში.

წყაროები და დამატებითი მასალა:

1. ახალგაზრდული პოლიტიკის ევროპული ჩარჩო. ევროპის საბჭოს გამომ-ცემლობა. 2006. https://rm.coe.int/european-framework-for-youth-policy-en-g/16809096b6

1.4 ახალგაზრდობის პოლიტიკა საქართველოში

ავტორი: რატი ქეიშვილი

საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის და ზოგადად ახალგაზრდული პოლიტიკისა და არაფორმალურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების, ისტორიის შესწავლას კიდევ ბევრი კვლევა სჭირდება, თუმცა რამდენიმე მაგალითის მოყვანაც საკმარისია ახალი და უახლესი ისტორიიდან, თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ის ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაში. მართალია, აქ მოყვანილი მაგალითები საზოგადოების ყველა ფენაზე იყო მიმართული, ახალგაზრდები მათი მთავარი ბენეფიციარები და მონაწილეები იყვნენ. მაგალითად ეს არის: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და მისი საქმიანობა; მოხალისეობის ტრადიციული ფორმები; განსაკუთრებით საინტერესოა პირველი რესპუბლიკის პოლიტიკა ამ საკითხებისადმი. მაგალითად, 1918-1921 წლებში აქტიურად იგეგმებოდა სახელმწიფოს მხრიდან სკაუტური მო-ძრაობის განვითარების მხარდაჭერა, რომელიც წინა წლებში გავრცელდა სა-ქართველოში; მთავრობა ასევე ზრუნავდა არაფორმალური (სკოლის შემდგომი) განათლების სისტემის შექმნაზე, რომელიც მოიცავდა საკვირაო და მოძრავ სკოლებს, სახალხო ლექციებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს, სახალხო თეატრებს და ა.შ.. მიუხედავად დიდი ეკონომიკური და ფინანსური პრობლემებისა, მთავრობა ამ მიმართულებით მნიშვნელოვან რესურსებს ხარჯავდა.

1921 წლის რუსულმა ანექსიამ საქართველოს განვითარება ამ მიმართულებითაც შეაჩერა, რადგან ახალგაზრდებთან მუშაობამ იდეოლოგიზირე-

ბული და ტოტალიტარული რეჟიმებისთვის დამახასიათებელი ფორმა მიიღო, სადაც დათრგუნული იყო ახალგაზრდების პიროვნული განვითარების, თავისუფალი ნების გამოხატვის, ნებაყოფლობითი მონაწილეობის და სხვა დემოკრატიული შესაძლებლობები. მხოლოდ 90-იან წლებში, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, გაჩნდა სივრცე ახალგაზრდული საქმიანობისა და პოლიტიკის განვითარებისთვის, თუმცა დიდი პროგრესი ამ სფეროში ვერ იქნა მიღწეული. ამ პერიოდში აღსანიშნავია, რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი:

- 1999 წელი - „ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ“ კანონის მიღება. მისი მთავარი მიზანია ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მიერ შემუშავებული პროექტების ფინანსური მხარდაჭერა და მის საფუძველზე ხდება დღემდე სხვადასხვა ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება;
- 2001 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით პირველად ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცდა, თუმცა მისი პრაქტიკაში განხორციელება ვერ მოხერხდა;
- 2012 წელს მთავრობის მიერ დამტკიცდა „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“ ;
- ხოლო, 2014 წელს ამ დოკუმენტის შესწორებული და გადამუშავებული რედაქცია დამტკიცდა, ხოლო მომდევნო წელს მისი სამოქმედო გეგმა 2015-2020 წლებისთვის.

სახელმწიფოს ხედვა აღიარებდა ახალგაზრდების განსაკუთრებულ მნიშვ-ნელობას ქვეყნის დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის და მისი მიზანი იყო, ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა, სადაც ახალგაზრდები შეძლებდნენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას. სამოქმედო გეგმა მოიცავდა კონკრეტულ და დროში გაწერილ პროგრამებს, პროექტებს და ღონისძიებებს, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს უნდა განეხორციელებინათ და რომელთაც უნდა უზრუნველყო ახალგაზრდული პოლიტიკის შესრულება, მისი სისტემური და მდგრადი განვითარება და ახალგაზრდების წინაშე არსებული პრობლემებისა და გამოწვევების დაძლევა.

მიუხედავად ამისა, ბევრი მიზეზის გამო, ვერ მოხერხდა ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტისა და მისი სამოქმედო გეგმის პრაქტიკაში განხორციელება. შეფასების შედეგების მიხედვით, მაგალითად, სამოქმედო გეგმის 207 პროგრამიდან დასრულებულია 51, ხოლო მიმდინარეა 55. პროგრამების თითქმის ნახევარი შეჩერებულია, არ განხორციელდა ან ვერ მოხერხდა ინფორმაციის მოპოვება მათი სტატუსის შესახებ. რაც უფრო საყურადღებოა, შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს, რა ღირებული და პოზიტიური გავლენა მოახდინა (ან ახდენდა) ახალგაზრდების მდგომარეობაზე სახელმწიფო მიერ განხორციელებული პოლიტიკა. შესაბამისად, ახალგაზრდები დღემდე მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან ყველა სფეროში, იქნება ეს დასაქმება, განათლება, მონაწილეობა, ჯანმრთელობა და ცხოვრების ჯანსაღი წესი თუ სხვა. ამას ადასტურებს არაერთი კვლევა, მათ შორის „ახალგაზრდობის გლობალური განვითარების ინდექსი და ანგარიში 2016“, სადაც საქართველო გლობალურ რეიტინგში 104-ე ადგილს იკავებს 183 ქვეყანას შორის და წინა კვლევასთან შედარებით, უფრო დაბალი მაჩვენებლები აქვს.

2020 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცდა „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“, რომლი-

თაც განისაზღვრა სტრატეგიული მიზნები, კერძოდ:

1. საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა;
2. ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა;
3. ახალგაზრდების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა;
4. ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება; და
5. ცენტრალურ და მუნიციპალიტეტების დონეებზე სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სრულყოფა.

სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“ წარმოადგენს წამყვან სახელმწიფო ინსტიტუტს, რომელიც პასუხისმგებელია ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებასა და კოორდინაციაზე, ხოლო პარლამენტის მიერ დამტკიცებული კონცეფციის შესაბამისად, მისი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება ადგილობრივ დონეზე.

შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდული პოლიტიკა დიდწილად ადგილობრივია და პირველ რიგში, სწორედ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფენ ახალგაზრდების მყისიერ და პირდაპირ მხარდაჭერას და მათთვის სერვისების მიწოდებას.

1.5 ახალგაზრდობის პოლიტიკა ადგილობრივ დონეზე

ავტორი: რატი ჭეიშვილი

როგორც წესი, სახელმწიფო სტრატეგია ქმნის ზოგად ჩარჩოს ახალგაზრდობის პოლიტიკისთვის, თუმცა ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების დაძლევა შეუძლებელია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების აქტიური ჩართულობის გარეშე და ეს განპირობებულია, რამდენიმე მიზეზით:

- როგორც წესი, სახელმწიფო უფლება-მოვალეობების განხორციელება ხდება ხელისუფლების იმ ორგანოს მიერ, რომელიც ყველაზე ახლოს არის მოქალაქეებთან. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები კი ახალგაზრდებთან ყველაზე დაახლოვებული სახელმწიფო ინსტიტუტები არიან;
- გარდა ამისა, ახალგაზრდების საჭიროებები და ინტერესები ხშირად განსხვავდება მუნიციპალიტეტების მიხედვითაც კი და ისინი განსხვავებული მიდგომებისა და პროგრამების განხორციელებას საჭიროებენ;
- ასევე, ის ახალგაზრდები, რომლებიც ცხოვრობენ რეგიონებში, უმეტესწილად ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთქმედებენ;
- არსებობს ბევრი ისეთი მომსახურება და ვალდებულება, რომელთა კონტროლს და განხორციელებას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფენ.

გამომდინარე აქედან, აუცილებელია არსებობდეს მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკა და სასურველია სტრატეგიის სახით, რომელიც სახელმწიფო ახალგაზრდულ პოლიტიკას დაეფუძნება და პარალელურად გათვა-

ლისწინებული იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სპეციფიკური საჭიროებები და ინტერესები, ხოლო ამის საფუძველზე შემუშავდება შესაბამისი მიდგომები და პროგრამები, რომლებიც ახალგაზრდების მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება.

ცენტრალური ხელისუფლების ინსტიტუტებს ადგილობრივ დონეზე უნდა ჰქონდეს სამი ძირითადი ფუნქცია:

1. პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების და გზამკვლევის შემუშავება;
2. ბიუჯეტის, კანონმდებლობის, პოლიტიკის დოკუმენტით და სხვა საშუალებებით ადგილობრივ დონეზე საქმიანობის პირობების და ჩარჩოს შექმნა და მხარდაჭერა;
3. ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფა და შეფასება.

ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებას შეუძლია მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანოს ცენტრალურ ხელისუფლებას, თვითმმართველობას, საზოგადოებას და, რა თქმა უნდა, ახალგაზრდებს. კერძოდ:

- „სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის“ განხორციელების მხარდაჭერა ადგილობრივ დონეზე;
- ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ზრდა; ნდობის გამყარება საზოგადოებას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს და ხელისუფლებას შორის;
- საქმიანობის გაუმჯობესება ეფექტურობა და ეფექტიანობის თვალსაზრისით და მართვის ახალი მეთოდების დანერგვა; ასევე იმ მიდგომების წარმოჩენა და გაძლიერება, რომელიც უკვე წარმატებით ხორციელდება ადგილობრივ დონეზე;
- ადგილობრივი ახალგაზრდების საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი დაკმაყოფილების ეფექტური და ეფექტიანი გზების დასახვა ყველა სექტორული მიმართულებით;
- ახალგაზრდებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების თანხვედრა;
- ახალგაზრდულ საკითხებში მოქმედი ყველა აქტორის ჩართულობა, დაკავშირება და მათ შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის ხელშეწყობა;
- ახალი კავშირების და პარტნიორობების დამყარება;
- ხარჯების შემცირება ან მათი ზრდის შეჩერება. მაგალითად, ირლანდიაში ჩატარებულმა კვლევამ „ახალგაზრდული საქმიანობის ეკონომიკური ღირებულების შესახებ“ აჩვენა, რომ ახალგაზრდულ საქმიანობაში ხელისუფლების მიერ დახარჯული ყოველი 1 ევრო გრძელვადიან პერსპექტივაში 2.22 ევროს ეკონომიას მოიტანს;
- არსებული რესურსების ოპტიმალური განაწილება ახალგაზრდების სხვადასხვა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად; ახალგაზრდების წვლილის აღიარება ადგილობრივი საზოგადოების განვითარებაში და ახალგაზრდების ხელშეწყობა, რომ უფრო აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში;
- ახალგაზრდების ინფორმირება ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობისა და მუნიციპალური სერვისებისა და პროგრამების შესახებ; თაობათა შორის დიალოგისა და თანამშრომლობის განვითარება.

ეფექტიანი და ხარისხიანი ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება უნდა ეფუძნებოდეს გარკვეულ პრინციპებს:

1. პოლიტიკას უნდა ჰქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული ხედვა, მიზნები და მათი მიღწევის გზები.

2. ყველა დაინტერესებული მხარე უნდა იყოს ჩართული მათ შემუშავებაში და ყველასთვის ნათელი უნდა იყოს, რის მიღწევას ცდილობს პოლიტიკა და როგორ;
3. უნდა არსებობდეს მაღალი პოლიტიკური ნება, რომ ახალგაზრდობის საკითხები არის პრიორიტეტი და სათანადო ყურადღება უნდა ეთმობოდეს;
4. საჭირო რესურსები უნდა იქნას გამოყოფილი ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმისთვის, განხორციელებისთვის, მონიტორინგისა და შეფასებისთვის. ყველაზე კარგად გაწერილი სტრატეგია და გეგმაც შეიძლება უშედეგო იყოს, თუ არ გამოიყო სათანადო ფინანსები, დრო და ადამიანური რესურსები;
5. ახალგაზრდები უნდა მონაწილეობდნენ პოლიტიკის განვითარების ყველა ეტაპზე. ეს იქნება: დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება. თუ პოლიტიკა ჩამოყალიბდა ახალგაზრდებისთვის მათი ჩართულობის გარეშე, მას შეზღუდული პოზიტიური გავლენა ექნება ახალგაზრდებზე. ასევეა მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდებს გააჩნდეთ „საკუთრების“ გრძნობა პოლიტიკის მიმართ;
6. ყველა აქტორი, რომელსაც რაიმე სახის შეხება გააჩნია ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ჩართული უნდა იყოს პროცესში. მათ გააჩნიათ საკუთარი რესურსები, ცოდნა, გამოცდილება და უნდა თამაშობდნენ სათანადო როლს, რომ ხელი შეუწყონ ხარისხიანი და ეფექტიანი ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებას;
7. პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვან ყველა სფეროს: განათლება, დასაქმება, ჯანმრთელობა, კულტურა, სპორტი და სხვა;
8. პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს სარწმუნო მტკიცებულებებს. მათი მოპოვების სხვადასხვა მეთოდი არსებობს, როგორიცაა: კვლევა, მონაცემების შეგროვება, მოკვლევა და ა.შ. და რომელი მათგანი უნდა შეირჩეს ეს უნდა გადაწყდეს საჭიროებიდან და ხელმისაწვდომი რესურსებიდან გამომდინარე.

არსებული რეალობის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია კიდევ რამდენიმე პრინციპის გათვალისწინება საქართველოში ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებისთვის:

1. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებაზე პასუხისმგებელი უწყების ან პირის/ პირთა ჯგუფის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდული საქმიანობის განვითარებას და ინტეგრირებული ახალგაზრდული პოლიტიკის კოორდინაციას, და არა კონკრეტული, ერთჯერადი ღონისძიებების განხორციელებას;
2. ახალგაზრდული პოლიტიკის განვრცობა ახალგაზრდების ყველა ჯგუფზე, მათ შორის და განსაკუთრებით, სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდებზე;
3. მუნიციპალიტეტებს შორის ცოდნისა და გამოცდილების მუდმივი გაზიარება, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც საქართველოში კარგი პრაქტიკის ძალიან ცოტა მაგალითი არსებობს; და
4. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ საკითხებში ჩართული პირების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება რეგულარულად.

ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკა ეფუძნება, ერთის მხრივ სახელმწიფო ახალგაზრდულ პოლიტიკას და მეორეს მხრივ, ახალგაზრდების სპეციფიკურ საჭიროებებისა და ინტერესებს ადგილობრივ დონეზე. ცენტრალური ხელისუფლება უნდა ქმნიდეს მექანიზმებს, რომ მუნიციპალიტეტებს მიაწოდოს ინფორმაცია სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის შესახებ, ჩართოს მის განხორციელებაში და აღმოუჩინოს შესაბამისი მხარდაჭერა. ასევე შესაძლებელია გარკვეული საქმიანობებისა და ამოცანების დელეგირება ადგილობრივ დონეზე.

საბოლოო ჯამში შედეგი უნდა იყოს ადგილობრივ დონეზე მდგრადი და ეფექტიანი ეკოსისტემის განვითარება, რომელიც შესაბამისობაშია ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ შემუშავებულ ხედვასთან სფეროს ეკოსისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ.

ადგილობრივ დონეზე არსებული ეკოსისტემა უნდა ქმნიდეს სამ ძირითად შესაძლებლობას მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის.

1. უნდა შემუშავდეს მექანიზმები, რომ მოხდეს ახალგაზრდული ინიციატივებისა და იდეების წახალისება და მხარდაჭერა და მათ შორის ასევე იგულისხმება ახალგაზრდების მეწარმეობას და დასაქმებას;
2. მხარდაჭერილი უნდა იყოს ახალგაზრდების ადამიანური და სოციალური კაპიტალის განვითარება, რაც გულისხმობს ახალგაზრდების კომპეტენციების ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებას და მათი ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებას,
3. მოხდეს ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა, როგორც მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ასევე, ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და აქტივობებში.

ასეთი შესაძლებლობების შექმნას ეკოსისტემა ხელს უნდა უწყობდეს რამდენიმე ელემენტისა და ინსტრუმენტების განვითარებით.

1. ეს არის პოლიტიკის განვითარებით - უნდა შეიქმნება მტკიცებულებებზე დაფუძნებული, მონაწილეობითი და შედეგზე ორიენტირებული ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტები, იგივე სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევების და საჭიროებების დაძლევას და ეკოსისტემის შექმნას;
2. ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების გაძლიერებით, რომ მოხდეს ახალგაზრდებთან დაკავშირებული ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო და კერძო სექტორის ორგანიზაციების მხარდაჭერა რათა მათ შექმნან უსაფრთხო და ხარისხიანი პროგრამები და სერვისები ახალგაზრდებისთვის.
3. ეს არის ფიზიკური და ვირტუალური ახალგაზრდული სივრცეების განვითარება. ადგილობრივ ახალგაზრდულ პოლიტიკაში გათვალისწინებული უნდა იყოს ახალგაზრდებზე მორგებული, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი ახალგაზრდული სივრცეების შექმნა/განვითარება, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ ფორმალურად ან არაფორმალურად შეკრებას, შეხვედრას, დროის გატარებას, აქტივობების ორგანიზებას, ისწავლიან ერთმანეთისგან და ჩაერთვებიან საზოგადოებრივ აქტივობებში. გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ტიპის ახალგაზრდული ცენტრების განვითარება, როგორიცაა ბიბლიოთეკები, ღია ახალგაზრდული ცენტრები, ახალგაზრდების საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრები და სხვა.
4. და ბოლოს, ადამიანური რესურსის გაძლიერებით, რომ მოხდეს ახალ-

გაზრდული მუშაკების ინსტიტუტის განვითარება ორი მიმართულებით: პირველი - მუნიციპალური ახალგაზრდული მუშაკების ანუ ადგილობრივ თვითმმართველობებში ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელი თანამშრომლების გაძლიერება, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალგაზრდული პოლიტიკის მართვას და მეორეს მხრივ ახალგაზრდული მუშაკების, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ ახალგაზრდებთან და სთავაზობენ მათ სერვისებსა და პროგრამებს.

ასევე, ეკოსისტემა უნდა ეფუძნებოდეს რამდენიმე პრინციპს. ეს არის:

- სექტორთაშორისი თანამშრომლობა, რადგან ახალგაზრდობის წინაშე არსებულ გამოწვევათა დაძლევა შეუძლებელია მხოლოდ ერთი სექტორის, თუნდაც ხელისუფლების ძალისხმევით. აუცილებელია ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების გაერთიანება და მათ შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის დამყარება. შემდეგი არის:
- სპეციალური საჭიროების მქონე და მოწყვლადი ახალგაზრდების ჩართულობა;
- შემდეგი ეს არის მონიტორინგი, შეფასება და ხარისხის მართვა. დაინერგოს მექანიზმები, რომ მოხდეს ახალგაზრდული პოლიტიკის მუდმივი მონიტორინგი და შეფასება, თუ რამდენად ეფექტიანია განხორციელებული ქმედებები და პასუხობს ახალგაზრდების საჭიროებების გადაწყვეტას.
- ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებაში მაქსიმალურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, ახალგაზრდების სწავლება და ციფრული მიდგომების დანერგვა;
- უნდა იყოს უზრუნველყოფილი უსაფრთხო გარემო - ადგილობრივი პოლიტიკის განხორციელება უნდა უზრუნველყოფდეს ახალგაზრდების განვითარების უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს არსებობას;
- და უნდა იყოს მდგრადობა ადგილობრივი პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული ქმედებები ხელს უნდა უწყობდეს გრძელვადიანი და მდგრადი შედეგების მიღწევას, რაც გამოიხატება სხვადასხვა სისტემების, პლატფორმების, სინერგიების და სერვისების შექმნაში.

1.6 ადამიანის უფლებები - შესავალი

ავტორი: ნიკა ბახსოლიანი

მეოცე საუკუნე გამოირჩეოდა ბევრი უნიკალური მოვლენით, ბევრი რევოლუციით, ბევრი ცვლილებით, ბევრი კარგით და უფრო ბევრი ცუდით. მაგრამ, ერთ-ერთი დადებითი, რაც მოხდა, არის ადამიანის უფლებების სტანდარტების დამკვიდრება. რა თქმა უნდა, მანამდეც არსებობდა გარკვეული სტანდარტები და წეს-კანონები, თუმცა მეოცე საუკუნეში კაცობრიობამ გადაწყვიტა შეემუშავებინა უნივერსალური სტანდარტი, რომელიც ყოველ ადამიანს დაიცავდა და მიანიჭებდა უფლებებს. პირველად გაჟღერდა პრინციპები, რომ ადამიანის უფლებები არის საყოველთაო, განუყოფელი და ვერ გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი. 1948 წელს მოხდა კაცობრიობის ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენა - გაერთანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიი-

ღო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. დეკლარაციას 60-იან წლებში დაემატა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისა საერთაშორისო პაქტი და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი.

მსოფლიოში და მის სხვადასხვა კუთხეში ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემების შექმნის ძირითადი მოტივი იყო იმ საშინელებათა და დეჰუმანიზაციის პრეცედენტების პრევენცია იყო, რაც მეორე მსოფლიო ომის დროს ხდებოდა. წარმოიშვა იდეა, რომ საჭირო იყო, შექმნილიყო ქვეყნის-გარე დაცვის სისტემა. ანუ შეიცვალა სუვერენიტეტის ძველი აღქმა - ადრე მიღებული თუ იყო, რომ შინაგან საქმეებში არ უნდა ჩარეულიყვნენ და არ უნდა ყოფილიყო იმის კრიტიკა თუ რა ხდებოდა ჩემს ქვეყანაში და ჩემს საზოგადოებაში, ეს მიდგომა ახლა გადაიხედა და შეიქმნა ახალი კონცეფცია - „სუვერენიტეტი, როგორც პასუხისმგებლობა“. პასუხისმგებლობა ქვეყნისთვის, რომ დაიცვას და ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებებს საკუთარ ტერიტორიაზე, იმისდა მიუხედავად, თუ რომელ ჯგუფზე და ადამიანზეა საუბარი.

საყოველთაო დეკლარაცია არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიღწევა მსოფლიო საზოგადოებისთვის, თუმცა არა ყველაზე ეფექტური. მიიჩნევა, რომ ყველაზე ეფექტური ადამიანის უფლებათა სისტემა მსოფლიოში ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციაა, რომლის ნაწილი საქართველოც გახლავთ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელმომწერი ქვეყნები 1940-იან წლებში ამას აღიქვამდნენ, როგორც რევოლუციურ დოკუმენტს, რომელიც ხელს შეუშლიდა ტოტალიტარიანიზმის დაბრუნებას.

სწორედ ამ სულისკვეთებით ჩამოყალიბდა 1949 წელს ევროპის საბჭო, რომლის წევრი ასევე არის საქართველო. ევროპის საბჭოს საქმიანობა დაფუძნებულია სამ ძირითად მიმართულებაზე - დემოკრატია, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები. არც ერთი მათგანი იარსებებს მყარად დანარჩენი ორის გარეშე. ამ სამი პრინციპის მუშაობის გარანტი სწორედ კონვენციაა, რომელიც დღეს ევროპაში ადამიანის უფლებათა დაცვის ქვაკუთხედია.

1.7 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

ავტორი: ნიკა ბახსოლიანი

ევროპის კონტინენტზე მთავარი ადამიანის უფლებების ინსტრუმენტი, ეს გახლავთ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. ამ კონვენციის დამცველი არის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელიც სტრასბურგში მდებარეობს. ალბათ ხშირად გაგიგიათ რამდენიმე პოლიტიკოსისგან, „სტრასბურგში ვიჩივლებთო!“- რომ ამბობენ, სწორედ აი, ამ სასამართლოს გულისხმობენ ისინი. ევროპის საბჭოს 47 ქვეყნის 500 მილიონ ადამიანს, მათ შორის, ყველა ჩვენგანს, შეუძლია მიმართოს ევროპის სასამართლოს. ეს სხვა კონტინენტზე ნაკლებად ხდება. ამრიგად, თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ევროპის რო-მელიმე ქვეყნის იურისდიქციის ქვეშ დაირღვა თქვენი უფლებები, შეგიძლიათ ამ ქვეყანას უჩივლოთ სტრასბურგის სასამართლოში.

თუ თქვენი საჩივარი დაკმაყოფილდა და სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი, ამ ქვეყანას ვალდებულება აქვს გამოასწოროს მისი ის კანონები, პოლიტიკა და პრაქტიკა, რომელმაც ადამიანის უფლებების დარღვევა-

მდე მიგვიყვანა. გარდა ამისა, თქვენი ქეისი ხდება სახელმძღვანელო სხვა ქვეყნებისთვისაც, მათაც უნდა დახვეწონ მათი კანონები და პოლიტიკა, რათა ადამიანის უფლებების ეს დარღვევა აღარ განმეორდეს.



სურათი 1.7.1

სასამართლოს გადაწყვეტილების ან განაჩენის გამოტანის შემდეგ, ევროპის საბჭოს სხვა სტრუქტურები, და განსაკუთრებით მინისტრთა კომიტეტი პასუხისმგებლობას იღებს მათ აღსრულებაზე. მინისტრთა კომიტეტი ევროპის საბჭოს უმაღლესი პოლიტიკური ფიგურაა, რომელიც შედგება ყველა ქვეყნის წევრი საგარეო საქმეთა მინისტრისგან. მინისტრთა კომიტეტის ინტერესია, იხელმძღვანელოს სასამართლოს ქეისებით დაადგინოს ადამიანის უფლებათა ისეთი სტანდარტი, რომელიც კონვენციის შემდგომ დარღვევებს პრევენციას გაუკეთებს. სწორედ ამიტომ, ისინი დროდადრო გამოსცემენ რეკომენდაციებს წევრი სახელმწიფოების დემოკრატიის, კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებათა სხვადასხვა სფეროში. ერთ-ერთი ასეთი სფეროა ახალგაზრდობა და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს რამდენიმე უმნიშვნელოვანესი რეკომენდაცია აქვს მიღებული. ასეთია რეკომენდაცია ახალგაზრდების უფლებებთან ხელმისაწვდომობაზე, ან რეკომენდაცია დაუცველი რაიონების წარმომადგენელი ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა სოციალურ უფლებებზე, ან რეკომენდაცია გადახედილი ევროპული ქარტიის აღსრულების შესახებ (ეს ქარტია ახალგაზრდების ადგილობრივ დონეზე მონაწილეობას ეხება) და ა.შ.

ჩვენი ონლაინ კურსის ბიბლიოთეკაში, შეგიძლიათ, იხილოთ, ეს რეკომენდაციები და დარწმუნებული ვარ, თქვენს საქმიანობაში, ნამდვილად გამოგადგებათ.

წყაროები და დამატებითი მასალა

https://mooc.youthagency.gov.ge/ლიტერატურისკატალოგი/

1.8 ადამიანის უფლებები და ახალგაზრდები

ავტორი: ნიკა ბახსოლიანი

ახალგაზრდობისა და ადამიანის უფლებების განხილვა სხვადასხვა კონცეპტის მიხედვით შეიძლება მოხდეს:

პირველი: ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა ადამიანის უფლებებთან, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვცდილობთ, აღმოვაჩინოთ ის ბარიერები, რომელიც ახალგაზრდებს ხელს უშლის ადამიანის უფლებების სრულფასოვნად გამოყენებაში, და შემდეგ, რა თქმა უნდა, ამ ბარიერების დეკონსტრუქციაზე გადავდივართ.

მეორე ეს არის: ახალგაზრდობის უფლებები - ეს კონცეპტი ადამიანის უფლებებს უყურებს, ახალგაზრდობის, როგორც ბავშვობიდან ზრდასრულობამდე გარდამავალი ასაკის პრიზმიდან - ანუ იმ უფლებებზე კონცენტრირდება, რომელიც

სპეციფიკურია ამ გარდამავალი ასაკისთვის - მაგალითად, განათლებიდან ხარისხიან დასაქმებაზე ტრანზიცია, ან ავტონომიური ცხოვრების უფლება. ახალგაზრდობის უფლებები ადამიანის უფლებებისგან განყენებული, რა თქმა უნდა, არ არის, თუმცა, ეს კონცეპტი საჭიროებს აღიარებას. თავად კონცეპტი კარგად გვანახებს იმ ბარიერებს, რაც ახალგაზრდებს უჩნდებათ ავტონომიაში ტრანზიციის პერიოდში - მაგალითად, საკუთარი თავის რჩენის საჭიროება და მათი მოლოდინი ამის შესახებ, თუმცა სამუშაო ბაზარი მათდამი დისკრიმინაციულია, ეს რა თქმა უნდა, არ ხდება. ეს გამოწვევები უფრო რთულდება იმ გარემოებით, რომ ახალგაზრდობა ეს არ არის ჰომოგენური ჯგუფი, ამ ჯგუფში ყველა ერთნაირი არ არის, ისინი განსხვავებულები არიან. უფლებებთან ხელმისაწვდომობის პრევენცია და ხელის შეშლა, ასაკის გარდა, შეიძლება პირობადებული იყოს სხვადასხვა ინდივიდუალურ თვისებასთან. ახალგაზრდობის უფლებების პატივისცემა და დაცვა ნიშნავს, რომ ასაკობრივ და ინტერსექციონალურ დისკრიმინაციას ჰოლისტიკურად, სრულყოფილად ვებრძვით.

1.9 ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები საჯარო პოლიტიკაში

ავტორი: ნიკა ბახსოლიანი

უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები ეს არის ახალი ტერმინი, რომელიც უფრო და უფრო მეტად იკიდებს ფეხს საჯარო პოლიტიკაში, მათ შორის, რა თქმა უნდა, ახალგაზრდობის პოლიტიკაში.

რას ითვალისწინებს ეს მიდგომა? მეტაფორულად რომ ვთქვათ, ამ მიდგომის თანახმად, ადამიანის უფლებები ყოველთვის შენს თავში და მოქმედებაში უნდა იყოს, თუ ჩართული ხარ საჯარო პოლიტიკაში. შენ უნდა ისწრაფოდე, რომ ადამიანის უფლებები აღსრულდეს, დაფუძნდეს და განმტკიცდეს.

უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გასაგებად, ხშირად საუბარს ვიწყებთ უფლებრივი დიქოტომიის განმარტებით: როცა საქმე ეხება ადამიანის უფლებების აღსრულებას, ვამბობთ, რომ ერთ მხარეს დგანან უფლებების მქონენი - რიგითი ადამიანები, ინდივიდები, რომლებსაც განუყოფლად, დაბადებიდან გვეკუთვნის ადამიანის უფლებები, მიუხედავად მათი აღმსარებლობისა, ეროვნებისა თუ ეთნიკური წარმომავლობისა, სქესისა, გენდერისა, პოლიტიკური შეხედულებისა და ა.შ. ხოლო მეორე მხარეს დგანან ვალდებულების მქონენი - ანუ ის პირები, რომელთა პასუხისმგებლობაცაა ადამიანის უფლებათა აღსრულება - პირველ რიგში აქ იგულისხმება ხელისუფლება - ადამიანის უფლებათა დოკუმენტებზე ხელმომწერი ორგანოები, და შემდეგ ყველა საჯარო სტრუქტურა თუ პირი. მათ აქვთ, ლეგალური ვალდებულება, რომ ადამიანის უფლებები იყოს რეალურად აღსრულებული და დაცული.

დემოკრატიულ საზოგადოებაში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოქალაქეებმა დაიქირავეს მთავრობა, რომ შეასრულოს ეს ვალდებულებები. თუმცა, ადამიანის უფლებების პერსპექტივით, ჩვენ, ყველას გვაქვს პიროვნული პასუხისმგებლობა, რომ პატივი ვცეთ ადამიანის ღირსებას, არ ვავნოთ სხვებსა თუ გარემოს, და დავიცვათ ერთმანეთის უფლებები. თუმცა, სამწუხაროდ, ვიცით, რომ ყოველთვის ასე არაა. თუ ასე არაა, ამ შემთხვევაში ხელისუფლებას აქვს ვალდებულება, რომ შეცვალოს ის ნორმატივები თუ გარემო პირობები, რომელიც იწვევს ადამიანის

უფლებების დარღვევებს, უთანასწორობას, უსამართლობასა თუ დისკრიმინაციას. უფლებების მქონეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ინსტრუმენტები და მზაობა, რომ ხელისუფლებას პასუხი მოსთხოვონ სხვადასხვა უფლებრივი ინკონსისტენციის შესახებ. ამას ვუწოდებთ უფლებამოსილებით აღჭურვას, ახალგაზრდულ სფეროში, სწორედ ესაა ახალგაზრდული საქმიანობის ვალი და მიზანი.

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, ამრიგად ნიშნავს, რომ ჩვენ, ერთი მხრივ, ვაანალიზებთ უთანასწორობას, ანუ ამოვიცნობთ, სხვადასხვა კონტექსტში და საზოგადოებაში, ვის მეტი ძალაუფლება აქვს, ვიგებთ, როდის და როგორ ხდება ისე, რომ იზღუდება ინდივიდის თავისუფლება, განაგოს საკუთარი ცხოვრება როგორც სურს, და მეორე მხრივ, უნდა ვეძებთ გზებს ამ უთანასწორობის გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად.

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა შეგვიძლია ასე გადმოვაწყოთ, მას გააჩნია სამი პრინციპი:

1. **მონაწილეობა და ინკლუზია** - ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება და შესაძლებლობა გამოიყენონ და დაიცვან ადამიანის უფლებები, რათა აქტიურად მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში;
2. **თანასწორობა და დისკრიმინაციის აღმოფხვრა** - იმის უზრუნველყოფა, რომ ახალგაზრდები არ არიან დისკრიმინირებულნი ან დაჩაგრულნი მათი ასაკის, გენდერის, იდენტობის ან რაიმე სხვა ფაქტორის გამო;
3. **ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა** - რაც გულისხმობს ახალგაზრდებს (როგორც უფლებების მქონეთა) და ვალდებულებების მქონეთა შორის ხარისხიან, ნამდვილ პარტნიორობას.

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომა ცვლის დისკურსის ჩარჩოს - როცა ვსაუბრობთ საჯარო პოლიტიკაზე, ვკონცენტრირდებით უფლებრივი ნაკლოვანებების შევსებაზე და არა საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. მათ შორის დიდი განსხვავებაა, პირველი ვალდებულებაა, მეორე - არა, პირველი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე - მეორე.

საბოლოო ჯამში, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომაში იგულისხმება, რომ:

- ვალდებულების მქონე (ანუ ხელისუფლება) ანგარიშვალდებულია უფლებების მქონეთა წინაშე;
- უნდა გავაძლიეროთ და უფლებამოსილებით აღვჭურვოთ უფლებების მქონენი, ახალგაზრდები, რათა გამოიყენონ და დაიცვან საკუთარი უფლებები და საზოგადოების წინაშე შეასრულონ აქტიური მონაწილეობის ვალი.
- ბენჩმარკად* უნდა გამოიყენოთ ადამიანის უფლებათა სტანდარტები. ანუ უნდა შევხედოთ ადამიანის უფლებების დოკუმენტებს და უნდა გავაანალიზოთ, რა არის ის ფაქტორები, რაც მათ საფუძვლიანად აღსრულებას ხელს უშლის. სხვა სიტყვებით, ადამიანის ეს დოკუმენტები და ამავდროულად ადამიანის უფლებების მონიტორინგის ანგარიშები უნდა იყოს ჩვენი სახელმძღვანელო.
- უნდა ვეძიოთ და აღმოფხვრათ ის ბარიერები, რომლებიც ძალაუფლების, რესურსებისა და შესაძლებლობების საზოგადოებაში არათანაბრად გადანაწილებას იწვევს. ანუ ვიმუშაოთ დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ინკლუზიას სოციუმში.

**ბენჩმარკი - ეტალონი, გასაზომი ნიმუში.*

1.10 დისკრიმინაცია

ავტორი: ნიკა ბახსოლიანი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ერთ-ერთი ღირებულებრივი საფუძველი თანასწორობაა. ადამიანის უფლებები ყველას თანაბრად უნდა მიეწოდებოდეს, დისკრიმინაციის გარეშე. სწორედ ამას ეხება კონვენციის მეთოთხმეტე მუხლი - დისკრიმინაციის აკრძალვა.

დისკრიმინაციის ყველაზე მარტივი განსაზღვრება ნიშნავს უთანასწორო მოპყრობას. ჩვენ ყველა ვხვდებით ასეთ დისკრიმინაციას. დისკრიმინაცია ხშირად არის ცრურწმენების, უსამართლობისა ან უბრალოდ გულგრილობის მანიფესტაცია. ყველა შემთხვევაში დისკრიმინაციას უდიდესი გავლენა აქვს ადამიანების სიცოცხლეზე და ძალიან პრობლემატურია. დისკრიმინაციის აკრძალვა იმდენად მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების დასაცავად, რომ იგი კონვენციაში ცალკე მუხლადაა ნახსენები. თუმცა განსხვავებულად მოქცევა ყოველთვის არაა აკრძალული. თუ ასეთ მოპყრობას ლოგიკური ახსნა და დასაბუთება აქვს და პროპორციულად გამართლებულია, იგი დისკრიმინაციად არ განიხილება. ამის მაგალითია ის, რომ ბავშვებს არ აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, რადგან მათში გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა მთლიანად არაა ჩამოყალიბებული. თუმცა აქაც უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში აქტიურად განიხილება საარჩევნო ასაკის 18-იდან 16 წლამდე ჩამოწევა. მაგრამ, სასამართლო მიიჩნევს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ადამიანებისადმი განსხვავებული მოპყრობა დაუშვებელია. როცა საქმე ეხება „საეჭვო საფუძვლებს.“ ანუ როცა განსხვავებული მოპყრობა დაყრდნობილია „საეჭვო საფუძვლებზე“. განსხვავებული მოპყრობის „საეჭვო საფუძველი“ ასოცირდება ინდივიდუალური თვისებებთან, იდენტობასთან ან ისტორიულად სტიგმატიზებულ ჯგუფთან. ადამიანისადმი განსხვავებული მოპყრობა მისი ეთნიკურობის ან „რასის“ გამო დღევანდელი საზოგადოებისთვის და სასამართლოსთვის ან დაუშვებელია, ან ძალიან საეჭვო. ყველა საზოგადოებაში და ქვეყანაში არის ჯგუფი, რომელზეც განსხვავებული მოპყრობა უფრო „საეჭვოა,“ ასეთ ჯგუფებს „მოწყვლად ჯგუფებსაც“ უწოდებენ.

რატომ არის დისკრიმინაცია პრობლემატური? ძალიან მარტივად, დისკრიმინაცია პირდაპირ ეწინააღმდეგება ღიაობასა და თანასწორობას. დემოკრატიული საზოგადოება მისი ყველა წევრის მონაწილეობაზე, ინკლუზიაზე, ეკონომიკური და სოციალური სიმდიდრის გაზიარებაზეა დაფუძნებული და არა სხვადასხვა ჯგუფების განაპირებაზეა. შესაბამისად დისკრიმინაცია და დემოკრატიული საზოგადოება ერთმანეთს გამორიცხავს.

პირველი ასოციაცია, რაც წარმოგვიდგება, დისკრიმინაციაზე საუბრისას, არის, როცა ანალოგიურ სიტუაციაში მყოფ ორ ინდივიდს ექცევიან განსხვავებულად, უსამართლოდ და დაუსაბუთებლად. ამას ეწოდება **პირდაპირი დისკრიმინაცია**. თუმცა არსებობს **ირიბი დისკრიმინაციაც**, ამ შემთხვევაში ორი ინდივიდი აშკარად განსხვავებულ სიტუაციაშია, მაგრამ ერთნაირად ვექცევით.

დისკრიმინაციის ერთეული ქეისები, კარგი, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ არსებობენ ადამიანები და ადამიანთა ჯგუფი, რომლისთვისაც დისკრიმინაცია ყოველდღიური ცხოვრებაა. ანუ სხვადასხვა სახის დისკრიმინაციის ურთიერთგადაკვეთა და ზედდება ხდება - ამას **ინტერსექციონალობას** უწოდებენ. ინტერსექციონალობა ადვილად შეგვიძლია დავაკავშიროთ უფრო კოლექტიურ მოვლენასთან, როცა უკვე მთლიანი სოციალური ჯგუფია მარგინალიზებული, დისკრიმინაციისა და ჩაგვრის სერიებით. აქ საქმე გვაქვს საზოგადოების ორგანი-

ზების სისტემასთან, როცა ნორმები, რუტინები, მიდგომები და ქცევები ქმნიან ბარიერებს ნამდვილი თანასწორობისა და თანაბარი შესაძლებლობების მისაღწევად. ამას **სტრუქტურული დისკრიმინაცია** ეწოდება.

1.11 რა არის გენდერი?

ავტორი: ნაზი ბურდულაძე

დასაწყისში, მნიშვნელოვანია გავიგოთ, რომ ყველა ადამიანს გააჩნია სქესი, გენდერი და გენდერული იდენტობა. ისინი სხვადასხვაა, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებული.

გენდერი და სქესი ერთი და იგივე არ არის! ტერმინი „გენდერი" პირდაპირ არცერთ ენაზე არ ითარგმნება. გენდერი გულისხმობს სოციალურად განსაზღვრულ როლებს, ნორმებს, ქცევებს, ფუნქციებს, აღქმებს, პიროვნულ ნიშან-თვისებებს, დამოკიდებულებებსა და იმ მოლოდინებს, რომელიც ჩვენ კაცებისა და ქალების, გოგოებისა და ბიჭების მიმართ გაგვაჩნია მოცემულ კულტურაში და საზოგადოებაში. გენდერი შეძენილი იდენტობა, რომელსაც ადამიანები სწავლობენ. იგი დროთა განმავლობაში იცვლება და სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებში განსხვავებულია.

მაგალითად, საზოგადოების მიერ განსაზღვრული მოლოდინებია, რომ ტიპიურად კაცი უნდა იყოს: ოჯახის მარჩენალი, შემომტანი, ძლიერი, გადაწყვეტილების მიმღები, ლიდერი, და ა.შ. ხოლო, ქალი - ლამაზი, მოვლილი, მშვიდი, წყნარი, კარგი დიასახლისი, მზრუნველი, და ყურადღებიანი დედა. გენდერი კაცებსაც ეხება, ქალებსაც. ქალებსა და კაცებს აქვთ გენდერული იდენტობა, რაც შეიძლება იყოს მამაკაცური, ქალური ან სხვა სახის.

სქესი არის ის რითაც ჩვენ ვიბადებით. ბიოლოგიური, ანატომიური, ფიზიოლოგიური მახასიათებელი, რომლებიც ადამიანებს მდედრობით და მამრობით სქესად ყოფს. **სქესი** - მიუთითებს კაცებსა და ქალებს შორის ბიოლოგიურ განსხვავებებზე. იგი გენეტიკურადაა განპირობებული და გულის-ხმობს ფიზიოლოგიურ განსხვავებებს, რომლებიც ვლინდება: ფიზიკურ ძალაში, გამძლეობაში ან ფიზიკური განსხვავებებით განპირობებულ უნარებში. შესა-ბამისად, სქესი არის ის, რითიც ჩვენ ვიბადებით, ხოლო **გენდერი** კი რასაც ჩვენ ამისგან შევქმნით სოციუმში, კულტურაში.

გენდერული თანასწორობა წარმოადგენს კონცეფციას, რომლის მიხედვითაც ყველა ადამიანს, როგორც ქალს, ისე კაცს, შეუძლია, საკუთარი შესაძლებლობები თავისი შეხედულებით განავითაროს და გააკეთოს არჩევანი ისე, რომ არ შეიზღუდოს არსებულისტერეოტიპებით, მკაცრად განსაზღვრული გენდერული როლებით და ა.შ. გენდერული თანასწორობა გულისხმობს ქალისა და კაცისგანსხვავებული ქცევების, მისწრაფებებისა და საჭიროებების თანასწორად აღიარებასა და შეფასებას, მათთვის თანაბარი უპირატესობისმინიჭებას. ზემო-აღ-ნიშნული არ ნიშნავს, რომ ქალი და კაცი სრულად უნდა დაემსგავსონ ერთმანეთს. ეს ნიშნავს, რომ მათი უფლებები, პასუხისმგებლობები და შესაძ-ლებლობები არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, ქალებად არიან ისინი დაბადებულნი თუ კაცებად. საქართველოს კანონმდებლობაში გენდერული თანას-წორობა განმარტებულია, როგორც „ადამიანის უფლებათა ნაწილი, რომე-ლიც გულისხმობს ქალისა და კაცის თანასწორ უფლება-მოვალეობებს, პასუ-

ხისმგებლობასა და თანასწორუფლებიან მონაწილეობას პირადი დასაზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.“ გენდერული თანასწორობა თანაბრად ეხება ქალსაც და კაცსაც, ასევე, კერძო და სახელმწიფო სექტორებს. ხშირად, როდესაც გენდერულ თანასწორობაზეა საუბარი ადამიანები აღიქვამენ, რომ ეს საკითხი მხოლოდ ქალებს ეხებათ. რეალურად, მეტწილად ქალებზე იმიტომ ვსაუბრობთ, რომ დღეს-დღეობით კაცებთან შედარებით უფრო მეტი ქალია დისკრიმინაციის თუ გენდერული უთანასწორობის მსხვერპლი.

ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობა ერთი და იგივე არ არის. გენდერული თანასწორობა გულისხმობს კაცებისა და ქალებისადმი თანაბარ, სამართლიან მიდგომას. სამართლიანობის შედეგი კი თანასწორობა. ქალთა უფლებების ცალკე გამოყოფა, იმ უთანასწორო გარემო პირობებმა განაპირობა, რომელშიც ქალებსა და გოგოებს უწევთ ცხოვრება. ისინი, ხშირად განიცდიან დისკრიმინაციას დასაქმების ადგილზე,ოჯახში ძალადობას,სექსუალურ შევიწროებას. დაბალია ქალების ჩართულობა პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ა.შ. ქალთა უფლებრივი და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ბიძგს აძლევს ეკონომიკის განვითარებას და გენდერულ თანასწორობას. კაცებმა ისევე, როგორც ქალებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ სრული თანასწორობის მისაღწევად.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. ელექტრონული კურსი გენდერული თანასწორობის შესახებ http://gendereq-uality.ombudsman.ge/ka/login
2. ელექტრონული კურსი „სექსუალური შევიწროების პრევენციისთვის“ http://sexualharassment.ombudsman.ge/ka/login
3. პრაქტიკული სახელმძღვანელო საჯარო მოხელეებისთვის გენდერული მეინსტრიმინგი https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2014/01/gender-mainstreaming

1.12 გენდერის მეინსტრიმინგი პოლიტიკის შემქმნელებისთვის

ავტორი: ნაზი ბურდულაძე

რას ნიშნავს გენდერული მეინსტრიმინგი? გენდერული მეინსტრიმინგი, ეწოდება მსოფლიოში მიღებულ სტრატეგიას, რომლის მიზანი გენდერული თანასწორობის მიღწევაა. მეინსტრიმინგი არის სტრატეგია, მიდგომა და საშუალება, რომელიც ადამიანების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია. ის უზრუნველყოფს, რომ ქალები და კაცები, გოგოები და ბიჭები იყვნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესის მონაწილეები. აგრეთვე ის აფასებს, რამდენად არის გათვალისწინებული ახალგაზრდების, ქალებისა თუ კაცების საჭიროებები პოლიტიკაში თუ პროგრამებში. გენდერული მეინსტრიმინგი თანამედროვე, საერთაშორისო მეთოდია, რომელიც გამოიყენება ნაკლებად წარმოდგენილი სქესის ინტერესების დასაცავად.

გენდერული თანასწორობა მიიღწევა გენდერული პერსპექტივის ინტეგრირებით ანუ გენდერული მეისნტრიმინგით სხვადასხვა ინსტიტუტებში, ყვე-

ლა სფეროსა თუ სექტორში (მაგ.,ვაჭრობა, ჯანდაცვა, განათლება, გარემოს ტრანსპორტირება და სხვ). მეინსტრიმინგი გულისხმობს გენდერული თანასწორობის საკითხების ჩართვას ყველა იმ სამუშაო გეგმაში, რომელსაც მთავრობა ახორციელებს. გენდერულ საკითხთა მეინსტრიმინგს ძალიან ფართო განმარტებები გააჩნია. 1998 წელს, ევროსაბჭოს განმარტებით „გენდერული მეინსტრიმინგი არის პოლიტიკური პროცესების (რე-)ორგანიზაცია, გაუმჯობესება, განვითარება და შეფასება იმგვარად, რომ მოხდეს გენდერული თანასწორობის პერსპექტივის ინტეგრირება პოლიტიკის ყველა სფეროში, ყველა დონესა და ეტაპზე, იმ მხარეების მიერ, რომლებიც ჩვეულებრივ ჩართულნი არიან პოლიტიკის შექმნის პროცესში". გენდერული მეინსტრიმინგი, სტრატეგიის სახით, პირველად მიიღო შვედეთის მთავრობამ ჯერ კიდევ 1994 წელს.

რა არის მნიშვნელოვანი გენდერული მეინსტრიმინგის განსახორციელებლად? მეინსტრიმინგის სტრატეგიის წარმატებით განხორციელებისთვის, პოლიტიკური სფეროსა და სექტორის მიუხედავად აუცილებელია მოხდეს პოლიტიკის შემქმნელების ცნობიერების ამაღლება, მათ შორის მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების თანამშრომლების და გენდერის სპეციალისტების ჩართულობა. მაგ. თუ ადგილობრივი თვითმართველობის დონეზე იგეგმება ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება ან სხვა პოლიტიკის ან/და პროგრამის შემუშავება, მნიშვნელოვანია მოხდეს მუნიციპალიტეტების თანამშრომლების გადამზადება შემდეგ საკითხებზე:

- გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერების პრინციპები
  უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების გაძლიერება გენდერული ანალიზის ჩასატარებლად;
- სქესის ნიშნით კლასიფიცირებული მონაცემების შეგროვება და სტატისტიკის წარმოება ეფექტიანი მონიტორინგისა და შეფასების სისტემების და ინსტრუმენტების გაცნობა;
- ეფექტიანი კომუნიკაცია, ქსელები და კავშირები სხვადასხვა სექტორთან, მათ შორის: ცენტრალური, ადგილობრივი მთავრობა, არასამთავრობო ორგანიზაციები და ბიზნეს სექტორი;
- კვალიფიციური ადამიანური კაპიტალის შექმნა;
- სამოქალაქო საზოგადოების და თემის ლიდერების მონაწილეობის უზრუნველოყოფა.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. ელექტრონული კურსი გენდერული თანასწორობის შესახებ http://genderequality.ombudsman.ge/ka/login
2. ელექტრონული კურსი „სექსუალური შევიწროების პრევენციისთვის" http://sexualharassment.ombudsman.ge/ka/login
3. პრაქტიკული სახელმძღვანელო საჯარო მოხელეებისთვის გენდერული მეინსტრიმინგი https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2014/01/gender-mainstreaming

1.13 გენდერის მეინსტრიმინგი პრაქტიკაში

ავტორი: ნაზი ბურდულაძე

გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელების სხვადასხვა მექანიზმები, ინსტრუმენტები, მეთოდები და პრინციპები არსებობს. რომელიც უნდა გამოვიყენოთ როგორც ახალი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების პროცესში, აგრეთვე ყოველდღიურად პოლიტიკურ საკითხებზე მუშაობისას.

არსებობს, გენდერული მეინსტრიმინგის ორი ძირითადი საფეხური: პირველი ეს გახლავთ გენდერული ანალიზი, ხოლო მეორე ეტაპი გულისხმობს ანალიზის შედეგების გათვალისწინებას. სხვაგვარად, რომ ვთქვათ გენდერული პერსპექტივის ინტეგრირებას პროექტებში, პოლიტიკაში, პროგრამებში, კანონმდებლობაში იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი მონაწილეობა ახალგაზრდების, ქალებისა თუ კაცების და მათი საჭიროებების გათვალისწინება.

მოდით განვიხილოთ რას გულისხმობს გენდერული ანალიზი. გენდერული ანალიზი არის ინსტრუმენტი, საშუალება ჩვენ საქმიანობაში, ეს იქნება პროგრამები, პროექტები, აქტივობები თუ ღონისძიებები გენდერული ნიშნით სხვაობების თუ არსებული უთანასწორობის გასაგებად. იგი მოიცავს:

1) სქესის ნიშნით კლასიფიცირებულ მონაცემებს, ანუ რა სხვაობაა გოგოებისა და ბიჭების, ქალებისა და კაცების რაოდენობაში.

განვიხილოთ მაგალითი:

ა) ერთ-ერთ სოფელში, სტადიონებისა და გასართობი სივრცის მოწყობის მიზნით ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომლების მიერ გამართულ შეხვედრას დაესწრო 30 ახალგაზრდა. აღნიშნულ სოფელში სულ 160 ახალგაზრდა ცხოვრობს. ეს გახლავთ, მონაცემები, რომელიც არ არის სქესის ნიშნით კლასიფიცირებული. თუმცა, თუ ვიტყვით ასე:

ბ) ერთ-ერთ სოფელში სტადიონებისა და გასართობი სივრცის მოწყობის მიზნით ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომლების მიერ გამართულ შეხვედრას დაესწრო 30 ახალგაზრდა. აქედან 5 გოგო იყო და 25 - ბიჭი. აღნიშნულ სოფელში სულ 160 ახალგაზრდა ცხოვრობს. დაახლოებით თანაბარი რაოდენობის და ასაკის გოგოები და ბიჭები. ეს არის მონაცემები, რომელიც კლასიფიცირებულია სქესის ნიშნით. შემდეგი ეტაპი ეს გახლავთ,

2) მიღებული მონაცემებისა და ინფორმაციის ანალიზი - აქ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ როგორ წავიკითხოთ მოგროვებული მონაცემები? ანალიზისთვის უნდა დავსვათ შეკითხვა: რას ნიშნავს ეს ინფორმაცია?

რომ დავუბრუნდეთ ზემოთ განხილულ მაგალითს და ვთქვათ ასე:

„აღნიშნულ შეხვედრას დაახლოებით 5 -დან ერთი მაცხოვრებელი ესწრებოდა, რაც მონაწილეობის საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. შეხვედრას 5 ჯერ მეტი ბიჭი ესწრებოდა ვიდრე გოგო.“ - მიუხედავად იმისა, რომ მოყვანილი მაგალითი ითვალისწინებს სხვაობას გოგოებსა და ბიჭებს შორის, იგი არ ააანალიზებს ამ სხვაობის მიზეზებს და შედეგებს. ანუ რატომ არ ესწრებოდა უფრო მეტი გოგო, რა იყო ამის გამომწვევი მიზეზი ? მოვიყვანოთ სხვა, მაგალითი: ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი პოლიტიკაში, ხოლო კაცები კი- საგანმანათლებლო სფეროში, კერძოდ კი სკოლის მასწავლებელთა დონეზე. თუ არ გვეცონიება რა არის გამომწვევი მიზეზი? და როგორ გამოიხატება ეს პრობლემა რაოდენობრივი (რიცხვები) და ხარისხობრივი (მიზეზები) თვალსაზრისით, პოლი-

ტიკის შემქმნელებისთვის შესაბამისი კანონმდებლობისა თუ პროგრამის გაუმჯობესება, განახლება არ იქნება ეფექტიანი. სწორედ გენდერული პერსპექტივის დამატება გულისხმობს ამ მიზეზების გაგებას. ანუ დასმა კითხვის თუ რატომ გვაქვს ეს მონაცემები, რა არის ამის მიზეზი და რით არის განპირობებული? რომ დავუბრუნდეთ პირველ მაგალითს:

თუ გოგოების დაბალი დასწრება სოფელში გამართულ შეხვედრაზე აიხსნა შემდეგი მიზეზით, რომ :

- გოგოები დაინტერესებულნი არ არიან სპორტული აქტივობებით;
- გოგოების საქმე საოჯახო საქმიანობაა და არ აინტერესებთ მსგავსი საკითხები;
- ბიჭები უკეთესი ლიდერები არიან და უკეთ იღებენ გადაწყვეტილებებს მსგავს თემებზე.

და თუ ანალიზის დასკვნა იქნება ასეთი: ქალთა დაბალ მონაწილეობას შეხვედრაზე ნეგატიური შედეგები არ მოჰყვება, ვინაიდან ახალი გადაწყვეტილებები მათთვის მაინც სარგებლის მომტანი იქნება. **ეს გახლავთ, ანალიზი, რომელიც არ ითვალისწინებს გენდერულ პერსპექტივას**. მეორეს მხრივ, მოდით, ვნახოთ როგორი იქნებოდა ანალიზი გენდერული პერსპექტივის გათვალისწინებით, ამ დროს ვსვამთ შემდეგი სახის კითხვებს:

- გოგოები, არსებული სტერეოტიპების გამო, ან ოჯახის წევრებისგან ხომ არ არიან შეზღუდულები ჩაერთონ ისეთ აქტივობებში, რომელიც დაკავშირებულია თემის განვითარებასთან და გადაწყვეტილების მიღების პროცესთან?
- მოხდა თუ არა სათანადოდ ინფორმირება გოგოების და ბიჭების? თანაბრად მოხდა მათთვის ხმის მიწვდენა?

და თუ ანალიზის დასკვნა იქნება შემდეგი: ვინაიდან გასართობი სივრცეები და სპორტული აქტივობები თანაბრად საინტერესო და საჭიროა გოგოების და ბიჭებისთვის, გოგოების ნაკლები ჩართულობით მიღებული გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, ნაკლებად ეფექტიანი იქნება. ეს გახლავთ გენდერული პერსპექტივის გათვალისწინება გენდერული ანალიზის დროს. რომ შევაჯამოთ, **გენდერული მეინსტრიმინგი მოიცავს გენდერული ანალიზისა და გენდერული პერსპექტივის გათვალისწინებას. გენდერული ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით იწყება მიღებული ინფორმაციისა თუ მონაცემების პრაქტიკაში ინტეგრირება**, რომელიც სამი ძირითადი ნაბიჯისგან შედგება:

1. **პროექტის ან პოლიტიკის დაგეგმვა და შემუშავება** - მიზნის, ამოცანებისა და აქტივობების განსაზღვრა შესაბამისი, გაზომვადი ინდიკატორებით. ამ შემთხვევაში, ჩატარებული გენდერული ანალიზი ძირითადი დაგეგმვის ინსტრუმენტია. რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, გვეხმარება არსებული სიტუაციის გაცნობაში და გადაწყვეტილების მისაღებად მიღებული ინფორმაციის გამოყენებაში. ანუ როგორი იქნება, ჩვენი მიზნები, დასახული ამოცანები, სამიზნე ჯგუფები და დაგეგმილი აქტივობები.
2. **პროექტის ან პოლიტიკის მონიტორინგი** - რომელიც შესაძლოა მოიცავდეს შემდეგი სახის კითხვებს: მაგ: გოგოები და ბიჭები, ქალები და კაცები არიან თუ არა თანაბრად ჩართულნი განხორციელების პროცესში? უკავშირდება თუ არა მიღწეული პროგრესი პროცესში მონაწილე ახალგაზრდებს? ქალებსა და კაცებს? წარმოიშვა თუ არა ისეთი გენდერული პრობლემები, რომლებიც არ იყო განსაზღვრული პოლიტიკის შემუშავების ეტაპზე? როგორ შეიძლება მათი მოგვარება? და სხვა.
3. **შედეგების შეფასება და ახალი პროცესის დაგეგმვა** - თუ პირველ

ეტაპზე განვახორციელეთ გენდერული ანალიზი, მაშინ შეფასების ეტაპზე შესაძლებელია განვსაზღვროთ და შევაფასოთ, რამდენად ეფექტურად და ეფექტიანად რეალიზდა დასახული მიზნები და ამოცანები. შეფასების ეტაპზე შეგვიძლია შემდეგი შეკითხვების დასმა: შეიცვალა თუ არა ახალგაზრდების, ქალების ან კაცების მდგომარეობა პროექტის ან პოლიტიკის შედეგად? შეიცვალა უკეთესობისკენ თუ უარესობისკენ? რამდენად შეიცვალა ქალებისა და კაცების, ბიჭებისა და გოგოების აღქმა (ნორმები, სტერეოტიპები) პროექტის ან პოლიტიკის მსვლელობისას? ჰქონდა თუ არა ადგილი რამე გაუთვალისწინებელ გენდერულ შედეგებს? რამდენად მიღწეულია განსაზღვრული მიზნები?

გენდერული მეინსტრიმინგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია „გენდერული საკითხის გათვალისწინება ბიუჯეტის ფორმირების პროცესში". გენდერული ბიუჯეტი გულისხმობს ბიუჯეტირების პროცესში გენდერული ასპექტების გათვალისწინებას ანუ გენდერულ მეინსტრიმინგს. გენდერული საკითხის გათვალისწინებით ბიუჯეტის ფორმირებისას სისტემატურად ხდება ქალებისა და კაცების სხვადასხვა ცხოვრებისეული საჭიროებების გათვალისწინება. ძირითადი შეკითხვა მდგომარეობს იმაში, არის თუ არა ბიუჯეტი სამართლიანად განაწილებული ქალებსა და კაცებს შორის და თანაბარი სარგებელი თუ მოაქვს მათთვის. გენდერული ბიუჯეტი ეს ნიშნავს გენდერული მეინსტრიმინგის გამოყენებას სახელმწიფო ხარჯების მართვის ციკლში. სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისას არსებული გენდერული უთანასწორობის გათვალისწინება ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან საშუალებად ითვლება გენდერული თანასწორობის მისაღწევად, სახელმწიფო პოლიტიკის მეშვეობით.

1.14 გამჭვირვალობა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა

ავტორი: ანა კვერნაძე

შედეგებზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოების და გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფისათვის, სანდო ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. გადაწყვეტილებები, უნდა ეფუძნებოდეს მტკიცებულებებს და არა გარკვეულ ემოციებს, ღირებულებებსა ან სურვილებს, შესაბამისად პოლიტიკის წარმოების დროს, უნდა მოხდეს იმ შედეგების დაგეგმვა, რომელიც გამომდინარეობს სანდო და გამჭვირვალე წესით მოპოვებული მტკიცებულებებიდან.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოება, ერთის მხრივ ხელს უწყობს შედეგზე ორიენტირებულ, ეფექტურ პოლიტიკის შექმნას, ხოლო მეორეს მხრივ უზრუნველყოფს, მეტ გამჭვირვალობას და საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაცემებზე დაყრდნობით, მოახდინოს ამა თუ იმ პოლიტიკის განხორციელებაზე დაკვირვება. მაშინ როდესაც, პოლიტიკა დახურულია, მოქალაქეებს უჭირთ გაიგონ გადაწყვეტილებების მოტივაცია და გადაწყვიტონ ეთანხმებიან თუ არა ამ ტიპის გადაწყვეტილებებს. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოებას აქვს ორი ძირითადი მიზანი:

1. გამოარკვიოს არსებული პოლიტიკის შედეგები, შეაფასოს იგი;
2. და მასზე დაყრდნობით დაგეგმოს მომდევნო ციკლის პოლიტიკა და გადაწყვე-

ტილებები

მტკიცებულებების მოპოვების ფორმატები განსხვავდება და შეიძლება ითვალისწინებდეს კვლევებს, მონაცემთა მოგროვებასა და ანალიზს, არსებული პოლიტიკის შესაფასებლად ახალი კვლევების დაგეგმვას, გავლენის შეფასებას და ასე შემდეგ.

რა ეტაპები უნდა გავიაროთ მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოებისთვის?

ამ ტიპის პოლიტიკის წარმოების საჭიროების გააზრება ეს არის პირველი ეტაპი, რომელიც აუცილებელია რომ განხორციელდეს გადაწყვეტილების მიმღები პირების მხრიდან. ამ ნაწილში გააზრებული უნდა იყოს ასევე ის გამოწვევები და შესაძლებლები რომლებიც თან ახლავს მტკიცებულებების გამოყენებას. ამ მიზნით საჭიროა კვლევითი მეთოდებისა და მათი მიზნების განსაზღვრა.

1. გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა სანდო წყაროებიდან უნდა უზრუნველყონ მტკიცებულებების შეგროვება. ძირითადად მტკიცებულებების შეგროვება ხდება კვლევებზე დაყრდნობით. სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება ყველაზე მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებების მიღების დროს, რადგან სტატისტიკა ზუსტად გვეუბნება სად რა ხდება, რა პრობლემებია, ხოლო ანალიზი თუ რატომ ხდება ასე? ეს უკვე დასკვნაა და ეს დასკვნები აუცილებლად უნდა გამოვიტანოთ.
2. უნდა შეფასდეს მტკიცებულებების წყაროების სანდოობა და გამოირიცხოს მიკერძოებულობა. მტკიცებულებები უნდა იყოს დამოუკიდებელი და ხარისხიანი.
3. მნიშვნელოვანია მტკიცებულებების მოპოვებისა და მათი ანალიზის პროცესში ვიფიქროთ ახალ ინოვაციურ მიდგომებზე, როგორიცაა მაგალითად ე.წ. behavioural insights, design thinking, policy labs, foresight, etc.

რას ნიშნავს Behavioural insights - ეს მოდელი გახლავთ მოდელი, რომლის დროსაც ხდება პოლიტიკის აგება ფსიქოლოგიის, კოგნიტურ და სოციალურ მეცნიერებაზე დაყრდნობით, რომელიც ეყრდნობა უტყუარ მტკიცებულებებს თუ როგორ იქცევიან ადამიანები და როგორ შეიძლება მათი ქცევის შეცვლა. საქართველოს მაგალითში თუ გადავიტანთ ამ თეორიას, შეიძლება გაგვახსენდეს ისეთი მაგალითები როგორიცაა: საგზაო უსაფრთხოების წესების გამკაცრება, თამბაქოს კონტროლის რეფორმა შიდა სივრცეებში და სხვა მსგავსი აკრძალვები, რომლებიც აიძულებდა ადამიანებს მათ ჩვეული ქცევების შეცვლას). ამ მეთოდით წინასწარ შეიძლება შეფასდეს თუ როგორი იქნება პირთა რეაგირება გარკვეულ პოლიტიკაზე.

შემდეგი მოდელი ეს არის- DESIGN THINKING - ეს არის მეთოდოლოგია, რომელიც გვთავაზობს კონკრეტულ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით პრობლემის გადაჭრას და განსაკუთრებით ეფექტურია ისეთი გამოწვევების დასაძლევად, რომლებიც ცუდად დაგეგმილი პოლიტიკის შედეგია. მიდგომა გახლავთ შემდეგი - ხდება პრობლემის გადაჭრის მოდელის მოფიქრება - ბრეინშტორმინგის, მოდელირების და შემდეგ უკვე ტესტირების მეშვეობით. თუ ტესტირება აჩვენებს, რომ ეს კონკრეტული გადაწყვეტილება პრობლემას აგვარებს, მაშინ გადაწყვეტილება მისაღებია და უნდა დაინერგოს.

ერთ-ერთი მოდელი გახლავთ FORESIGHT - ეს გახლავთ პროცესი, როდესაც უნდა დავადგინოთ რა მოხდება მომავალში, და რომელშიც გვეხმარება ანალიზი სრულიად პროცესის - სამიზნე ჯგუფიდან, ქმედებიდან, სტრატეგიებიდან,

პოლიტიკიდან, და ასევე რაც ყველაზე მთავარია, ბოლო წლების ტენდენციების ანალიზიდან და ასე შემდეგ. პროგნოზირება ხელს უწყობს კონკრეტული და ადაპტირებული ასე ვთქვათ - წინასწარ განჭვრეტადი პოლიტიკის წარმოებას. მაგალითად, თუ ჩვენ გვეცოდინება მომდევნო 10-15 წლის მანძილზე რამდენი ახალგაზრდა იქნება შრომისუნარიანი შრომის ბაზარზე და რამდენად გაიზრდება საქართველოს ეკონომიკა, ანუ რამდენი ახალი სამუშაო ადგილი იქნება ამავე პერიოდის მანძილზე, ადვილად შევძლებთ განვსაზღვროთ, როგორი უნდა იყოს განათლებისა და დასაქმების პოლიტიკა, ან ადვილად შევძლებთ ვიცოდეთ იქნება თუ არა პრობლემები მიწოდებისა და მოთხოვნის კუთხით.

აღნიშნული მტკიცებულებები გამჭვირვალობის პრინციპების გათვალისწინებით უნდა იქნას გაზიარებული საზოგადოებასთან, პოლიტიკის სამიზნე ჯგუფთან, თემატურ სამოქალაქო საზოგადოებასთან და დარგის ექსპერტებთან, რათა მოხდეს მათთვის გადაწყვეტილებების ახსნა და საკითხის ირგვლივ ინკლუზიური მსჯელობა.

ზოგადად, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდობის პოლიტიკის ფორმულირებისას, უკეთესია ჩატარდეს ახალგაზრდობის საჭიროებების კვლევა, რომელიც გამოავლენს სხვადასხვა ბარიერებს, გამოწვევებს და ასევე რესურსებს, რომელთა გადაჭრა, დაძლევა ან გამოყენებაც არის საჭირო, რომ ახალგაზრდებს უფრო მეტი ხელმისაწვდომობა ჰქონდეთ მათ უფლებებთან და მუნიციპალიტეტის ცხოვრების აქტიური მონაწილეები იყვნენ. კვლევის ჩატარებისას, მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ მას აქვს შესაბამისი სტანდარტები, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს, იმისთვის, რომ ის ვალიდურად ჩაითვალოს. კვლევის დაგეგმვის პროცესში აუცილებელია მუნიციპალიტეტებმა ჩართოს სოციოლოგები, მკვლევრები, რომლებიც უზრუნველყოფენ კვლევის იმგვარად დაგეგმვას რომ იგი იყო წარმომადგენლობითი, ვალიდური და შეცდომის მცირე დაშვებებით.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა
https://www.youtube.com/watch?v=TM2DhVJ6Cbg
2. მტკიცებულებებზე დაუძნებული პოლიტიკის მომავალი
https://www.youtube.com/watch?v=kyqOiGXnQ_E
3. მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი
https://www.youtube.com/watch?v=U61WAb5upZE

II მოდული

ახალგაზრდული
საქმიანობა
და სერვისები

II მოდული - ახალგაზრდული საქმიანობა და სერვისები

2.1 ახალგაზრდული საქმიანობა და მისი
2.2 მახასიათებლები;
2.3 ახალგაზრდული საქმიანობის მიზნები;
2.4 ახალგაზრდული საქმიანობის ისტორია - I
2.5 ნაწილი;
2.6 ახალგაზრდული საქმიანობის ისტორია - II
2.7 ნაწილი
2.8 ახალგაზრდული საქმიანობა ევროპაში;
2.9 ახალგაზრდული საქმიანობის ფორმები - I
2.10 ნაწილი;
2.11 ახალგაზრდული საქმიანობის ფორმები - II
2.12 ნაწილი;
2.13 ახალგაზრდების ინფორმირება და
2.14 კონსულტირება;
2.15 ახალგაზრდული მუშაკი და მისი როლი;
2.16 ინტერვიუ ევროპელ ახალგაზრდულ მუშაკთან;
2.17 ინტერვიუ ქართველ ახალგაზრდულ მუშაკთან;
2.18 არაფორმალური განათლება - I ნაწილი;
2.19 არაფორმალური განათლება - II ნაწილი;
2.20 კომპეტენციები ახალგაზრდულ საქმიანობაში;
2.21 შეფასება;
მეწარმეობის არსი;
რა არის სტარტაპი?
სოციალური მეწარმეობა;
სოციალური მეწარმეობის მაგალითები;
მეწარმეობის კომპეტენციები;
სამეწარმეო ეკოსისტემა და ინსტრუმენტები.

2.1 ახალგაზრდული საქმიანობა და მისი მახასიათებლები

ავტორი: დეა აბულაძე

ახალგაზრდული საქმიანობა არის საქმიანობის სფერო, პროფესია, რომელიც პირველ რიგში, ყურადღებას ამახვილებს ახალგაზრდებზე, მათ საჭიროებებსა და ინტერესებზე.

ახალგაზრდული საქმიანობა ქოლგა ტერმინია, რომელიც მოიცავს ყველა იმ ტიპის აქტივობას, რომელიც ახალგაზრდებისთვის დაახალგაზრდებთან ერთად ხორციელდება მათ განსავითარებლად და შეიძლება ჰქონდეს, როგორც სოციალური, ისე კულტურული, საგანმანათლებლო და პოლიტიკური ბუნება. ის გამაძლიერებელი პრაქტიკაა, რომელიც მხარს უჭერს და ხელს უწყობს ახალგაზრდისდამოუკიდებლობას, საზოგადოებაში მონაწილეობასა და მათ უფლებებისა და პოტენციალის სრულად რეალიზაციას. ახალგაზრდულისაქმიანობა ძირითადად არაფორმალურ გარემოში, ფორმალური განათლების მიღმა, მაგალითად, სკოლის, უნივერსიტეტის გარეთსივრცეებში ხორციელდება და მიზნად ისახავს ახალგაზრდებისთვის მრავალფეროვანი შესაძლებლობების შექმნასა და შეთავაზებას. ახალგაზრდულ საქმიანობას ძლიერი საგანმანათლებლო მიზანი აქვს და ამ შემთხვევაში, არაფორმალური განათლება არის ამსაგანმანათლებლო განზომილების მთავარი ბირთვი. ევროპაში, ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკა ძალიან მრავალფეროვანია, ისევეროგორც იმ ადამიანების სტატუსი, რომლებიც ამ სფეროში მუშაობენ. ახალგაზრდული საქმიანობის დროს, ახალგაზრდული მუშაკი, პირი, რომელიც ახალგაზრდულ საქმიანობას ახორციელებს, მუშაობს ახალგაზრდასთან ერთად, მათზე მორგებულ გარემოსა და კონტექსტში.

ახალგაზრდული საქმიანობა ბევრ სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება განხორციელდეს - განათლების სფეროში, კულტურაში, სპორტში, ჯანდაცვაში. მისი ორგანიზება შეუძლიათ სხვადასხვა ინსტიტუტებს და ორგანიზაციებს, ინდივიდუალურადაც და ჯგუფურადაც. მთავარი დაგამაერთიანებელი ამ პროცესებში ის არის, რომ ყველა ამ პრაქტიკაში, ახალგაზრდებს აქვთ ხელშემწყობი გარემო სწავლისა დაგანვითარებისთვის.

იმისთვის რომ სრული სურათი შეგვექმნას ახალგაზრდულ საქმიანობაზე, ვფიქრობთ, კარგი იქნება განვიხილოთ ახალგაზრდულისაქმიანობის ძირითადი მახასიათებლები:

ახალგაზრდულ საქმიანობას აქვს ექვსი ძირითადი მახასიათებელი:

1. არის **ახალგაზრდებზე ორიენტირებული** - იწყება და ვითარდება იქ, სადაც ახალგაზრდები არიან, შესაბამისად, ახალგაზრდულისაქმიანობა იწყება ახალგაზრდების ცოცხალი გამოცდილებიდან, მათი გარემოდან, მათი ყოველდღიურობიდან, ინტერესებიდან დასაჭიროებებიდან გამომდინარე. ეს არის საქმიანობა, რომელიც დიდწილად გულისხმობს ახალგაზრდების ჩართულობას, მათთანერთად მუშაობას. იგი ქმნის სივრცეს, სადაც ახალგაზრდები მსჯელობენ არსებულ გამოწვევებზე, აქტუალურ საკითხებზე და თავადმიდიან პრობლემების გადაჭრის გზებამდე. ეს არის დიალოგის, სწავლისა და გამოცდილების გაცვლის პროცესი.

2. ახალგაზრდული საქმიანობა არის **მოხალისეობრივი, არა-სავალდებულო, მონაწილეობრივი და ინკლუზიური** - ახალგაზრდები თავადირჩევენ მონაწილეობას, რის გამოც ურთიერთობები მათ და სერვისის მიმწოდებლებს შორის, ამ შემთხვევაში, ძირითადად, ახალგაზრდულ მუშაკებს შორის არის ჰორიზონტალური და გადაწყვეტილებები მიიღება ერთობლივად; ახალგაზრდები მეტადაკონტროლებენ მათ გარშემო მიმდინარე პროცესებს. მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდულმა საქმიანობამ ხელი შეუწყოსახალგაზრდების თანაბრად ჩართულობას და ყველასთვის ხელმისაწვდომი სერვისების შექმნას; აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომაუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს დაცული სივრცე, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ თავისუფლად შეიმეცნონ საკუთარი თავი დაგარემო, მიუხედავად თავიანთი რელიგიური მრწამსისა, სოციალური კლასისა, სექსუალური ორიენტაციისა და ა.შ. დაცულ სივრცეშიიგულისხმება, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური სივრცე. ერთის მხრივ ფიზიკური სივრცე, რომელიც ახალგაზრდებისთვისმარტივად მისასვლელი, ხელმისაწვდომი, კომფორტული და მათ საჭიროებებზე მორგებულია, ხოლო მეორე მხრივ სივრცე, რომელიცსცდება ფიზიკურ ადგილს და გულისხმობს ახალგაზრდებისთვის ღია, მისაღები გარემოს შექმნას, რომელშიც ისინი თავს დაფასებულადგრძნობენ და საკუთარი იდენტობის ღიად გამოხატვა შეუძლიათ.
3. ახალგაზრდული საქმიანობა არის **თვით-რეფლექსური და კრიტიკული, აქვს ექსპერიმენტული ხასიათი**; ცდილობს განავითაროსკრიტიკულად მოაზროვნე ახალგაზრდები, რომელთაც შეუძლიათ კრიტიკულად შეაფასონ როგორც საკუთარი თავი, ისე მათ ირგვლივმიმდინარე პროცესები და ეჭვქვეშ დააყენონ ავტორიტეტული ფიგურები/მხარეები;
4. ახალგაზრდულ საქმიანობას აქვს **განმავითარებელი ბუნება**, რაც ნიშნავს იმას რომ სერვისები, აქტივობები, რაც ახალგაზრდული საქმიანობის ფარგლებში ხორციელდება, ემსახურება ახალგაზრდების პიროვნულ, სოციალურ და ეთიკურ განვითარებას; ახალგაზრდული საქმიანობა ხელს უწყობს ახალგაზრდების ჩართულობას საზოგადოებრივ საქმიანობაში - იგი ახალგაზრდებს ადრეული ასაკიდანვე ამზადებს, ასწავლის, როგორ გააჟღერონ საკუთარი ხმა, მოსაზრებები, როგორ შეიტანონ წვლილი თემის, საზოგადოების განვითარებაში;
5. **არის ურთიერთდამაკავშირებელი**, რაშიც იგულისხმება, რომ ახალგაზრდული საქმიანობა ცდილობს ახალგაზრდებთან ნამდვილი, ჭეშმარიტი ურთიერთობის დამყარებას და ამით მოქმედი, სიცოცხლისუნარიანი საზოგადოების შენარჩუნებაში კონტრიბუციის შეტანას. ხარისხიანი ახალგაზრდული საქმიანობა სასარგებლო მხოლოდ ინდივიდებისთვის არ არის, მას სარგებელი უფრო ფართოსაზოგადოებისთვისაც მოაქვს. ის გულისხმობს ისეთი ცვლილებების გატარებას, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც ამ, ისე მომდევნოთაობებისთვის და მთლიანი საზოგადოების პოზიტიური განვითარებისთვის.
6. ახალგაზრდული საქმიანობა **არის ღირებულებებით მოქმედი**. მიიჩნევა, რომ ახალგაზრდული საქმიანობა და მასში ჩართული პირები

მუშაობისას პოზიტიურად მოტივირებული არიან თავიანთი ღირებულებებით; ისინი მოქმედებენ საკუთარი რწმენისა და ღირებულებებიდანგამომდინარე. ვინაიდან, ახალგაზრდული საქმიანობა ემსახურება პოზიტიურ სოციალურ ცვლილებებს, შეიძლება ითქვას, რომ მაგალითად, სოციალური სამართლიანობა, სოლიდარობა, სოციალური ინკლუზია, თანასწორობა არის პირველადი მოტივაციური ღირებულებაახალგაზრდულ საქმიანობაში ჩართული ინდივიდებისთვის.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. ჩრდილოეთ ირლანდიის განათლების დეპარტამენტი. ახალგაზრდული საქმიანობა: ეფექტური პრაქტიკის მოდელი. 2010.
http://credni.open.wp-dev.web.tibus.net/wp-content/uploads/2014/08/Youth-Work-Model-for-Effective-Practise.pdf
2. ჯანეტ ბეტსლირი, ბერნარდ დეივიზი და კიტ პოპლი. რა არის ახალგაზრდუილი საქმიანობა? 2017.
http://sk.sagepub.com/books/what-is-youth-work
3. ევროპის საბჭო . ახალგაზრდული საქმიანობის პორტფოლიო. 2015.
https://rm.coe.int/1680699d85
4. განცხადება ახალგაზრდული საქმიანობის ხასიათსა და მიზანზე. https://www.youthlinkscotland.org/media/1255/statementonthenatureandpurposeofyouthwork.pdf

2.2 ახალგაზრდული საქმიანობის მიზნები

ავტორი: დეა აბულაძე

შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდულ საქმიანობას აქვს ექვსი ძირითადი მიზანი:

1. განავითაროს თვითშეფასება და თვითრწმენა - მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ადამიანს ჯანსაღი თვითშეფასება ადრეულბავშვობაში ჩამოუყალიბდეს, ოჯახის წევრების რელევანტური აღზრდის სტილისა და შესაბამისი გარემოს მეშვეობით, მოგვიანებით, სკოლას, სხვადასხვა წრეში თანატოლებთან ურთიერთობას, აქვს დიდი გავლენა ახალგაზრდის თვითშეფასებაზე და შეიძლება ისრადიკალურად შეცვალოს. ეს ცვლილება შეიძლება იყოს, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური. სკოლაში კარგი აკადემიური მოსწრება, ადგილის დამკვიდრება თანატოლებში დადებითად მოქმედებს ახალგაზრდის თვითშეფასებაზე. ჩაგვრა, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიურიძალადობა, გარიყვა კი პირიქით - უარყოფით გავლენას ახდენს. ახალგაზრდული საქმიანობა, რელევანტური ინტერაქციულიაქტივობებისა და ჯგუფური პროგრამების საშუალებით, მხარს უჭერს ახალგაზრდების პიროვნული და სოციალური უნარებისგანვითარებას და მიზნად ისახავს მათთვის კომფორტული გარემოს შექმნას, სადაც ისინი შეძლებენ ჯანსაღი ურთიერთობებისდამყარებას და არ ექნებათ თანატოლების შიში; სადაც იქნება სანდო და უსაფრთხო კლიმატი; სადაც ყველა დაფასებულია დაშეცდომები არ არის გაკიცხვის საგანი.

2. ახალგაზრდული საქმიანობის მიზანია - ხელი შეუწყოს პიროვნული და სოციალური ურთიერთობების მართვას. ახალგაზრდულისაქმიანობა ხელს უწყობს ბავშვებში, მოზარდებსა და ახალგაზრდებში ისეთი უნარების განვითარებას, რომელიც პოზიტიურ გავლენასახდენს მათი ურთიერთობების ფორმირებასა და მართვაზე; მაგალითად, ზემოთ აღნიშნული მიზანი, რომელიც ახალგაზრდებშითვითშეფასების განვითარებას მოიცავს. როდესაც ახალგაზრდას დაბალი, არაადეკვატური თვითშეფასება აქვს, ეს ნეგატიურადმოქმედებს მის ურთიერთობებზე გარშემომყოფებთან, მის აღქმაზე თუ როგორ უყურებენ სხვები. ახალგაზრდებში ისეთიკომპეტენციების განვითარებით, როგორიცაა-კრიტიკული აზროვნება, ემპათია, თვით-რეფლექსია, ბრაზის მართვა, ახალგაზრდები, პირველ რიგში, სწავლობენ კომუნიკაციას საკუთარ თავთან და პარალელურად უვითარდებათ უნარი ჩამოაყალიბონ ჯანსაღიურთიერთობები გარშემომყოფებთან.

3. ახალგაზრდული საქმიანობის მიზანია, შეუწყოს სწავლის პროცესს და განავითაროს ახალი უნარები. პირველ რიგში, ახალგაზრდულისაქმიანობა ეხმარება ახალგაზრდებს რომ აღმოაჩინონ თავიანთი სასწავლო საჭიროებები, ინტერესები და სტილი; სთავაზობს მათისეთ საგანმანათლებლო მეთოდებს, რომლებიც კრეატიულობას და მოტივაციას ზრდის; აწვდის ახალგაზრდებს შესაბამის უკუკავშირს; გადასცემს მათი განვითარების ხელშემწყობი შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას და ეხმარება ამ ინფორმაციის ეფექტურად გამოყენებაში;

4. წაახალისოს პოზიტიური ჯგუფური ატმოსფერო - ახალგაზრდული საქმიანობის ფარგლებში, სხვადასხვა იდენტობის, სხვადასხვაგამოცდილების მქონე ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მოეშვან, არაგანსჯად სივრცეში იმუშაონ, ისწავლონერთმანეთისგან, მიიღონ გამოცდილება, გაიგონ სხვა ადამიანების დამოკიდებულებები, ღირებულებები და ჰქონდეთ ერთიანობისშეგრძნება. სამართლიანობა, მრავალფეროვნების პატივისცემა და ინკლუზიურობის წახალისება ის ღირებულებებია, რომელიც ყველაახალგაზრდულ მუშაკს უნდა გააჩნდეს; მეტიც, ისინი, პრაქტიკის დროს, ახალგაზრდებში ამ ღირებულებების გადაცემას უნდაემსახურებოდნენ. პოზიტიური ჯგუფური ატმოსფეროს შექმნა და წახალისება თავის თავში მოიცავს ახალგაზრდებთან მუშაობას ისე,რომ ყურადღების ცენტრში იყოს როგორც ჯგუფური, ისე ახალგაზრდების ინდივიდუალური საჭიროებები. პოზიტიური ჯგუფურიატმოსფეროს შექმნისთვის, ახალგაზრდულმა მუშაკებმა, პირველ რიგში, ალბათ, იმით უნდა დაიწყონ რომ საკუთარი როლი აუხსნანახალგაზრდებს; მათ ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ ჯგუფის ყველა წევრის შეხედულება იყოს გათვალისწინებული და გასაგები, რომმონაწილეებს შეუძლიათ ჯგუფის სხვა წევრების შეხედულებების მოსმენა და პატივისცემა; ხოლო აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში, შეუძლიათ კონსტრუქციული უკუკავშირის როგორც გაცემა, ასევე მოსმენაც. ჯგუფში ეფექტურად და შეთანხმებულად მუშაობით, ახალგაზრდებს უვითარდებათ თანამშრომლობითი უნარები, რაც ცხოვრების ყველა ეტაპზე კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

5. ახალგაზრდული საქმიანობის მიზანია - განავითაროს ახალგაზრდებში რისკის გათვალისწინების, გააზრებული გადაწყვეტილებისმიღებისა და სიტუაციის კონტროლის შესაძლებლობა. ახალგაზრდული საქმიანობა მიზნად ისახავს, ახალგაზრდებს განუვითაროსკომპეტენციები, რომლებიც მათ დამოუკიდებელ, კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანებად ჩამოაყალიბებს. ახალგაზრდული მუშაკებიახალგაზრდებს ეხმარებიან მიიღონ გააზრებული გადაწყვეტილებები; აღმოაჩინონ და შეაფასონ რისკები, შეეძლოთ არგუმენტირებულად დაასაბუთონ საკუთარი გადაწყვეტილებები, იგრძნონ პასუხისმგებლობა და, რაც მთავარია,

იმოქმედონ ამპასუხისმგებლობების შესაბამისად.

6. ახალგაზრდული საქმიანობის მორიგი მიზანია, განავითაროს ,,მსოფლხედვა“, რომელიც აფართოებს თვალსაწიერს და იწვევსსოციალურ პასუხისმგებლობებს - ახალგაზრდული საქმიანობა, მიზნად ისახავს, ჩამოაყალიბოს მაღალი სოციალურიპასუხისმგებლობის, თვითშეგნების მქონე ახალგაზრდები, რომლებსაც ესმით რა არის სოციალური სამართალი, იციან როდის ირღვევაადამიანის უფლებები და რა უნდა მოიმოქმედონ ამ დროს; რომლებიც ხედავენ კავშირს საკუთარ და სხვათა ცხოვრებას შორის დაიაზრებენ რომ მათ მიერ ინდივიდუალურად მიღებულ გადაწყვეტილებებს შეუძლია გლობალური ცვლილებების გამოწვევა.

შედეგად კი ვიღებთ იმას რომ:

1. ახალგაზრდები არიან თავდაჯერებულები და მომავალთან მიმართებაში ოპტიმისტურები ამის ინდიკატორები შეიძლება იყოს ის რომ ახალგაზრდები გამოხატავენ უფრო მარტივად საკუთარ აზრს ჯგუფში, არ ერიდებათ კითხვებისდასმა; ასევე ახალგაზრდებს შეუძლიათ კრიტიკის/რჩევის მიღება; დაწყებული საქმე მიჰყავთ ბოლომდე; როცა რაღაც არასწორად აკეთეს, შეუძლიათ ამაზე რეფლექცია; მათ სჯერათ რომ პოზიტიური ცვლილები შეიძლება თავად გამოიწვიონ, აქვთ გეგმა, თუ როგორ შეიძლება მიაღწიონ თავიანთ დასახულ მიზანს.

2. ახალგაზრდები მართავენ თავიანთ პირად, სოციალურ და ფორმალურ ურთიერთობებს ამის მაჩვენებელი შეიძლება იყოს ის რომ ახალგაზრდებს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება შეუძლიათ; იციან საკუთარი უფლებებიდა შეუძლიათ მათი დაცვა; ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან აქვთ კარგი ურთიერთობა;

3. ახალგაზრდები ქმნიან, აღწერენ და იყენებენ საკუთარ ცოდნასა და უნარებს მაგალითად, ახალგაზრდებს შეუძლიათ სწავლების ახალი მეთოდების შექმნა/აღმოჩენა; შეუძლიათ საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებზე დაფიქრება; სხვებს ეხმარებიან სწავლის გაუმჯობესებაში, მაგალითად.

4. ახალგაზრდები უსაფრთხოდ და ეფექტურად მონაწილეობენ ჯგუფებში შეუძლიათ ჯგუფში კონფლიქტის მოგვარება; შეუძლიათ ჯგუფში საკუთარი აზრის გამოთქმა და ასევე სხვების მოსმენა; იქცევიან გარემოსშესაბამისად და შეუძლიათ ადაპტირება;

5. ახალგაზრდები განიხილავენ რისკს, იღებენ დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს და მართავენ სიტუაციას მაგალითად, ახალგაზრდებს შეუძლიათ რჩევის თხოვნა, რისკების აღმოჩენა და სხვებისთვის ახსნა; ასევე, შეუძლიათ ახსნან საკუთარი გადაწყვეტილებები და იღებენ პასუხისმგებლობას საკუთარ ქცევაზე;

6. ახალგაზრდები აჟღერებენ საკუთარ ხმას და გამოხატავენ სოციალურ პასუხისმგებლობასარ ერიდებათ საკუთარი აზრის დაფიქსირება; იციან როგორც საკუთარი, ისე სხვათა უფლებები და შეუძლიათ მათზე ადვოკატირება; ერთვებიან სოციალურ პროექტებში ან მოხალისეობენ.

7. ახალგაზრდები აფართოებენ თავიანთ შეხედულებებს ახალი გამოცდილების მიღებითა და აზროვნების საშუალებით. არ არიან ჩაკეტილი ერთ წრეში და სხვა ჯგუფებთანაც იწყებენ ურთიერთობას; ახალ გამოცდილებებს ეძებენ; სხვების პერსპექტივიდან შეუძლიათ საკითხის დანახვა; შეუძლიათ საკუთარი და სხვათა მსჯელობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება.

ახალგაზრდული საქმიანობის მიზნები, მახასიათებლები და შედეგები განსაზღვრავს და აღწერს ახალგაზრდული საქმიანობის მთავარ არსს. ახალგაზრ-

დული საქმიანობა არის პროცესი, რომელიც ახალგაზრდებს აძლიერებს და მიზნად ისახავს მათ სასარგებლოდ ძალთა დაბალანსებას.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. შოტლანდიის ახალგაზრდული საქმიანობის შედეგების მოდელის სახელმძღვანელო
https://www.youthlinkscotland.org/media/1968/outcomes-handbook-august-2017.pdf

2.3 ახალგაზრდული საქმიანობის ისტორია – I ნაწილი

ავტორი: ირმა გიორგობიანი

საინტერესოა იმის გარკვევა, თუ საიდან მოდის და რამ განაპირობა ახალგაზრდული საქმიანობის წარმოშობა? რამდენი ხნის ისტორია აქვს ამ საგანმანათლებლო პრაქტიკას?

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდული საქმიანობის წარმოშობა ინდუსტრიული ეპოქის ევროპას უკავშირდება. ამიტომ, ისტორიული მიმოხილვა ძირითადად ევროპული კონტექსტის ჭრილში გვექნება.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე ანუ ინდუსტრიულ რევოლუციამდე, ევროპის ქვეყნებში მოსახლეობის დაბალი ფენები ძირითადად სოფლის მეურნეობასა და ხელოსნობას, მოგვიანებით კი, მცირე მანუფაქტურულ წარმოებას მისდევდნენ. თუმცა, დიდ ქალაქებში მანუფაქტურული წარმოების მანქანურით ჩანაცვლებამ და ფაბრიკა - ქარხნების ამუშავებამ, განაპირობა უმიწოდ დარჩენილი გლეხებისა და ფუნქციადაკარგული ხელოსნების მასობრივი მიგრაცია ურბანულ ცენტრებში. ურბანიზაცია/ინდუსტრიალიზაციის თანმდევმა ცვლილებებმა, მოსახლეობის რაოდენობის სწრაფმა ზრდამ, მუშათა კლასის გაჩენამ, სოციალურმა სეგრეგაციამ და მზარდმა სიღარიბემ, შექმნა ახალი სოციალური და ეკონომიკური წესრიგი თავისი თანმდევი პრობლემებით.

ს წორედ ამ სიტუაციაში დაიწყო თავისი საქმიანობა ახალგაზრდული საქმიანობის პიონერმა ტურინელმა მღვდელმა - ჯოვანი ბოსკომ, რომელიც უფრო მეტად ცნობილია დონ ბოსკოს სახელით. ბოსკოს ყურადღება მიიქცია მუშათა კლასის წარმომადგენელი ბავშვების მდგომარეობამ: ბავშვების ნაწილი დასაქმებული იყო და ძალიან ბევრს მუშაობდნენ, ხოლო მეორე ნაწილი, რომელთა მშობლებიც ფაბრიკა/ქარხნებში 14 და მეტ საათს შრომობდნენ, სრულიად უმეთვალყურეოდ რჩებოდნენ სახლში, ან ქუჩაში ატარებდნენ დროს. რაც, ხშირ შემთხვევაში, მთავრდებოდა მათი დანაშაულებრივი ქმედებებით და შესაბამისად, უამრავი ახალგაზრდა ხვდებოდა ციხეში. დონ ბოსკომ დაინახა, რომ მისი საკვირაო სკოლის პრაქტიკა, სადაც ის ტრადიციული მეთოდებით ასწავლიდა ქრისტიანულ მოძღვრებას, ვერ პასუხობდა ბავშვებისა და ახალგაზრდების საჭიროებებს. მას ღრმად სწამდა, რომ მიუხედავად მათი დელინკვენტური ქცევისა, ეს ბავშვები კარგები იყვნენ, უბრალოდ მათ ჰქონდათ ბევრი თავისუფალი დრო და ცუდი სანაცნობო წრე . ამიტომ 1841 წელს მან შექმნა ‘ორატორიუმი’, სივრცე, სადაც ახალგაზრდებს ხვდებოდათ სითბო, თავშესაფარი, მზრუნველი გარემო და

განათლების მიღების შესაძლებლობა. მისი მცირემასშტაბიანი სოციალური წამოწყება, რამდენიმე წელიწადში საკმაოდ გაიზარდა და ორატორიუმი, რამდენიმეს ნაცვლად, უკვე 80-მდე ბავშვს იღებდა. დონ ბოსკომ თავის მეთოდს ,,პრევენციული მეთოდი“ უწოდა, რომლის მიხედვითაც, სოციალური პრობლემები საგანმანათლებლო პრობლემებამდე დაიყვანებოდა და მის ცენტრში იდგა ტიპური პედაგოგიური პარადოქსი: დავიცვათ ახალგაზრდები „მავნე“ საზოგადოებისგან, მაგრამ ამავდროულად ხელი შევუწყოთ, მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას.

საინტერესოა, რომ თანამედროვე ახალგაზრდული საქმიანობის არაერთი პრინციპი, დონ ბოსკოს საქმიანობიდან იღებს სათავეს: მაგალითად საგანმანათლებლო პროცესის დაწყება იქიდან, სადაც ახალგაზრდები არიან; სწავლების პროცესში ჯგუფური, სოციალურ გარემოს შექმნა; ასევე, ტრენინგები გასართობი აქტივობების თანხლებით, რელაქსაციური და უსაფრთხო გარემო, სადაც ახალგაზრდები თავს თავდაჯერებულად გრძნობენ, წინასწარ მომზადებული ახალგაზრდა ლიდერების, როგორც როლური მოდელების, ჩართვა საგანმანათლებლო საქმიანობაში. ეს ყველაფერი დღესაც ახალგაზრდული საქმიანობის განუყოფელი ნაწილია.

საყურადღებოა, რომ დონ ბოსკოს ‘ორატორიუმი’ იყო ახალგაზრდებზე ზრუნვის სერვისი, რაც დასაწყისშივე წარმოაჩენს ახალგაზრდული საქმიანობისა და სოციალური მუშაობის ახლო კავშირს.
მისი პრაქტიკა სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა ‘პატრონაჟის’ სახელით, რომელსაც ძირითადად ახალგაზრდების კათოლიკური ჯგუფები ახორციელებდნენ და მისი მიზანიც იყო ახალგაზრდების მორალური აღზრდა, ბიჭების დელინკვენტური ქცევის პრევენცია და გოგოების იმ დროინდელი ქალური იდეალის მიხედვით ჩამოყალიბება. ძირითად სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ მუშათა კლასის ახალგაზრდები.

ამ პერიოდში შექმნილი ახალგაზრდული გაერთიანებებიდან აღსანიშნავია YMCA Young men’s Christian Association, რომელიც ჯორჯ უილიამსონმა 1844 წელს დააარსა ლონდონში. თავდაპირველად, ორგანიზაცია მიზნად ისახავდა სხვადასხვა ტიპის ინდუსტრიულ საქმიანობაში ჩართული ახალგაზრდა მამაკაცების სულიერი ცხოვრების გაუმჯობესებას და ქრისტიანული ღირებულებების პრაქტიკაში დანერგვას ჯანსაღი სხეულის, გონების და სულის განვითარებით. ინიციატივა იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ სულ მალე YMCA-ს არაერთი ფილიალი გაჩნდა ლონდონში. 6 წლის შემდეგ ქვეყნის საზღვრები დატოვა, ოკეანე გადალახა და დიდი წარმატებით შეაღწია ამერიკაში, სადაც ასევე მალე გავრცელდა. დღეს არა მხოლოდ ინგლისსა და ამერიკაში, არამედ ევროპის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, YMCA-ს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო და სოციალური ორგანიზაციები კვლავ ფუნქციონირებს. რა თქმა უნდა, არა იმ სახით, როგორც ჯორჯ უილიამსონმა დაიწყო. მისი წამოწყება იმ ეპოქის საჭიროებებს პასუხობდა. დროთა განმავლობაში YMCA-ს ღირებულებები უცვლელი რჩებოდა, თუმცა ამ დიდი საერთაშორისო მოძრაობის სერვისები ყოველთვის ერგებოდა და პასუხობდა არსებულ საჭიროებებს.

საგულისხმოა, რომ მსგავსი ტიპის ორგანიზაციები საწყის ეტაპზე მხოლოდ ბიჭებისთვის იქნებოდა, რადგან მიიჩნეოდა, რომ ოჯახური, სახლის, გარემო სრულად აკმაყოფილებდა გოგონების საჭიროებებს. გოგონების პირველი გაერთიანება 1855 წელს შეიქმნა. ეს იყო The Young women’s Christian Association და ეფუძნებოდა ქრისტიანულ ღირებულებებს. ამის შემდგომ ნელ-ნელა დაფუძნდა სხვადასხვა ორგანიზაციები გოგონებისთვის, თუმცა ისინი ნაკლებად ცნობილი და პოპულარულია ფართო საზოგადოებაში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ახალგაზრდული მოძრაობა/ორგანიზაცია, რომლის ხსენების გარეშეც ვერ ვისაუბრებთ ახალგაზრდული საქმიანობის ისტორიაზე არის - სკაუტინგი. სკაუტური მოძრაობა, რომელიც დღეს აერთიანებს 56 მილიონამდე ახალგაზრდას, განურჩევლად მათ წარმოშობის, რელიგიური და სოციალური კუთვნილებისა, არის მსოფლიოს ყველაზე დიდი მოხალისეობრივი ორგანიზაცია. მისი წარმოშობა უკავშირდება ბრიტანელი სამხედროს, ბადენ პაუელის, სახელს. სხვადასხვა მოაზროვნეებითა და საკუთარი სამხედრო მზვერავის გამოცდილებით შთაგონებულმა ბადენ პაუელმა, სცადა შეექმნა საგანმანათლებლო მეთოდი, რომელიც გამოიყენებდა ახალგაზრდების მისწრაფებას თავგადასავლებისა და ბუნებისკენ და ამ გზით, განუვითარებდა მათ სხვადასხვა უნარებს, რათა ისინი გამხდარიყვნენ დამოუკიდებელი და თვითმყოფადი ადამიანები. საბოლოო მიზანი იყო მათში სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივება, რათა ხელი შეეწყო საზოგადოების სოციალური ერთობისა და მთლიანობისთვის. ამ მიზნების მისაღწევად, ბადენ პაუელი იყენებდა ისეთ სახალისო მეთოდებს, როგორიცაა: კემპინგი, ლაშქრობები, კვანძების შეკვრა, ბუნებაში თვითგადარჩენა და ა.შ. ყველაფერი დაიწყო 1907 წელს, როდესაც მან 20 ბიჭისთვის გააკეთა ბანაკი, რასაც მომდევნო წელს მოჰყვა მის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოს „სკაუტინგი ბიჭებისთვის“ გამოცემა. ამის შემდგომ მალევე გოგონებიც შემოუერთდნენ სკაუტურ მოძრაობას ,,გოგონა გაიდებისა“ და ,,გოგონა სკაუტების“ სახელით.

20 ბიჭით დაწყებულმა მოძრაობამ დიდი როლი ითამაშა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესში და მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყნის ახალგაზრდების არაერთი თაობის სოციალიზაციაში. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სკაუტინგი აკრძალული იყო ტოტალიტარულ ქვეყნებში, რადგან თავისი არსით ის დემოკრატიული და მოხალისეობრივია, ასევე ხელს უწყობს ადამიანებში კრიტიკული აზროვნების გაღვივებას.

თუმცა ეს ყველაფერი ხდებოდა სახელმწიფო პოლიტიკისგან დამოუკიდებლად, ემსახურებოდა საზოგადოების მთლიანობის შენარჩუნებას და მიისწრაფოდა ახალგაზრდების საზოგადოებაში ჩართულობისა და პოტენციალის რეალიზებისათვის.

2.4 ახალგაზრდული საქმიანობის ისტორია - II ნაწილი

ავტორი: ირმა გიორგობიანი

ახალგაზრდული საქმიანობის შეტანა და დამკვიდრება სახელმწიფოს კეთილდღეობის სერვისებში, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ბრიტანეთიდან დაიწყო. ამ პერიოდის ბრიტანეთის განათლების სისტემა, პასუხისმგებლობას იღებდა მხოლოდ 15 წლამდე ახალგაზრდების განათლებაზე. ამიტომ ახალგაზრდულ საქმიანობას დაეკისრა 16-21 წლამდე ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და შესაბამისი კომპეტენციების განვითარებაზე ზრუნვა. რაც ნიშნავს იმას, რომ ახალგაზრდული საქმიანობა აღიქმებოდა, როგორც საგანამანათლებლო ინტერვენცია, რომელიც ხელს უწყობდა ახალგაზრდებში ეროვნული ნორმების და ღირებულებების განმტკიცებას და მათი სახით, პასუხისმგებლიანი მოქალაქეების ჩამოყალიბებას, რაც საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფდა მათ ინკლუზიასა და საზოგადოების სრულფასოვან წევ-

რად ქცევას.

სახელმწიფო სისტემაში ახალგაზრდული საქმიანობა სამართლებრივ დონეზე 1944 წელს ინტეგრირდა განათლების აქტით, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ავალდებულებდა, დაეკმაყოფილებინათ ახალგაზრდების საჭირობები და ამისთვის გამოეყენებინათ მოხალისეობრივი სერვისები. ამ გზით, საწყის ეტაპზე, ახალგაზრდული საქმიანობის მასშტაბი განისაზღვრა ადგილობრივი დონით და როგორც სერვისს, დაეკისრა ახალგაზრდების სოციალური ინკლუზიის უზრუნველყოფა.

თუმცა 60-იანმა წლებმა სხვა მიმართულება მისცა ახალგაზრდულ საქმიანობას. ეს იყო დიდი ცვლილებებისა და ვნებათაღელვის ეპოქა. ამ პერიოდის ახალგაზრდებს განათლების მიღებაზე წვდომამ და დასაქმებამ მისცა მეტი დამოუკიდებლობის შესაძლებლობა, როგორც აზროვნებისა და შეხედულებების, ასევე ქმედებებისა და კონსუმერიზმის მხრივ. მთელს ევროპასა და ამერიკაში ინტენსიურად იფეთქა ახალგაზრდულმა საპროტესტო მოძრაობებმა და კონტრკულტურებმა. ეს იყო პერიოდი, როცა ამერიკაში ყალიბდება ჰიპების კონტრკულტურა, ბრიტანეთში კი - მობების და როკერების, მათი ღირებულებები, ესთეტიკა აღწევს კულტურასა და ხელოვნებაში; აისახა მოდაზე, კინოინდუსტრიაზე, მუსიკაზე, იქმნება ჟურნალ-გაზეთები, გადაცემები, პოპულარული ხდება რეკრეაციული ნარკოტიკების მოხმარება, იწყება საპროტესტო მოძრაობები სამოქალაქო უფლებებისთვის, ქალთა უფლებებისთვის, შავკანიანთა უფლებებისთვის, პაციფისტური მოძრაობები, იწყება სექსუალური რევოლუცია. ამ პერიოდმა შეარყია ტრადიციული ღირებულებები და ცხოვრების სტილი, ახალგაზრდების ანტისოციალურმა ქცევამ კი საზოგადოებაში მორალური პანიკა წარმოქმნა.

ამგვარი ცვლილებების ფონზე, საჭირო გახდა ახალგაზრდული საქმიანობის მორგება ახალ რეალობაზე. ძველი მიდგომა, რომელიც ახალგაზრდებში ხასიათის ჩამოყალიბებისკენ ისწრაფვოდა, ახალ მოცემულობას აღარ შეესაბამებოდა. ახალგაზრდულ კლუბებში წევრების რაოდენობა დრამატულად შემცირდა, რადგან ვეღარ უწევდნენ კონკურენციას მზარდ გასართობ ინდუსტრიას.

გაიზარდა იმ ახალგაზრდების რიცხვი, ვინც სკოლა მიატოვეს, თავს გარიყულად და გაუცხოვებულად გრძნობდნენ საზოგადოებისგან, არ ერთვებოდნენ ახალგაზრდულ აქტივობებში, დელინკვენტური და დანაშაულებრივი ქცევის ზღვართან იმყოფებოდნენ. საჭირო გახდა ამ ახალგაზრდების კულტურულ და სოციალურ ადაპტაციაზე ზრუნვა და მათი პიროვნული და სოციალური განვითარების ხელშწყობა. ასევე, დღის წესრიგში დადგა მათთან წვდომის ახლებური გზების ძიება, რამაც მობილური ახალგაზრდული საქმიანობის წარმოშობა განაპირობა. ამ გარემოებების ფონზე ახალგაზრდულ საქმიანობაში ფოკუსის ახალგაზრდების სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებისკან გადანაცვლებამ, შედეგად მოგვცა სოციალური განათლება, რაც დღევანდელი ახალგაზრდული საქმიანობის საგანამანათლებლო პრაქტიკაა და ეფუძნება იდეას, რომ სოციუმში არსებული ძალთა დისბალანსი, ღირებულებათა სისტემა და სტრუქტურები შესაძლებელია, აფერხებდეს ახალგაზრდების ინდივიდუალურ განვითარებას და მათი პოტენციალის რეალიზებას. აქედან გამომდინარე, ახალგაზრდული საქმიანობა, რომელიც ამ მოდელით ხორციელდება მიზნად ისახავს ახალგაზრდების გაძლიერებას, რათა თავად გახდნენ სოციალური ცვლილებების აქტორები.

ეპოქის საჭიროებებსა და მოთხოვნებთან მორგების პროცესი არ შეწყვეტილა ახალგაზრდულ საქმიანობაში, რაც ვლინდება როგორც მრავალფე-

როვანი ფორმების შექმნაში. აღსანიშნავია, ტექნოლოგიური ეპოქის მოთხოვ-ნებიდან გამომდინარე - ციფრული ახალგაზრდული საქმიანობის შექმნაც.

მიდგომებისა და პარადიგმების ცვლილებების პარალელურად, ვითარდებოდა ახალგაზრდული საქმიანობის ეკოსისტემის არაერთი ასპექტი. სხვადასხვა ქვეყნებში, დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ახალგაზრდებზე პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურები, შეიქმნა შესაბამისი კანონმდებლობა, ახალგაზრდობის სტრატეგიები, დაფინანსების სისტემა, რიგ ქვეყნებში მოხდა ახალგაზრდული მუშაკის პროფესიად აღიარება და შეიქმნა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები როგორც პროფესიულ, ასევე აკადემიურ დონეზე. დაიწყო სამეცნიერო კვლევები ახალგაზრდობის მიმართულებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ინფრასტრუქტურის მოწესრიგების თვალსაზრისით, დიდი სიჭრელეა ევროპის ქვეყნებში და განსხვავებული ვითარება გვაქვს ეროვნული კონტექსტების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ორგანიზებით, 2020 წელს ჩატარებული კონფერეციის „ახალგაზრდული საქმიანობის მესამე კონვენციით“ შეიქმნა ევროპული ახალგაზრდული საქმიანობის ახალი დღისწესრიგი და სტრატეგიული ჩარჩო, რომელიც მიზნად ისახავს, ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკისა და პოლიტიკის გაძლიერებას და განვითარების ხელშეწყობას მთელს ევროპაში. კონფერეციის ჩატარებით დაიწყო ბონის პროცესი, რომლის აღსრულების ნაწილში საქართველოცაა ჩართული.

საქართველო

რაც შეეხება, საქართველოში ახალგაზრდულ საქმიანობის ისტორიას, ამ კუთხით ძალიან მწირი მასალები მოიპოვება და საჭიროებს ფუნდამენტური კვლევის ჩატარებას. თუმცა განვითარების ზოგად ტენდენციებზე მაინც შეიძლება რომ ვისაუბროთ. ვიცით რომ სკაუტური რაზმები სკაუტინგის გაჩენიდან მალევე გაჩნდა საქართველოში, კერძოდ ბათუმში. გასათვალისწინებელია, რომ ამ პერიოდში საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილია. 1917 წლიდან სკაუტინგმა გავრცელება დაიწყო თბილისშიც. განსაკუთრებით, აქტიურად მოღვაწეობდნენ სკაუტები 1918-21 წლების დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პერიოდში. თბილისში შეიქმნა ადგილობრივი ორგანიზაცია, რომელიც 400-მდე წევრს აერთიანებდა. სამწუხაროდ, მათი საქმიანობა 1921 წელს, დამოუკიდებლობის დაკარგვიასთან ერთად შეწყდა, რადგან საბჭოთა ხელისუფლება, ყველა სხვა ტოტალიტარული რეჟიმის მსგავსად, საფრთხეს ხედავდა სკაუტინგში და კრძალავდა მას. თუმცა, საბჭოთა ხელისუფლების მესვეურებმა დაინახეს სკაუტინგის ეფექტური საგანმანათლებლო ძალა და შექმნეს პიონერული ორგანიზაცია, რომელიც გარეგნულად ძალიან ჰგავდა სკაუტინგს. ახალგაზრდებთან მუშაობის საბჭოთა მოდელი მთლიანად იდეოლოგიზირებული იყო და მიზნად ისახავდა ინდოქტრინაციას, კომუნისტური იდეოლოგიის დანერგვა/გავრცელებას და საბჭოთა მოქალაქეების აღზრდას. ფორმალურად, ორგანიზაციის წევრობა ნებაყოფლობითი იყო, თუმცა რეალურად - სავალდებულო, რადგან მისი წევრობის გარეშე რთული იყო უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება. პიონერეული ორგანიზაცია აერთიანებდა 9-14 წლამდე ახალგაზრდებს, 7 დან 9 წლამდე ბავშვები კი პატარა ოქტომბრელების ორგანიზაციის წევრები ხდებოდნენ, ხოლო პიონერულ ასაკს გადაბიჯების შემდეგ ახალგაზრდა კომკავშირელთა რიგებში გადაიოდნენ. ასე რომ, საბჭოთა რეჟიმი ბავშვობიდან - ზრდასრულობამდე არ წყვეტდა მომავალი თაობის პოლიტიკურ სოციალიზაციაზე ზრუნვას. პიონერინგი, რომელმაც მძლავრი ინფრასტრუქტურა შექმნა თხუთმეტივე რესპუბლიკაში, მათ

შორის, საქართველოშიც, 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე დასრულდა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, ახალგაზრდული საქმიანობა ძირითადად არასამთავრობო სექტორში დაწყო, რომელიც ხორციელდებოდა საერთაშორისო ფონდების დაფინანსებით და ნელ-ნელა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე გადაინაცვლა.

ასე რომ, ახალგაზრდული საქმიანობის ისტორია 100 წელიწადზე მეტს ითვლის და ამ ხნის განმავლობაში იცვლებოდა სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური კონტექსტებიდან გამომდინარე. ეს საგანმანათლებლო პრაქტიკა მუდმივად ორიენტირებულია განვითარებასა და ახალგაზრდების საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილებაზე. ამ ეტაპზე, როდესაც დავიწყეთ ახალგაზრდრული სფეროს ეკოსისტემის განვითარება ჩვენს ქვეყანაში, მნიშვნელოვანია სწორად გავიაზროთ სხვა ქვეყნებისა და საკუთარი გამოცდილებები და ნასწავლი გაკვეთილების გათვალისწინებით, შევძლოთ ახალგაზრდებისთვის ხარისხიანი ახლგაზრდული სერვისების მიწოდება.

წყაროები და დამატებითი მასალა

ინდუსტრიული რევოლუცია. 2009. https://www.bl.uk/georgian-britain/articles/the-industrial-revolution

2. ევროკავშირის საბჭო. ახალგაზრდული საქმინობის ისტორია. 2021. https://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership/history-of-youth-work

3. ფილიპ კუზი. ახალგაზრდული საქმიანობის პოლიტიკის საუკუნე. 2008. https://books.google.ge/books?id=-sDfy8syWEEC&printsec=frontcover#v=onepage&q&f=false.

4. YMCA ინგლისი და უელსი. ჩვენი დამფუძნებელი. 2019. https://www.ymca.org.uk/about/leadership/founder

5. ქუსი. ფ. ვილიამსონ.ჰ. და ვერშენდელ.გ. თანამედროვე ახალგაზრდული საქმიანობის და ევრიპული ახალგაზრდული საქმინობის ისტორის შესაბამისობა. ევროპოს საბჭო. 2012. https://pjp-eu.coe.int/documents/42128013/47261623/TheHistoryOfYouthWorkVol3.pdf/57009717-9c65-45c7-9714-df202038d607

6. სკაუტები. ეროვნული სკაუტური ორგანიზაციები. https://www.scout.org/worldwide

7. ბლოკ.ნ.რ. და პროქტორ. ტ.მ. სკაუტური საზღვრები: ახალგაზრდობა და სკაუტური მოძრაობები პირველ საუკუნეებში. 2009. https://books.google.ge/books?id=-sDfy8syWEEC&printsec=frontcover#v=onepage&q=scouts&f=false

8. გოგო გიდებისა და გოგო სკაუტების მსოფლიო ასოციაცია. ჩვენი ისტორია. https://www.britannica.com/topic/Girl-Guides-and-Girl-Scouts

9. ფრანკ.ა. და უილს.ჰ. საშიში მომავალი: სოციალური გარიყულობა და ახალგაზრდული საქმიანობა, გვიან თანამედროვეობაში. სოციალური პოლიტიკა და ადმინისტრაცია. 1997. https://onlinelibrary.wiley.com/toc/14679515/1997/31/5

10. მორეტა. ჯ.ა. ჰიპები: 1960 იანების ისტორია. 2017. https://books.google.ge/bookshl=en&lr=&id=CpX4DQAAQBAJ&oi=fnd&pg=PP1&dq=hippies+summer+of+love&ots=7v3BkOWmoM&sig=UFauWmqOk59U2Rn_yE2J_P9kWU&redir_esc=y#v=onepage&q=hippies%20summer%20of%20love&f=false

11. კოჰენი.ს. ხალხური ეშმაკობა და მორალური პანიკა: მოდისა და როკის შექმნა.

2002.https://books.google.ge/bookshl=en&lr=&id=eDhPbH9roU4C&oi=fnd&pg=PR7&dq=mods+and+rockers+moral+panic&ots=4L3Ec-nHaM&sig=vVLf1WYwMv3WeSpGmfZS1rusRA&redir_esc=y#v=onepage&q=mods%20and%20rockers%20moral%20panic&f=false
12. ევროპის კომისია. ახალგაზრდებთან მუშაობა: ევროკავშირის ახალგაზრდული საქმინობის მნიშვნელობა. 2014. https://ec.europa.eu/assets/eac/youth/library/study/youth-work-report_en.pdf
13. ევროპული ახალგაზრდული საქმიანობის დღის წესრიგი. 2021. https://www.eywc2020.eu/en/agenda/
14. რუსთავის საერთაშორისო სკაუტური ცენტრი. რა არის სკაუტინგი? https://www.facebook.com/watch/?v=126744672632364
15. მაკლინტირ.ჯ. ახალგაზრდობის პოლიტიკური სოციალიზაცია საბჭოთა კავშირში: მისი თეორია, გამოყენება და შედეგები. სადიპლომო ნაშრომი. 1993. https://core.ac.uk/download/pdf/36720055.pdf

2.5 ახალგაზრდული საქმიანობა ევროპაში

ავტორი: დეა აბულაძე

2000-იანი წლებიდან მოყოლებული, ახალგაზრდული საქმიანობისა და ახალგაზრდული მუშაკის მიმართ საზოგადოების მიმღებლობა გაიზარდა. უკეთ გამოჩნდა მათი როლი ახალგაზრდების სოციალურ ინტეგრაციაში, აქტიურ მოქალაქეობასა და დასაქმებაში. მზარდმა ცნობიერების დონემ, არაერთი მთავრობისა და საერთაშორისო ინსტიტუტის პოლიტიკურ დღის წესრიგში დააყენა ახალგაზრდული მუშაკის და ახალგაზრდული საქმიანობის აღიარების საკითხი.

იმისთვის, რომ უკეთესი წარმოდგენა შეგვექმნას, მოდით, განვიხილოთ ახალგაზრდული საქმიანობისა და ახალგაზრდული მუშაკის აღიარების საკითხი და სტატუსი ევროპის რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე.

ფინეთი

ფინეთში ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება მე-19 საუკუნიდან დაიწყო. დასაწყისში (1940 წლამდე) მას მხოლოდ მოხალისეობრივად ახორციელებდნენ; არ არსებობდა არც საგანმანათლებლო პროგრამები ახალგაზრდული მუშაკებისთვის. 1940-1980-იან წლებში ფინეთში სხვადასხვა სტრუქტურა ჩამოყალიბდა; ახალგაზრდული საქმიანობა ცალკე სფეროდ გამოიყო, ჩამოყალიბდა ახალგაზრდულ საკითხებთან დაკავშირებული კანონმდებლობაც. მუნიციპალიტეტებმა მოიპოვეს ოფიციალური ნებართვა, განეხორციელებინათ აქტივობები ახალგაზრდული საქმიანობის ფარგლებში.

ფინეთში ახალგაზრდული საქმიანობა ინტეგრირებულია განათლების სხვადასხვა სექტორში, რაც ნიშნავს, რომ ის აღიქმება, როგორც ახალგაზრდული პოლიტიკის ერთ-ერთი კომპონენტი. ახალგაზრდული საქმიანობა დანახულია, როგორც დამოუკიდებელი აგენტი, ინსტიტუტი, სფერო. არსებობს ახალგაზრდული საქმიანობის კურსები, როგორც პროფესიული განათლების, ისე უმაღლესი სასწავლებლის დონეზე. ფორმალურ განათლებაში ახალგაზრდული საქმიანობა ფინეთში 1945 წლიდან არსებობს.

ახალგაზრდული საქმიანობა, ნახსენებია ფინეთის ეროვნულ სასწავლო გეგმაშიც, როგორც სკოლის ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი. პოლიტიკის დო-

ნეზე, ბევრი პროგრამა არსებობს, რომელშიც ახალგაზრდული საქმიანობის სერვისებია ინტეგრირებული. თუმცა არ არსებობს ეროვნული კომპეტენციების აღწერილობა და არც მოთხოვნები კანონის დონეზე ახალგაზრდული მუშაკების მიმართ. ამით ფინეთის ხელისუფლება ხაზს უსვამს პროფესიის ავტონომიურობასა და დეცენტრალიზაციის პოლიტიკას, რაც ერთიანად აღებული იმას ნიშნავს, რომ ძირითადი გადაწყვეტილებები მიიღება ადგილობრივ - მუნიციპალურ დონეზე.

მალტა

გასული საუკუნის 90-იან წლებამდე, მალტაში ახალგაზრდული საქმიანობა მოხალისეობრივად მიმდინარეობდა. თუმცა, წლების განმავლობაში სახელმწიფოს დამოკიდებულება ამ მიმართულებით მკვეთრად შეიცვალა. 1992 წელს მალტის უნივერსიტეტში, იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც სურდათ ახალგაზრდული (ან თემის) მუშაკის კარიერის გზას დადგომოდა, დაარსდა ახალგაზრდული კვლევების ინსტიტუტი. კურსდამთავრებულთა პირველმა ჯგუფმა დააარსა მალტის ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია (1998 წელს). მათ მალევე (2001წ) გამოაქვეყნეს ახალგაზრდული მუშაკის ეთიკის კოდექსი. ამის შემდეგ, მალტისთვის პირველ - ახალგაზრდობის ეროვნულ კონფერენციაზე, დაარსდა ახალგაზრდობის ეროვნული საბჭოც. 1993 წელს შეიქმნა ხელოვნებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, რომელმაც გამოაქვეყნა პირველი დოკუმენტი ,,ახალგაზრდული პოლიტიკის“ შესახებ, რასაც მოჰყვა ახალი დოკუმენტები 1999, 2004 და 2010 წლებში.

ახალგაზრდული საქმიანობა პოლიტიკურად აღიარებულია ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ არსებული კანონის აქტით (2014). აქტი ითვალისწინებს მალტაში ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკის არსებობის აუცილებლობას. ამ აქტის ფარგლებში, შეიქმნა ახალგაზრდული პროფესიული საბჭო, რომელიც რეკომენდაციებს აძლევს ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ მინისტრს ახალგაზრდული მუშაკების ,,ორდენის“ გაცემასთან დაკავშირებით.

ესტონეთი

ახალგაზრდულ საქმიანობას ესტონეთში, ძალიან გრძელი ისტორია აქვს. პირველი მცდელობა, რომ ახალგაზრდულ საქმიანობას სისტემური სახე მიეღო იყო 1911 წლიდან, თუმცა, უფრო ორგანიზებული ახალგაზრდული საქმიანობა ესტონეთში ითვლება, რომ 1920 წლიდან დაიწყო. რადგან სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ახალგაზრდების განვითარებასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული აქტივობებისა და გარემოს შექმნა-განვითარება და ახალგაზრდების განათლებაში ექსტრა კურიკულარულ აქტივობებს ამ დროს მიენიჭა მნიშვნელობა.

მეორე მსოფლიო ომმა და ესტონეთის საბჭოთა ოკუპირებამ ხელი შეუშალა ახალგაზრდული საქმიანობის სწორად, ჯანსაღად განვითარებას; ცხოვრების ყველა სფეროს მსგავსად, ოკუპირებულმა ძალამ, ახალგაზრდული საქმიანობის ცენტრალიზება მოახდინა. საბჭოთა ეპოქას ახალგაზრდული ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა ვერ გადაურჩა; თუმცა 1994 წლიდან დაიწყო სწრაფი ცვლილებების, მნიშვნელოვანი რეფორმებისა და დეცენტრალიზაციის პერიოდი; მოხდა ძველი, საბჭოთა ახალგაზრდული საქმიანობისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების რეორგანიზება მეტად მოქნილ სისტემაში. 1992 წელს დაარსდა ახალგაზრდული მუშაკების ტრენინგების პროგრამა, მალევე (1998) გაიხსნა პირველი ახალგაზრდული ცენტრი.

ესტონეთში ახალგაზრდული საქმიანობის პროფესიონალიზაციის ნათელი ნიშანია - ახალგაზრდული მუშაკის პროფესიული სტანდარტის არსებობა. სტან-

დარტი ერგება ახალგაზრდებთან მომუშავე სხვადასხვა სპეციალისტს: ახალ-გაზრდულ მუშაკს, კარიერულ კონსულტანტს, ახალგაზრდული ბანაკების მენეჯერ-მასწავლებელსაც. პროფესიული სტანდარტი დამტკიცდა 2006 წელს, ამის შემდეგ, პერიოდულობით ის ახლდება. გარდა ამისა, ახალგაზრდულ საქმიანობას ასწავლიან ესტონეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში ბაკალავრიატის დონეზე; არსებობს ტრენინგ-პროგრამები როგორც დამწყები, ისე გამოცდილი ახალგაზრდული მუშაკებისთვის.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. ტომი კილაკოსკი. ახალგაზრდობის საქმიანობის განათლება ფინეთში. ფინეთის ახალგაზრდობის კვლევითი ქსელი. 2019. https://www.researchgate.net/publication/338124221_YOUTH_WORK_EDUCATION_IN_FINLAND
2. ალენა იგნატოვიჩი, მაქს ფრასი და ტანია ბასარაბი. ახალგაზრდული საქმიანობა აღმოსავლეთ ევროპაში: რეალობები, პერსპექტივები და ინიციატივები. 2020. https://pjpeu.coe.int/documents/42128013/47261953/061120Youth+work+eastern+Europe+WEB.pdf/0d148ae4-acf4-1572-7491-f68ec9276a71
3. მარტი ტარუს, ელი პივლე და პიტერ კაასიკი. ახალგაზრდული საქმიანობის ისტორია ესტონეთში. 2014. https://pjp-eu.coe.int/documents/42128013/47262055/H4_Estonia.pdf/35c039ec-6c00-4c7e-8106-19ce70919e06

2.6 ახალგაზრდული საქმიანობის ფორმები - I ნაწილი

ავტორი: ირმა გიორგობიანი

იმ სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, რომლებიც განსაზღვრავენ ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკას, დროთა განმავლობაში, გამოწვევებისა და საჭიროებების საპასუხოდ, ახალგაზრდებთან მუშაობის განსხვავებული ფორმები ჩამოყალიბდა. საქმიანობის მრავალფეროვანი ტიპები, იმ მიზნების მიღწევას ემსახურება, რასაც ზოგადად ახალგაზრდული საქმიანობა, თუმცა ზოგიერთი მათგანი აქცენტს კომპეტენციების კონკრეტულ სპექტრზე ან კონკრეტულ სამიზნე ჯგუფზე აკეთებს. განვიხილოთ ახალგაზრდული საქმიანობის ძირითადი ფორმები:

ცენტრზე დაფუძნებული ახალგაზრდული საქმიანობა - ცენტრზე დაფუძნებული ახალგაზრდული საქმიანობა მიმდინარეობს სპეციალურად გამოყოფილ დაწესებულებაში - ახალგაზრდულ სივრცეებში. ეს შეიძლება იყოს ახალგაზრდული კაფე, სპორტული ცენტრი, ახალგაზრდული კლუბი ან რაიმე მსგავსი ტიპის დაწესებულება, სადაც ახალგაზრდები იკრიბებიან, ხვდებიან ერთმანეთს და ერთვებიან ისეთ მრავალფეროვან აქტივობებში როგორიცაა მაგალითად სპორტი, კულინარია, ხელოვნება, ვიდეო თამაშები და ა.შ. გარდა ჰობი აქტივობებისა, ცენტრი ახალგაზრდებს შეიძლება სთავაზობდეს საგანმანათლებლო აქტივობებს, ტრენინგებს, ვორქშოფებს, პროექტებს მათთვის მნიშვნელოვან და საჭირო თემებზე, როგორიცაა მაგალითად, რეპროდუქციული და მენტალური ჯანმრთელობა, ადამიანის უფლებები; კლუბებში ახალგაზრდებმა შესაძლებელია ორგანიზება გაუკეთონ საქველმოქმედო ღონისძიებებს, დაგეგმონ

ლაშქრობები და ექსკურსიები, გააკეთონ ადვოკატირების კამპანიები. მთელს ამ საგანმანათლებლო პროცესებს უძღვებიან ახალგაზრდული მუშაკები. ძირითად შემთხვევაში კლუბების მიზანია ახალგაზრდები მოაშოროს ქუჩას, უსაფრთხო გარემოში წარმართოს მათი თავისუფალი დრო; განვითარებაზე ორიენტირებული, ჯგუფური აქტივობებით და დაეხმაროს სოციალური უნარებისა და პიროვნულ განვითარებაში. ასეთი ცენტრები ახალგაზრდებს აძლევს საშუალებას გაიფართოონ თავიანთი წრე ახალი ადამიანებით, როგორც თანატოლებით, ასევე ზრდასრულებით, ჰქონდეთ სივრცე, სადაც მათ მიმართ ღია, მიმღებლური დამოკიდებულებაა და რომლის მიმართაც უჩნდებათ მიკუთვნებულობის განცდა; შეუძლიათ მოსინჯონ სხვადასხვა როლები, მოახდინონ რეფლექსია საკუთარ განვითარებაზე, მიიღონ მხარდაჭერა და რჩევები.

ცენტრზე დაფუძნებული საქმიანობა შესაძლებელია იყოს ღია, რაც გულისხმობს, რომ ნებისმიერ მსურველს შეუძლია ჩაერთოს აქტივობებში, ან შესაძლებელია აქცენტს აკეთებდეს კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებზე.

მობილური ახალგაზრდული საქმიანობა - მობილური ახალგაზრდული საქმიანობა დაფუძნებულია ახალგაზრდების ინდივიდუალურ საჭიროებებზე და ხორციელდება იქ, სადაც ახალგაზრდული სერვისები არ არის ხელმისაწვდომი, ან ახალგაზრდები უბრალოდ არ სარგებლობენ მათით. ამ ტიპის საქმიანობისსამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ისეთი მოწყვლადი, მარგინალიზებული ახალგაზრდები, როგორიცაა: განათლების, დასაქმების და ტრენინგს მიღმა მყოფი ახალგაზრდები, ქუჩაში მცხოვრები ბავშვები და ახალგაზრდები, და ასევე ბანდები. ამ ტიპის პრაქტიკა მიმდინარეობის არა ორგანიზაციულ ან ინსტიტუციურ გარემოში, არამედ, ახალგაზრდების საკუთარ ტერიტორიაზე, მაგალითად ქუჩებში, კაფეებში, პარკებში, ისეთ დროს რაც მათთვის ხელსაყრელი და მისაღებია.

როგორც წესი, მობილური ახალგაზრდული საქმიანობა ცდილობს უპასუხოს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- ახალგაზრდების სოციალური ექსკლუზია და გარიყულობა;
- კრიმინალური ქცევა და ბანდები;
- სარისკო ქცევა, მათ შორის, მავნე ნივთიერებების გამოყენება, სექსუალური ჯანმრთელობის პრობლემები, ანტი-სოციალური ქცევა;
- თემის განვითარება - უფრო კონკრეტულად კი, ახალგაზრდების მხარდამჭერი სერვისების განვითარება და უკვე არსებულ სერვისებში ხარვეზების აღმოფხვრა.

იქიდან გამომდინარე, რომ მობილური ახალგაზრდული მუშაკები არ ოპერირებენ შენობებში ან რაიმე ინსტიტუციურ კონტექსტში, რაც მათ ძალაუფლებასა და კონტროლს მიანიჭებდა, ახალგაზრდებს არ აქვთ არანაირი ვალდებულება მონაწილეობა მიიღონ აქტივობებში ან იმ წესებს მიჰყვნენ, რასაც მათ ახალგაზრდული მუშაკი შესთავაზებს. ასე რომ, ახალგაზრდულ მუშაკსა და ახალგაზრდებს შორის ურთიერთობა მთლიანად მოხალისეობრივია და ყოველთვის კომუნიკაციაზე, მოლაპარაკებასა და შეთანხმებაზეა დამოკიდებული.

მობილური ახალგაზრდული საქმიანობა იყოფა სამ ძირითად სფეროდ: ინდივიდუალური, ჯგუფური და სათემო საქმიანობები. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ინდივიდუალური სამუშაო - ახალგაზრდული მუშაკები ცდილობენ მხარი დაუჭირონ ახალგაზრდებს, რომლებზეც ზრუნავენ. ამიტომ მათი პრობლემების გადასაჭრელად იყენებენ, როგორც კონსულტაციების ტექნიკებს, ასევე ცდილობენ მათთან ერთად გადადგან ქმედითი ნაბიჯები. პირადი კონსულტაციები გულისხმობს, როგორც კრიტიკულ სიტუაციებში მხარდაჭერას, ასევე, საჭიროების

შემთხვევაში, გრძელვადიან პროცესსაც. რაც ნიშნავს, რომ ახალგაზრდების პრობლემებს უყურებენ მათი ინდივიდუალური განვითარების ჭრილში და შეიმუშავებენ შესაბამისი დახმარების პროცესს. ინდივიდუალურ საქმეზე მუშაობისას სხვა ახალგაზრდებს, მეგობრებს, ბანდის, დაჯგუფების წევრებსაც სისტემატურად რთავენ პროცესში, რადგან მათი გავლენა და მნიშვნელობა ახალგაზრდაზე საკმაოდ დიდია.

ჯგუფური სამუშაო - ახალგაზრდებისთვის თანატოლთა ჯგუფები მნიშვნელოვან როლს ასრულებს და მათი სოციალიზაციის მთავარი არეალია. გარდა ამისა, ასეთი ჯგუფების წევრების ერთმანეთზე გავლენაც გასათვალისწინებელი ფაქტორია. ჯგუფი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როცა ინდივიდს არ აქვს ოჯახში დამაკმაყოფილებელი გარემო. ამიტომ ახალგაზრდული მუშაკები აუცილებლად მუშაობენ ჯგუფებთან, იმ პრობლემატიკის გარშემო, რაც მათ აწუხებთ. ტერიტორიულად ამ პროცესების ნაწილი შეიძლება წარიმართოს ქუჩაში, ნაწილი კი შენობაში რომელსაც ახალგაზრდული მუშაკი უზრუნველყოფს.

სათემო მუშაობა - ახალგაზრდული მუშაკს ინტენსიურად უწევს თემის დონეზე მუშაობა, იმისათვის, რომ გააჟღეროს მათ საჭიროებები ყველა შესაძლო უწყებასა თუ დაინტერესებულ მხარესთან. უბიძგოს ცვლილებების დაწყებას, რათა არსებული პოლიტიკა და სერვისები მაქსიმალურად მოარგოს ახალგაზრდების საჭიროებებს, იმისათვის, რომ მათ თავი იგრძნონ საზოგადოების ნაწილად, გაუჩნდეთ თემის მიმართ მიკუთვნებულობის განცდა, თავადვე შეძლონ თავიანთი ხმის გაჟღერება და შეიტანონ წვლილი თემის განვითარებაში.

Outreach ანუ მოზიდვის ახალგაზრდული საქმიანობა - ამ ტიპის ახალგაზრდული საქმიანობაც ახალგაზრდების საკუთარ ტერიტორიაზე მიმდინარეობს. ეს არის საქმიანობის ფორმა, რომელიც ავსებს და მხარს უჭერს ცენტრზე დაფუძნებულ ახალგაზრდულ საქმიანობას. უპირველეს ყოვლისა, მისი დანიშნულებაა ახალგაზრდების ინფორმირება იმ სერვისების შესახებ, რომლებიც ტერიტორიულად მათთან ახლოს მდებარეობს. ასევე, მათი წახალისება, რომ ისარგებლონ ამ სერვისებით. Outreach ანუ მოზიდვის საქმიანობის კიდევ ერთი დანიშნულებაა, ახალგაზრდებთან კონსულტაციის გზით სერვისებში არსებული ხარვეზების აღმოჩენა და მათი საჭიროებების დაკმაყოფილება. ამგვარად, outreach საქმიანობა აღიქმება, როგორც ცენტრზე დაფუძნებული საქმიანობის გაგრძელება და ხორციელდება, მაშინ როდესაც ცენტრში მომუშავე ახალგაზრდული მუშაკები გადიან ქუჩებში ახალგაზრდებთან, რათა წაახალისონ მათი ცენტრის სერვისებში ჩართულობა.

სასკოლო ახალგაზრდული საქმიანობა - სასკოლო ახალგაზრდული საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სკოლებში, ფორმალურ საგანმანათლებლო სისტემაში არაფორმალური განათლების ინტეგრირების კარგი მაგალითია. ხშირ შემთხვევაში, ამგვარი საქმიანობა ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების, სკოლის ან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაქირავებული ახალგაზრდული მუშაკის მიერ.

რატომ დაიწყო ახალგაზრდული საქმიანობის შესვლა სკოლაში? კვლევებმა აჩვენა, რომ ახალგაზრდები, რომლებიც ვერ აღწევდნენ წარმატებას ფორმალურ საგანმანათლებლო სისტემაში, სკოლიდან იყვნენ გარიცხული ან გარიცხვის პირას იდგნენ, ძალიან კარგად ვითარდებოდნენ ახალგაზრდული საქმიანობის არაფორმალურ გარემოში. ამიტომ, მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან ევროპის ქვეყნებში ნელ-ნელა დაიწყო ამ არაფორმალური პრაქტიკის სასკოლო სისტემაში შეტანა და დღემდე არაერთ ქვეყანაში აქტიურად იყენებენ ამ ფორმის ახალგაზრდულ საქმიანობას.

რას შეიძლება ახალგაზრდული მუშაკი საქმიანობდეს სკოლაში? კონკრეტული სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე, ახალგაზრდული მუშაკი შეიძლება ჩართული იყოს როგორც მთელი სკოლისთვის, ასევე მოწყვლადი, მარგინალური ჯგუფებისთვის განკუთვნილ პროგრამებსა და აქტივობებში, რომლებიც ემსახურება მოსწავლეების სასწავლო პროცესებში ჩართულობისა და მათი საგანმანათლებლო მიღწევების გაუმჯობესებას, ბულინგის პრევენციას, დასაქმებისა და ზოგადად სასიცოცხლო უნარების განვითარების ხელშეწყობას. ასევე, მოსწავლეების საერთო კეთილდღეობის გაუმჯობესებას და სკოლის ცხოვრებაში მათ ჩართულობის გაზრდას. აქტივობების დიაპაზონი შეიძლება მოიცავდეს გაკვეთილებს, სკოლის შემდგომ კლუბებს, ახალგაზრდულ საბჭოებს, გასართობ ღონისძიებებს და მოსწავლეების ინდივიდუალურ მენტორინგს.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. ბატსლერ ჯენეტი და დეივის ბერნარდი. რა არის ახალგაზრდული საქმიანობა? 2010. https://www.perlego.com/book/861674/what-is-youth-work-pdf
2. მობილური ახალგაზრდული საქმიანობის დასაწყისი. 2020. http://www.mannaministrytraining.co.uk/resource_files/detached/handout.pdf
3. ევროპის კომისია. ციფრული ახალგაზრდული საქმინობის განვითარება. რეკომენდაციები, ტრენინგის საჭიროებები და კარგი პრაქტიკის მაგალითები. 2016-2018. https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/fbc18822-07cb-11e8-b8f5-01aa75ed71a1
4. ქეით სპეინი. ახალგაზრდული მუშაობის პრაქტიკისთვის აუცილებელი უნარები. 2013. https://books.google.ge/booksid=NULT3uugpMC&printsec=frontcover&-source=gbs_ge_summary_r&cad=0#v=onepage&q&f=false
5. ვებ-გვერდი: https://www.youthscape.co.uk/research/news/faith-based-yw
6. SAGE სახელმძღვანელო ახალგაზრდული სამუშაო პრაქტიკის შესახებ. 2018. The SAGE Handbook of Youth Work Practice - Google Books

2.7 ახალგაზრდული საქმიანობის ფორმები – II ნაწილი

ავტორი: ირმა გიორგობიანი

რწმენაზე დაფუძნებული ახალგაზრდული საქმიანობა ერთ-ერთი პირველი ფორმაა ახალგაზრდული საქმიანობის ისტორიაში. ამ ტიპის პრაქტიკა რელიგიურ/მორალურ ნორმებს ეფუძნება და მისი მიზანია კონკრეტული რელიგიური სწავლე-ბისა და შეხედულებების გაზიარება ახალგაზრდებთან. ახალგაზრდული მუშაკები იყენებენ რელიგიურ ტექსტებს ახალგაზრდებთან მუშაობის პროცესში (მაგ. ბიბლიას, ყურანს) და ამ გზით ცდილობენ უზრუნველყონ მათი განვითარება და პერსონალურ, სოციალურ და მორალურ საკითხებში გარკვევა.

რწმენაზე დაფუძნებული ახალგაზრდული საქმიანობის მიზანი არ არის აღმსარებლობის გავრცელება და პროპაგანდა. მისი დანიშნულება ისევე, როგორც

სხვა ტიპის ახალგაზრდული საქმიანობისთვის, ახალგაზრდებში მათი სრული პოტენციალის განვითარებისა და საერთო კეთილდღეობის ხელშეწყობაა. ის იზიარებს ინკლუზიურობის პრინციპს და მიისწრაფვის ახალგაზრდების გაძლიერებისა და მონაწილეობის ხელშეწყობისკენ. ასევე, ახალგაზრდების სოციალური კომპეტენციების განვითარება და თემთან ურთიერთობა აქაც ერთ-ერთი წამყვანი თემაა. ამგვარი ტიპის საქმიანობით ახალგაზრდული მუშაკები ცდილობენ ახალგაზრდებში გააღვივონ კრიტიკული აზროვნება და დაანგრიონ სტერეოტიპული შეხედულებები. ასევე კონკრეტული მოცემულობიდან გამომდინარე რწმენაზე დაფუძნებული ახალგაზრდული საქმიანობის ერთ-ერთი მიზანი შეიძლება იყოს საზოგადოებაში კონკრეტული რელიგიური ჯგუფის მიმართ არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულებების მსხვრევა და ამ რელიგიის აღმსარებელი ახალგაზრდების ფართო საზოგადოებაში სოციალიზაციისა და ინკლუზიის ხელშეწყობა.

მისი პროვაიდერი შეიძლება იყოს ნებისმიერი აღმსარებლობის რელიგიური ჯგუფი, თუმცა მათი საქმიანობა შეიძლება ხორციელდებოდეს, როგორც რელიგიურ, ასევე სეკულარულ კონტექსტში.

რწმენაზე დაფუძნებული ახალგაზრდული საქმიანობა დღესაც საკმაოდ პოპულარულია. მაგალითად, ჩრდილოეთ ირლანდიის ახალგაზრდული საქმიანობის 64% სწორედ რწმენაზეა დაფუძნებული. დიდ ბრიტანეთშიც ბოლო წლებში საკმაოდ გაიზარდა რწმენაზე დაფუძნებული ახალგაზრდული საქმიანობის სერვისების რაოდენობა.

ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა ახალგაზრდული საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე ახალი ფორმაა ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა, რისი წარმოშობაც საზოგადოების მზარდი გაციფრულების ფონზე, რელევანტური პასუხია ეპოქის გამოწვევებზე. დღევანდელი ციფრული ეპოქა მუდმივად ისწრაფვის განავითაროს ჩვენი ცხოვრების ონლაინ ნაწილი. ახალგაზრდებისთვის ციფრული შესაძლებლობები უსასრულოა და სულ უფრო და უფრო მეტად ხდება მათი ცხოვრების ბუნებრივი და განუყოფელი ნაწილი. რა თქმა უნდა, ახალგაზრდულ საქმიანობაში ეს გარემოება ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. ამ საჭიროებებზე საპასუხოდ გაჩნდა ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა, რაც გულისხმობს ციფრული მედიისა და ტექნოლოგიების პროაქტიულ გამოყენებას ახალგაზრდულ საქმიანობაში. მისი ინტეგრირება შეიძლება ნებისმიერი სხვა ტიპის ახალგაზრდულ საქმიანობაში ეს იქნება ღია, მობილური, ცენტრზე დაფუძნებული თუ საინფორმაციო ახალგაზრდული საქმიანობები.

ციფრულ ახალგაზრდულ საქმიანობას აქვს ზუსტად იგივე მიზნები, რაც ზოგადად ახალგაზრდულ საქმიანობას, იმ განსხვავებით, რომ ამ მიზნების მისაღწევად აქტიურად იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს.

ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა შეიძლება მიმდინარეობდეს რეალურ, ფიზიკურ სამყაროში, ადამიანებთან პირისპირ ურთიერთობისას, ისევე როგორც ონლაინ გარემოში, ან ამ ორის კომბინაციაში. აღსანიშნავია, რომ ციფრული მედია და ტექნოლოგიები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ხელსაწყოდ ან როგორც აქტივობა ან შინაარსი. ციფრულ ახალგაზრდულ საქმიანობა ემყარება იგივე ეთიკას, ღირებულებებსა და პრინციპებს, რასაც ახალგაზრდული მუშაობა.

ამ ტიპის პრაქტიკას უფრო მეტად აქცენტს აკეთებს და ხელს უწყობს 21-ე საუკუნის უნარების განვითარებას, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია როგორც დასაქმების კუთხით, ასევე თანამედროვე საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად.

ჰობი განათლება ჰობი განათლება არის ახალგაზრდული საქმიანობის მიმართულება, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდების მრავალმხრივ განვითარებას მათი ინტერესების/ჰობის საფუძველზე. ჰობი განათლება ეროვნული ან ინსტიტუციონალური კურიკულუმის საფუძველზე ხორციელდება ახალგაზრდების ნებაყოფლობითი მონაწილეობით. იგი ახალგაზრდული საქმიანობის ყველაზე ფორმალიზებული ნაწილია, რადგანაც იმართება ცენტრალიზებული იერარქიული სტრუქტურით.

ჰობი განათლება ფორმალური განათლებისგან თავისუფალი დროის განმავლობაში მიმდინარეობს და, შესაძლოა, განხორციელდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ახალგაზრდული ცენტრების და სხვა ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ, რომლებიც შესაბამის აკრედიტაციას მიიღებენ. ჰობი განათლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდების თავისუფალი დროის ორგანიზების კუთხით. გარდა ამისა, ყველა ახალგაზრდას გააჩნია გარკვეული ინტერესები/ჰობი და მნიშვნელოვანია, რომ მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, დაკავდნენ შესაბამისი უნარების განვითარებით კომპეტენტურ პირებთან და მათთვის უსაფრთხო გარემოში. ახალგაზრდები ჰობი განათლებაში მონაწილეობენ მათ მიერ არჩეულ ინტერესის სფეროს/ჰობის შესაბამისად, რომელიც შეიძლება იყოს სპორტი, მუსიკა, ხელოვნება, ცეკვა, თეატრი, ბუნება, ხელსაქმე, ტექნოლოგიები თუ უამრავი სხვა რამ.

მიუხედავად იმისა, რომ ჰობი განათლება ფოკუსირებულია სპეციალური უნარების განვითარებაზე, საგანმანათლებლო აქტივობები ხელს უნდა უწყობდეს ახალგაზრდებში პიროვნული და სოციალური კომპეტენციების განვითარებასაც.

ახალგაზრდული საქმიანობის ფორმები საქართველოში

საინტერესოა, ზემოთ ჩამოთვლილი ფორმებიდან რომლები გვხვდება საქართველოში? სამწუხაროდ, ამჟამად არ გვაქვს ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევა, რომელიც ობიექტურ სურათს მოგვცემდა. თუმცა, სუბიექტური დაკვირვებით შემიძლია გითხრათ, რომ გვხვდება ცენტრზე დაფუძნებული ახალგაზრდული საქმიანობა. მთელი საქართველოს მასშტაბით არსებობს ახალგაზრდული ცენტრები, რომლებიც ახალგაზრდებს სხვადასხვა სერვისებს სთავაზობენ. თუმცა მათი რაოდენობა არასაკმარისია, განსაკუთრებით კი სოფლებსა და მაღალმთიან ტერიტორიებზე. არ გვხვდება რწმენაზე დაფუძნებული ახალგაზრდული საქმიანობის შემთხვევები და არ ვფლობ ინფორმაციას Outreach ანუ მოზიდვის ახალგაზრდული საქმიანობის სერვისებზეც.

კიდევ ერთი გავრცელებული ფორმაა სასკოლო ახალგაზრდული საქმიანობა, რომელსაც სკოლაში საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები ახორციელებენ. ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა ნელ-ნელა იკიდებს ფეხს და ამ მიმართულებით მიმდინარეობს მცირე მასშტაბიანი აქტივობები მაგ. ონლაინ საგანმანათლებლო თამაშები, ჯეოქეჩინგი, ვორქშოფები ციფრულ წიგნიერებასა და უსაფრთხოებაზე. მისი განვითარების საჭიროება განსაკუთრებით ნათლად პანდემიამ დაგვანახვა. ჩნდება ამ მიმართულებით პროექტებიც. ამჟამად, ახალგაზრდობის სააგენტოს დაფინანსებით სურამის ახალგაზრდულ სახლში მიმდინარეობს პროექტი „ ციფრული ახალგაზრდული მუშაობა ციფრული სამყარო“ , რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს ციფრული ახალგაზრდული მუშაკების მომზადება.

რაც შეეხება მობილურ ახალ გაზრდულ საქმიანობას, ჯერჯერობით საქართველოსთვის უცხოა. თუმცა, ახალგაზრდობის სააგენტომ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ევროკავშირის პროგრამა „უნარები წარმატებისთვის

ფარგლებში“ დაიწყო მობილური ახალგაზრდული საქმიანობის პროექტი, რომლის ფარგლებში სულ მალე ქვეყანაში გვეყოლება 20 მობილური ახალგაზრდული მუშაკი, რომლებიც 10 მუნიციპალიტეტში დაიწყებენ საქმიანობას.

ჰობი განათლებას საქართველოში ძირითადად ახორციელებენ მუნიციპალური ინსტიტუტები: როგორიცაა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები, სახელოვნებო და სასპორტო სკოლები. ისინი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, თუმცა არსებულ პრაქტიკას ბევრი ნაკლოვანება აქვს ხელმისაწვდომობისა და ხარისხის თვალსაზრისით.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. ბატსლერ ჯენეტი და დეივის ბერნარდი. რა არის ახალგაზრდული საქმიანობა? 2010. https://www.perlego.com/book/861674/what-is-youth-work-pdf
2. მობილური ახალგაზრდული საქმიანობის დასაწყისი. 2020. http://www.mannaministrytraining.co.uk/resource_files/detached/handout.pdf
3. ევროპის კომისია. ციფრული ახალგაზრდული საქმინობის განვითარება. რეკომენდაციები, ტრენინგის საჭიროებები და კარგი პრაქტიკის მაგალითები. 2016-2018. https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/fbc18822-07cb-11e8-b8f5-01aa75ed71a1
4. ქეით სპეინი. ახალგაზრდული მუშაობის პრაქტიკისთვის აუცილებელი უნარები. 2013. https://books.google.ge/booksid=NULT3uugpMC&printsec=frontcover&source=gbs_ge_summary_r&cad=0#v=onepage&q&f=false
5. ვებ-გვერდი: https://www.youthscape.co.uk/research/news/faith-based-yw
6. იორკის წმინდა იოანეს უნივერსიტეტი. რწმენაზე დაფუძნებული ახალგაზრდული საქმიანობა: განათლება, ჩართულობა და ეთიკა. 2018. https://ray.yorksj.ac.uk/id/eprint/1954/1/Resumission%20Z.pdf
7. SAGE სახელმძღვანელო ახალგაზრდული სამუშაო პრაქტიკის შესახებ. 2018. The SAGE Handbook of Youth Work Practice - Google Books

2.8 ახალგაზრდების ინფორმირება და კონსულტირება

ავტორი: ირმა გიორგობიანი

ახალგაზრდები, რომლებიც ბავშვობიდან ზრდასრულ ასაკში გადადიან, თავიანთი ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვან და განსაკუთრებულ ეტაპზე იმყოფებიან. მათ მოუწევთ მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებსაც დიდი გავლენა ექნება მათ მომავალზე. არჩევანი, რომელიც უნდა გააკეთონ განათლების, კარიერისა და პირადი ცხოვრების სხვა ასპექტების კუთხით, მთლიანად განსაზღვრავს მათ ცხოვრებას. ეს გადაწყვეტილებები, უნდა ემყარებოდეს მიუკერძოებელ, სრულყოფილ და ყოვლისმომცველ ინფორმაციას.

როდესაც გადაწყვეტილების მიღების წინაშე დგებიან, ახალგაზრდები მიმართავენ ინფორმაციის მრავალფეროვან წყაროებს, მათ შორის სპეციალიზებულ და ზოგად ახალგაზრდების ინფორმირებისა და კონსულტაციის სერვისებს. ტერმინი „ახალგაზრდების ინფორმირება და კონსულტირება” შეიძლება მოიცავდეს სერვისების ფართო სპექტრს, რომლებიც მოქცეულია სხვა-

დასხვა ჩარჩოებში და უზრუნველყოფილია სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ. ახალგაზრდების ინფორმირებისა და კონსულტირების ძირითადი მიზანია, ახალგაზრდების დახმარება მათი ცხოვრების ყველა ასპექტში განსაკუთრებით, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. რაც ემყარება იმ აზრს, რომ შეუძლებელია გონივრული გადაწყვეტილების მიღება სხვა ვარიანტებისა და ალტერნატივების ცოდნის გარეშე. ამასთან, გარდა იმისა, რომ ახალგაზრდები უნდა ფლობდნენ ინფორმაციას სხვადასხვა შესაძლებლობების შესახებ, მათ უნდა შეეძლოთ შეაფასონ ალტერნატივები და სწორად დაუკავშირონ საკუთარ უნარებსა და მისწრაფებებს.

ახალგაზრდების ინფორმირება მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს სანდო, ზუსტი და გასაგები ინფორმაციის მიწოდება;
- უზრუნველყოს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებსა და არხებზე ხელმისაწვდომობა;
- ასევე, ყველა რელევანტურ თემაზე არსებული ვარიანტებისა და შესაძლებლობების მიმოხილვა;
- დაეხმაროს ახალგაზრდებს გაფილტრონ ზღვა ინფორმაცია, რომელთანაც ყოველდღიურად უწევთ შეხება;
- ასევე უზრუნველყოს, ის რომ ახალგაზრდებმა იცოდნენ თავიანთი უფლებები, ასევე - რა სერვისებია ხელმისაწვდომი მათთვის და როგორ ისარგებლონ ამ სერვისებით;
- დაეხმაროს, მიღებული ინფორმაციის შეფასებასა და ხარისხის/სანდოობის დადგენაში;
- ასევე, დაეხმაროს მიიღონ გადაწყვეტილებები და იპოვონ მათთვის საუკეთესო და ხელმისაწვდომი ვარიანტები;
- შესთავაზოს კომუნიკაციისა და დიალოგის სხვადასხვა არხები, რათა ხელი შეუწყოს ახალგაზრდებს ინფორმაციისა და ცოდნის ძიებაში;
- ასევე, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების მედია და ინფორმაციულ წიგნიერებას.

ახალგაზრდების ინფორმირების მნიშვნელობა წლების მანძილზე იზრდება. ინფორმაციის მიმართ კრიტიკული მიდგომა უმნიშვნელოვანესი გახდა, რადგან ინტერნეტი დღეს ყველას აძლევს საშუალებას, გამოაქვეყნოს ნებისმიერი რამ ნებისმიერ თემაზე. ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, რომ, დაუყოვნებლივ, ეჭვქვეშ უნდა დააყენონ მოძიებული ინფორმაცია და მათ ხელთ არსებული ყველა შესაძლო ტექნიკით შეაფასონ და დაადგინონ მისი ხარისხიანობა. ახალგაზრდების ინფორმირება მიისწრაფვის, რომ ამგვარი ტექნიკები გამოიყენოს არა მხოლოდ საკუთარ კვლევებში, დოკუმენტებსა და გავრცელებულ ინფორმაციაში, არამედ სულ უფრო მეტად ცდილობს, შეიმუშაოს ახალგაზრდებისთვის თანამედროვე ცხოვრების შესაბამისი ძირითადი უნარების გადაცემის გზები.

რაც შეეხება, ზოგად საინფორმაციო და საკონსულტაციო ახალგაზრდული სერვისების მომწოდებელ ორგანიზაციებს - ასეთი სერვისების და სტრუქტურების განვითარების ძირითადი იდეა, ყოველთვის იყო ახალგაზრდების უფლება, ჰქონ-დეთ სრულყოფილ, ზუსტ და დაბალანსებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, რომელიც უპასუხებს მათ კითხვებსა და საჭიროებებს და შექმნილია სპეციალურად მათთვის და შესაბამისად მათზე მორგებული და ადვილად გასაგებია.

არსებითად, ზოგადი საინფორმაციო ახალგაზრდული საქმიანობა მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომაა. რაც გულისხმობს, რომ ახალგაზრდული ინფორმაციის მიმწოდებელი ამოსავალ წერტილად იღებს ახალგაზრდობის კითხვებს და საჭიროებებს. ვინაიდან ეს მოიცავს ფაქტრო სპექ-

ტრის საკითხებსა და პრობლემებს, ცენტრი ან სერვისი, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდების ინფორმირებასა და კონსულტირებას, შესაძლებელია პასუხობდეს მრავალფეროვან თემატურ საკითხებს (იგულისხმება ზოგადი ინფორმირება) ან ახდენდეს მომხმარებლის გადამისამართებას იმ ორგანიზაციასა თუ სერვისთან, რომელიც კომპეტენტურია სასურველ სფეროში.

ზოგად ახალგაზრდულ საინფორმაციო ცენტრებსა და სერვისებს აქვთ შემდეგი მახასიათებლები, რომლებიც ემყარება ახალგაზრდების ინფორმირების ევროპულ ქარტიას, ან ეროვნულ სტანდარტებს, მათი არსებობის შემთხვევაში:

- ისინი სპეციალურად შექმნილია ახალგაზრდების საჭიროებებზე რეაგირებისთვის;
- ღიაა ყველა ახალგაზრდისთვის ყოველგვარი გამონაკლისისა და შეხვედრის წინასწარი დანიშვნის გარეშე;
- უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას სხვადასხვა თემატიკაზე, მრავალფეროვანი ფორმით, რომელიც მომზადებულია, როგორც ზოგადად ახალგაზრდებისთვის, ასევე სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების ჯგუფებისთვისაც;
- მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია არის პრაქტიკული, პლურალისტური, ზუსტი და რეგულარულად განახლებული;
- პერსონალურად ემსახურება თითოეულ მომხმარებელს, პატივს სცემს მის კონფიდენციალურობასა და ანონიმურობას, უზრუნველყოფს მაქსიმალურ არჩევანს და ხელს უწყობს მის ავტონომიურობას;
- შესაძლებელია, საჭიროების შემთხვევაში, მომხმარებელია გადამისამართება სპეციალურ სერვისებთან.

ეს არის მიდგომა, რომელიც მიიღეს ევროპის ახალგაზრდული ინფორმირებისა და კონსულტირების სააგენტოს (ERYICA) პარტნიორებმა და რომელიც XX საუკუნის 60-იანი წლებიდან გამოცდილია არაერთ ქვეყანაში. დღესდღეობით ასეთი მიდგომა ოცდაათზე მეტ ევროპულ ქვეყანაში გამოიყენება.

გარდა ზოგადი ახალგაზრდულ საინფორმაციო ცენტრებისა და სერვისებისა, რომლებიც ახალგაზრდების ინფორმირებას საკითხების ფართო სპექტრზე ახდენენ, სხვადასხვა სფეროში არსებობს სპეციალური ნაციონალური და ევროპული ორგანოები, რომლებიც ახალგაზრდებს (და ფართო საზოგადოებას) აცნობებენ თავიანთი კომპეტენციის სფეროს შესახებ.

შემდეგი თემები განეკუთვნება სპეციალიზებულ ინფორმაციულ მომსახურებას:

- კარიერული კონსულტირება;
- სწავლა და სტიპენდიები;
- დასაქმება და ტრენინგები;
- ზოგადი ჯანმრთელობის საკითხები;
- ურთიერთობები და სექსუალობა;
- სოციალური დაცვის სარგებელი და შეღავათები;
- ახალგაზრდების უფლებები;
- მომხმარებლების უფლებები;
- იურიდიული კონსულტაცია;
- ევროპული შესაძლებლობები ახალგაზრდებისთვის;
- ახალგაზრდული აქტივობები და გაცვლითი პროგრამები.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადი ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრების (სერვისების) მნიშვნელოვანი ფუნქციაა კარგი საინფორმაციო ბაზის შექმნა ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე არსებული სპეციალიზირებული სერ-

ვისების შესახებ. უფრო მეტიც, ცენტრი მუდმივად უნდა ავითარებდეს კონტაქტებსა და თანამშრომლობას ადგილობრივად, რათა მომხმარებელს შესთავაზოს საუკეთესო და ყოვლისმომცველი სერვისი.

რაც შეეხება ქართულ კონტექსტს, საქართველოში ამ ტიპის ახალგაზრდული საქმიანობა ახლა იკიდებს ფეხს და ძალიან მცირეა იმ ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებიც ახალგაზრდებთან ამ პროფილით მუშაობენ. ამ კუთხითაც, ისევე როგორც სხვა ტიპის ახალგაზრდული საქმიანობების შემთხვევაში, მწირი ინფორმაცია გვაქვს. თუმცა, ჩემს ხელთ არსებულ წყაროებზე დაყრდნობით, შემიძლია გითხრათ, რომ ამჟამად ზოგადი პროფილის ინფორმირებისა და კონსულტირების ცენტრები ჯერ-ჯერობით არ გვაქვს. თუმცა გვაქვს მცირე რაოდენობის სპეციალიზებული ცენტრები. მაგალითად „ერასმუს +“ -ის საინფორმაციო ცენტრი, რომელიც ახალგაზრდებს ერასმუსის ფარგლებში არსებული საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ აწვდის ინფორმაციას; ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია “ჰერა XXI”, რომელიც რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების, ცხოვრების ჯანსაღი წესისა და ხარისხიანი სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის კუთხით ახალგაზრდების ინფორმირებაზე მუშაობს.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. “ერასმუს +” პროგრამა. ახალგაზრდული საქმიანობის ინფორმაციის შესაბამისობა ახალგაზრდებთან. 2017. https://static1.squarespace.com/static/59ab1130ff7c50083fc9736c/t/59d61a41c027d8741e-a55c78/1507203655116/YIW+Booklet+Final.pdf
2. ევროპული ახალგაზრდული ინფორმაციისა და კონსუტაციის სააგენტო. რაარი სინფორმაციაახალგაზრდებისთვის. https://www.eryica.org/what-is-youth-information
3. ერასმუს+ ახალგაზრდებისთვის და ევროპის სოლიდარობის კორპუსის საინფორმაციო ცენტრი საქართველოში, https://www.facebook.com/EP.Georgia

2.9 ახალგაზრდული მუშაკი და მისი როლი

ავტორი: დეა აბულაძე

ახალგაზრდული მუშაკი არის ადამიანი, რომელიც ახორციელებს ახალგაზრდულ საქმიანობას, მუშაობს ახალგაზრდებთან სხვადასხვა ტიპის არაფორმალურ გარემოში და მიზნად ისახავს ინდივიდუალური ან/და ჯგუფურ აქტივობებში ახალგაზრდების ჩართვის გზით, მათი პიროვნული და სოციალური განვითარების ხელშეწყობას. ახალგაზრდულ მუშაკებს შეუძლიათ იმუშაონ სხვადასხვა კონტექსტში და მოირგონ მრავალი როლი, როგორიცაა, მაგალითად, ფასილიტატორი, ტრენერი, ჰობი-განათლების პედაგოგი.

ახალგაზრდული მუშაკები უშუალოდ ბავშვებთან, მოზარდებთან და ახალგაზრდებთან მუშაობენ და ეხმარებიან მათ ცხოვრებისეული უნარების განვითარებაში, ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და მათთვის რელევანტური, აქტუალური და საჭირო გადაწყვეტილებების მიღებაში. ისინი გეგ-

მავენ, ორგანიზებას უკეთებენ და ახორციელებენ სათემო პროგრამებს ახალგაზრდებისთვის და მათთან ერთად. ამ პროგრამების საშუალებით, ახალგაზრდული მუშაკები ახალგაზრდებს ეხმარებიან საკუთარი იდეების, რწმენების, დამოკიდებულებების გაგებაში, თვითშეფასების განვითარებაში და ბავშვობიდან ზრდასრულობამდე წარმატებულ გადასვლაში.

ახალგაზრდული მუშაკის როლია, ახალგაზრდებს შესთავაზოს მრავალფეროვანი, მათ საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული სივრცე და სხვადასხვა, დამოუკიდებელი, სრულფასოვანი ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობა.

ახალგაზრდულ მუშაკს ინტენსიურად უწევს თემის დონეზე მუშაობა, იმისათვის, რომ გააჟღეროს ახალგაზრდების საჭიროებები ყველა შესაძლო უწყებასა და დაინტერესებულ მხარესთან; იყოს ხიდი ახალგაზრდებსა და პოლიტიკის განმსაზღვრელებს, სერვისის მიმწოდებლებს შორის; უბიძგოს მათ ცვლილებების დაწყებისთვის და არსებული პოლიტიკა და სერვისები მოერგოს ახალგაზრდების საჭიროებებს. ეს მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ახალგაზრდებმა თავი იგრძნონ საზოგადოების ნაწილად, გაუჩნდეთ თემის მიმართ მიკუთვნებულობის განცდა, თავადვე შეძლონ თავიანთი ხმის გაჟღერება და შეიტანონ წვლილი თემის განვითარებაში.

ახალგაზრდული მუშაკის ძირითადი მოვალეობები და ამოცანები მოიცავს შემდეგს:

- ახალგაზრდების მოძიებასა და მათთან ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის დამყარებას;
- პროექტების შექმნასა და განხორციელებას, მათ შორის, სემინარების, ღონისძიებების, ინიციატივებისა და საერთო აქტივობების მოწყობას, ახალგაზრდების დასაკავშირებლად;
- ახალგაზრდების წახალისებას რომ ჩაერთონ, მონაწილეობა მიიღონ აქტივობების დაგეგმვაში, სათემო თუ საგანმანათლებლო პროექტებში და აქტივობების ჩატარება-განხილვა-შეფასებაში;
- ახალგაზრდების ინტერესების ადვოკატირებასა და მათ მრავალმხრივ, ინდივიდუალურ და ჯგუფურ მხარდაჭერას;
- თემში არსებული რესურსების აღმოჩენას, ფასილიტირებას, გამოყენებას და ათვისებას;
- ასევე, თემში არსებული საჭიროებების აღმოჩენასა და შესაბამის რეაგირებას;
- ახალგაზრდული საქმიანობის ნაწილი არის, ასევე, ადმინისტრაციული დავალებების შესრულება, მათ შორის, პროექტის დაფინანსებაზე განაცხადის შეტანა, ბიუჯეტის შედგენა, ყველა დაინტერესებული მხარისთვის ანგარიშების დაწერა და წარდგენაა;
- ახალგაზრდული მუშაკი, ასევე, ვალდებულია, ითანამშრომლოს სხვა ორგანიზაციებთან, როგორიცაა, მაგალითად, პოლიცია, საგანმანათლებლო დაწესებულებები, დასაქმების სააგენტოები, სკოლები და სხვა.

როგორ შეიძლება ადამიანი გახდეს ახალგაზრდული მუშაკი? ერთი ვარიანტი არის მოხალისეობრივად, მაგალითად, ადამიანს, რომელსაც სურს ახალგაზრდულ მუშაკად იმუშაოს მოხალისეობრივად, შეუძლია მიმართოს ახალგაზრდულ ცენტრს ან რომელიმე ორგანიზაციას, რომელიც ახალგაზრდულ საკითხებზე მუშაობს და იქ იპოვოს ნახევარ განაკვეთზე ან მოხალისეობრივი სამუშაო. მოხალისეობრივი საქმიანობა არის ამ სფეროში გამოცდილების მიღე-

ბისა და მნიშვნელოვანი კონტაქტების დამყარების კარგი შესაძლებლობა, განსაკუთრებით ახალგაზრებისთვის.

კიდევ ერთი გზა, თუ როგორ შეიძლება დაინტერესებული ადამიანი გახდეს ახალგაზრდული მუშაკი არის ხარისხის მიღებით, რომელიც საქართველოში, ჯერჯერობით არ არის შესაძლებელი. ევროპის ქვეყნებში არსებობს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები სათემო და ახალგაზრდულ საქმიანობაში, რომელიც სწავლასთან ერთად, სტუდენტებს ნახევარ განაკვეთზე ახალგაზრდულ მუშაკად მუშაობის შესაძლებლობას აძლევს. უნივერსიტეტებს, ხშირად, აქვთ მკაცრი კრიტერიუმები სტუდენტების შერჩევისთვის, რადგან ევროპაში ახალგაზრდული საქმიანობა არის მაღალ კონკურენტული პროფესია.

კიდევ ერთი გზა, თუ როგორ შეიძლება ადამიანი გახდეს ახალგაზრდული მუშაკი, ეს არის სერტიფიცირება-არსებობენ ასევე ორგანიზაციები, რომლებიც გასცემენ ახალგაზრდული მუშაკის სერტიფიკატს; უცხოეთში არსებობს სხვადასხვა დონის ახალგაზრდული მუშაკი და შესაბამისად, სხვადასხვა დონის სერტიფიკატი. საქართველოში, დღეს, არსებობს მხოლოდ ერთი, ახალგაზრდული მუშაკის სერტიფიცირების პროგრამა, რომელიც გასცემს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს. პროგრამა, ამ ეტაპზე, 6 თვიანია, მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სწავლებას და ხორციელდება 'საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაციის' მიერ.

ვინ არიან ახალგაზრდული მუშაკის დამსაქმებლები?

ახალგაზრდული მუშაკები მუშაობენ სხვადასხვა სამუშაო ადგილას და სექტორში, მათ შორის სისხლის სამართლის სფეროსა და სოციალურ ზრუვანში, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სტრუქტურებში. მაგალითად, ახალგაზრდული მუშაკი შეიძლება დასაქმდეს ადგილობრივ ხელისუფლებაში, ადგილობრივ საქველმოქმედო ორგანიზაციაში, სკოლასა ან პროფესიულ სასწავლებელში, ნარკომანიისა და ალკოჰოლის პრევენციის ცენტრში და სხვა სოციალური სერვისების მიმწოდებელ დაწესებულებებში.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. CLD სტანდარტების საბჭო. კომპეტენციების ჩარჩო. 2018. https://cldstandardscouncil.org.uk/wp-content/uploads/CompetentPractitionerFramework.pdf

2. შვარცი.ა. შვარცი.ც. და რომან.ს. ნისტორ.ს. და სხვ. ახალგაზრდები, ახალგაზრდული საქმიანობა და მათი გავლენა საზოგადოებაზე. 2016. https://www.researchgate.net/publication/311934931_YOUTH_YOUTH_WORK_AND_THEIR_IMPACT_IN_THE_COMMUNIY

2.10 ინტერვიუ ევროპელ ახალგაზრდულ მუშაკთან

ინტერვიუერი: დეა აბულაძე
რესპონდენტი: მიია ნისინაპო

მიია: მე მქვია მიია და ფინეთში ვცხოვრობ. იმ პოზიციაზე, სადაც ახლა ვმუშაობ, უკვე ორი წელია ვარ. მაგრამ უნივერსიტეტი 2017 წელს დავამთავრე.

მუნიციპალიტეტი, სადაც ვმუშაობ, ეს არის ქალაქი პარაინენი (პარგასი).



სურათი 2.10.1. ამონარიდი ინტერვიუდან

მოსახლეობა დაახლოებით 10 000 ადამიანია. ასე ვიტყოდი. მგონი, ჯერ უნდა დამეგუგლა. ვთქვათ, ათი ათასი ადამიანი. ეს არის საკმაოდ დიდი არქიპელაგი-ქალაქი, უამრავი კუნძული აქვს. მაშინაც კი, თუ მთავარ ქალაქ პარაინენში ვარ, კუნძულების გარშემო მოგზაურობაც მჭირდება, რადგან მათ იქ სკოლები აქვთ და იქაც არიან ახალგაზრდები.

მუნიციპალიტეტში კულტურული განყოფილების ქვეშ (სადაც მე ვმუშაობ), ვარ მე, როგორც სპეციალური ახალგაზრდული ლიდერი, შემდეგ არის ორი ახალგაზრდული ლიდერის პოზიცია, რომლებიც აქ, მთავარ ქალაქში, ქალაქ პარაინენში სხედან. და შემდეგ ... კუნძულ ნაუვოს ჰყავს ერთი ახალგაზრდული ლიდერი და კუნძულ კორპოს - ერთი ახალგაზრდობის ლიდერი, ასევე არის თავისუფალი დროის მდივანი და ის ასევე ნაუვოზეა. სკოლებში ჩვენ გვყავს ერთი ახალგაზრდული ლიდერი - სკოლის ახალგაზრდული ლიდერი (ახალგაზრდული მუშაკი). ასევე გვყავს მოსაზიდი ახალგაზრდული მუშაკი, რომელიც მუნიციპალიტეტის სოციალურ განყოფილებაში მუშაობს, ქალაქ პარაინენში. ვფიქრობ, იქ სამი ადამიანი მუშაობს.

მოსაზიდი ახალგაზრდული საქმიანობა დაახალგაზრდული საქმიანობა ფინეთის კანონშია აღნიშნული. ყველა მუნიციპალიტეტი ვალდებულია, ჰყავდეს ისინი. ასე რომ ... ისე კი არ არის, რომ თქვა: "ოჰ, კარგი, ჩვენ ეს (ახალგაზრდული საქმიანობა) არ გვჭირდება." შენ ეს გჭირდება! ეს ყველას სჭირდება!

ფინეთში, რასაც ზოგადად ახალგაზრდული მუშაკები აკეთებენ, არის იმის მცდელობა, რომ თავიდან აიცილონ მოვლენები, სანამ ისინი გახდებიან პრობლემები. როდესაც მათ (ახალგაზრდებს) უკვე აქვთ ნარკოტიკების პრობლემა (მაგალითად), ან იყენებენ ნარკოტიკებს, მაშინ ამაში უკვე რთავენ სოციალური მუშაკებს, მაგრამ ჩვენ ვაწყობთ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, ვორქშოპებს, იმ თემებზე, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ახალგაზრდისთვის, რომელზეც თვითონ უნდა იმსჯელონ და უკეთ გაიგონ. მე არ ვარ ის, რომელიც მიდის და ... "არ გააკეთო ეს და ის! ..." მე ვაწყობ სხვადასხვა ღონისძიებებს, რომელთა ამოცანაა, რომ ახალგაზრდა რეალურად თავად დაფიქრდეს, "ღირს ამის გასინჯვა?" "რა მოხდება, თუ ამას გავსინჯავ?" მათ უნდა შეეძლოთ ამის განხილვა სხვა ახალგაზრდებთან ერთად.

მე არ ვაკეთებ ხოლმე ღია განცხადებებს, მაგალითად, "ყველას შეუძლია მოსვლა, შემოგვიერთდი, დამირეკე". საქმე იმაშია, რომ მე ხშირად ვთანამშრომლობ სკოლებთან, მაგალითად, სკოლის მრჩეველთან, ან მსგავს ხალხთან, რომლებსაც შეიძლება უკეთესი წარმოდგენა აქვთ, ვის სჭირდება კონკრეტული სახის დახმარება და ა.შ. ამიტომ, ვცდილობ, კონტაქტი შევინარჩუნო სკოლებთან და იმ ადამიანებთან, რომლებიც მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან მუშაობენ, რათა გავარკვიო, რა საჭიროებები არსებობს იმ მომენტში.

კარგია, რომ სკოლებს სამსახურში აჰყავთ სკოლის ახალგაზრდული მუშაკები, პოზიცია, რომელიც ადრე ვახსენე, ამგვარი პოზიცია ეხმარება თანამშრომლობას სპეციალური ახალგაზრდული მუშაკებს, ან ახალგაზრდული ლიდერებს, სხვა ახალგაზრდული მუშაკებსა და და სკოლის დირექტორებს, ან

სკოლის მრჩეველებს, პედაგოგებს შორის... აი, მაგალითად, თუ გვსურს ჩავიდეთ და რაიმე სახის გაკვეთილები გავატაროთ სკოლაში, ის ასევე იქნება ის ადამიანი, ვინც მასწავლებლებს უკავშირდება და ეკითხება: "ჰეი, შეიძლება ახალგაზრდული ლიდერები მოვიდნენ და ესა და ის გააკეთონ?" ისინი ასევე პოულობენ გზებს, რომ ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაწყობთ, დაკავშირებული იყოს მასწავლებლის მიერ ჩატარებულ საკლასო განრიგთან. ის იქ არის, რომ მოსწავლეებს სკოლის დროს დაეხმაროს, მაგალითად, ჩაერიოს პრობლემებში, რომელიც შეიძლება შესვენებების დროს დაფიქსირდეს და ა.შ. ეს ის ადამიანია, ვისაც სკოლაში ყოფნის განმავლობაში შეუძლიათ მიმართონ. მეც დავდივარ სკოლებში, მაგრამ არა რეგულარულად. ყოველთვის არის რაღაც კონკრეტული მიზეზი, თუ რატომაც მივდივარ იქ. ვცდილობ იქ ვიყო ყოველ კვირას, მაგალითად, შესაძლოა, ერთ შესვენებაზე, ყავა დავუსხა მოსწავლეებს ან რამე გავაკეთო, იმისთვის, რომ მათ (სტუდენტებმა) გამიცნონ, თქვან, "ვინ არის ეს?", ან რატომ ვარ აქ და ა.შ. საქმე იმაშია, ყველაფერი, რასაც სპეციალური ახალგაზრდული ლიდერი აკეთებს არის თავისუფალი დროის გასაყვანი აქტივობები. მოსწავლეების თავისუფალ დროს ხდება, ჩვეულებრივ სკოლის შემდეგ. საქმე ისაა, რომ რასაც მე ვაკეთებ - მცირე ჯგუფებში მუშაობა, ან ინდივიდუალური სესიები მოსწავლეებისთვის და ა.შ., ესენი ყველაფერი არის მათთვის არასავალდებულო. ყველაფერზე, რასაც ვაკეთებ (გარდა იმისა, თუ სკოლაში რაღაც სპეციალურ ვორქშოფს ვაკეთებ), მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ ამ ღონისძიებებზე მოსვლის სურვილი, უნდა იგრძნონ, რომ თავიანთი გადაწყვეტილებით არიან იქ.

მაგალითად, გასულ ორშაბათს, ერთ-ერთ კუნძულზე, კორპოზე არსებულ სკოლაში წავედი, ვუთხარი მათ: "ჰეი, გსურთ გაზაფხულის პერიოდში მოვიდე და რაღაც აქტივობები მოვაწყო? რა საჭიროებები გაქვთ ახლა?" ეს სკოლები, ამ კუნძულზე, არის ფინურენოვანი და შვედურენოვანი. ეს არის ორენოვანი ქალაქი, ჩვენ ორივე ენა გვაქვს. ასე რომ, შვედურენოვან სკოლაში დირექტორმა ამიხსნა, რომ "ჩვენ გვაქვს საკითხები ამაზე და ამაზე უნდა ვიმუშაოთ, და ეს არის მიზეზი, რომ გვსურს, მიია, რომ მოაწყოთ მე–7 კლასის, მე–8 და მე–9 კლასის გუნდური მშენებლობის აქტივობები მოსწავლეებისთვის." მე ასევე ვუკავშირდები ფინურენოვან დირექტორს - "თქვენთან როგორაა საქმე რა საჭიროებები აქვთ თქვენ მოსწავლეებს?" და მან თქვა: "ჩვენ გვსურს, რომ მოაწყოთ გუნდური მშენებლობის აქტივობა მე-4 და მე-5 კლასებისთვის, მაგრამ თუ შევხედავთ მე-7-დან მე-9 კლასებს, მოსწავლეებს შორის ასეთი პრობლემები გვაქვს - ისინი ძალიან ინტროვერტები, ძალიან მორცხვები არიან, მათ სჭირდებათ ისეთი რამ, რაც დაეხმარება კიდევ უფრო გაიზარდონ და საკუთარი თავზე დაფიქრდნენ და უფრო მეტი გაიგონ, თუ როგორ შეუძლიათ იმუშაონ საკუთარ თვითშეფასებაზე და ა.შ. " ამიტომ, რა თქმა უნდა, აქტივობების შინაარსი დავგეგმე ამ თემის ფარგლებში. ჩვეულებრივ, ის რასაც ვაწყობ, ყოველთვის ინტერაქციულია.

***დეა:* და რამდენ ხანს მუშაობთ თითოეულ სკოლაში? მაგალითად, რამდენ ხანს იმუშავებთ ახლა თქვენს მიერ დასახელებულ სკოლაში. უკვე დაგეგმეთ, რამდენი თვის ან კვირის განმავლობაში წახვალთ იქ, ან მუშაობის დროს გეგმავთ ხოლმე ამ ყველაფერს?**

მიია: კუნძულებზე მდებარე სკოლებს არ ჰყავთ სკოლის ახალგაზრდული ლიდერი. ასე რომ, ცოტა განსხვავებულია ვითარება, მაშინ სკოლებთან კონტაქტი მე უნდა მქონდეს. რა თქმა უნდა, კუნძულებზე არიან ჩემი თანამშრომლები - რეზიდენტი ახალგაზრდული მუშაკები, და, რა თქმა უნდა, მათ შეიძლება უკეთესი წარმოდგენა

ჰქონდეთ კუნძულებზე მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ. შეიძლება, ასევე, მათთან ვითანამშრომლო ღონისძიების შინაარსის დაგეგმვაში და ა.შ. აქ, სადაც მე ვმუშაობ მთავარ ქალაქში, სკოლის ახალგაზრდულ ლიდერებთან ერთან ვგეგმავ ყველაფერს, რასაც ვაკეთებთ თითოეული კლასისთვის, ყოველი შემოდგომისა და გაზაფხულისთვის. და, რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს ესეთი სტრუქტურა - რა არის ამ სესიების და ღონისძიებების ძირითადი მიზნები, მაგრამ კლასებიდან გამომდინარე შესაძლოა, ცოტათი შეიცვალოს შინაარსი. ამიტომ სწრაფად უნდა დავგეგმო ღონისძიებები. რადგან საჭიროება მოულოდნელად შეიძლება მოვიდეს და შეიძლება სკოლებში თქვან, "ოჰ, იქნებ ახლა მიია მოვიდეს, რადგან ამ კლასში ჯგუფის დინამიკა მიდის ვუუუუუ! საერთაოდ არ მუშაობს. ჩვენ გვჭირდება მისი აქ მოსვლა გადაუდებლად", და შემდეგ იქნებ მაქვს ერთი კვირა, რომ დავგეგმო აქტივობები.

როგორც წესი, ჩემი ტაქტიკაა ის, რომ თუ არის ერთი კლასი, რომელსაც აქვს გარკვეული პრობლემური საკითხები, არ იქნება სამართლიანი, რომ მივიდე და მხოლოდ ამ ერთ კლასს ჩავუტარო ღონისძიებები. მაშინ ყველა იფიქრებს, რომ "აჰამ, ესე იგი, იმის გამო მოვიდა მიია აქ, რომ ჩვენს კლასში პრობლემაა", და სხვა კლასები იფიქრებენ - "ოჰ, იმათ კლასში არის პრობლემა." ასე რომ, ჩვეულებრივ, უნდა დავგეგმო აქტივობები მაგალითად, თითოეული მერვეკლასელისთვის ან ყველა მე-7 კლასისთვის და ა.შ. ისე რომ, არ იყოს აშკარა ან უხერხული რომელიმე კონკრეტული კლასისთვის. დიახ, ჩემი მუშაობის დროს ბევრი დრო დაგეგმვაზე მიდის, ანუ ოფისის საათებზე.

შემოდგომაზე ასეთი ვითარება იყო, სკოლის მრჩეველი დამიკავშირდა და მითხრა, რომ ბიჭების ჯგუფია, მერვეკლასელი ბიჭები, და მათ რაღაც აღარ მოსწონთ სკოლაში სიარული, არც აქვთ ჰობი, რომლითაც თავისუფალ დროს დაკავდებიან, და ცოტა ცელქობენ, და არ გვისმენენ და ა.შ. ის დამიკავშირდა და მკითხა: "მიია, შეგიძლია ამ ბიჭებს რამე მოუხერხო?" და მე ვუთხარი: "რა თქმა უნდა, თუ ისინი თანხმანი არიან, რომ შემხვდნენ, რადგან ის, რასაც ვაკეთებ, ნებაყოფლობითია, მათთვის მე არ მსურს მათი დაძალებით მონაწილეობა."

მოკლედ, მათ დაიწყეს სიარული და ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ყოველ მეორე კვირას შევხვდებოდით. ამ დროს სხვადასხვა სახის მეთოდებზე ვმუშაობდით, აი მაგალითად, მათ არ შეეძლოთ კარგი უკუკავშირის მიცემა ერთმანეთისთვის, მაშინ გადავწყვიტე, იქნებ განვიხილოთ პატივისცემის საკითხი, და ამაზე ვისაუბროთ, ან იქნებ რაიმე დავალებებს მივცემ პატივისცემის შესახებ. და იმის გამო, რომ მათ არ აქვთ ჰობი (ეს ასევე მნიშვნელოვანია ინკლუზიურობისა და ახალგაზრდებისათვის), ამიტომ გამოვკითხე: "რა გაინტერესებთ? ან რა სახის აქტივობა გინდა, რომ სცადო? მე დაგეხმარები შენ, როგორც ზრდასრული ადამიანი და წაგიყვან სხვადასხვა ადგილას და ჩვენ ვიპოვით თქვენს ინტერესებს და ა.შ."

ასე რომ, ჯერ დავიწყეთ ორ კვირაში ერთხელ შეხვედრით, შემდეგ, როცა შუალედური შეფასებები გავაკეთეთ, მათ გადაწყვიტეს, რომ ყოველ კვირას უნდათ ჩემთან შეხვედრა. ეს ერთადერთი იყო, რისი შეცვლაც ისურვეს პროგრამაში. და, რა თქმა უნდა, ისინი ყოველთვის მონაწილეობენ იმის დაგეგმვაში, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, მნიშვნელოვანია, რომ მათ ისწავლონ პასუხისმგებლობის აღება, და ისწავლონ, რომ ისინი თავად მართავენ საკუთარ მომავალს, გადაწყვეტილების იღებენ და ა.შ. მე არ ვთავაზობ მათ ყველაფერს გამზადებულს, მათ თვითონ უნდა იმუშაონ იმ საქმეებზე, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, აი, მაგალითად, "კარგი, იქნებ თუ ამას და ამას გავაკეთებთ, მაშინ წავალთ და რამე სახალისოს ვიზამთ, მაგალითად, პიცას შევჭამთ რესტორანში ან რაიმე მსგავსს".

ამ ერთ წელიწადში დავინახე, თუ როგორ განვითარდნენ ისინი შინაგანად, იმის შემდეგ, რაც ერთად დავიწყეთ მუშაობა. თვითონაც გრძნობენ, რომ მათი თავისუფალი დრო უფრო მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე ადრე იყო. და, რა თქმა უნდა, მე ვუკავშირდები სკოლას იმის გასაგებად, თუ რა გავლენა მოახდინა ჩემმა ნამუშევარმა, მაგალითად, აწყნარებს თუ არა მათ გაკვეთილებზე და შეუძლიათ თუ არა მათ მეტი პატივისცემის გამოხატვა სხვების მიმართ და ა.შ. და მათ თქვეს, რომ ამგვარი საქმიანობა ნამდვილად ახდენს გავლენას მათ ქცევაზე რეგულარულ სასწავლო გარემოში.

***დეა:* საქართველოში ხალხისთვის ჯერ კიდევ რთულია, გაიგოს, რატომ არის მაინცდამაინც ახალგაზრდული მუშაკის პოზიცია აუცილებელი სკოლებში, ან მუნიციპალიტეტის დონეზე, ან პროფესიულ სასწავლებლებში, რადგან რატომღაც აღიქმება, რომ იმ სახის სამუშაო, რასაც ახალგაზრდული მუშაკი აკეთებს, შეიძლება უნდა გაკეთდეს სოციალური მუშაკის ან ფსიქოლოგის მიერ. იქნებ დამიზუსტოთ, რატომ, არის, მაგალითად, ახალგაზრდული მუშაკი სკოლაში შეუცვლელი სკოლის ფსიქოლოგის მიერ, და რით არიან ისინი განსხვავებული და უნიკალური თქვენი გადმოსახედიდან?**

მიია: განსხვავება იმაშია, რომ ჩვეულებრივ, როდესაც თქვენ სკოლაში ჩართავთ სკოლის მრჩეველს ან ფსიქოლოგს და ა.შ., სკოლებში უკვე არსებობს პრობლემა, იმ ადამიანთან მიმართებით, ვისთანაც მუშაობენ. სკოლის ახალგაზრდული ლიდერის ან სპეციალური ახალგაზრდული ლიდერის, ან ახალგაზრდული მუშაკის ვალია რომ ხელი შეუშალონ პრობლემის ისე შორს წასვლას, რომ სკოლას დასჭირდეს ფსიქოლოგი ან მრჩეველთან ურთიერთობა. ჩვეულებრივ, ჩვენ ვმუშაობთ დიდ ჯგუფებთან. როცა ფსიქოლოგები ან სკოლის მრჩეველები ძირითადად ინდივიდუალურ დონეზე მუშაობენ. რა თქმა უნდა, არის სიტუაციები, ჩემი საქმიანობისას, როცა ვხედავ, რომ ამ ადამიანს ფსიქოლოგი სჭირდება და, უზურნველვყოფ იმას, რომ ამ ადამიანს აღმოუჩენენ შესაბამის დახმარებას. მაგრამ ეს სულ სხვა პროფესიაა, ჩვენ სხვადასხვა საქმეს ვაკეთებთ.

***დეა:* რა სახის საგანმანათლებლო შესაძლებლობები აქვთ ახალგაზრდულ მუშაკებს საკუთარი თავის პროფესიონალურად განსავითარებლად? არსებობს სამაგისტრო პროგრამები, საბაკალავრო პროგრამები, ან არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები, რათა საკუთარი თავი განავითარო?**

მიია: ფინეთში, თუ სწავლა გსურთ ახალგაზრდობის სფეროში, შეგიძლიათ ისწავლოთ მეორე საფეხურზე, სკოლის მეცხრე კლასის დამთავრების შემდეგ და გექნებათ მეორე დონის დიპლომი. საშუალო სკოლის მსგავსია, მაგრამ შემდეგ ყურადღებაა გამახვილებული, მაგალითად, ახალგაზრდულ საქმიანობაზე. შემდეგ შეგიძიათ ის შეისწავლო, როგორც მე, ბაკალავრის დონეზე, გამოყენებითი მეცნიერებების სპეციალობაში. სამნახევარი წლის განმავლობაში. მე ეს ავირჩიე, იმიტომ რომ ვიცოდი, მსურდა ხალხთან მუშაობა, ასე რომ, როდესაც დავიწყე პროფესიების თვალიერება, რისი სწავლაც შემეძლო, აღმოვაჩინე ეს პროგრამა, რითაც გავხდებოდი სათემო განმანათლებელი. ეს არის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტში, ფინეთში, ეს არის 3.5 წლიანი პროგრამა. ეს 210 სასწავლო კრედიტია. მე ძირითადად სამოქალაქო აქტივობა და ახალგაზრდული საქმიანობა შევისწავლე. ერთ-ერთი, რაც ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო პროგ-

რამაში, ეს იყო პროექტზე დაფუძნებული სწავლება. ამრიგად, სწავლების 1/3 ძირითადად თეორიაა, ან ლიტერატურა, 1/3 არის ტრენინგები და ბოლო 1/3 არის პროექტები. ანუ თქვენ რეალურად უნდა გაგეკეთებინათ პროექტები, მაგალითად, უნდა დაუკავშირდეთ არასამთავრობო ორგანიზაციას, მაგალითად, წითელ ჯვარს, ან სხვას. მაგრამ ეს გარკვეულწილად უნდა იყოს დაკავშირებული იმ კურსთან, რომელსაც უნივერსიტეტში გადიხართ

***დეა:* ანუ პრაქტიკულ სტაჟირებას გადიოდით?**

მიია: დიახ, მსგავსი, მაგრამ პრაქტიკული სტაჟირება კიდევ დამატებითად შედის, ამ სამის გარდა. თუ მსურს მაგისტრის ხარისხი მქონდეს, ეს უნდა იყოს ბაკალავრის დიპლომის აღებიდან 2-3 წლის შემდეგ. რადგან, როგორც წესი, ეს არის დროს თქვენი ლიდერობის უნარის განვითარებისთვის და ა.შ. თქვენ არ გექნებათ სამუშაო გამოცდილება, თუ უბრალოდ გადახტებით ერთი სასწავლო პროგრამიდან მეორეში. ასევე, ფინეთს არის ერთი უნივერსიტეტი - ტამპერის უნივერსიტეტი, სადაც შეგიძლიათ სამაგისტრო დიპლომის აღება და თქვენ გახდებით ახალგაზრდული საქმიანობის მაგისტრი. მგონი, ასე ჰქვია პროგრამას. ამ უნივერსიტეტს ყოველ წელს აქვს 8 პოზიცია ამ სამაგისტრო პროგრამაზეა. მუნიციპალიტეტში ჩვენი მთლიანი ბიუჯეტის ფარგლებში ასევე არსებობს საგანმანათლებლო ბიუჯეტი საკუთარი თავის პროფესიული განვითარების მიზნით. ეს არ მიხსენებია.

***დეა:* ანუ, მუნიციპალიტეტი იძლევა ფულს, რომ განავითაროს ის პერსონალი, რომელიც იქ მუშაობს?**

მიია: დიახ, მაგრამ ეს შეიძლება განსხვავებული იყოს მუნიციპალიტეტებში, მათი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. ზოგჯერ უწევთ გააკეთონ გარკვეული ფინანსური შემცირება. და მათ არ შეუძლიათ ამის დაფინანსება. მაგრამ, მაგალითად, თუკი ჩემს მუნიციპალიტეტში ვითარება არის ისეთი, რომ "ახლა ჩვენ არ გვაქვს ფული, მიია, შენთვის, რომ ფასიან განათლებაზე დახარჯო." მაგრამ ამის სანაცვლოდ, მე ვეტყვი: "მე მსურს ერასმუს+ ტრენინგზე წასვლა, შემიძლია თუ არა ჩემი სამუშაო საათების გამოყენება ამისთვის?" და თუ დავამტკიცებ, რომ ეს საჭიროა ჩემი საქმიანობისთვის, ისინი მაძლევენ საშუალებას, რომ წავიდე და სანამ მე იქ ვიქნები, ხელფასს მაინც მივიღებ, იქ მონაწილეობის დროს, მაგალითად.

დეა: ეს ძალზე მზრუნველი პოლიტიკაა.

მიია: დიახ, დიახ.

***დეა:* როგორ აწარმოებთ თქვენი საქმიანობის შეფასებას?**

მიია: ეს ცოტათი დამოკიდებულია ადამიანზე, რომელიც მუშაობს, მაგრამ მე მომწონს კონკრეტული გეგმის გაწერა, ეს არის ის, რისი გაკეთებაც მსურს წელს, შემდეგ კი გავაკეთებ შეფასებას, თუ რა მოხდა სინამდვილეში და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, როდესაც საქმე მუნიციპალიტეტს ეხება, როდესაც საქმე ახალგაზრდულ ცენტრებს/ოთახებს ეხება, თქვენ უნდა გქონდეთ გარკვეული სახის სტატისტიკა, რამდენი ახალგაზრდა მოვიდა და ... იმიტომ, რომ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ თუ

რატომღაც მომსვლელთა რაოდენობა შემცირდა, ამის რაღაც მიზეზი უნდა არსებობდეს. ჩვენ ყოველთვის ვავითარებთ ახალგაზრდულ საქმიანობას იმ უკუკავშირისა და სტატისტიკის საშუალებით, რომელსაც ვაგროვებთ. ფინეთში ყოველწლიურად ახალგაზრდობის შესახებ ვატარებთ დიდ, დიდ სტატისტიკურ (გამოკვლევას). რა თქმა უნდა, იქ ასევე შეგიძლიათ იხილოთ (ახალგაზრდული საქმიანობის) გავლენა, მაგალითად, ალკოჰოლის, ნარკოტიკების, თამბაქოს მოხმარებაზე, ან მსგავსზე. ძალიან დიდი და სპეციფიკური (კვლევები) ტარდება. ასე რომ, რა თქმა უნდა, თქვენ ასევე ხედავთ, რომ ჩვენ მიერ შესრულებული პრევენციული საქმიანობა, რეალურად მუშაობს თუ არა, გაიზარდა თუ შემცირდა რიცხვები და ა.შ. ეს ავტომატურად წარმოადგენს გაზომვის საშუალებას იმის დასადგენად, წარმატებულია თუ არა ჩვენი საქმიანობა. და, რა თქმა უნდა, როდესაც ვგეგმავთ, ჩვენ ახალგაზრდულ საქმიანობას, ფინეთის სტატისტიკას ვუყურებთ. ჩვენ ვუყურებთ სტატისტიკას, რომელიც კეთდება მუნიციპალიტეტში, რომ ვნახოთ, რა უნდა გაკეთდეს, რა საკითხებია ახლა, ამ მომენტისთვის მწვავე. ანუ ისე კი არ არის: "ოო მოდით ეს ვქნათ იმიტომ, რომ უბრალოდ მეხალისება ..." ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, რეალური მიზნისთვისაა.

2.11 ინტერვიუ ქართველ ახალგაზრდულ მუშაკთან

ინტერვიუერი: დეა აბულაძე
რესპონდენტი: მინდია თავხელიძე

მინდია: მოგესალმებით, პირველ რიგში მადლობა შესაძლებლობისთვის. ახალგაზრდული მუშაობა დავიწყე სკოლის ასაკიდან, როდესაც გავხდი თანატოლ-განმანათლებელი. ესეც სხვა ახალგაზრდული ორგანიზაციის გავლენით მოხდა. არაფორმალურ საგანმანათლებლო პროცესებში ვიყავი აქტიურად ჩართული და მომეცა შესაძლებლობა მიმეღო ეს ინფორმაცია, რომელსაც მერე ჩემს თანატოლებს გავუზიარებდი. ამის შემდეგ სტუდენტობისას გავაგრძელე აგრეთვე ახალგაზრდული მუშაობა. ვიყავი თბილისში, რამდენიმე სკოლის ბაზაზე შექმნილი ახალგაზრდული კლუბის ხელმძღვანელი, ახალგაზრდული მუშაკი ვგეგმავდით და ვახორციელებდით ბავშვებთან ერთად, ახალგაზრდებთან ერთად. ამის შემდეგ, ახალგაზრდული მუშაობა პოლონეთში გავაგრძელე 1 წლის განმავლობაში, სადაც ასევე, შშმ პირებთან ვმუშაობდი, როგორც მხარდამჭერი, ვმუშაობდი სხვადასხვა ასაკის ახალგაზრდებთან რომელთაც აქვთ სხვადასხვა საჭიროებები, საგანმანათლებლო საჭიროებები. ამის შემდეგ, საქართველოში ჩამოვაყალიბე ჩემი ორგანიზაცია, რომელიც ახალგაზრდული მიმართულებით მუშაობს. სამი სხვადასხვა მიმართულებით: ახალგაზრდების აქტიურად ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროექტში, ახალგაზრდების ეკონომიკური განვითარება და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა. მოკლედ, ახალგაზრდული მუშაობა ავირჩიე იმიტომ, რომ ჩემი თავი ყველაზე უკეთ დავაახლოვე ამ სფეროსთან. ვფიქრობ, რომ საუკეთესო საშუალებაა, რაღაც წვლილი შეიტანო ახალგაზრდების განვითარებაში, ხელი შეუწყო მათთვის იმ უნარების განვითარებას, რომელიც პირველ რიგში მათთვის არის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მათ საჭიროებიდან გამომდინარეობს და აგრეთვე, მნიშვნელოვანია ის რომ არის აბსოლუტური თავისუფლება მიმართულებით. შენზე ძალიან ბევრი რაღაც არის დამოკიდებული და არ არის კონკრეტული რაღაც რაც უნდა გააკეთო, მითითება. ყველაფერი გამომდინარეობს იმისგან, თუ ვინ არის შენი სამიზნე ჯგუფი, რა საჭი-

როება აქვს და აქედან გამომდინარე სრულიად თავისუფალი ხარ. შენ ირჩევ მეთოდს, შენ ირჩევ აქტივობას და ამ მხრივ მოკლედ, რამდენად მრავალფეროვანი და რამდენად სასიამოვნო იქნება ეს სამუშაო, ყველაფერი არის დამოკიდებული შენზე. ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, სწორედ ეს იყო, რომ ახალგაზრდული მუშაობა ამერჩია ჩემს მთავარ საქმიანობად.

***დეა:* შეგიძლია, რომ რაღაცნაირად სკოლაში ახალგაზრდული საქმიანობა, კოლეჯში ახალგაზრდული საქმიანობა და არასამთავრობო ორგანიზაციაში ახალგაზრდული საქმიანობა მსგავსება და განსხვავებაზეც თუ შეგიძლია რომ გვესაუბრო.**

მინდია: მაშინ შეგვიძლია ორ ჭრილში განვიხილოთ. ერთი - ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში ახალგაზრდული მუშაობა და მეორე - არაფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში. სკოლაში, სკოლის შემთხვევაში ეს იყო თბილისის ურბანული განვითარების პროგრამა, რომელიც „World Vision“ საქართველოს მიერ იყო ორგანიზებული. იქ დაახლოებით 14 დან 17 წლამდე ასაკის ახალგაზრდებთან მიწევდა მუშაობა. კოლეჯში უფრო მაღალი ასაკის ახალგაზრდები იყვნენ. თუმცა ორივე შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა ძირითადი ფორმალური განათლების, რაღაც დამატებით საგანმანათლებლო აქტივობას ახალგაზრდების მხრიდან. ცოტა უჭირდათ, რაღაც ზღვრის გავლება, როგორც მასწავლებლებს დაახლოებით ისე გვიყურებდნენ და გარკვეული, დიდი მუშაობა დაგვჭირდა იმის მისატანად, რომ ეს არ არის რაღაც ჩარჩოებში ჩასმული აქტივობა, როგორც ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში არის ხოლმე და მიგვეღწია იმისთვის, რომ ყოფილიყვნენ უფრო თავისუფლები და უფრო გახსნილები და ემოქმედათ თავიანთ ინტერესებიდან გამომდინარე. ამ მხრივ, სკოლა და კოლეჯი ცოტა მსგავსება ძაან დიდი იყო, თუმცა აბსოლუტურად განსხვავებული არის არაფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში ახალგაზრდებთან შეხვედრა. ეს იქნება ახალგაზრდული სივრცეები, რაღაც გარკვეული კლუბები და ა.შ. სადაც ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ

ბევრად უფრო თავისუფლები, ბევრად უფრო გახსნილები არიან. უფრო ახლოს შემოდიან შენთან კომუნიკაციაში და ეს გაცილებით უფრო მცირე ვადებში, ვიდრე სკოლაში და კოლეჯში მიიღწევა. აქედან გამომდინარე ეს განსხვავება ერთ-ერთი ძირითადი არის ნამდვილად. სხვა დანარჩენ შემთხვევაში, სკოლაში, კოლეჯშიც და არასამთავრობო ორგანიზაციაში მეთოდები, მიდგომები ჩემი მხრიდან და ჩემი კოლეგების მხრიდან აბსოლუტურად ერთნაირი იყო, სივრცე სხვადასხვა, თუმცა ამ შემთხვევაში ვმოქმედებდით ისევ ახალგაზრდების საჭიროებებიდან გამომდინარე. ეს არაფორმალური განათლება, ეს აქტივობები და მეთოდები ზუსტად ერთიდაიგივე მიდგომებით გამოიყენებოდა.

***დეა:* როგორ გადიხართ იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც მერე ხდებიან თქვენი ბენეფიციარები?**

მინდია: პირველ რიგში აქტივობას ისე არ ვთავაზობთ, რომ რაღაც კონკრეტული საჭიროება არ არის. სამიზნე ჯგუფში, ყოველთვის ვატარებთ რაღაც პირველად კვლევას. შეიძლება ეს არ იყოს ოფიციალური კვლევა, მაგრამ იყოს დაკვირვება ჩვენი მხრიდან, რა პროცესი მიმდინარეობს ჩვენს ირგვლივ, სად რა პრობლემა არის, რამდენად შეესაბამება ეს ჩვენს საქმიანობას. იმიტომ, რომ ყველაფერზე იმუშაო ცოტა კი არა ძაან რთულია. უნდა გქონდეს ამის კომპეტენცია, ან როგორც

მინიმუმ ფასილიტაციის უნარი მაინც უნდა გქონდეს, რომ დააკავშირო სფეროს ექსპერტი ამ ახალგაზრდებთან. აქედან გამომდინარე, როდესაც პრობლემაა, რაც საჭიროებაა ახალგაზრდებში ვცდილობთ, რომ შევქმნათ ისეთი კონტენტი, ისეთი აქტივობების კომპლექტი, რომელიც აბსოლუტურად მოერგება მათ ინტერესებს და ისეთი სახით მივიტანთ ახალგაზრდებთან, რომელიც სრულად პასუხობს მათ საჭიროებებს და ამ შემთხვევაში დაინტერესება, შეიძლება თავიდანვე დიდი არ იყოს , მაგრამ მცირე ჯგუფი მაინც რომ დააინტერესო, რომელთაც რაღაც გავლენა, შეხება აქვთ დანარჩენებთან ,მერე რაღაც თოვლის გუნდის ეფექტი ძან მარტივია, რომ დანარჩენებიც მოიზიდოს.

***დეა:* ახალგაზრდებში ეს საჭიროება დაინახეთ, ეს სერვისი შესთავაზეთ და აი რაღაც კონკრეტული შედეგი დაინახეთ, რომ გამოიღო. თუ გახსენდებათ ესეთი შემთხვევა?**

მინდია: კი, თითქმის სულ ყველა პროექტში მახსენდება. ჩვენთვის მთავარი არ არის მარტო რამე შევთავაზოთ, თუნდაც ხელშესახები პროდუქტი იყოს, შეიძლება არამატერიალური თუმცა, მთავარია როცა პროექტი დასრულდება რაღაც დარჩეთ ახალგაზრდებს. ჩვენს შემთხვევაში, რა ვიცი ერთ-ერთი პროექტი ახლა რაც გვქონდა ბოლოს, არის მკითხველთა კლუბის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში წიგნის კითხვის პოპულარიზაციას და კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას. ჩვენ რასაკვირველია მთელი ეს არაფორმალური განათლების მეთოდებითა, თამაშებით, როლური აქტივობებით და ძან სახალისო იდეებით მოვიზიდეთ დანარჩენებიც, ისინი ვინც თავიდან რაღაც ისე ეჭვის თვალით უყურებდნენ ამ აქტივობებს და დაახლოებით 25 ახალგაზრდა გვყავს პროექტში და ვფიქრობ ჩვენს მიზანს მივაღწიეთ იქიდან გამომდინარე, რომ ეს ახალგაზრდები, უკვე ძან აქტიურად იყენებენ ერთ-ერთ მეთოდს, როდესაც ეს არის ბუქ თოქი , როდესაც ერთმანეთში იმ წიგნის ინსპირაციულად გაზიარება, რომელიც წაიკითხეს და იმ მიზნით, რომ მერე სხვას დაინტერესო აღნიშნული წიგნის წასაკითხად. ძან დიდი გამოხმაურებაც მოჰყვა ბავშვებიდან, ახალგაზრდების მხრიდან და ვთვლი რომ ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. ერთ- ერთი მაგალითი შეიძლება ეს დავასახელოთ. აგრეთვე არის შშმ პირებთან ვმუშაობთ აქტიურად. ჩვენ გვყავს პროექტში ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში სახლიდან საერთოდ არ გამოდიოდნენ. არანაირად, რაც არ უნდა მომხდარიყო, სახლიდან ვერ გამოდიოდნენ, იმიტომ, რომ უჭირდათ საზოგადოების რაღაც დამოკიდებულებების

პირდაპირ შეჭიდება. ათასი სტერეოტიპი არის საზოგადოებაში ჩამოყალიბებული და ამის ეშინოდათ, არც შეთავაზება ყოფილა რაიმე საგანმანათლებლო, გასართობი აქტივობების, არც ინფრასტრუქტურულად არ ყოფილა მოწყობილი და აქედან გამომდინარე არაფერი არ ყოფილა მათგან მოტივაციის მხრივ, რომ ჩართულიყვნენ ამ აქტივობებში. თუმცა ჩვენს პროექტში, ჩვენ სპორტს ვიყენებთ, როგორც მეთოდს და ამ შემთხვევაში ჩავთვალეთ, რომ ძან ეფექტური იქნებოდა, რომ ეს ახალგაზრდები გამოგვეყვანა სახლიდან. პარასპორტის სახეობებს ვიყენებთ და მერე უკვე ამის შედეგად ჩამოყალიბდა ჯგუფი. ეს არ არის მხოლოდ სპორტული ჯგუფი, იდეების გაზიარებისთვის, ინფორმაციის გაცვლისთვის, დროის საინტერესოდ, სახალისოდ გატარებისთვის და ახლა მიდის მუშაობა, იმისთვის, რომ ეს ჯგუფი რაღაც იყოს აქტიური მოქალაქეების ჯგუფი, რომლებიც სხვადასხვა პრობლემის იდენტიფიცირებას მოახდენენ, რომლებიც შშმ პირებს ეხება და ამის ადვოკატირებას განახორციელებენ შემდეგ გადაწყვეტილე-

ბების მიღების პირების.

***დეა:* იმისთვის რომ ამ ადამიანების სოციალური ინტეგრაციისთვის შეგეწყოთ ხელი და გამოგეყვანათ სახლიდან, სპორტი გამოიყენეთ საწყის ეტაპზე, როგორც ამის მეთოდი და შემდეგ განაზოგადეთ და ჩახვედით სხვა კომპეტენციების განვითარებაზე სპორტის დახმარებით, ხო?**

მინდია: კი. ჩვენ როგორც ახალგაზრდული ორგანიზაცია სპორტს ვუყურებთ არა როგორც მიზანს, არამედ, როგორც მეთოდს. და ამ შემთხვევაში ყველაზე კარგი მეთოდი იქნებოდა, რომ დაგვეინტერესებინა ეს ადამიანები, რომ გამოსულიყვნენ.

***დეა:* თქვენთვის რა არის საზომი, რამდენად წარმატებული იყო თქვენ მიერ განხორციელებული პროექტი, ინიციატივა.**

მინდია: ჩვენ თავიდანვე, ნებისმიერ პროექტზე მუშაობის დროს გვაქვს ჩადებული პროექტშიც და ისედაც გაწერილი გვაქვს რას გვინდა მივაღწიოთ და როგორ გავზომავთ ამას, მივაღწიეთ, თუ ვერ მივაღწიეთ. თუ ახალგაზრდების გააქტიურება გვინდა და არაფორმალურ სივრცეში და არაფორმალური განათლებაში მათი ჩართულობა, შეიძლება იყოს ეს ახალგაზრდების რაოდენობა, რა რაოდენობით ახალგაზრდა იყო ამ პროცესებში ჩართული. შეგვიძლია გავზომოთ, რა დოზით იყვნენ ჩართული. ჩვენ თვითონ პროექტში სხვადასხვა დავალებები გვაქვს. აქტიურად ვიყენებთ ბეიჯ კრაფტს, ელექტრონულ სერტიფიკატს, რომელსაც გავცემთ იმ შემთხვევაში თუ კონკრეტულ რაღაც თასქებს შეასრულებენ და ამ შემთხვევაში, არა მხოლოდ მონაწილეობა არამედ რამდენად

აქტიურად იყვნენ ჩართულები ამ პროცესებში მაგასაც აქედან გამომდინარე ვზომავთ. ასევე, შეიძლება იყოს ჩვენი პროექტის დასრულების შემდეგ, პროექტის დასრულებამდე გაიწეროს ის გეგმები, როგორ გააგრძელებს ეს ახალგაზრდული კლუბი იქნება, თუ ნებისმიერ სხვა სახის გაერთიანება, ორგანიზაცია საქმიანობას, ამაზე დაკვირვება. და აგრეთვე, პარტნიორების შეფასებები, უკუკავშირი თვითონ ახალგაზრდების მხრიდან და გააჩნია კონკრეტულ პროექტს და აქტივობას.

***დეა:* როდესაც ამ პროექტებს იფიქრებთ, გეგმავთ, ახორციელებთ თანამშრომლობა თუ გიწევთ მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან, სკოლებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან?**

მინდია: იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი სამიზნე ჯგუფი ძირითადად 14 დან 29 წლამდე ახალგაზრდები არიან და ასევე ვმუშაობთ ჩვენ 12-13 წლის ბენეფიციარებიც გვყავს, სკოლასთან აუცილებლად გვაქვს შეხება. გვიწევს, რომ ელემენტარული აქტივობების დაგეგმვის პროცესში სკოლის დროები გავითვალისწინოთ და იმას არ დავამთხვიოთ. სკოლის სივრცეში თუ გვჭირდება შეხვედრების ორგანიზება და ჩატარება ამ შემთხვევაში პირდაპირი კავშირი გვაქვს სკოლასთან. ინფორმაციის გავრცელების კუთხით ჩვენ ნებისმიერ პროექტში კოლეჯი იქნება, სკოლა იქნება მივდივართ და ადმინისტრაციას ვთხოვთ ამ მიმართულებით დახმარების, მხარდაჭერის გაწევას. აგრეთვე, სივრცის დათმობა კოლეჯის მხრიდან ნამდვილად ძან წარმატებული გამოცდილება იყო ჩვენთვის და აქედან გამომდინარე ეს ეკონომიკური, ფინანსურად იმხელა დანაზოგი გაგვიკეთეს რესურსები, ბევრად უკეთესი შედეგები მივიღეთ. მუნიციპალიტეტის განკარგულებაში არსებული რესურსების გამოყენებით, ბევრად უფრო ეფექტურად

შეიძლება კონკრეტული, დასახული მიზნების მიღწევა ვიდრე დამოუკიდებლად. ჩვენს შემთხვევაში, ყველა პროექტში ვცდილობთ, რომ ინფორმირებული იყვნენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული განყოფილების წარმომადგენლები. თვითონ მერი იყო ჩართული აქტიურად და. რთულია მოიფიქრო ისეთი პროექტი სადაც ვერ ნახავ მუნიციპალიტეტის როლს. იმიტომ, რომ ვალდებულებებით, რომ ვისაუბროთ ერთი-ერთში არის მუნიციპალიტეტის ვალდებულება ხელი შეუწყოს ახალგაზრდების იმ შესაძლებლობების შექმნას, რომელიც მათ სჭირდებათ იმისთვის, რომ იყვნენ აქტიურები, საკუთარი თავის რეალიზაცია მოახდინონ და ამ მიზნებს ვემსახურებით სწორედ ჩვენ. აქედან გამომდინარე, ყველანაირი წინაპირობაა და აუცილებლობაა, რომ ჩვენ ვითანამშრომლოთ მუნიციპალიტეტთან.

***დეა:* რა არის ყველაზე დიდი გამოწვევა შენს საქმეში?**

მინდია: ბევრი რაღაცის დასახელება შეიძლება. ერთი არის ის, რომ ახალგაზრდული მუშაობა არის ნაკლებად პოპულარული ჯერ კიდევ. გარკვეულ რეგიონებში, გარკვეულ მუნიციპალიტეტებში უფრო არის ცნობიერება ამაღლებული, იქ სადაც სხვა ორგანიზაციები მუშაობდნენ წლების განმავლობაში და აქვთ უკვე ინფორმაცია ახალგაზრდებს მათ მშობლებს. თუმცა, არის ჯერ კიდევ სტერეოტიპული დამოკიდებულებები. მერე თითქოს კონტროლის დაკარგვის ეშინიათ მშობლებსაც და მასწავლებლებსაც და ა.შ. თუმცა, ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ იმისკენ, რომ ეს ცნობიერება შეიცვალოს და სკოლა იქნება, მშობელი იქნება, ბავშვი იქნება, მუნიციპალიტეტი იქნება ყველასთან მივიდეთ ან ისე ვუთხრათ ან საქმით ვაჩვენოთ. ერთი ეს პრობლემა შეიძლება იყოს ცნობიერება, მეორე ფინანსები აუცილებლად უნდა ვახსენოთ. ჩვენ ძალიან ბევრ რაღაცას როგორც მოხალისე ისე ვახორციელებთ, თუმცა, თავისთავად ცხადია არსებული ფინანსური რესურსების გათვალისწინებით, უფრო ეფექტური იქნება, უფრო მასშტაბური იქნება, უფრო განგრძობითი იქნება და უკეთეს შედეგებსაც მივიღებთ. დაფინანსებაც შეგვიძლია ასევე ავიღოთ და ნუ, ზოგჯერ ჩემი კოლეგებიდან მსმენია რომ მხარდაჭერის მოპოვებაც არის ძალიან რთული გარკვეულ სიტუაციაში საგანმანათლებლო სივრცე, ჩვენ კოლეჯი გვეხმარებოდა მაგალითად, სივრცით და მუნიციპალიტეტი, რაღაც ტრანსპორტირებით, თუმცა, ძალიან ხშირად ეს არის რთულად მისაღწევი, რომ პარტნიორობის ქსელი ჩამოაყალიბო, განსაკუთრებით, როდესაც ხარ ახალი ახალგაზრდული ორგანიზაცია და გაქვს პატარა გამოცდილება. და სამწუხაროა ისევ ეს მხარდაჭერა და გამოცდილების გაზიარება და ა.შ.ხელშეწყობა ნაკლებად აქვთ ახალგაზრდა ორგანიზაციებს.

***დეა:* შენ თვითონვე ახსენე ცნობიერება და ინფორმირებულობის ნაკლებობა ამ სფეროს მიმართ. შენი გამოსახედიდან, ახალგაზრდული მუშაკი რატომ არის უნიკალური და რატომ ვერ ჩაანაცვლებს ამას სკოლის ფსიქოლოგი, ან სოციალური მუშაკი ან სხვა მონათესავე სფეროს წარმომადგენელი.**

მინდია: რომ დავიწყოთ იქიდან, ზოგადად, ეს არაფორმალური განათლების საჭიროება გაჩნდა მას შემდეგ, რაც ახალგაზრდები ადგილობრივი რაღაც მოთხოვნებით დასაქმების კუთხით იმდენად გაიზარდა, რომ ეს ფორმალური განათლება ვეღარ პასუხობდა ამ მოთხოვნებს. ფორმალური განათლების ნაკლოვანებებმა, ასევე განაპირობა, რომ წამოიწია არაფორმალური განათლება, თუნდაც, იგივე შეგვიძლია ავიღოთ ინდივიდუალური მიდგომების გამოყენების

კუთხით ფორმალური განათლება ნაკლებად მოქნილია. ამ შემთხვევაში არაფორმალური განათლება და ახალგაზრდულ მუშაკებს ეძლევათ შესაძლებლობა რომ კონკრეტული რაღაც საჭიროების იდენტიფიცირება მოახდინონ ახალგაზრდებში და შეიმუშაონ ის კონკრეტული მეთოდები, რომლებიც ამ საჭიროებების დაკმაყოფილებას, კონკრეტული უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. ამ შემთხვევაში, ახალგაზრდული მუშაკი არ შეიძლება იყოს ისეთ ადამიანი, რომელიც მივა და რაც თვითონ უნდა, რაშიც თვითონ არის კომპეტენტური დადგეს და ის ასწავლოს ახალგაზრდას, იმის გარეშე, რომ მოახდინოს იმის ინტერესების იდენტიფიცირება, რა არის მისი ინტერესი, რა არის მისი საჭიროება, რა ჭირდება ახალგაზრდას. აქედან გამომდინარე, ამის მიხედვით მუშაობს ახალგაზრდული მუშაკი და არ შეიძლება რაღაც მასწავლებლის, მასწავლებელთან შედარება. საერთოდ არ აქვს ეს ფუნქცია, არის მხარდამჭერი, მეგობარი და არც კონკრეტული დისტანცია არ არის ახალგაზრდებთან, როგორც სკოლის პრაქტიკაში არის ძირითადად. ამ შემთხვევაში, ასევე მასწავლებელი არის ლიმიტირებული შეზღუდული არის, გარკვეული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, კონკრეტული ინდივიდუალურ, რაღაც გეგმას მიყვება. საერთოდ არ არის ინდივიდუალური, და მისგან გადახვევა შეუძლია რაღაც მინიმალურად, ან საეროდ გეგმას ვერ გადაუხვევს. ასეთი მსგავსი პრაქტიკა ახალგაზრდულ საქმიანობაში ნაკლებად არის, იმიტომ რომ შეზღუდული არ არის ახალგაზრდული მუშაკი წინასწარ ვერ გაწერს. შეიძლება რაღაც ზოგადი ჰქონდეს აგებული, რაღაც სტრუქტურა, თუმცა ყველაფერი ყალიბდება, მაშინ როდესაც სამიზნე აუდიტორიას იცნობს, ახალგაზრდებს იცნობს და მოქმედებს მხოლოდ აქედან გამომდინარე. ამიტომ, ახალგაზრდული მუშაკის როლი არის ძან მნიშვნელოვანი იმ კომპეტენციების განვითარებაში, რომელიც ახალგაზრდას სჭირდება საკუთარი თავის რეალიზებაში, აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებაში და ნებისმიერ საკითხში, რომელშიც თვლის რომ მხარდაჭერა ესაჭიროება განსაკუთრებული.

2.12 არაფორმალური განათლება - I ნაწილი

ავტორი: დეა აბულაძე

წარსულში, განათლება და სწავლა-სწავლების პროცესი ცალსახად იყო დაკავშირებული სკოლებთან და უნივერსიტეტებთან; ადამიანებიმიიჩნევდნენ რომ სწავლა მხოლოდ ბავშვობისა და ახალგაზრდობის პერიოდში შეიძლებოდა და მისი მიზანი იყო პროფესიონალზრდასრულად ჩამოყალიბება, რომელსაც გააჩნია კონკრეტული სოციალური კომპეტენციები. ბოლო 50 წლის განმავლობაში, საზოგადოებისცნობიერება ამ მიმართულებით პოზიტიურად შეიცვალა და ნელ-ნელა სოციუმებში, სხვადასხვა წრეებში დაიწყო იმის აღიარება, რომადამიანს ნებისმიერ ასაკში, მთელი სიცოცხლის განმავლობაში შეუძლიათ სწავლა და განათლების მიღება სკოლისა და უნივერსიტეტისგარდა, ბევრ სხვა ადგილასაც არის შესაძლებელი.

1970 წელს, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლება გახდა ცენტრალური პრინციპი განათლების სფეროში ევროპის მასშტაბით დაარამარტო. ამან გამოიწვია საჭიროება, რომ გადაგვეხედა თუ როგორ ვუყურებთ ზოგადად განათლებას. ამან, კი, თავის მხრივ ბუნებრივადგამოიწვია განსხვავებების გამოკვეთის საჭიროება ფორმალურ, არაფორმალურ და ინფორმალურ, ზოგიერთ შემთხვევაში, ფორმა-

ლურს-გარედ ხსენებულ, განათლებას შორის.

ფორმალური განათლება უკავშირდება საგანმანათლებლო გამოცდილებებს, რომლებიც სტრუქტურული განათლების სისტემის ქვეშ ხორციელდება, ძირითად სკოლებსა და უნივერსიტეტებში. განათლების სისტემები, ძირითადად, მოიცავს სავალდებულო კლასებს დასტუდენტები მიჰყავს რაღაც კონკრეტული პროფესიისკენ ან, სულ მცირე, რაღაც ტიპის კვალიფიკაციისკენ მაინც; მოსწავლეები დასტუდენტები მიყვებიან წინასწარ შექმნილ და დამტკიცებულ კურიკულუმებს, რომლებიც შედგენილია მათი ასაკისა და ცოდნის დონესთანმიმართებაში და ვარირებს დაწყებითი სკოლიდან პროფესიულ ან უმაღლეს განათლებამდე.

ინფორმალური სწავლა უკავშირდება სწავლის ისეთ გამოცდილებას, რომელიც ხდება ძირითადად არასტრუქტურულად, ძირითადად, ყოველდღიურ გამოცდილებაზე დაფუძნებით, მაგალითად, სახლში - მეგობრებისა და ოჯახის წევრების გარემოცვაში, ინტერნეტ-სივრცეში, თუნდაც ზაფხულის არდადეგების პერიოდში მიღებული გამოცდილების დროს.

და ბოლოს, არაფორმალური განათლება უკავშირდება წინასწარ დაგეგმილ საგანმანათლებლო აქტივობებს, რომლებიც ტარდება სასკოლო კურიკულუმების მიღმა, გარეთ; ეს შეიძლება მოიცავდეს სათემო სატრენინგო პროგრამებს, გაცვლით პროექტებს, ბანაკებს, ახალგაზრდულისაქმიანობის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებს; ძირითად შემთხვევაში, არაფორმალური განათლება არ მოიცავს გაკვეთილებისჩატარებასა და მონაწილეებისთვის ქულების მინიჭებას , თუმცა, ის დაგეგმილი პროცესია, რომელსაც აქვს ნათლად განსაზღვრულისასწავლო მიზანი და ამოცანები. რადგან არაფორმალური განათლება ბევრ სხვადასხვა ადგილას შეიძლება განხორციელდეს, ის საკმაოდმოქნილია და შესაბამისად რთულია მისთვის კონკრეტული დეფინიციის და განსაზღვრების მინიჭება. თუმცა, მაინც არსებობს რამდენიმეძირითადი პრინციპი, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ არაფორმალური განათლების ფარგლებში აქტივობების დაგეგმვა-განხორციელების დროს:

1. **არასავალდებულო, მოხალისეობრივი მონაწილეობა.** არაფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებს დღონისძიებებს, როგორც წესი, ესწრებიან თავად ის ადამიანები, რომლებმაც დამოუკიდებლად, დაძალების გარეშე, გადაწყვიტესმონაწილეობა. ფასილიტატორმა, ტრენერმა, განმანათლებელმა უნდა აუმაღლოს მოტივაცია მონაწილეებს, რომ გამოვიდნენ თავისიკომფორტის ზონიდან, თუმცა ასევე უნდა მისცენ მათ საკუთარი საზღვრების, ლიმიტების გამოხატვის შესაძლებლობა, რადგან ეს მათი, მონაწილეების უფლებაა და მათი არჩევანია, სურთ თუ არა კონკრეტულ აქტივობაში ჩართვა.
2. **აქტიური მონაწილეობა და ავტონომიურობა** - არაფორმალური განათლების ფარგლებში გამოყენებულმა საგანმანათლებლომეთოდებმა მონაწილეებს უნდა უბიძგოს პროცესში აქტიური როლისკენ, საკუთარი მოსაზრებების თამამად დაფიქსირებისკენ, შეთავაზებების გაკეთებისკენ, კითხვების დასმისკენ, გამოცდილებების გაზიარებისკენ და რაც მთავარია, სხვების დახმარებისკენსწავლის პროცესში. იდეალურ შემთხვევაში, მონაწილეები თავადვე უნდა იყვნენ ჩართული აქტივობების, ღონისძიებების დაგეგმვისადა ორგანიზების პროცესში.
3. **ჯგუფი (ან კონტექსტი), როგორც სწავლის რესურსი** - ერთმანეთისგან სწავლაარაფორმალურიგანათლებისმთავარი,ცენტრალურიკომპონენტია. გარდა ფასილიტატორის, ტრენერის, თუ ახალგაზრდული მუშაკისა, თვი-

თონ მონაწილეებს აქვთ დაგროვილი ძალიან დიდი რესურსი და გამოცდილება, რისი გაზიარებაც ერთმანეთისთვის საკმაოდ ღირებული შეიძლება იყოს. ზუსტად ამიტომ არის, რომარაფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილმა აქტივობებმა, ხელი უნდა შეუწყოს თანამშრომლობას, დიალოგსა დამხარდამჭერ ჯგუფურ დინამიკას.

4. **მონაწილეზე ორიენტირებული**. მონაწილეების საჭიროებები და მოტივაცია უნდა იყოს სასწავლო პროცესის ცენტრში. განმანათლებელიუნდა იყოს მოქნილი და შეეძლოს სასწავლო მეთოდებისა და შინაარსის ისე ადაპტირება, რომ მონაწილეებს მისცეს აღმოჩენებისგაკეთების შესაძლებლობა, შესაძლებლობა რომ თვითონ იგრძნონ რა არის მათთვის შესაფერისი და ეს შესაფერისი ისე გამოიყენონ, როგორც მათთვის იქნება უკეთესი, უფრო კომფორტული.
5. **ექპერიმენტული სწავლება -** არაფორმალური განათლების ფარგლებში, განმანათლებლები ქმნიან სასწავლო შესაძლებლობებს, რომლებიც ნამდვილ მაგალითებს ეფუძნება; ისინი შუამავლობას უწევენ დიალოგსა და გამოცდილებებზე რეფლექციას, იმისთვის რომმონაწილეების კოგნიტურ, ქცევით და ემოციურ განვითარებას შეუწყონ ხელი.
6. **ჰოლისტური მიდგომა** - სწავლების პროცესის დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს მონაწილეების ფიზიკური, ემოციური და კოგნიტური შესაძლებლობები; ეს კი მოხერხდება მაშინ, როდესაც ვიყენებთ ბევრ სხვადასხვა მეთოდს, რომელიც მონაწილეებს აძლევთ შესაძლებლობას, ინტეგრირება გაუკეთონ არა მხოლოდ ახალ ცოდნას, არამედ ახლად-აღმოჩენილ უნარებსა და დამოკიდებულებებს.
7. **ღირებულებებზე დაფუძნებული**. არაფორმალური განათლება დაფუძნებულია დემოკრატიულ პრინციპებზე და ემსახურებაადამიანის უფლებებსა და სოციალურ ჩართულობას. ამ ღირებულებებმა უნდა შექმნას ეთოსი ნებისმიერი აქტივობისთვის, რომელიცარაფორმალური განათლების ფარგლებში ტარდება და უნდა მოახდინოს გავლენა ჯგუფის დინამიკაზე; გარდა ამისა, ამღირებულებებით უნდა იხელმძღვანელოს განმანათლებელმა საკუთარი პრაქტიკის დროს.

ეს არის ის ძირითადი, ფუნდამენტური პრინციპები, რომლებიც არა-ფორმალურ განათლებაში არსებობს. თუმცა, როდესაც ამ სისტემისფარგლებში ვგეგმავთ აქტივობებს, ასევე გასათვალისწინებელია, ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორიცაა - გამჭვირვალობა, კონფიდენციალობა და სხვა.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. ევროპული კომისია. ახალგაზრდული საქმიანობა და არაფორმალური სწავლება ევრიპულ განათლებაში. 2015. https://epale.ec.europa.eu/sites/default/files/youth_work_and_non-formal_learning_in_europes_education_landscape_and_the_call_for_a_shift_in_education.pdf
2. ლექსიკონი - https://mooc.youthagency.gov.ge/ლექსიკონი/
3. მორჩანო.დ. და სხვები. შესავალი სპეციალური განყოფილებისთვის: ახალგაზრდული სამუშაო, არაფორმალური განათლება და ახალგაზრდების მონაწილეობა. 2015. https://ijse.padovauniversitypress.it/system/files/papers/2015_1_1.pdf

4. ალის & დეივიდ კოლბები. სწავლის სტილები და სასწავლო სივრცეები ემპირიული სწავლების გაძლიერება უმაღლეს განათლებაში. 2012. https://www.researchgate.net/publication/302350842_Experiential_Learning_Theory

2.13 არაფორმალური განათლება - II ნაწილი

ავტორი: დეა აბულაძე

საინტერესოა, თუ რა მიმართებაა ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას შორის. ამ მხრივ, არსებობს 3 ძირითადი მოსაზრება:

- არაფორმალური განათლება, როგორც ფორმალური განათლებისგან დამოუ-კიდებელი, რაც ნიშნავს, რომ არ არის აუცილებელი მათ შორის არსებობდეს რაიმე კავშირი და თანაკვეთა;

- არაფორმალური განათლება, როგორც ფორმალური განათლების ალტერნა-ტივა; ანუ, შეგვიძლია არაფორმალური განათლებითჩავანაცვლოთ ფორმალური განათლება და მის ფარგლებში მიღებული ცოდნა და გამოცდილება;

- არაფორმალური განათლება, როგორც ფორმალური განათლების მხარ-დამჭერი, შემავსებელი, რაშიც იგულისხმება რომ არაფორმალურიგანათლების ფარგლებში, უფრო სხვა ამოცანები ისახება, უფრო პრაქტიკაზე-ორიენტირებული და ამით ჩვენ ვავსებთ ფორმალურიგანათლების ფარგლებში მიღებულ უფრო სხვაგვარ, მეტად თეორიულ ცოდნას (Siurala, 2012).

ჩვენ ვიზიარებთ მესამე მიდგომას, რომ არაფორმალური განათლება უნდა იყოს ფორმალური განათლების მხარდამჭერი; სულ უფრო დაუფრო იზრდება მოთხოვნაც და პრაქტიკაც, რომელიც გულისხმობს ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას შორის თანამშრომლობას, იმისთვის რომ უკეთ მოვამზადოთ ახალგაზრდები ცხოვრებისთვის. ერთის მხრივ - შევძინოთ მათ საჭირო ცოდნა, თეორია, ხოლო მეორემხრივ - დავეხმაროთ მათ სხვა ტრანსვერსული უნარების განვითარებაში, რომელიც მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოადგებათ. ტრადიციული კურიკულუმები და სასწავლო პროგრამები, ვეღარ პასუხობს ახალგაზრდების ისეთ თანამედროვე გამოწვევებს, როგორიცარის, მაგალითად, მედიის წიგნიერება, გარემოსდაცვითი განათლება, მეწარმეობა და სხვა; იმისთვის რომ მხარი დავუჭიროთ ჰოლისტურგანათლებას, საჭიროა ჩამოყალიბდეს და გაჩნდეს ფორმალური და არაფორმალური განათლების ურთიერთმიმართების ახალი ხედვებიდა მიდგომები, რომლის მიხედვითაც, არაფორმალური განათლება შეავსებს და მნიშვნელოვნად დაუჭერს მხარს ფორმალურ განათლებას.

რაც შეეხება არაფორმალურ განათლებასა და ახალგაზრდულ საქმიანობას შორის კავშირს, პირველ რიგში, ალბათ, უნდა აღვნიშნოთ რომ ახალგაზრდულ საქმიანობის ძირითადი მახასიათებლები და არაფორმალური განათლებისპრინციპები ძალიან ჰგავს ერთმანეთს, ეს შეიძლება თავადაც შეამჩნიეთ. გავიხსენოთ ახალგაზრდული საქმიანობის ძირითადი მახასიათებლები: ახალგაზრდულ საქმიანობაში არაფორმალური განათლება მთავარი მიდგომაა, განსაკუთრებით, საერთაშორისო დონეზე. ახალგაზრდულცენტრებში და ახალგაზრდულ ორგანიზაციებში, აქტივობების დროს, მაგალითად, გაცვლითი პროგრამის დროს, ახალგაზრდული სესიებისჩატარებისას, ტრენინგ-კურსების დროს, ან თუნდაც მოხალისეობრივი საქმიანობისას განმავლობაში, ახალგაზრდებს აქვთ სივრცე, რომიყვნენ ცნობისმოყვარეები, რომ აღმოაჩინონ საკუთარი ინტერე-

სები, განივითარონ პიროვნული და სოციალური უნარები, რაც, თავის მხრივ, მათ მეტ შესაძლებლობას მისცემს რომ უფრო აქტიური როლი ჰქონდეთ საკუთარ სოციუმში. პრაქტიკისას, თუნდაც ერთი აქტივობისფარგლებში, შეიძლება ბევრი გადაკვეთა გაჩნდეს ფორმალურ, არაფორმალურ და ინფორმალურ სწავ-ლებას შორის, არ არის აუცილებელიისინი ერთმანეთისგან დამოკიდებულად და ერთმანეთისგან გამიჯნული იყვნენ. დღის ბოლოს, ერთადერთი რაც მნიშვნელოვანია დარასაც ახალგაზრდულმა მუშაკმა ყურადღება უნდა მიაქციოს, არის ის რომ ახალგაზრდებმა გააგრძელონ ზრდა და განვითარება.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. ევროპული კომისია. ახალგაზრდული საქმიანობა და არაფორმალური სწავლება ევრიპულ განათლებაში https://epale.ec.europa.eu/sites/default/files/youth_work_and_non-formal_learning_in_europes_education_landscape_and_the_call_for_a_shift_in_education.pdf
2. მორჩანო.დ. და სხვები. შესავალი სპეციალური განყოფილებისთვის: ახალგაზრდული სამუშაო, არაფორმალური განათლება და ახალგაზრდების მონაწილეობა. 2015. https://ijse.padovauniversitypress.it/system/files/papers/2015_1_1.pdf
3. ალის & დეივიდ კოლბები. სწავლის სტილები და სასწავლო სივრცეები: ემპირიული სწავლების გაძლიერება უმაღლეს განათლებაში. 2012.

2.14 კომპეტენციები ახალგაზრდულ საქმიანობაში

ავტორი: დეა აბულაძე

საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო შემუშავდა სხვადასხვა დოკუმენტის საფუძველზე, როგორიცაა მაგალითად "საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი", ან „ზოგადი განათლების ეროვნულიმიზნების დოკუმენტი'. დეტალურად ამ და სხვა დოკუმენტებზე ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვიდეოს ბოლოს არსებულ დამატებით ლიტერატურაში.

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩოს მომზადებაში, ჩართული იყვნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, მოწვეულიექსპერტები, ახალგაზრდული ორგანიზაციები და თავად ახალგაზრდები.

ახალგაზრდული საქმიანობის საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო მოიცავს იმ 9 კომპეტენციას, რომელთა განვითარება ახალგაზრდებში არის ახალგაზრდული მუშაკის მოვალეობა:

1. **მოქალაქეობრივი კომპეტენცია** - ახალგაზრდებს, რომლებიც ადრეული ასაკიდანვე იღებენ ცოდნას აქტიურ მოქალაქეობაზე, უვითარდებათ მეტი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, სურვილი, რომ უკეთესობისკენ შეცვალონ გარემო; მოქალაქეობრივი კომპეტენციისახალგაზრდებში განვითარება, ხელს უწყობს ზოგადად, მეტად უსაფრთხო, დემოკრატიული, მხარდამჭერი სოციუმის ჩამოყალიბებას. მოქალაქეობრივი კომპეტენციის განვითარება, გულისხმობს ახალგაზრდებისთვის იმ ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებუ-

ლებების გადაცემას და განვითარებას, რომლებიც მათ დაეხმარებათ დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები და იგრძნონ პასუხისმგებლობა საკუთარ და სხვათა ცხოვრებასთან მიმართებაში. ქვეყნებში, სადაც დემოკრატიულ მმართველობასა და სოციუმს საფრთხე ემუქრება, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კომპეტენციის განვითარებას.

2. **გარემოსდაცვითი კომპეტენცია** - დღეს, მსოფლიოში, გლობალურად, ყველაზე დიდი პრობლემა ბუნებასა და ადამიანს შორისარსებობს. ეჭვგარეშეა, რომ ახალგაზრდებისთვის გარემოსდაცვითი კომპეტენციების განვითარება, მოქმედებს ქვეყნის განვითარებაზეც. განვითარებულ ქვეყნებში, გარემოსდაცვითი განათლება ჩასმულია ფორმალური განათლების სისტემაში დაინტეგრირებულია სასწავლო პროგრამებში. თუმცა, განვითარებადი ქვეყნები მეტად უსვამენ ხაზს ინდუსტრიული პოტენციალისაღმასვლას და ხშირად უგულებელყოფენ და ყურადღების მიღმა რჩებათ გარემო და მასთან დაკავშირებული კატასტროფული პრობლემები.ახალგაზრდულმა მუშაკმა ახალგაზრდები უნდა მოამზადოს მოულოდნელად წარმოქმნილ სიტუაციებთან ეფექტური გამკლავებისთვის, როგორიცაა, მაგალითად: გარემოსა და ტექნოლოგიური კატასტროფები; ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და მსოფლიოს და უნდა დაანახოს თითოეული ადამიანის როლი და პასუხისმგებლობა ბუნებასთან და გარემოსთან მიმართებაში.
3. **ანალიტიკური, ტექნოლოგიური, ინფორმაციული და სამეცნიერო კომპეტენცია** - თანამედროვე საზოგადოების საჭიროებაა ჰყავდეს კომპეტენტური ახალგაზრდა თაობა, რომელსაც შეუძლია პრობლემურ/სტრესულ სიტუაციაში სწრაფი რეაგირება. დღეს მოთხოვნა ახალგაზრდების მიმართ რომ განვითარდნენ პიროვნულ, პროფესიულ, სოციალურ დონეზე, სულ უფრო იზრდება და ეს განსაზღვრავს მათ პიროვნულ, სოციალურ და პროფესიონალურ 'ღირებულებას' საზოგადოებაში. ახალგაზრდული მუშაკი ახალგაზრდების საჭიროებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მან უზრუნველყოს ახალგაზრდებში ამ თვისებების ფორმირებისთვის საჭირო შესაძლებლობების შეთავაზება. დაეხმაროს მათ ინფორმაციის მოპოვებასადა ანალიზში, ასევე, ტექნოლოგიური და სამეცნიერო მიღწევების ეფექტურ გამოყენებაში - პირადი, პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრების საკეთილდღეოდ. გარდა ამისა, დასაქმება, განათლება, დასვენება და ჩვენი საზოგადოების ეს და მრავალი სხვა სფერო სულ უფრო მეტად 'ციფრულდება', რაც ნიშნავს რომ ინფორმაციის მიღებისთვის, სულ უფრო მეტად ვხდებით ინტერნეტსა და ტექნოლოგიებზე დამოკიდებული. შესაბამისად, ციფრული კომპეტენცია, დღევანდელი საზოგადოებისთვის და ეკონომიკისთვის, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ოთხივე ჩამოთვლილი კომპეტენცია, ტრანსვერსული კომპეტენციები, ახალგაზრდებს ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულად ეხმარება.
4. **სამეწარმეო და ინიციატივის კომპეტენცია** - გულისხმობს ადამიანის, ახალგაზრდის შესაძლებლობას, იდეები აქციოს ქმედებებად. იგი მოიცავს შემოქმედებითობას, ინოვაციას, რისკების აღებას, მიზანთან შესაბამისობაში პრაქტიკების დაგეგმვასა და უფრო ფართოსურათის დანახვის შესაძლებლობას; ეს კომპეტენცია მხარს უჭერს ახალგაზრდებს,

არა მხოლოდ სახლისა და მათ გარშემო სოციუმთან ყოველდღიურ ურთიერთობაში, არამედ ეხმარება დასაქმების ადგილზე სამუშაო სპეციფიკის გაგებაში, არსებული შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენებასა და ადაპტაციაში.

5. **შემოქმედებითობისა და კრიტიკული აზროვნების კომპეტენცია**: ეს კომპეტენცია მოიცავს ახალგაზრდებისთვის კრიტიკული დაშემოქმედებითი, ღრმა და ფართო აზროვნების განვითარებას. კომპეტენცია არის საფუძველი ახალგაზრდებში კრიტიკული ცნობიერების განვითარებისა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს სამყაროს სიღრმისეულ გააზრებაზე, სოციალური და პოლიტიკური საკითხების კრიტიკულად აღქმაზე; რეპრესიული ელემენტების წინააღმდეგ საჭირო ზომების მიღებაზე; ის ახალგაზრდებს შესაძლებლობას აძლევს ჩაერიონ არსებულ რეალობაში, მათი პოზიტიურად შეცვლის მიზნით.
6. **დამოუკიდებლად სწავლის კომპეტენცია** - კომპეტენცია ახალგაზრდებს აძლევს დამოუკიდებლად ცოდნის მიღებისა და საკუთარი სწავლა-განვითარების გზის კონტროლის შესაძლებლობას. ახალგაზრდული მუშაკი ეხმარება ახალგაზრდებს ისწავლონ საკუთარიქმედებებით, არეგულირონ და შეაფასონ საკუთარი განვითარების გზა და პროგრესი. დამოუკიდებლად სწავლის კომპეტენციის განვითრებისთვის მნიშვნელოვანია ახალგაზრდულმა მუშაკმა ყურადღება მიაქციოს ერთის მხრივ, ხელშემწყობი გარეგანი პირობების შექმნას (მაგალითად, მის და ახალგაზრდას შორის ურთიერთობას, ხელშემწყობი სივრცის არსებობას და ა.შ), და, მეორე მხრივ, იმას თურა დონეზე აქვს ახალგაზრდას განვითარებული კოგნიტური უნარები (მაგალითად, მეხსიერებისა და ყურადღების ფოკუსირება), მეტაკოგნიტური უნარები (მაგალითად, საკუთარი აზროვნების პროცესის რეფლექსია და შეფასება; სწავლის პროცესის თვითრეგულაცია; ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გაანალიზება, ადეკვატური პრიორიტეტების დასახვა და დროში განაწილება) დაგრძნობებთან და ემოციებთან დაკავშირებული აფექტური უნარები.
7. **ურთიერთობის კომპეტენცია -** ურთიერთობის კომპეტენციის განვითარებაში, დიდწილად იგულისხმება - ინტერპერსონალური/ პიროვნებათშორისი ურთიერთობების განვითარება. კვლევებით დასტურდება, რომ ამ ტიპის ურთიერთობებში პრობლემები არის ყოველდღიურ ცხოვრებაში სტრესის, დაძაბულობის ერთ-ერთი წამყვანი მიზეზი. და ასაკის მიხედვით, ჩვენ განსხვავებულად ვუმკლავდებით ინტერპერსონალური ურთიერთობებით გამოწვეულ დაძაბულობას. ახალგაზრდები, განსაკუთრებით კი მოზარდები, ამ მხრივ უფრო მგრძნობიარე არიან - სხვებთან ურთიერთობები გავლენას ახდენს მათ თვითაღქმაზე, თვითშეფასებაზე, ზოგადიწარმოდგენებისა და ხედვების ფორმირებაზე; როდესაც ახალგაზრდებს ბევრი პრობლემა აქვთ ინტერპერსონალურ ურთიერთობებში,ან უჭირთ მათი დამყარება, ისინი ხდებიან მეტად მიდრეკილი დაბალი აკადემიური მოსწრებისკენ, სოციალური და ქცევითი სირთულეებისკენ, მენტალური და ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემებისკენ. ახალგაზრდული მუშაკი ახალგაზრდისთვის არც მასწავლებელია, არც მეგობარი, მაგრამ არის მხარდამჭერი, რომელიც ახალგაზრდებს ეხმარება დაინახონ ინტერპერსონალური ურთიერთობების პოზიტიური გავლენა მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე და უვითარებს მათ იმ

უნარებს, რომლებიც ამ დროსმნიშვნელოვანია. მაგალითად: აქტიური მოსმენა, საკუთარი არავერბალური ქცევის მართვა, კონფლიქტთან გამკლავება და ა.შ.

8. **კულტურული გამოხატვისა და კულტურათაშორისი ურთიერთობის კომპეტენცია** - გულისხმობს განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც მას დაეხმარება კულტურულ გამოხატვაში, კულტურული მრავალფეროვნების პოზიტიურ აღქმაში, დაფასებაში, დაცვასა და განვითარებაში. ამისთვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ახალგაზრდებმა ისწავლონ განსხვავებულის აღქმა და ახლისმიღება. ჰქონდეთ ინტერესი სხვადასხვა კულტურის გაცნობისა და გაზიარების. ამ ინტერესის განვითარებაში, გახსნილობაში, ახალგაზრდებს სწორედ ახალგაზრდული მუშაკი ეხმარება.
9. **ჯანმრთელობის დაცვისა და ჯანსაღი ცხოვრების კომპეტენცია** - საკუთარ თავში გულისხმობს ახალგაზრდებში იმ კომპეტენციების განვითარებას რომელიც მას საშუალებას მისცემს, იზრუნოს საკუთარ ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ამისთვის, პირველ რიგში მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებს ესმოდეთ ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის მნიშვნელობა და აცნობიერებდნენ, რომ ეს ორი ერთმანეთზე დიდ გავლენას ახდენს. მნიშვნელოვანია, ახალგაზრდულმა მუშაკმა, ახალგაზრდა დააფიქროს ისეთ საკითხებზე, რაზეც შეიძლება არც უფიქრია; მაგალითად, შეიძლება ახალგაზრდა ფიქრობდეს, რომ ღამეების გადაბმით - გათენება პრობლემა არ არის, რომმოწევა - არ დააზიანებს, რომ თუ არ შეჭამს - ამით არაფერი დაშავდება, რომ თუ დიდხანს დაგროვილი წყენას ან ბრაზს არ გამოხატავს - ამით კარგს აკეთებს. ახალგაზრდული მუშაკის როლია, ახალგაზრდები პირველ რიგში დააფიქროს ამ და სხვა საკითხებზე და თავად იქცეს მათთვის მისაბაძი მაგალითი.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. ასაკობრივი განსხვავებები სხვადასხვა სახის სტრესის ზემოქმედებისას.სიჩი.კ.ე. ფინგერმან.კ.ლ და ლეფკოვიც.ე.ს. 2007.
http://sites.utexas.edu/adultfamilyproject/files/2014/09/Cichy-et-al-2007-age-differences-in-interpersonal-tensions1.pdf
2. სამხრეთ ტაივანის კოლეჯის სტუდენტების ემოციური ინტელექტისა და პიროვნული ურთიერთობების შესწავლა. სუ-იშვანგ ვან და სხვები. 133.138გვ. 2014. https://www.hrpub.org/download/20141101/UJM3-12102711.pdf
3. კილაკოსკი. ახალგაზრდული საქმიანობის განათლება ფინეთში. 2019.
https://www.nuorisotutkimusseura.fi/images/youth_work_education_web.pdf
4. პენი პეტერსონი. საგანმანათლებლო კონტექსტებში ციფრული კომპეტენციის საკითხებზე - ლიტერატურის მიმოხილვა. 2018.
https://link.springer.com/article/10.1007/s10639-017-9649-3

2.15 შეფასება

ავტორი: დეა აბულაძე

შეფასება ნებისმიერი საგანმანათლებლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. თუმცა, ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში მისი როლი და მნიშვნელობა ძალიან განსხვავდება.

ფორმალური განათლების სისტემაში მოსწავლეების შეფასება ხდება, იმისათვის რომ ვნახოთ რა იციან და რისი გაკეთება შეუძლიათ. იზომება როგორ მიმდინარეობს მათი პროგრესი სასწავლო გეგმასთან მიმართებაში, ახერხებენ თუ არა მოსწავლეები არ ჩამორჩნენ პროგრამას. შეფასების დროს გამოიყენება სტანდარტიზებული ტესტები, ტარდება წერილობითი თუ ზეპირი გამოცდები.

როგორი ვითარება გვაქვს ამ მხრივ არაფორმალურ განათლებასა და ახალგაზრდულ საქმიანობაში? აქ, პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ რომ ახალგაზრდული საქმიანობისა და არაფორმალური განათლების მიზანია ახალგაზრდების პიროვნული და სოციალური კომპეტენციების განვითარება, რომელთა გაზომვა შეფასების ობიექტური მეთოდებით პრაქტიკულად წარმოუდგენელია. მაგ. როგორ უნდა გაიზომოს კომუნიკაციის ან კულტურული თვითგამოხატვის კომპეტენცია?? გარდა ამისა, არაფორმალურ განათლებაში, ფორმალურისგან განსხვავებით, ფასდება არა ის, თუ რამდენად ახერხებს მონაწილე არ ჩამორჩეს და აითვისოს სასწავლო პროგრამა, არამედ ის, თუ რამდენად ახერხებს განიცადოს პროგრესი საკუთარ თავთან მიმართებაში. არაფორმალური განათლების გარემოში მონაწილეების სასწავლო შედეგების შეფასება არ ხდება ტესტირებით, ან რაიმე კომისიის ან ტრენერების მიერ, არამედ ესაა მონაწილეების თვითშეფასება. აქედან გამომდინარე ახალგაზრდული მუშაკებისა და ტრენერების ვალდებულებაა მონაწილეები უზრუნველყონ თვითრეფლექსიისთვის საჭირო სივრცითა და ხელსაწყოებით, რომელსაც განამტკიცებს თანატოლების ან ჯგუფის სხვა წევრების უკუკავშირი.

რაც შეეხება საგანმანათლებლო შეფასებას. ეს კომპლექსური ფენომენია და არ გულისხმობს მხოლოდ მონაწილეების სასწავლო შედეგების შეფასებას. შესაძლებელია შეფასდეს საგანმანათლებლო პროცესის, პროგრამის, აქტივობის არაერთი ასპექტი. მაგალითად:კონტექსტი - იმის გასარკვევად სწორად იქნა თუ არა მიზნები დასახული; პროგრამის მოსამზადებელი ეტაპი - შეფასდეს სწორად იყო თუ არა პროგრამა დაგეგმილი და გათვალისწინებული იყო თუ არა საკმარისი რესურსები; პროცესის შეფასება - როგორ წარიმართა პროგრამა, რა უკუკავშირი მივიღეთ მონაწილეებისგან; ასევე გრძელვადიანი ან მოკლევადიანი შედეგების შეფასება.

ვინ უნდა იყოს ჩართული შეფასების პროცესში? შეფასების პროცესი უნდა იყოს მაქსიმალურად დემოკრატიული, გამჭვირვალე და მისაწვდომი საგანმანათლებლო აქტივობაში ჩართული ყველა მხარისთვის. ამიტომ იდეალურ შემთხვევაში, შეფასების პროცესში, საჭიროებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ეტაპზე უნდა მიიღოს მონაწილეობა მაქსიმალურად მეტმა მხარემ. მაგალითად: მონაწილეებმა, ახალგაზრდულმა მუშაკებმა, ტრენერებმა ფასილიტატორებმა, ორგანიზატორებმა თუ დამფინანსებლებმა.

როდის უნდა შევაფასოთ? იმის მიხედვით თუ როდის ხდება შეფასება, გამოიყოფა სამი ტიპის: საწყისი, შუალედური და საბოლოო. პირველი ტიპის შეფასება ხდება პროექტის საწყის ეტაპზე. ყოველთვის კარგი იდეაა ნებისმიერი პროექტის დაწყებამდე გამოვნახოთ დრო და გადავხედოთ მიზნებს, ამოცანებს, მეთოდებს და ვუპასუხოთ ისეთ კითხვებს როგორიცაა, შეესაბამება თუ არა

ამოცანები მიზნებს, პასუხობს თუ არა შერჩეული მეთოდები დასახულ მიზნებს, ფარავს თუ არა პროგრამა ყველა საკითხს, რისი მოგვარებაც გვინდა. აქვს თუ არა ჩვენს გუნდს საკმარისი ექსპერტიზა, რომ გაუძღვეს პროგრამას? თუ გვჭირდება დამხმარე ძალების ჩართვა. რა გავლენა ექნება პროექტს ახალგაზრდებზე?

შუალედური შეფასება გვაძლევს შანსს ვნახოთ, როგორ მიმდინარეობს პროცესი. როგორც სახელი მიგვანიშნებს, ის შეიძლება განხორციელდეს პროექტის აღსრულების ფაზაში, ან მიმდინარეობდეს მთელი პროექტის განმავლობაში ყოველდღიურად. ამ ტიპის შეფასება ძალიან სასარგებლოა პროექტის განმახორციელებელი გუნდისთვის, რადგან იძლევა საშუალებას დავინახოთ მოსალოდნელი პრობლემები და სირთულეები და ვიმოქმედოთ დროულად მათ აღმოსაფხვრელად.

პროგრამის დასრულების შემდეგ დგება საბოლოო შეფასების დრო. მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით მონაწილეები და გუნდი აფასებენ პროგრამას დამდგარ შედეგებთან მიმართებაში.

შეფასების ტიპები არსებობს შეფასების არაერთი ფორმა, რომლის შერჩევისას ყურადღება უნდა მიექცეს შესაფასებელი პროგრამის თავისებურებებს. მისი ბუნებიდან გამომდინარე შეფასება შეიძლება იყოს რაოდენობრივი ან თვისებრივი. პირველი ცდილობს რაოდენობრივი მაჩვენებლებით გაზომოს პროექტის სხვადასხვა ასპექტები და პასუხობს კითხვებს როგორიცაა: რამდენი? რამდენად? მაგალითად: რამდენი ახალგაზრდა მონაწილეობდა პროგრამაში? რამდენად ხშირად ტარდებოდა შეხვედრები?

თვისებრივი შეფასება აქცენტს აკეთებს პროგრამის ხარისხზე და იკვლევს გამოცდილების მნიშვნელობას ინდივიდუალურ და ჯგუფურ დონეზე. ამ ტიპის შეფასება, ძირითად ეძებს პასუხებს კითხვებზე: როგორ და რატომ. მაგ. როგორ უწყობს ხელს პროგრამა ახალგაზრდებში საკვანძო კომპეტენციების განვითარებას?

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიონალური საგანმანათლებლო შეფასება, როგორც წესი, არის ხოლმე რაოდენობრივი და თვისებრივი შეფასების კომბინაცია, რაც პროგრამის შესახებ უფრო ფართო და ნათელ სურათს იძლევა. ასევე, გასათვალისწინებელია, რა განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხს? იმისათვის რომ ობიექტურად მოხდეს გააზრება თუ რას ნიშნავს პროგრამის ხარისხიანობა, დგება სტანდარტების ან ხარისხის ინდიკატორების კატალოგი, რომელიც განსაზღვრავს რას ნიშნავს ხარისხი ამ კონკრეტული პროგრამის შემთხვევაში და მასთან მიმართებაში ხდება შეფასების გეგმის შედგენა.

ნებისმიერი პროექტი თუ პროგრამა სამი ნაწილისგან შედგება: დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ შეფასება მხოლოდ პროექტის დასკვნით ნაწილში უნდა გაკეთდეს. ის პრაქტიკულად პროექტის მთელი ციკლის პარალელურად მიმდინარეობს და შედგება შემდეგი ნაბიჯებისგან:

- შეფასების პროცესისთვის მომზადება
- შეფასების გეგმის შედგენა
- ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი
- დასკვნების გამოტანა
- შედეგების ანგარიშგება
- და ბოლოს, შედეგების დანერგვა

შესაძლებელია, საგანმანათლებლო აქტივობების შეფასება მოგვეჩვენოს რთული, ძვირი და დამღლელი, მაგრამ გვახსოვდეს, რომ ეს მნიშვნელოვანი პროცესია, რომელიც პროგრამების გაუმჯობესებას ემსახურება.

წყაროები და დამატებითი მასალა
1. ევროპის საბჭო & ევროპის კომისია. საგანმანათლებლო შეფასება ახალგაზრდულ საქმიანობაში. 2007. https://pjp-eu.coe.int/documents/42128013/47261233/T-Kit_10.pdf/8d85c6ac-05e5-4715-8f43-0f9c3018772a
2. იუნესკო. შეფასების რესურსები უცხოელებისთვის. 2011. https://www.foroige.ie/sites/default/files/evaluation_resource.pdf

2.16 მეწარმეობის არსი

ავტორი: თეონა დალაქიშვილი

რა არის მეწარმეობა? მეწარმეობას ჩვენი კანონები არ განმარტავს და სხვადასხვა წყაროებში ეს საკითხი სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს განმარტებული, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ თვითონ შევჯერდეთ რას ვგულისხმობთ როდესაც ვსაუბრობთ მეწარმეობაზე.

მეწარმეობის საკითხი, მნიშვნელოვანია განსაკუთრებით იქიდან გამომდინარე, რომ იგი მიჯნავს ეკონომიკურ საქმიანობას ცალსახად ერთი სექტორისგან - კერძო სექტორისგან და მას უფრო ასე ვთქვათ, ფართო გადმოსახედიდან უყურებს.

რა არის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება? ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება არის ცნება, რომელიც ცდება უბრალოდ ეკონომიკური ზრდის საკითხებს და თავის თავში მოიაზრებს პირველ რიგში ეკ. განვითარების დეცენტრალიზაციას, ლოკალიზებას და იმას, რომ ამაში არიან ჩართულნი როგორც ადგილობრივი ეკონომიკური აქტორები, ასევე, ადგილობრივი მთავრობა და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოება. აი აქ შემოდის ზუსტად მეწარმეობა, რომელიც ამ დეცენტრალიზების პროცესში, ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს. გარდა ამისა, მეწარმეობის როლი არის მნიშვნელოვანი იმ კუთხით, რომ იგი ზრდის დასაქმების შესაძლებლობებს. შესაბამისად, როდესაც ვსაუბრობთ რეგიონალურ განვითარებაზე ამცირებს კადრების გადინებას რეგიონებიდან, არაურბანული დასახლებებიდან. განსაკუთრებით ეს ეხება ქალებს და სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებს. მეწარმეობა ხელს უწყობს ინოვაციების დანერგვას, დოვლათის შექმნას და შესაბამისად, ამ კუთხით ზოგადად საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლებას, რაც გამოიხატება როგორც ინვესტიციების გაზრდაში განათლების მიმართულებით, სხვადასხვა საქმიანობაში, ბაზრის დეცენტრალიზაციაში და ზოგადად, საზოგადოებრივი განვითარების დაჩქარებაში. ეს შეიძლება იყოს წმინდად ეკონომიკური განვითარება, მაგრამ ეს რათქმაუნდა სხვა სფეროებსაც მოიცავს. მაგალითად, ძალიან ხშირად ბოლო პერიოდში ვხვდებით - შემოქმედებით ეკონომიკას, შემოქმედებით მეწარმეობას და მეწარმეობა სწორედ ამას აერთიანებს საკუთარ თავში.

მოდით დავიწყოთ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხით, რა არის მეწარმეობა? მეწარმეობა არის მზაობა და სურვილი, დაიწყო საქმიანობა მოგების მიღების მიზნით იმის გათვალისწინებით, რომ ერთის მხრივ მეწარმეს მოუწევს წავიდეს რისკებზე, მეორეს მხრივ მას მოუწევს გამოიყენოს საკუთარი ცოდნა და უნარები იმისთვის, რომ შექმნას საზოგადოებრივი დოვლათი და ამავდროულად, მოაგვაროს გარკვეული სოციალური პრობლემები. შეიძლება ითქვას, რომ მეწარმეობა ფოკუსირებულია იმაზე, რომ მოახდინოს გლობალური პრობლემების

ლოკალურ დონეზე მოგვარება, რაც ასევე გვაძლევს დეცენტრალიზაციის შესაძლებლობას და შეიძლება ასევე გამოვყოთ მეწარმეობის სხვადასხვა ტიპები, თუმცა იქამდე ასევე აღვნიშნავ, რომ ჩვენი კანონმდებლობა თავისთავში როდესაც ვსაუბრობთ მეწარმეობაზე ყოველთვის არ მოიაზრებს ე. წ. Entrepreneurship-ს, რომელიც ინოვაციურ მეწარმეობას უფრო მოიცავს და მოიაზრებს უფრო ტექნიკურ აღწერას: მიკრო მეწარმეობა, საშუალო მეწარმეობა, მცირე მეწარმეობა, ინდ. მეწარმეობა და ა.შ. თუმცა შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე ტიპი, მაგალითად **პირველი ტიპი - ეს არის თვითგადარჩენაზე ორიენტირებული მეწარმეობა**, რომელიც როგორც წესი არის საკმაოდ მცირე ინვესტიციით, ან თითქმის ნულოვანი ინვესტიციით დაწყებული საქმიანობა, რომლის მთავარი მიზანი არის გადარჩეს ის ადამიანი ფინანსურად რომელიც იწყებს მეწარმეობას, მისი ოჯახი, შეიძლება მან ამ თანხის რეინვესტირებაც კი ვერ მოახდინოს, შესაბამისად, ამ კუთხით ბიზნესი არ იყოს მზარდი და განვითარებადი. **მეორე ეს არის ზრდაზე ორიენტირებული მეწარმეობა,** რომელიც გულისხმობს, რომ დამფუძნებელს ერთის მხრივ აქვს უფრო მეტი ინვესტიციის ჩადების შესაძლებლობა, ხოლო მეორეს მხრივ უფრო დიდი ამბიცია, რომ როგორც ფინანსურად ასევე საზოგადოებრივი გავლენის კუთხით განვითარდეს, გახდეს ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშე ბაზარზე და ამავე დროს, შეიძლება გახდეს დამსაქმებელი და უფრო დიდი ცვლილება შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში. **მესამე ტიპი რომელიც მინდა რომ გამოვყო ეს არის - ინოვაციური მეწარმეობა.** ინოვაციური მეწარმეობა გულისხმობს იმას, რომ მეწარმე მზად არის შევიდეს ბაზარზე ისეთი პროდუქტით, რომელიც შეიძლება არც არსებობდეს, შეიძლება სრულიად ახალ კონკურენტუნარიან გარემოს ქმნიდეს, და ამითი თავის თავზე იღებდეს საკმაოდ დიდ რისკებს.

ვინ არის მეწარმე ? მეწარმე როგორც პიროვნება, სტანდარტული ბიზნესმენისგან საკმაოდ განსახვავდება. მეწარმე - ეს არის ადამიანი, რომელიც მზად არის გამოიყენოს საკუთარი ცოდნა და უნარები, შექმნას ხშირ შემთხვევაში ინოვაციური, ახალი პროდუქტი და აქედან რათქმაუნდა მიიღოს მოგება. როგორც წესი ეს ადამიანები ხშირ შემთხვევაში არიან ინოვატორები, არიან პირველები ვინც აი ამ თავის საქმეს იწყებს თავიანთ ქვეყანაში, ქალაქში, სოფელში, თემში და ცდილობენ მათ გარშემო წამოჭრილი პრობლემების ერთის მხრივ იდენტიფიცირებას და შემდეგ უკვე მათ მოგვარებას.

შეიძლება ერთი შეხედვით ფიქრობდეთ, რომ სიტყვა - ინოვაცია არის შემზღუდველი, რადგან არ ხდება ხოლმე მისი სწორედ აღქმა. როდესაც ვსაუბრობთ ინოვაციურ მეწარმეობაზე, ჩვენ აქ ყოველთვის ცალსახად არ ვგულისხმობთ, რომ ადამიანი ახალი ბორბლის, ველოსიპედის გამოგონებას ცდილობს. ინოვაცია შეგვიძლია მარტივად განვმარტოთ და ეს დაგვეხმარება იმაში, რომ თვითონ ამ საკითხსაც მარტივად შევხედოთ. ძალიან მნიშვნელოვანია განვმარტოთ რას ნიშნავს ინოვაცია, რომ არ გვქონდეს შეზღუდული შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით. ინოვაცია ჩვენს კანონმდებლობაშიც არის განმარტებული, **ინოვაცია არის ეკონომიკური, სამეცნიერო ან სოციალური ღირებულებების მქონე, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტი, პროცესი ან მომსახურება.**

რომ შევაჯამოთ, მეწარმეები არიან ინოვატორები, ისინი ცდილობენ არამხოლოდ პროდუქტის და ადგილობრივი ეკონომიკური ეკოსისტემის განვითარებას, არამედ მათთვის მნიშვნელოვანია საკუთარი თავის განვითარება, გუნდის განვითარება და ზოგადად, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სიახლის შემოტანა.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. სახელმძღვანელო - ტრანსვერსული უნარები
https://issuu.com/cdcge/docs/transversal_skills_training_modules
2. მეწარმეობის სკოლის კურსი - ვიდეო გაკვეთილები
https://yes.crystal.ge/ge/video-lessons
3. სოციალური ინოვაციის კურსი
https://ctconline.ge/course/index.php?categoryid=15
4. ვებ-მისამართი : https://hbr.org/subscriptionsutm_medium=paid-search&utm_source=google&utm_campaign=subscribetohbr_gbb_intl&utm_term=Brand&tpcc=paidsearch.google.brand&gclid=Cj0KCQjw8IaGBhCHARIsAGIRRYqu_XLxOfn0GMGecIzbvufdALjGwjCi2QXyDYmTiNUitDyDJsa5rkEaAouiEALw_wcB
5. ვებ-მისამართი: https://www.technologyreview.com/

2.17 რა არის სტარტაპი?

ავტორი: თეონა დალაქიშვილი

სტარტაპი ესეთი კლასიკური განმარტებით, არის პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირებული ახალი წამოწყება, რომელსაც ჰყავს ახალი გუნდი, ეს არის ბიზნესსაქმიანობა, რომელიც ხასიათდება სწრაფი ზრდის ტემპით, ინოვაციური მიდგომებით და მასშტაბირებადობისშესაძლებლობით. სტარტაპი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მახასიათებლებს, რადგან ამის ახსნა ძალიან მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ დღესდღეობით ხშირად ხდება ხოლმე აღრევა რა არის მეწარმეობა, ვინ არის მეწარმე, ვინ არის სტარტაპერი და ხშირად თუნდაც თვითგადარჩენაზე ორიენტირებული მეწარმეები შეიძლება საკუთარ თავს სტარტაპებს ეძახდნენ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ტერმინოლოგიის დონეზე ვიცოდეთ რა განსხვავებაა მათ შორის.

პირველ რიგში, სტარტაპების უდიდესი ნაწილი არის ტექნოლოგიური, ეს არის ინოვაციური მეწარმეობა, რომელიც თავისთავში მოიცავს გარკვეულ ტექნოლოგიურ გადაწყვეტას. ეს შეიძლება იყოს ტექნოლოგიური პროდუქტი, რომელიც არის ახალი, ან ეს შეიძლება იყოს პროცესში არსებული დანერგილი ინოვაციური ტექნოლოგია. რა მახასიათებლებს უნდა აკმაყოფილებდეს: ეს არის ახალი კომპანია და გუნდი, ეს არის ინოვაციური პროდუქტი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში თავისთავში მოიცავს ტექნოლოგიას, როდესაც ჩვენ ვიწყებთ სტარტაპ საქმიანობას ძალიან მაღალი არის რისკი რომ არ გაამართლოს, რადგან ფაქტიურად ჩვენ შევდივართ ისეთ არეალში, სადაც შეიძლება არც ბაზრის კვლევა არსებობდეს, არც ის ვიცოდეთ რამდენად აქვს მომხმარებელს მზაობა გამოიყენოს რაღაც კონკრეტული ინოვაციური პროდუქტი, მას აქვს მასშტაბირებადი ბიზნეს მოდელი და რომ განვმარტოთ აქ უნდა ითქვას, რომ მაგალითად, მე თუ ვქმნი სტარტაპს კონკრეტულად საქართველოში, მისი ბიზნეს მოდელი მარტივად უნდა ერგებოდეს მაგ. მეზობელ ქვეყნებს, სხვა ბაზრებს, რომლებიც შეიძლება ხვალ მზად იყონ რომ ეს სტარტაპი იქაც შევიდეს, უფრო გააფართოოს თავისი საქმიანობა და სწრაფად ზრდის პოტენციალი, როგორც წესი სტარტაპები ან ძალიან სწრაფად ასრულებენ თავიან საქმიანობას, რადგან ხედავენ, რომ მათმა პროდუქტმა ბაზარზე მოლოდინები არ გაამართლა ან ძალიან სწრაფად იზრდებიან როგორც

ფინანსურად, ასევე უფრო გლობალურად ფართოვდებიან და ასევე რა თქმა უნდა იზრდება გუნდი. მისი ესეთი კონკრეტული განმარტება შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს, რადგან ცხადია ის ყველაფერი რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ არ არის ზუსტი მეცნიერება და შეიძლება მრავალგვარ ახსნას შეხვდეთ, თუმცა მნიშვნელოვანია შევთანხმდეთ, რომ აი ამ მახასიათებლებს სტარტაპი უნდა აკმაყოფილებდეს. რამდენიმე ცნობილი აღწერა რომ შემოვიტანოთ, ერთ-ერთი ეს არის ერიკ კრისის აღწერა, რომელიც ამბობს, რომ სტარტაპი ეს არის ინსტიტუტი, რომელიც შექმნილის ახალი პროდუქტის ან მომსახურების მოსაწოდებლად ექსტრემალურ და მოულოდნელობებით სავსე პირობებში.

თუ რას გულისხმობს ექსტრემალურად მოულოდნელობებით სავსე პირობები, ეს არის ზუსტად რა რეალობაშიც დღეს ჩვენ ვიმყოფებით, ეს არის პანდემია, ჩნდება რაღაც გარკვეული საჭიროებები და სტარტაპერები ინოვაციურ გადაწყვეტილებებს სთავაზობენ საზოგადოებას. მეორე განმარტება ეს არის პოლ გრაჰამის განმარტება, რომელიც ამბობს, რომ სტარტაპი ეს არის კომპანია, რომელიც შექმნილია სწრაფი განვითარებისთვის.

არ აქვს მნიშვნელობა ხარ თუ არა ახალი დამფუძნებელი, მუშაობ თუ არა ტექნოლოგიებზე, ან მიიღე თუ არა სარისკო კაპიტალი, ან გაქვს თუ არა გარკვეული Exit სტრატეგია, მოიაზრებს იმას, რომ ნებისმიერი კომპანია, რომელიც შექმნილია იმისათვის, რომ სწრაფად გაიზარდოს ფინანსურად და ჰქონდეს ის ძირითადი გათვლა, რომ მას უნდა ჰქონდეს სწრაფი ზრდის პოტენციალი, შეიძლება მოვიაზროთ, რომ ეს არის სტარტაპი და რამდენიმე ადგილობრივი სტარტაპის მაგალითი მინდოდა მომეყვანა: ერთ-ერთი მათგანი ეს არის soplidan.ge, რომელიც არის ელექტრონული კომერციის პლატფორმა, რომელიც ორმა მეგობარმა გოგომ დააფუძნა 2015 წლის ოქტომბერში, მათი მიზანი იყო, რომ მათ ბიზნესს შეესრულებინა ერთგვარი ხიდის ფუნქცია სოფელსა და ქალაქს შორის და ის პროდუქცია, რომელიც შეიძლება ქალაქის მოსახლეობისთვის არ არის ხელმისაწვდომი, ხოლო სოფლის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია რომ გაიყიდოს, მოექცია ერთ ასე ვთქვათ - ინოვაციური ტიპის პლატფორმაზე - ელექტრონული კომერციის პლატფორმაზე, რომელსაც დაარქვეს soplidan.ge, რომელიც განსაკუთრებით პანდემიის დროს ძალიან პოპულარული გახდა, რადგან საზოგადოებას შესთავაზა გამარტივებული მიწოდების არხები და ინოვაციური ბიზნეს მოდელით შემოიტანა სოფლის პროდუქცია ქალაქურ დასახლებაში.მეორე ძალიან კარგი მაგალითი ქართული სტარტაპის ეს არის -Pulsar ai, რომელიც 2016 წელს დაფუძნდა და კომპანიამ ქართულ ბაზარს შესთავაზა ინოვაციური სერვისები, რაც თავისთავში მოიცავდა ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით კონკრეტულად კომპანიებისათვის გარკვეული სერვისების შეთავაზებას და თქვენ თუ ოდესმე მესენჯერში გამოგიყენებიათ ქართული კომპანიების ჩეტბოტები და გისაუბრიათ მათთან, ზუსტად პულსარის მიერ შეთავაზებული პროდუქტები იყო და სწორედ ,,პულსარ აი“ გახდა პირველი ქართული სტარტაპი, რომელიც უცხოურმა ბიზნესმა იყიდა 10 მილიონ დოლარად და ასეთი წარმატებული - Exit ანუ ბაზრიდან გასვლა განახორციელა.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. ვებ მისამართი: https://soplidan.ge/
2. ვებ მისამართი : https://pulsar.ai/product.html

2.18 სოციალური მეწარმეობა

ავტორი: თეონა დალაქიშვილი

როდესაც ვსაუბრობთ იმაზე, თუ რა არის მეწარმეობა, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია გამოვყოთ, თუ რა არის სოციალური მეწარმეობა, განსაკუთრებით საქართველოში იმიტომ, რომ ამ კუთხითაც სამწუხაროდ არ გვაქვს ისეთი კონკრეტული განმარტება და ხშირად ხდება ხოლმე არევა და სოციალურ საწარმოს არასამთავრობო სექტორს უფრო ანიჭებენ ვიდრე ბიზნესს ან პირიქით ბიზნესს უფრო მიაკუთვნებენ ვიდრე არასამთავრობო სექტორს, ან მოიაზრებენ საქველმოქმედო ორგანიზაციად. ძალიან ცუდი არის ის ფაქტი ცალსახად, რომ განსაზღვრება არ გვაქვს, რადგან სოციალურ მეწარმეობას ეს აკარგვინებს წვდომას შეღავათებზე, აკარგვინებს შესაძლებლობას, რომ უფრო ხილვადი და გასაგები იყოს, თუმცა მეორეს მხრივ სამოქალაქო საზოგადოება ძალიან ბევრს მუშაობს, რომ ცნობიერება ამ მიმართულებით გაიზარდოს.

ტერმინი - სოციალური მეწარმეობა, ასოცირდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაწეულ სხვადასხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობასთან, რომელიც მიზნად ისახავს მოგების მიღებას. ზოგადად სოციალური მეწარმეობის არსიც აქედან წამოვიდა, რომ სამოქალაქო ორგანიზაციებმა შექმნან მდგრადი თვითდაფინანსების მექანიზმი, რათა არ იყონ დამოკიდებულნი კონკრეტულ გარე-აქტორებზე, დონორებზე და ჰქონდეთ ბევრად უფრო მეტი დამოუკიდებლობა. საქართველოზე ბევრად ადრე გახდა ცნობადი ცნება ,,სოციალური მეწარმეობა“ როგორც ევროპაში, ასევე აშშ-ში. 70-იანი წლებიდან ის პოპულარული გახდა ევროპაში, განსაკუთრებით დინამიურად განვითარდა 90-იან წლებში და ევროკავშირის მნიშვნელოვან პრიორიტეტულ მიმართულებებში მოხვდა 2011 წლიდან. თუმცა ბევრად უფრო ადრე მე-19 საუკუნიდან აშშ-ში არსებული სამოქალაქო ორგანიზაციები და მოძრაობები, უკვე ეწეოდნენ გარკვეულ ბიზნეს საქმიანობას, იმისთვის რომ შეესრულებინათ საკუთარი სოციალური მისია გარკვეული მოწყვლადი ჯგუფების მიმართ, დაესაქმებინათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ან დახმარებოდნენ იმ ადამიანებს ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებოდა.

რომ დაუბრუნდეთ განმარტებებს, რა თქმა უნდა აქაც შეიძლება შევხვდეთ სხვადასხვა განმარტებას, თუმცა მნიშვნელოვანია გამოვყოთ სამი ძირითადი ასპექტი:მმართველობითი ასპექტი;სოციალური ასპექტი;ეკონომიკური ასპექტი. ხშირად, ამ სამს შორის ბალანსის პოვნა არის ხოლმე განსაკუთრებით ჩვენს რეალობაში სოციალური მეწარმეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა. რას გულისხმობს მმართველობითი ასპექტი: იგი გულისხმობს იმას, რომ სოციალური საწარმო როგორც წესი არის მოხალისეობრივად დაფუძნებული, კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც დამოუკიდებელია სხვა აქტორებისგან. დამოუკიდებელია როგორც ეკონომიკური აქტორებისგან, ასევე დამფინანსებლებისგან, ინვესტორებისგან, დონორებისგან და მთავრობისგან. თუნდაც მთავრობა იყოს მისი დამფინანსებელი, ის მაინც რჩება დამოუკიდებელ აქტორად.

მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი რა თქმა უნდა ეს არის სოციალური: ის რომ სოციალური საწარმო ბიზნესის წარმოებასთან ერთად არ უნდა კარგავდეს საკუთარ სოციალურ მისიას და ჩვენ თუ დაუკვირდებით მაგალითად საქართველოს რეალობას, სადაც სოციალური საწარმოს ესეთ სტატუსს ვერ მიიღებ და როგორც წესით ის ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების (არამომგებიანი, არაკომერციული იურიდიული პირები) მიერ, პირდაპირ წესდებაში არის არამომ-

გებიანი, აქვთ უფლება გაყიდონ სერვისი ან პროდუქტი, ოღონდ ამ თანხის რეინვესტირება მოახდინონ იმ სოციალურ მიზნებში, რომლებიც მათ ასევე აქვთ განსაზღვრული წესდებით. ამიტომ, ამ ორს შორის ბალანსის პოვნა არის ძალზედ მნიშვნელოვანი, რაც განასხვავებს მარტივად რომ ვთქვათ სოციალურ საწარმოს სტანდარტული საწარმოსგან არის ის, რომ სოციალური საწარმო მიღებულ მოგებას არ ანაწილებს დივიდენდების სახით, არამედ ახდენს მის რეინვესტირებას ისევ საკუთარ თავში, საკუთარი განვითარებისთვის, ახალი პროექტებისთვის და ახალი თანამშრომლების დასაქმებისთვის და ამ სოციალური მისიის შესრულებისთვის. თუმცა, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ მისი ეკონომიკური საქმიანობა უნდა იყოს მაღალი ხარისხის, მაღალი დონის, მის პროდუქციას ყიდულობდნენ არა იმიტომ, რომ იგი ასაქმებს მოწყვლად ჯგუფებს, არამედ იმიტომ, რომ ეს პროდუქცია არის ხარისხიანი და შეუძლია კონკურენციის გაწევა სხვა ალტერნატიული პროდუქტისთვის, რომელიც უკვე არსებობს ბაზარზე.

სოციალური საწარმო არის ბიზნესი, რომელსაც აქვს საზოგადოებრივი ან სოციალური მიზნები. ხშირად, ეს შეიძლება მოიცავდეს სოციალური ინოვაციის მაღალ ხარისხს, და რაღაც ახლებულ გადაწყვეტებს, მათ შორის იყოს ტექნოლოგიური გადაწყვეტები, რომელშიც მოგება ძირითადად რეინვესტირდება და არ გაიცემა დივიდენდების სახით, როგორც უკვე აღვნიშნეთ და ორგანიზების ფორმაც არ აისახება დივიდენდებში და თანამონაწილეობაში, არამედ თანადამფუძნებლობაში და იმაში, რომ თითოეულ დამფუძნებელს, აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა.რაც შეეხება სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემას, ამ კუთხითაც პრინციპში გვაქვს საკმაოდ დიდი და მნიშვნელოვანი ძვრები, თუმცა გამოვყოფთ რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებას რომელსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, განსაკუთრებით მუნიციპალურ დონეზე, რადგან ამ კუთხითაც მნიშვნელოვანია რა თქმა უნდა დეცენტრალიზაცია.

პირველი ეს არის - ხილვადობა და აღიარება; ის რომ ადამიანებმა იცოდნენ რა არის სოციალური მეწარმეობა, იცოდნენ ვინ არიან სოციალური მეწარმეები, ვინ არის წარმოდგენილი კონკრეტულ ბაზარზე, რა პროდუქციის მიღება შეუძლიათ, და ხილვადობა და აღიარება სოციალურ საწარმოებს აძლევს შესაძლებლობას, რომ მიიღოს ის შეღავათები, ის სერვისები, რომელსაც მაგალითად სახელმწიფო თუნდაც ადგილობრივი მთავრობის დონეზე სთავაზობს მათ.კვლევა, განათლება და უნარები - ის, რომ ამ მიმართულებით ხდებოდეს სხვადასხვა ტრენინგების, მენტორინგ-პროგრამების, როგორც აკადემიურ სფეროში, ასევე არაფორმალურ სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და თვითორგანიზების შესაძლებლობები.

ის რომ არსებობდეს რესურსი, რომ თუნდაც ახალგაზრდების ჯგუფმა, რომლებსაც არ აქვთ დიდი გამოცდილება და დიდი ცოდნა, შეძლონ დააარსოს სოციალური საწარმო ადგილობრივ დონეზე; არსებობდეს თუნდაც მცირე სასტარტო დაფინანსება ამისთვის და როდესაც ეს ყველა კრიტერიუმი ერთმანეთთან კომპლექსურად არის გადაჯაჭვული და ერთიანად ვითარდება, რა თქმა უნდა მთლიანად ვითარდება სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემა. რა კითხვასაც ვაწყდებით ყველაზე ხშირად როდესაც ვსაუბრობთ სოციალურ მეწარმეობაზე, ეს არის განსხვავებები. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ხშირად უჭირთ ხოლმე განსაზღვრონ სად მთავრდება საქველმოქმედო ორგანიზაცია, არასამთავრობო ორგანიზაცია, სოციალური საწარმო და სად არის უკვე ბიზნესი. სოციალური მეწარმეობა არ არის ცალსახად საქველმოქმედო საქმიანობა, რადგან საქველმოქმედო საქმიანობა არის დაფუძნებული დონაციებზე და ის არ

არის მდგრადი.

ეს ასევე არ არის სტანდარტული არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობა, რადგან ხშირად აქაც შეიძლება ვიყოთ დამოკიდებული კონკრეტულ საგრანტო პროგრამაზე ან დონორზე და აქაც გვაქვს მდგრადობის პრობლემა. სოციალური მეწარმეობა არის ხიდი, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობას ხდის უფრო მეტად მდგრადს, მაგრამ არ გადადის ბიზნესში, იქამდე სანამ ის ემსახურება სოციალური მისიის განვითარებას, მიყვება ამ სოციალურ მისიას და იქამდე სანამ ხდება ამ თანხის რეინვესტირება. თუმცა სოციალურმა საწარმომაც შეიძლება რაღაც ეტაპზე გადაწყვიტოს ამ ფორმიდან გამოვიდეს და მიიღოს თუნდაც ჩვეულებრივი ბიზნესის ფორმა, რის მაგალითებიც გვაქვს როგორც ქართულ რეალობაში ასევე, ზოგადად გლობალურ დონეზე. მარტივად რომ ვთქვათ, სოციალური მეწარმეობის პროდუქციას უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ სოციალური დატვირთვა, არამედ ხარისხობრივი ღირებულება და უნდა იყოს კონკურენტუნარიანი ბაზარზე, ზუსტად იმისთვის, რომ მან შეძლოს შემდგომ სოციალური მისიის შესრულება, რაც თავისთავში შეიძლება მოიცავდეს მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებას, განსაკუთრებით ეს ეხება ხოლმე იმ ახალგაზრდებს ვინც არც დასაქმებულია და არც განათლების სისტემაშია. ეს არის ხოლმე ზუსტად ის ხიდი, რომელიც აკავშირებს მოწყვლად ჯგუფებს ბაზართან, დასაქმების ბაზართან, ეკონომიკურ სისტემასთან და ხელს უწყობს მათ განვითარებას სხვადასხვა მიმართულებით.



სურათი 2.18.1

წყაროები და დამატებითი მასალა

1. ეკა დათუაშვილი. სოციალური მეწარმეობა საქართველოში. 2020. https://www.civilin.org/pdf/Social_Enterprise_geo.pdf
2. სოციალური მეწარმეობის კურსი https://yes.crystal.ge/ge/video-lessons

2.19 სოციალური მეწარმეობის მაგალითები

ავტორი: თეონა დალაქიშვილი

მოდით, განვიხილოთ სოციალური მეწარმეობის რამდენიმე მაგალითი სხვადასხვა სფეროდან:სოციალური კაფე „რვას+1“; ბოლო პერიოდში, საკმაოდ პოპულარული გახდა სოციალური მეწარმეობის განვითარება სივრცეების განვითარების კუთხით. ეს კონკრეტული კაფე მდებარეობს ოზურგეთში და წარმოადგენს მულტიკულტურული შეხვედრებისა და ღონისძიებების გამართვის სივრცეს, რომელიც არის ადაპტირებული და ადამიანებს ეხმარება ჰქონდეთ საერთო ინტეგრირებული სივრცე, როგორც ცოდნის მიღებისთვის, უბრალოდ შეკრებისთვის, გარკვეული ღონისძიებების დაგეგმვისთვის, და ასევე სივრცე სთავაზობს მათ გარკვეულ დამატებით სერვისებს. რა თქმა უნდა მიღებული შემოსავალი რაც კონკრეტულად არის კაფიდან, მთლიანად ხმარდება იმას, რომ ეს სივრცე ხელმისაწვდომი იყოს ადგილობრივი ადამიანებისთვის;მეორე მაგალითი ეს არის უფრო მეტად პროდუქტის მაგალითი - ,,მწვანე საჩუქარი“, რომელიც მეორად ქაღალდის პროდუქციას გადაამუშავებს და ქმნის გადამუშავებული ქაღალდისგან ახალ პროდუქტს, ზუსტად იმიტომ, რომ შეცვალოს მთლიანად მიდგომა ნარჩენების გადამუშავების კუთხით. ისინი უზრუნველყოფენ ნარჩენების შეგროვებას და შემდგომ აქედან პროდუქტის შექმნას. მისი ძირითადი მისია არის, გარემოს დაცვა, ცნობიერების ამაღლება და დასაქმება;მესამე ეს არის სოციალური საწარმო ,,ბაბალე“, რომელიც დააფუძნა ორმა მშობელმა, რომელთაც თავად ჰყავდათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილები, და შექმნეს ძალიან საინტერესო სივრცე. ბაბალე თავის თავში მოიცავს ერთის მხრივ ხის, ტექსტილის და კერამიკის ნივთების შექმნას და მაღაზია-სალონს, სადაც ამ ნივთების შეძენაა შესაძლებელი და მეორეს მხრივ - სასწავლო სტუდიას, სადაც ნებისმიერ ბავშვს, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, შესაძლებლობა აქვთ, რომ მივიდნენ, ჩაერთონ ამ სასწავლო პროცესში, თავად შექმნან ეს პროდუქცია და შემდგომ ეს პროდუქცია იყიდება იგივე სივრცეში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი ადამიანისთვის. რა თქმა უნდა ეს სოციალური საწარმო ძალიან მნიშვნელოვან და დიდ როლს თამაშობს იმ ადამიანების ფსიქო-სოციალურ ინტეგრაციაში, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. ერთი რაც შეიძლება ითქვას, არის ის, რომ სამივე საწარმო არის ძალიან კარგი მაგალითი, როგორ შეიძლება ემსახურებოდე სოციალურ მისიას, მაგრამ ამავდროულად ქმნიდე მაღალი ხარისხის პროდუქციას, რომელიც ბაზარზე არის საკმაოდ კონკურენტუნარიანი და შემოსავალი გეხმარება იმაში, რომ წლების მანძილზე შეინარჩუნო ეს საწარმო. თითოეული მათგანი მინიმუმ 5 წელია რაც არსებობს და 5 წელი შეინარჩუნო სოციალური საწარმო არის საკმაოდ რთული და ზოგადად მიჰყვე სამეწარმეო საქმიანობას არის რთული და ეს არის ძალიან კარგი მაგალითი იმისა, რომ განგრძობით პერიოდში როგორ შეიძლება ქმნიდე მაღალი ხარისხის პროდუქტს, რომელიც მოსაწონია მომხმარებლისთვის და თან ინარჩუნებდე აი ამ სოციალურ მიზნებს, მისიას და აბალანსებდე ამ კონკრეტულ საკითხებს, რაც ნებისმიერი სოციალური მეწარმისთვის არის გამოწვევა, თუმცა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მიზანიც.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. სოციალური საწარმო “ ბაბალე” : https://www.facebook.com/babalestore;
2. მწვანე საჩუქარი : https://www.facebook.com/Greengift.Geo

2.20 მეწარმეობის კომპეტენციები

ავტორი: თეონა დალაქიშვილი

წარმოუდგენელია ვისაუბროთ მეწარმეობის განვითარებაზე და არ შევეხოთ მეწარმეობის საგანმანათლებლო ბაზას, იმიტომ, რომ თუ არ განვითარდება სამეწარმეო კომპეტენციები ძალიან მცირე ასაკიდან, შეუძლებელია რომ ამ კუთხით რაიმე დიდ ცვლილებებს ველოდეთ ზოგადად საზოგადოებაში. მეწარმეობრივი კომპეტენციები ფაქტიურად თავისთავში მოიცავს ყველა იმ კომპეტენციას, რომელიც მიჩნეულია ე.წ. მომავლის კომპეტენციებად, იმ უნარებად რომელსაც ხვალ და ზეგ სამუშაო ბაზარი აუცილებლად მოითხოვს და დააყენებს, ამიტომ ამაზე ზრუნვა და მათი საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრირება არის ძალიან მნიშვნელოვანი. სამეწარმეო აზროვნება თავისთავში არ მოიცავს, რომ ყველას უნდა ჰქონდეს ბიზნესი ან საწარმო, არამედ სამეწარმეო აზროვნება თავისთავში მოიაზრებს ზუსტად იმ უნარებს რომელიც ადამიანს შეიძლება ერთის მხრივ შეიძლება ეხმარებოდეს საკუთარი საქმიანობის დაწყებაში, მეორეს მხრივ ეხმარება იმაში, რომ ნებისმიერ წამოწყებაში ან ნებისმიერ სამსახურში იყოს კომპეტენტური, იყოს კარგი თანაგუნდელი და იყოს კარგი თანამშრომელი. ამიტომ არ უნდა შევხედოთ ამას ისე, რომ მხოლოდ იმ ადამიანებზე უნდა ვიზრუნოთ სამეწარმეო კომპეტენციების განვითარებით, ვინც აპირებს რომ დაიწყოს ბიზნესი, არამედ ფაქტიურად ეს არის საბაზისო კომპეტენციები ნებისმიერი ადამიანისათვის. მუნიციპალიტეტის როლი ამ მხრივ, რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის რა საჭიროებებიც არსებობს ლოკალურ დონეზე, პირველ რიგში ამის შესწავლა უნდა მოხდეს ლოკალურად, ასეთმა კვლევებმა შემდეგ უნდა მისცეს მიმართულება საგანმანათლებლო პროგრამებს რა თქმა უნდა როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ სექტორში და ეს საგანმანათლებლო მიმართულებაც უნდა ხორციელდებოდეს დეცენტრალიზებულად, იმიტომ რომ საჭიროებებიც საკმაოდ განსხვავდება როგორც თვითონ ახალგაზრდების, ასევე დამსაქმებლების საჭიროებებიც რა თქმა უნდა არის განსხვავებული. სამეწარმეო ეკოსისტემაც უნდა განვითარდეს უფრო მეტად დეცენტრალიზებულად და ამაში ადგილობრივი მთავრობის როლი არის ძალიან მნიშვნელოვანი. როგორც კონკრეტულად ასე ვთქვათ ინოვაციის ცენტრები შეიძლება ვითარდებოდეს დეცენტრალიზებულად, ასევე ის სერვისები რომლებიც მიეწოდებათ ამ ცენტრებში, ან ის საგანმანათლებლო პროგრამები რომლებიც ხორციელდება სკოლებში, სათემო ორგანიზაციებში ან მიეწოდება ახალგაზრდული ან სათემო მუშაკების მიერ, რა თქმა უნდა პირდაპირ უნდა იყოს მორგებული იმ საჭიროებების კვლევას, რომელიც განხორციელდება ადგილობრივად.კომპეტენციების გაძლიერება უნდა მოხდეს კომპლექსური სერვისების შეთავაზებით. ეს უნდა განხორციელდეს პირველ რიგში სასკოლო განათლებაში ამ კომპეტენციების ინტეგრირება, ხოლო შემდგომ რა თქმა უნდა არაფორმალურ საგანმანათლებლო შეთავაზებებში მოხდეს მათი ინტეგრირება და ყველაზე მნიშვნელოვანი აქ არის ის, რომ როცა ამ ყველაფრის დეცენტრალიზება ხდება, ეს ცოდნა ხდება ხელმისაწვდომი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისათვის და არ ტრიალებს ასე ვთქვათ - ერთ ჩაკეტილ წრეში. მინდა რომ შევეხო ენტრეკომპს (Entrecomp). ენტრეკომპი ეს არის ევროკავშირის მიერ შემუშავებული კომპეტენციების ჩარჩო, რომელიც მოიცავს ყველა იმ მიმართულებას რაც უნდა გავითვალისწინოთ როდესაც ვმუშაობთ სამეწარმეო კომპეტენციების განვითარებაზე. ენტრეკომპი თავისთავში აერთიანებს სამ ძირითად მიმართულებას, მოიცავს იდეების ფორმირების ნაწილს, მოიცავს რესურსების მოძიების ნაწილს და მოიცავს თვითონ ქმედებას, ანუ განხორციელების

ნაწილს და შემდეგ იშლება აი ამ 15 მიმართულებად, რომელსაც კიდევ ერთხელ თვალს თუ გადავავლებთ დავინახავთ, რომ ეს მიმართულებები არის მართლაც საბაზისო უნარები, რომელიც ნებისმიერი ადამიანისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი. თუკი ამ კომპეტენციებს ახლოდან შევხედავთ დავრწმუნდებით, რომ ისინი ერთის მხრივ გვეხმარება ახალი საქმიანობის დაწყებაში, მეორეს მხრივ გვეხმარება რომ ვიყოთ სრულყოფილი მოქალაქეები და ჩვენი წვლილი შევიტანოთ ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაში. თუმცა მნიშვნელოვანია შევეხოთ იმას, თუ საიდან გაჩნდა საჭიროება მომხდარიყო ამ კომპეტენციების იდენტიფიცირება. რასაკვირველია, პირველი პრობლემა ეს არის ახალგაზრდების დასაქმების საკითხი, რომელსაც ხშირ შემთხვევაში სწორედ კომპეტენციების არსებულ პრობლემებთან მივყავართ. იმასთან, რომ არსებობს დამსაქმებელი და არსებობს ახალგაზრდა, მაგრამ არ აქვს ის კომპეტენცია რომელიც მას დაეხმარება, რომ დასაქმების ადგილზე შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები და აი ამ კომპეტენციებს ევალება სწორედ ე.წ. ,,შავი ხვრელების““ შევსება, რომელსაც შეიძლება ერთი შეხედვით ფორმალური საგანმანათლებლო სისტემა ვერ ავსებდეს.დღესდღეობით ტარდება უამრავი კვლევა, შევხვდებით სხვადასხვა კომპეტენციების ჩარჩოს, თუმცა ადგილობრივი ეკონომიკის და სამეწარმეო საქმიანობის განვითარების პროცესში, არ უნდა უგულებელვყოთ ის, რომ ნებისმიერი კომპეტენციების ჩარჩოს ნაწილი საბოლოო ჯამში, უახლესი კვლევებით არის სწორედ სამეწარმეო კომპეტენციები და კიდევ ერთი მაგალითი კომპეტენციების ჩარჩოსი რომელიც მინდა რომ მოვიყვანო, ეს არის 2030 წლისათვის აქტუალური კომპეტენციები, რომელიც თავისთავში სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს. ეს არის:

1. პასუხისმგებლობის აღების უნარი;
2 ეს არის ახალი ღირებულების შექმნის უნარი;
3. და ეს არის კომპლექსური დილემების აღმოფხვრის უნარი, რაც ზუსტად უკავშირდება იმ ენრტეკომპს რომელზეც ევროკავშირმა იმუშავა და მოგვცა ფაქტიურად გამზადებული ჩარჩო.

ENTRECOMP
საგმეწარმეო
კომპეტენცია
ინიციატივა
ფინანსური
ეთიკური და
ბალანსირებული
ინიციატივა
ინიციატივა
ინიციატივა

2.21 სამეწარმეო ეკოსისტემა და ინსტრუმენტები

ავტორი: თეონა დალაქიშვილი

სამეწარმეო ეკოსისტემა ეს არის გარემო, სადაც ვითარდება ერთის მხრივ სამეწარმეო საქმიანობა, მეორეს მხრივ ყველა ის სერვისები და შესაძლებლობები რომელიც მნიშვნელოვანია ამ საქმიანობის განვითარების კუთხით. ვინ შეიძლება იყვნენ ის ძირითადი მოთამაშეები, ის ძირითადი აქტორები, რომლებიც შეადგენენ ამ ეკოსისტემას. რა თქმა უნდა პირველ რიგში ეს არიან სტარტაპები, მეწარმეები და სოციალური მეწარმეები. ანუ ის ადამიანები ვინც აი ამ დოვლათს ქმნიან, ქმნიან ახალ პროდუქტს და ახალ სერვისს და შემოდიან ბაზარზე. მეორე მნიშვნელოვანი აქტორები ეს არის აქსელერატორები, პრე-აქსელერატორები, ინკუბატორები. ესენი არიან ორგანიზაციები, რომელთა ამოცანაც არის ხელი შეუწყონ მეწარმეების და სტარტაპების სწრაფ ზრდას და განვითარებას. საქართველოში როგორც წესი, ასეთ პროგრამებს ახორციელებენ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, რომელსაც დეცენტრალიზებულად აქვს წარმოდგენილი როგორც ინოვაციების ცენტრები, ასევე ტექნოპარკები და პერიოდულად მეწარმეებს სთავაზობენ სხვადასხვა პროგრამებს. როგორც წესი აქსელერატორები მონაწილე სტარტაპებს სთავაზობენ მინიმუმ სამ თვიან პროგრამას, რომელიც მოიცავს ტრენინგებს, მენტორინგ სესიებს, ინვესტორებთან შეხვედრებს და საბოლოო ჯამში, წვდომას სხვადასხვა რესურსზე.

რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშეები ეს არის - სივრცეები, ინფრასტრუქტურა. ანუ ის ადგილი, სადაც მეწარმეებს შეუძლიათ, რომ იმუშაონ, შეუძლიათ რომ შეხვდნენ სხვა სტარტაპერებს, სხვა მეწარმეებს, გაიცნონ სხვა ადამიანები, გაუზიარონ საკუთარი იდეები და ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ ერთ ჩაკეტილი სივრცე იმუშაონ, ამისთვის აირჩიონ მაგალითად - საერთო სამუშაო სივრცეები. მესამე, ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი ეს არის ინვესტირება, ანუ ბიზნეს სექტორის, კერძო სექტორის აქტიური ჩართულობა და თვითონ მეწარმეების და სტარტაპების წვდომა ფინანსებზე. რაც არ მოიცავს თავისთავში სახელმწიფო ან არასახელმწიფო დონორების მხრიდან დაფინანსებებს, არამედ ინვესტირებას. ეს არის მენტორთა ქსელი, ანუ იმ გამოცდილი ადამიანების ქსელი, რომლებიც მზად არიან გაუწიონ მხარდაჭერა იმ ახალი წამოწყების სათავეში მყოფ ადამიანებს, გაუზიარონ საკუთარი ცოდნა და გამოცდილება. ეს არის რა თქმა უნდა მთავრობა და განსაკუთრებით როდესაც ეკოსისტემის დეცენტრალიზაციაზე ვსაუბრობთ, ეს არის ადგილობრივი მთავრობა, რომელიც საკანონმდებლო ბაზის მომზადებას უზრუნველყოფს, შესაბამისად უზრუნველყოფს იმას, რომ ხილვადობაც უფრო მეტად იყოს ამ მიმართულებით, ცნობადობაც უფრო მეტად იყოს, დაწესდეს გარკვეული შეღავათები, მარტივი იყოს სამეწარმეო საქმიანობის დაწყება და ა.შ.

ცხადია, აქ ადგილობრივი მთავრობის როლი არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ეს შესაძლებლობები რომ განვითარდეს ადგილობრივად და არ იყოს ცენტრალიზებული, ამაში კიდევ ერთხელ ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივი საჭიროებების კვლევა, იმის გარკვევა რა საჭიროება არსებობს ბაზარზე, ჩვეულებრივად როგორც სამომხმარებლო ბაზარზე, ასევე დასაქმების ბაზარზე და როგორ უნდა უპასუხოთ აი ამ გაჩენილ საჭიროებებს და როგორ შეიძლება, რომ ეს ცენტრალიზებული კონკურენცია უფრო იყოს დეცენტრალიზებული და გამარტივებული და ბაზარზე შესვლა უფრო მეტად უმარტივდებოდეთ დამწყებ მეწარმეებს, იმ მეწარმეებს, რომლებიც ფაქტიურად ნულოვანი ინვესტიციით შემოდიან ბაზარზე. იმ მეწარმეებს რომლებიც იწყებენ საქმიანობას და ამავე დროს წარმოადგენენ მოწყვლად ჯგუფებს და ისედაც ბევრი ბარიერის გადალახვა

უწევთ. ეს არის რა თქმა უნდა უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები, რომლებიც ფაქტიურად გვაძლევენ უკვე ცოდნას, რომელიც გვეხმარება რომ შევქმნათ ახალი პროდუქტი, შევქმნათ ახალი სერვისი, უპასუხოთ ბაზარზე არსებულ გამოწვევებს და ასევე კვლევითი ინსტიტუტები, მათ შორის არის პროფესიული კოლეჯები, რომელთა განვითარებაც რეგიონულ დონეზე რა თქმა უნდა არის მნიშვნელოვანი აი ამ საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების კუთხით. და ეს არის ასევე, ის ძირითადი კვლევითი ცენტრები, რომლებიც მეწარმეებს ეხმარება, რადგან მათ დასაწყისში არ აქვთ რესურსი რომ აწარმოონ დიდი კვლევა/ბაზრის კვლევა, მიიღონ გარკვეული ინფორმაცია, რომელიც მათ დაეხმარება ბაზრის საჭიროებიდან გამომდინარე შესაბამისი პროდუქტის შექმნაში.

დღესდღეობით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ამ ეკოსისტემის განვითარების კუთხით კეთდება ბევრი რამ. ბევრი რამ მიდის წინ, ბევრი რესურსი იდება ამ ეკოსისტემის განვითარებაში და მოდით მოკლედ მიმოვიხილოთ რა გვაქვს ამ ეტაპზე: · ეს არის სამთავრობო დაფინანსების შესაძლებლობები: სტარტაპ საქართველო, აწარმოე საქართველოში და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო. არის სამი დიდი სახელმწიფო აქტორი, რომელიც მეწარმეებს და სტარტაპებს როგორც რეგიონულ დონეზე, ასევე ცენტრალურ დონეზე აძლევს შესაძლებლობებს, რომ მიიღონ დაფინანსება.

არსებობს ასეთი პლატფორმა - grants.gov.ge, სადაც შეგიძლია სხვადასხვა მიმართულებით, განსაკუთრებით ინოვაციური და ტექნოლოგიური პროდუქტის განვითარების მიმართულებით, პერიოდულად მოიპოვო სახელმწიფო მხარდაჭერა. · საკმაოდ მნიშვნელოვანი არის ასევე, არასამთავრობო სექტორის მიერ შექმნილი შესაძლებლობები. რამდენიმე დიდი აქტორი გვყავს რომელიც ამ მიმართულებით მუშაობს, ეს არის: ევროკავშირი, ეს არის გაეროს წარმომადგენლები, ეს არის USAID, რომელიც მუშაობს ვთქვათ როგორც ინოვაციური მეწარმეების მხარდასაჭერად, ასევე მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების მხარდასაჭერად და ასევე, ევროპის ფონდი, რომელიც ძალიან აქტიურ მხარდაჭერას უწევს განსაკუთრებით სოციალურ მეწარმეებს და მათი როლი მთლიანად ეკოსისტემის განვითარებაში ასევე არის მნიშვნელოვანი. თუმცა არის გამოწვევები.

რა გამოწვევების წინაშე ვდგავართ ამ ეტაპზე? ეს არის პირველ რიგში ის, რომ მეწარმეები ძალიან მალე ანებებენ თავს საკუთარ საქმიანობას; არ არის გრძელვადიანი ხედვა და პერსპექტივა და ამდენი შექმნილი შესაძლებლობა, ხანდახან უარყოფითად აისახება ხოლმე მათ ფუნქციონირებაზე გრძელვადიან პერსპექტივაში, რადგან ბაზარი არის ერთის მხრივ გაჯერებული გარკვეული სერვისებით, ხან არ არის მზად რაღაცა ინოვაციური პროდუქტისთვის და ხან არის განათლების ნაკლებობა. მეორე დიდი პრობლემა ის არის - ინვესტორები არ არიან შეიძლება ითქვას ეკოსისტემაში აქტიურად წარმოდგენილები, ამიტომ ფინანსებზე წვდომა არის მაინც უფრო საგრანტო შესაძლებლობების მიმართულებით, რაც ბიზნესს ხანდახან ხელს უშლის როგორც ბიზნესმოდელის, ასევე, პროდუქტის განვითარებაში. ასევე ძირითადად განვითარებულია საბანკო-საინვესტიციო და სასესხო სერვისები, რაც ასევე პრინციპში უარყოფით გავლენას ახდენს იმაზე, რომ შეიძლება მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესმა რაღაცა თანხის გადახდა ვეღარ მოახერხოს და ამიტომ ხშირად წყვეტს საქმიანობას. ეს არის დაბალი განათლების დონე, არც ფორმალურ და არც არაფორმალურ განათლების დონეზე ჯერჯერობით არ არის ასეთი კოორდინირებული სამოქმედო გეგმა, რომელიც მისცემს ადამიანს შესაძლებლობას, რომ მოახდინოს ამ სამეწარმეო კომპეტენციებზე ფოკუსირება და ამიტომ, ხშირად მეწარმეებს აქვთ შესაძლებლობა, რომ მიიღონ რესურსი, მაგ-

რამ არ იციან შემდეგ როგორ განკარგონ ეს რესურსი. დგებიან გამოწვევების წინაშე და არ იციან როგორ უპასუხონ ამ გამოწვევებსა და რისკებს. ეს არის კვლევის პრობლემა, ზოგადად ბაზრის კვლევის და კვლევითი ორგანიზაციების პრობლემა, არის დეფიციტი ზოგადად კვლევების, და ამავდროულად არ არსებობს ცოდნის ტრანსფერი, მეცნიერება ცალკე ვითარდება, მეწარმეობა ცალკე ვითარდება, მათ შორის არ ხდება ცოდნის გადაცემა და ამით ვკარგავთ ძალიან ბევრ შესაძლებლობას, რომ განვავითაროთ ახალი, ინოვაციური, სამეცნიერო საქმიანობაზე დაყრდნობით შექმნილი პროდუქტი.

პრობლემების უმეტესობა დადის რამდენიმე ძირითად საკითხამდე, ეს არის - ინვესტიციების ნაკლებობა, ეს არის ცოდნა და განვითარება, არის რაღაც სერვისები, მაგრამ ამის მიწოდება უნდა მოხდეს კოორდინირებულად და აქ უკვე როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი მთავრობის მუნიციპალური სერვისების, ადგილობრივი აქტორების და სექტორთაშორისი დიალოგის როლი არის ძალიან მნიშვნელოვანი, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ის რომ ინფორმაცია ხშირად ცირკულირებს რაღაც ჯგუფში და შეიძლება არ იყოს ხელმისაწვდომი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისთვის და აქაც, კიდევ ერთხელ ხაზს გაუსვამთ, რომ დეცენტრალიზაცია არის ის, რაც უნდა დაგვეხმაროს ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდაში და ინფრასტრუქტურა - მაქვს იდეა, მაგრამ არ მაქვს სივრცე, მაქვს იდეა, მაგრამ არ მაქვს ტექნოლოგია ამაზე სამუშაოდ, ან არ მაქვს შესაძლებლობა, რომ გავაზიარო და გავიცნო ახალი ადამიანები და მათთან ერთად შევქმნა ახალი და საინტერესო პროექტი.

სწორედ ამიტომ, ძალიან ხშირად მეწარმეები ქმნიან ახალ პროდუქტს, მაგრამ ვერ ახდენენ მის განვითარებას, წყვეტენ საქმიანობას, ხშირად ეხება ეს სოციალურ მეწარმეობასაც, თუმცა ზრდად მეწარმეობასაც, რომელმაც რაღაც ეტაპზე შეიძლება ზუსტად კომპეტენციების ნაკლებობის გამო, ვეღარ შეძლოს რომ გააგრძელოს საქმიანობა, ან გრანტის დასრულების შემდეგ შეწყვიტოს საქმიანობა და ა.შ. ამ მხრივ, კიდევ ერთ მიმართულებას გაუსვამ ხაზს. რა თქმა უნდა აღვნიშნეთ, რომ ჩვენი ბაზარი რაღაც გარკვეული პროდუქციით არის გაჯერებული, თუმცა, თუ ჩვენ ხელს შეუწყობთ იმას, რომ განათლების დონე ამაღლდეს და ხელმისაწვდომობა გაიზარდოს საექსპორტო საქმიანობაზე და მოხდეს ჩვენი პროდუქციის გატანა საზღვრებს გარეთ, თუნდაც რეგიონში, რა თქმა უნდა ამ მხრივ შეიძლება რომ სიტუაცია შეიცვალოს, თუმცა აქაც ყველა მიმართულებით უნდა მოხდეს მუშაობა: უნდა ფინანსებზეც ჰქონდეთ წვდომა მეწარმეებს რათა შექმნან შესაბამისი მარაგი, ჰქონდეთ წვდომა სერვისებზე რომელიც საექსპორტო მიმართულებითაა და მათ დაეხმარება რომ უფრო ფართო ბაზარზე გაიტანონ საკუთარი პროდუქცია და ჰქონდეთ ცოდნა იმისა, თუ როგორ შეიძლება გააკეთონ ეს ყველაფერი.

ასევე როცა ვეხებით ინფორმაციის გავრცელებას, ინფორმაცია, სერვისები, განათლება, უნდა ვრცელდებოდეს დეცენტრალიზებულად ყველა არსებული არხის გამოყენებით, როდესაც ვქმნით, ან ვთავაზობთ ახალ სერვისებს, პროგრამებს, დაფინანსების შესაძლებლობებს, განათლების შესაძლებლობებს, ეს ინფორმაცია პირველ რიგში უნდა მივიტანოთ ზუსტად იმ ადამიანებამდე, ვინც ყველაზე მეტად საჭიროებს ამ ინფორმაციის მიღებას და ვინც ყველაზე მეტად საჭიროებს მსგავსი ტიპის პროგრამებში ჩართვას და მსგავს სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. ვებ მისამართი: https://grants.gov.ge/ka;
2. აწარმოე საქართველოში - http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka .

III მოდული

ახალგაზრდების
მონაწილეობა

III მოდული - ახალგაზრდების მონაწილეობა

3.1 რა არის ახალგაზრდების მონაწილეობა?
3.2 მონაწილეობის პრინციპები;
3.3 მონაწილეობის კიბე;
3.4 მონაწილეობის ფორმები;
3.5 მონაწილეობის ინსტრუმენტები;
3.6 ახალგაზრდების ინსტიტუციური მონაწილეობა;
3.7 ციფრული მონაწილეობა;
3.8 მონაწილეობრივი ახალგაზრდობის პოლიტიკა;
3.9 მონაწილეობრივი ბიუჯეტი;
3.10 პრაქტიკული რჩევები ახალგაზრდების მონაწილეობის გასაზრდელად;
3.11 10 ცუდი ხერხი ახალგაზრდული პოლიტიკისთვის;
3.12 ახალგაზრდული საბჭო;
3.13 სტუდენტური თვითმმართველობა;
3.14 მოხალისეობა;
3.15 მოხალისეობა საქართველოში;
3.16 მოხალისეობის პროგრამებში ხშირად დაშვებული შეცდომები.

მოდული მხარდაჭერილია „საქართველოს წითელი ჯვარის საზოგადოების“ მიერ.

3.1 რა არის ახალგაზრდების მონაწილეობა?

ავტორი: ნატო ანთია

დემოკრატიული მმართველობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია გამჭვირვალობა. ეს ნიშნავს, რომ მთავრობა, რომელიც ადგენს და ახორციელებს პოლიტიკას ქვეყანაში, ასევე უნდა თანამშრომლობდეს იმ თემთან, რომლებზეც გავლენა აქვს ამ პოლიტიკას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოქალაქეები ჩართული უნდა იყვნენ პოლიტიკის შექმნის პროცესში. ღია მმართველობის პრინციპის არსებითი მახასიათებელია მოქალაქეთა მონაწილეობა. მოქალაქეთა მონაწილეობა ქმნის კავშირს საზოგადოებასა და პოლიტიკოსებს შორის. მოქალაქეთა მონაწილეობა მნიშვნელოვანია პოლიტიკის შემუშავების პროცესის ნებისმიერ ეტაპზე.

ამ მოდულში ჩვენ ვისაუბრებთ ახალგაზრდების მონაწილეობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ახალგაზრდები უნდა იყვნენ ჩართულნი დემოკრატიულ სტრუქტურებსა და პროცესებში; ახალგაზრდებს უნდა მოუსმინონ და მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მიიღონ გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რომლებიც გავლენას ახდენს მათზე. ახალგაზრდების აქტიურიმონაწილეობა აუცილებელია დემოკრატიული, ინკლუზიური და წარმატებული საზოგადოების მშენებლობისთვის.

ახალგაზრდების მონაწილეობას საზოგადოების გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქვს მთელი რიგი საფუძვლები და სარგებელი, არამხოლოდ ის, რომ იგი შეესაბამება გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლის მოთხოვნებს და კარგი მმართველობის ის პრინციპებს, არამედ ის ასევე ქმნის აქტიური მოქალაქეობის განხორციელების პლატფორმას და იძლევა საჯარო პოლიტიკაში გასათვალისწინებელი ახალგაზრდების საჭიროებების გამოვლენის შესაძლებლობას.

საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტით შემუშავებული ხედვა აღიარებს ახალგაზრდების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქვეყნის დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის.

„ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ განახლებული ევროპული ქარტია“, რომელიც 2008 წელს მიიღო ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესმა, ეხმიანება სწორედ ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობას საზოგადოებრივი ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე. ის ამავდროულად სთავაზობს ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს როგორც ახალგაზრდების მონაწილეობის სახელმძღვანელო პრინციპებს, ასევე კონკრეტულ გზებსა და მექანიზმებს მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

„ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებასა და ღონისძიებების განხორციელებაში ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა მეტად მნიშვნელოვანია დემოკრატიული, ყოვლისმომცველი და წარმატებული საზოგადოების ასაშენებლად. მიუხედავად არჩევნების მნიშვნელობისა, საზოგადოების დემოკრატიულ ცხოვრებაში მონაწილეობა უფრო მეტია, ვიდრე ხმის მიცემით საკუთარი პოზიციის დაფიქსირება. **მონაწილეობა და მოქალაქეობრივი აქტივობა გულისხმობს უფლებების, საშუალებების, სივრცისა და შესაძლებლობათა ქონას, საჭიროების შემთხვევაში კი, მონაწილეობაში მხარდაჭერასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩაბმას უკეთესი საზოგადოების შექმნის მიზნით“**, ვკითხულობთ დოკუმენტის პრეამბულაში.

ახალგაზრდების მონაწილეობა ასევე შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ახალგაზრდების და ზრდასრულების პარტნიორობის ფორმა. პარტნიორობა მოგეხსენებათ არის საქმის კეთება ერთად. ეს გულისხმობს ყველას აზრის მოსმენას და ახალგაზრდების განსხვავებული იდეების სერიოზულად აღქმას. ახალგაზრდების მონაწილეობა უნდა ეფუძნებოდეს მთავარ მიდგომას, რომლის თანახმადაც ახალგაზრდები უნდა აღიქმებოდნენ როგორც საზოგადოების აქტიური წევრები და თანასწორი პარტნიორები; იმის გათვალისწინებით, რომ მათ გააჩნიათ უდიდესი პოტენციალი და უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გამოხატონ საკუთარი საჭიროებები, იპოვონ მისი დაკმაყოფილების გზები და ჩაერთონ მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ახალგაზრდული სფეროს მკვლევარები და ახალგაზრდული მუშაობის პრაქტიკოსები აღნიშნავენ, რომ ახალგაზრდობის მონაწილეობა მნიშვნელოვანია, რადგან ეს ერთის მხრივ:

- ახდენს პოზიტიურ ცვლილებას ახალგაზრდების ცხოვრებაზე;
- ახალგაზრდები იძენენ უნარებს და თავდაჯერებულობას;
- ახალგაზრდებს აძლევს სტიმულს აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ გადაწყვეტილებებზე;
- ეხმარება ახალგაზრდებს გაიგონ როგორ მუშაობს დემოკრატია პრაქტიკაში;
- ახალგაზრდებს აძლევს სივრცეს გამოიყენონ მათი ნიჭი და უნარები საზოგადოების სასარგებლოდ;
- ის ასევე ეხმარება უფროსებს გაიგონ ახალგაზრდების საჭიროებები და მათი შეხედულებები;
- ბიძგს აძლევს ახალი იდეების ჩამოყალიბებას საზოგადოების და ქვეყნის განვითარებისთვის.

გთხოვთ გააანალიზოთ თქვენს თემში არსებული რეალობა და დაფიქრდეთ: ახალგაზრდები თქვენს თემში, ორგანიზაციაში აღიქმებიან:

- როგორც ჯგუფი, რომელთა პრობლემებიც სხვებმა უნდა გადაჭრან?
- ჯგუფი, რომელსაც არ სურს პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე?
- ჯგუფი, რომელსაც დაცვა სჭირდება?
- ძლიერი და ნიჭიერი ადამიანები?
- ჯგუფი, რომელსაც შეუძლია წვლილის შეტანა მათთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრაში ან პრობლემების მოგვარებაში?
- თუ ჯგუფი, რომელსაც სურს საკუთარი შეხედულებების მიხედვით მოქმედება სურს?
- ან იქნებ სხვაგვარად?
- როგორ ფიქრობთ უნდა შეიცვალოს თუ არა რაიმე იმაში, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება ახალგაზრდებს?
- ან ვინ არიან ის ახალგაზრდები ვისთანაც ფიქრობთ რომ უნდა ითანამშრომლოთ?

წყაროები და დამატებითი მასალა

1. ენრდიუ ვაზ. სახელმწიფო მმართველობის როლის გაფართოება: მოქალაქეთა მონაწილეობიდან ღია მმართველობამდე. https://patimes.org/expanding-role-public-administration-citizen-participation-open-government/

2. “ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილოების შესახებ განახლებული ევროპული ქარტია”, ევროპის საბჭო, 2003. https://rm.coe.int/1680703908

3. ევროპის საბჭო. თქვი შენი სიტყვა. 2015.
https://rm.coe.int/16807023e0

3.2 მონაწილეობის პრინციპები

ავტორი: ნატო ანთია

„ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ განახლებული ევროპული ქარტია გვთავაზობს მიდგომას, რომლის პრინციპებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ახალგაზრდების ჩართულობის ყველა სფეროში ადგილობრივ დონეზე, მაგალითად, ახალგაზრდებისთვის მონაწილეობითი პროექტების განხორციელებისას, ახალგაზრდებისა და ზრდასრულთა პარტნიორობის ჩამოყალიბებისას, ან ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და ჯგუფების შექმნისას და ა.შ.

ქარტიის მიდგომა მონაწილეობისადმი ე.წ. “RMSOS” ან იგივე ,,რმსოს“ მიდგომაა და ემყარება დოკუმენტის პრეამბულაში აღნიშნულ ხუთი საკვანძო სიტყვას: უფლება, საშუალებები, სივრცე, შესაძლებლობები და მხარდაჭერა. ეს მიდგომა ეფუძნება პრინციპს, რომ ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი მონაწილეობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც შეიქმნება შესაბამისი პირობები და ყველა მონაწილე, რომელიც ჩართულია ამ მონაწილეობრივ საქმიანობაში, იღებს პასუხისმგებლობას უზრუნველყონ ამ პირობების არსებობა.

ხუთი საკვანძო სიტყვა: უფლება, საშუალებები, სივრცე, შესაძლებლობები და მხარდაჭერა წარმოადგენს მთავარ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს ახალგაზრდობის ჩართულობაზე ადგილობრივ დონეზე.

განვიხილოთ ცალცალკე თითოეული მათგანი.

პირველი გახლავთ **უფლება** - ახალგაზრდებს აქვთ საზოგადოებაში მონაწილეობის უფლება; ამ უფლების მინიჭება არ უნდა იყოს დამოკიდებული ადგილობრივი ან რეგიონულ ხელისუფლების სურვილზე. ეს არის ფუნდამენტური უფლება. ამ უფლების რეალიზება უზრუნველყოფილია როდესაც ახალგაზრდებს შეუძლიათ თავიანთი უფლებების განხორციელება, მათ აქვთ შესაძლებლობა გავლენა მოახდინონ იმ საკითხის გადაწყვეტის პროცესზე, რომლებიც მათ ეხებათ. თუმცა, ეს ავტომატურად არ გულისხმობს ახალგაზრდების მონაწილეობას მხოლოდ მათთან კონსულტირების ან ხმის მიცემის გზით. მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია, როდესაც, ასევე, სხვადასხვა აქტივობები, პროექტები და ორგანიზაციები მხარს უჭერენ ახალგაზრდების უფლებებს. ამასთან, ეს უფლებები მოიცავს ცხოვრების ყველა ასპექტს, არა მხოლოდ სამოქალაქო თუ პოლიტიკურ უფლებებს, არამედ სოციალურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ უფლებებს.

მეორე გახლავთ **საშუალებები** - ახალგაზრდებს აქვთ მონაწილეობის საშუალება. ისევე, როგორც მასლოუს საჭიროებების პირამიდაში, თუ ძირითადი მოთხოვნილებები, როგორიცაა საკვები, თავშესაფარი არ არის დაკმაყოფილებული, მაშინ მონაწილეობა ვეღარ იქნება პრიორიტეტული, რადგან ყურადღება გამახვილებულია ამ საბაზისო რესურსების მოპოვებაზე. აუცილებელია იმის უზრუნველყოფა, რომ ინდივიდების და თემის ძირითადი მოთხოვნილებები იყოს დაკმაყოფილებული. ძირითადი საჭიროებები მოიცავს სათანადო სოციალურ დაცვას, განათლებას, საცხოვრებელს, ჯანდაცვას, ტრანსპორტირებას და ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობას.

სივრცე - ახალგაზრდებს სჭირდებათ სივრცე მონაწილე- ობის მისაღებად. ეს ეხება არა მხოლოდ შეხვედრებისა და საქმიანობის განხორციელების ფიზიკურ ადგილს, არამედ დროით სივრცეს საკუთარი აქტივობების ორგანიზებისთვისაც. სივრცის კიდევ ერთი ასპექტი არის ონლაინ სივრცე, რაც განსაკუთრებით პოპულარულია დღეს ახალგაზრდებისთვის როგორც მოსაზრებების გაცვლისა თუ კომუნიკაციისთვის, ისე სხვებთან თანამშრომლობით პროექტების დასაგეგმად. სივრცის კიდევ ერთი ასპექტია ის, რომ რომ ახალგაზრდებს უნდა მიეცეთ ინსტიტუციურ ჩარჩოებში მონაწილეობის შესაძლებლობა, მათ შორის პოლიტიკის შემუშავებისას. გარდა აღნიშნულისა, საზოგადოებაში უნდა არსებობდეს თავისუფალი სივრცე სადაც ახალგაზრდები შეძლებენ საკუთარი მოსაზრებების, რეკომენდაციების და ხედვების გაზიარებას და ამასთან, ეს სივრცე უნდა იძლეოდეს მათი მოსაზრებების გათვალისწინების და გადაწყვეტილებებზე რეალური გავლენის მოხდენის შესაძლებლობას.

შესაძლებლობები - მონაწილეობის მისაღებად ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი შესაძლებლობები. ახალგაზრდებს ასევე სჭირდებათ ინფორმაციის მიღება, თუ როგორ უნდა ჩაერთონ, რა შესაძლებლობები აქვთ ამისათვის და სად შეიძლება რომ ჩაერთონ. შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, ახალგაზრდებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები თუ რაში უნდა ჩაერთონ. შესაძლებლობა ასევე ეხება სტრუქტურებსა და ინსტიტუტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მონაწილეობის შესაძლებლობებს; ამასთან, აქ შესაძლებლობა ნიშნავს არა მხოლოდ ღიაობას და მიმღებლობას რომ ახალგაზრდები ჩაერთონ, არამედ იმასაც, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესები და სისტემები უნდა იყოს ახალგაზრდებზე მორგებული, გასაგები და ორგანიზებული იმგვარად, რომ ახალგაზრდებმა შეძლონ რეალურად მონაწილეობა. ეს ასევე გულისხმობს, რომ ახალგაზრდების უნდა მიეცეთ საკმარისი დრო, რათა საკუთარი ტემპის გათვალისწინებით მიიღონ მონაწილეობა ამა თუ იმ პროცესში.

მხარდაჭერა - მონაწილეობის მისაღებად ახალგაზრდებს სჭირდებათ სხვადასხვა ფორმის მხარდაჭერა. ეს მოიცავს ფინანსურ, მორალურ, ინსტიტუციურ, პირად და ორგანიზაციულ მხარდაჭერას, რაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ახალგაზრდებისთვის. ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს სათანადო ფინანსური მხარდაჭერა, სულ მცირე, ადმინისტრაციული ხარჯების დასაფარავად. ასევე საჭიროა მორალური მხარდაჭერა და კონსულტირება, რათა ახალგაზრდებს ხელი შეეწყოთ გადაწყვეტილების მიღებაში; ასეთი მხარდაჭერა შეუძლია ადგილობრივ დონეზე საჯარო მოხელეს, ახალგაზრდობის მუშაკს ან სხვა პროფესიონალს. საჭიროა არსებობდეს როგორც ინსტიტუციური, ასევე საზოგადოებრივი მხარდაჭერა, რათა აღიარებული იყოს ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობა და ის თუ რა წვლილი შეაქვთ მათ საზოგადოებისა და თემის განვითარების პროცესში.

რაც შეეხება მონაწილეობის პრინციპებს, ახალგაზრდების მონაწილეობის სამი პრინციპების გასაცნობად ჩვენ შეგვიძლია მარკ იანსის და კურტ დე ბეკერის შემოთავაზებული მოდელი გამოვიყენოთ. ეს მოდელი მიუთითებს რომ:

მონაწილეობა უნდა ეფუძნებოდეს გამოწვევას. „გამოწვევაში“ იგულისხმება თემა, რომელიც პირდაპირ დაკავშირებული უნდა იყოს ახალგაზრდებისყოველდღიურ რეალობასთან, უნდა იყოს მათთან ახლო კავშირში და საინტერესო მათთვის.

მონაწილეობა უნდა ეფუძნებოდეს შესაძლებლობას. ახალგაზრდები,

ჩართულობისთვის, საჭიროებენ ცოდნასა და უნარებს, ამიტომ პროექტები და ინიციატივები მათ შესაძლებლობებთან თანხვედრაში უნდა მოდიოდეს და პროექტის ფარგლებში, შესაძლებელი უნდა იყოს იმ უნარების განვითარება, რომელთა ნაკლებობასაც ისინი განიცდიან

მონაწილეობა უნდა ეფუძნებოდეს ურთიერთკავშირს. ახალგაზრდები თავს უნდა გრძნობდნენ ურთიერთდაკავშირებულად და იყვნენ მხარდაჭერილები ადამიანების, საზოგადოების, სხვადასხვა იდეებისა და მოძრაობების მიერ. ეს არსებითად გულისხმობს რომ ახალგაზრდებმა იციან, რომ არ არიან მარტო და შეუძლიათინსტიტუციის ნდობა და ასევე აქვთ მათი მხარდაჭერის იმედი.

გარდა ზემოთ ნახსენები სამი პრინციპისა, პრაქტიკოსების გამოცდილება ახალგაზრდების ჩართულობის სფეროში აჩვენებს, რომ ახალგაზრდების მონაწილეობა იგი უნდა იყოს:

- **მისაწვდომი ყველა ახალგაზრდისთვის**, მიუხედავად მათი წარმომავლობისა, ეროვნებისა, რელიგიისა თუ სხვა;
- ის აუცილებლად **უნდა იყოს ნებაყოფლობითი** - ახალგაზრდებს აქვთ უფლება უარი თქვან მონაწილეობაზე და ეს არ არის სავალდებულო. მათ ასევე შეუძლიათ გადაწყვიტონ, რა ხარისხით და რა ფორმით იყვნენ ჩართულები პროცესებში;
- მონაწილეობა უნდა იყოს **ახალგაზრდების რეალურ საჭიროებებთან დაკავშირებული** ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი და მოტივაციის მიმცემია ისეთ პრობლემების გადაწყვეტაში ჩართვა, რომლებიც მათზე პირდაპირ ახდენენ გავლენას; ასევე, მამოტივირებელია დადებითი ცვლილების მიღწევა, მათი პრობლემების გადაწყვეტა, ახალი უნარების გამომუშავება, ან საკუთარი ინტერესებისა თუ ჰობის განვითარება. ამ ფორმით ისინი პასუხისმგებლობას იღებენ საკუთარ ცხოვრებაზეც და საზოგადოებაზეც;

  მონაწილეობა **უნდა იყოს ღირებული** - ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ რომ მათი მონაწილეობა და ძალისხმევა მნიშვნელოვანია და ის არის დაფასებული;
- ასევე მონაწილეობა **უნდა იყოს საინტერესო და სარგებლის მომტანი ყველა ჩართული მხრისთვის -** მონაწილეობას სარგებელი მოაქვს ახალგაზრდებისთვის, უფროსებისთვის, ორგანიზაციებისთვისა და საზოგადოებისთვის, რამდენადაც იგი პოზიტიურ ცვლილებებს იწვევს სხვადასხვა სფეროებში იქნება ეს პერსონალურ განვითარებაში, სოციალურ ცვლილებებში და ა.შ.
- მონაწილეობა **უნდა სთავაზობდეს მონაწილეობის მრავალფეროვან ფორმებს** - ახალგაზრდებისთვის არ არსებობს მონაწილეობის ერთი ფორმა. ამიტომ მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებს შესთავაზოთ ჩართულობის სხვადასხვაგვარი ფორმები ისე, რომ მათ შეეძლოთ არჩევანის გაკეთება, რომელი ფორმაა მათთვის შესაბამისი და საინტერესო.
- მონაწილეობისათვის **მნიშვნელოვანია საჭირო რესურსების მომარაგება** - რესურსების შეზღუდულობა მონაწილეობაზე წვდომას ლიმიტირებულს ხდის და ზოგიერთისთვის ხანდახან შეუძლებელსაც. ისეთი აუცილებელი რესურსები, როგორებიცაა დრო, ადამიანური რესურსები, ფინანსები, know-how, ტრანსპორტი და ა.შ. აუცილებლად უნდა იყოს უზრუნველყოფილი;
- მონაწილეობა **უნდა ეფუძნებოდეს უფროსებსა და ახალგაზრდებს შორის ნამდვილ პარტნიორობას** - პარტნიორობა ნიშნავს მოლოდინებისა

და შიშების თანხვედრას, როლებზე შეთანხმებას, ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობის გაზიარებას ერთმანეთს შორის. თუმცა, ამავე დროს, მუშაობისა და პასუხისმგებლობის ყველა სფერო ბუნებრივია, რომ თანაბარი არ არის;

- **მონაწილეობა უნდა იყოს გამჭვირვალე -** აუცილებელია, რომ პროცესში ჩართულ ორივე მხარეს გაცნობიერებული ჰქონდეს მონაწილეობისა და მისი ლიმიტების მიზანი. აგრეთვე უნდა ჰქონდეთ მკაფიო წარმოდგენა, რა გავლენა გააჩნიათ ახალგაზრდებს, რა შეიძლება შეიცვალოს და რა არა;
- **მონაწილეობა დეკლარირებული უნდა იყოს როგორც პოლიტიკური პრინციპი -** მონაწილეობა არ არის ტექნიკა ან ჩართულობის ფორმა. იგი გახლავთ კომპლექსური პროცესი და მოიცავს სხვადასხვა სფეროს, დონესა და განზომილებას. აქედან გამომდინარე, იგი უნდა იკვეთებოდეს ორგანიზაციებსა თუ საზოგადოებებში დაგეგმილ სხვადასხვა პოლიტიკებსა და სტრატეგიებში.
- **მონაწილეობა უნდა იყოს სასიამოვნო -** ადამიანებს, მიუხედავად ასაკისა, მეტი ენთუზიაზმი უჩნდებათ, თუ სამუშაო სიამოვნებას ანიჭებთ. სასიამოვნო მაინცდამიანც არ ნიშნავს გართობას, ეს უფრო მეტად მიღწევების შედეგად მიღებული კმაყოფილების ან სიამოვნების განცდაა.

3.3 მონაწილეობის კიბე

ავტორი: ნატო ანთია

სოციოლოგი როჯერ ჰარტი არის ავტორი ნაშრომისა, სახელწოდებით „ბავშვთა მონაწილეობა, ახალგაზრდა მოქალაქეების ჩართვა საზოგადოების განვითარებისა და გარემოს დაცვის ინიციატივაში, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) 1997 წ. – თეორია და პრაქტიკა“. ამ ნაშრომში აღწერილი მიდგომა იქცა მსოფლიოში ახალგაზრდებისა და მათ მოკავშირეთა გლობალური მოძრაობის სტიმულად, რომელიც ახალგაზრდების ჩართულობისა და მონაწილეობის ხელშეწყობას ემსახურება. იგი მშობლებს, მასწავლებლებს, ახალგაზრდულ მუშაკებს თუ ახალგაზრდებთან მომუშავე სხვა პირებს უნიკალურ შესაძლებლობას სთავაზობს, რომ ნათლად დაინახონ რამდენად უწყობენ ხელს გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ბავშვებისა და ახალგაზრდების მონაწილეობასა და ჩართულობას. აღმოჩნდა რომ, ძალიან ხშირად, ბავშვებს და ახალგაზრდებს, სცენაზე, ღონისძიების ფარგლებში გამართული შეხვედრებისას, თუ თეატრალურ წარმოდგენებში, დეკორაციების სახით იყენებენ, ან, მაქსიმუმ, მათი ჩართვა პროცესებში სიმბოლურად წარმოებს, მხოლოდ სინდისის დასამშვიდებლად.

ახალგაზრდების მონაწილეობის დონის შეფასებისთვის, განვიხილოთ „მონაწილეობის კიბე“, რომელიც კარგად ასახავს ჩართულობისხარისხს თითოეულ საფეხურზე. როდესაც ვსაუბრობთ სამოქალაქო მონაწილეობაზე, მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ, რომ აქტიურობა დასხვადასხვა ღონისძიებებში ხშირი ჩართულობა ყოველთვის არ გულისხმობს რეალურ მონაწილეობას. მოდით, განვიხილოთ„მონაწილეობის კიბე“ და შევაფასოთ თითოეული საფეხური ახალგაზრდების ჩართულობის ხარისხის მიხედვით:

მერვედან მეოთხე საფეხურის ჩათვლით წარმოდგენილია ახალგაზრდების ჩართულობის სხვადასხვა დონე კლებადობის მიხედვით. შესაბამისად, მერვე სა-

ფეხური ყველაზე მაღალი დონის მონაწილეობაა. მესამედან პირველი საფეხურის ჩათვლით კი ყველაზე დაბალია მონაწილეობის ხარისხი და მათ არმონაწილეობის საფეხურებსაც უწოდებენ.

განვიხილოთ თითოეული საფეხური.

8. ახალგაზრდების ინიციატივა, გადაწყვეტილებების მიღება უფროსებთან ერთად - ახალგაზრდები იჩენენ ინიციატივას და უფროსი თაობის წარმომადგენლებს რთავენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

მონაწილეობის ხარისხი: ახალგაზრდებს აქვთ იდეა, ქმნიან პროექტს და სთავაზობენ უფროსი თაობის წარმომადგენლებს, მათთან ერთად ჩაერთონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.



სურათი 3.3.1.

7. ახალგაზრდების ინიციატივა და მართვა - ახალგაზრდები მართავენ. მათ აქვთ იდეა და დამოუკიდებლად გეგმავენ და ახორციელებენ ინიციატივებს.

როგორია მონაწილეობის ხარისხი: ახალგაზრდებს აქვთ საწყისი იდეა და იღებენ გადაწყვეტილებას, თუ როგორ წარმართონ პროექტი. უფროსები ახალგაზრდეს აწვდიან საჭირო რესურსებს, თუმცა ისინი პასუხისმგებლობასა და კონტროლს არ იღებენ საკუთარ თავზე.

6. უფროსების ინიციატივა, გადაწყვეტილებების მიღება ახალგაზრდებთან ერთად - უფროსები იჩენენ ინიციატივას და ახალგაზრდებს რთავენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

მონაწილეობის ხარისხი: უფროსებს აქვთ საწყისი იდეა, მაგრამ ახალგაზრდები ჩართულნი არიან პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების ყველა საფეხურზე. ხდება არა მარტო მათი იდეების გაზიარება, არამედ ისინი

პირდაპირ არიან ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

5. კონსულტირება (შეთანხმება) და ინფორმირება - ინიციატივა მომდინარეობს უფროსებისგან და დაგეგმვის პროცესში კონსულტაციას გადიან ახალგაზრდებთან. შედეგად უფროსებიაწვდიან მათ ინფორმაციას უკვე მიღებული გადაწყვეტილებებისა და ღონისძიების განხორციელების შესახებ.

მონაწილეობის ხარისხი: პროექტს გეგმავენ და ახორციელებენ უფროსი თაობის წარმომადგენლები, მაგრამ აქვთ კონსულტაციები ახალგაზრდებთან. პროექტითგათვალისწინებულ მოვლენებთან მიმართებაში ახალგაზრდებს აქვთ სრული ინფორმაცია და მათი მოსაზრებები სერიოზულად აღიქმება.

4. ინფორმირება და ჩართვა უფროსებს აქვთ იდეა, აწვდიან ახალგაზრდებს ინფორმაციას და რთავენ მათ უკვე დაგეგმილ ღონისძიებებში.

როგორია მონაწილეობის ხარისხი: უფროსები ქმნიან პროექტს და ახალგაზრდები ერთვებიან მასში. უფროსები პატივს სცემენ მათ შეხედულებებს.

3. სიმბოლიზმი ახალგაზრდებს სთხოვენ საკუთარი აზრის დაფიქსირებას გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში, თუმცა მათ ნაკლებად ან საერთოდ არ აქვთ შანსი განსაზღვრონ საკუთარი აზრის გამოხატვის ფორმები და იდეების განვრცობის მასშტაბები.

მონაწილეობის ხარისხი ამ დროს: ახალგაზრდებს აქვთ მონაწილეობის განცდა, თუმცა გაურკვეველია მისი ხარისხი. ამავდროულად, ახალი ნაცნობების წრე, საერთო ინტერესები, საინტერესო საკითხის ირგვლივ მსჯელობა და სხვ. ხშირად ამაღლებს ახალგაზრდას მოტივაციას, მომავალში თავად გამოიჩინოს ინიციატივა.

2. დეკორაცია - ახალგაზრდები მონაწილეობენ ისეთ ღონისძიებებში, როგორიცაა მაგალითად, სიმღერა, ცეკვა ან სხვადასხვა ლოგოს გამომსახველი მაისურების ტარება, მაგრამ მათთვის სრულიად გაუგებარია, რა ღონისძიებაში იღებენ მონაწილეობას.

მონაწილეობის ხარისხი: ამ დროს ახალგაზრდები ხალისით ერთვებიან, თუმცა ხშირად უმრავლესობას არ უხსნიან ღონისძიების მთავარ მიზანს. შესაბამისად, მათი მონაწილეობის ხარისხი ძალიან დაბალია.

1. მანიპულაცია - ახალგაზრდები აკეთებენ და/ან ამბობენ იმას, რასაც უფროსები სთავაზობენ, მაგრამ თითქმის არ ესმით საკითხი და მათ არც მოსაზრებებს ეკითხებიან. უფროსები იყენებენ მათ გარკვეულ იდეებს, თუმცა არ უხსნიან, რა გავლენა იქონია მათმა მოსაზრებამ საბოლოო შედეგზე.

მონაწილეობის ხარისხი: ამ საფეხურზე მონაწილეობის ხარისხის შეფასება ძალიან რთულია, რადგან ახალგაზრდები არ გამოხატავენ საკუთარ აზრს და მათი მონაწილეობაც მხოლოდ ფიქტიურია.

ამ თემის ბოლოს გთხოვთ დაფიქრდეთ:
- თქვენს სოფელში/თემში ახალგაზრდების მონაწილეობა ზემოთ აღწერილ რომელ საფეხურზეა?
- რა შეიძლება გააკეთოთ იმისთვის რომ გაიზარდოს ახალგაზრდების მონაწილეობის ხარისხი?

წყაროები და დამატებითი მასალა

1. მონაწილეობის კიბე. https://www.living-democracy.com/ge/principals/participation/awareness/მონაწილეობის-კიბე-ეცადე/
2. ნათია გიორგიძე. სასკოლო სამოქალაქო კლუბის სახელმძღვანელო

- გზამკვლევი სამოქალაქო ინიციატივებისათვის. 2011. https://civics.ge/uploads/library/gzamkvlevi.pdf

3.4 მონაწილეობის ფორმები

ავტორი: ნატო ანთია

ახალგაზრდები შეიძლება სხვადასხვა ფორმით მონაწილეობდნენ: 1. მონაწილეობა ინსტიტუციონალიზებულ დემოკრატიაში - ეს ნიშნავს, რომ ახალგაზრდები აძლევენ ხმას, აპროტესტებენ, ან თავად არიან არჩეულები წარმომადგენლობით პოზიციებზე; 2. ახალგაზრდების მონაწილეობა პოლიტიკის შემუშავებაში - ეს გულისხმობს დღის წესრიგის განსაზღვრას, პოლიტიკის ფორმულირებას, განხორციელებას და შეფასებას. 3. მონაწილეობა სამოქალაქო ცხოვრებაში - ეს გახლავთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, არაორგანიზებული ახალგაზრდები, სამოქალაქო ინიციატივები, მოხალისეობა, კავშირები და ა.შ..

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ პოლიტიკის ფორმირებაზე და ამ საკითხს, დემოკრატიულ, მონაწილეობრივი პოლიტიკის ჭრილში განვიხილავთ, ბუნებრივია, მოვიაზრებთ ამ პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობასაც. როგორც უკვე განვიხილეთ, ახალგაზრდებს აქვთ უფლება და შესაბამისად, უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკის ციკლის თითოეულ ეტაპზე: 1. სიტუაციის ანალიზი; 2. პოლიტიკის შემუშავება და დაგეგმვა; 3. განხორციელება; 4. მონიტორინგი და შეფასება;

პრაქტიკაში, ახალგაზრდების მონაწილეობის ფორმები და დონეები განსხვავდება. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობის მონაწილეობა მნიშვნელოვანი და სასურველი პროცესია, სამართლებრივმა და პოლიტიკურმა ჩარჩოებმა შეიძლება ხელი შეუშალოს ახალგაზრდებს ყველა ეტაპზე მონაწილეობაში.

პოლიტიკის შემუშავების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობას სამი ეტაპი აქვს. პირველი ეტაპი არის ახალგაზრდებთან თანამშრომლობის „დაშვება“ და ცნობიერების განმტკიცება, რომ ახალგაზრდების ჩართვა მნიშვნელოვანია. მეორე ეტაპია ახალგაზრდებთან თანამშრომლობის შესაძლებლობების შექმნა. შესაძლებლობები იქმნება ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი აქტივობების დაფინანსებით და ახალგაზრდების უნარებისა და ცოდნის გაზრდის შესაძლებლობების შექმნით. მესამე ეტაპი წარმოადგენს ახალგაზრდებთან თანამშრომლობის ვალდებულებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალგაზრდებთან თანამშრომლობა პოლიტიკის შექმნისას უნდა გახდეს ნორმა.

ახალგაზრდების პოლიტიკის შემუშავების პროცესში მონაწილეობის წინაპირობაა მათი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაძლიერება. პოლიტიკის შემუშავების პროცესში მონაწილეობა მოითხოვს პოლიტიკის, მოლაპარაკებების და სამოქალაქო უფლებების საბაზისო ცოდნასაც. გარდა ამისა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კომუნიკაციისა და მოლაპარაკების უნარები. ახალგაზრდები უნდა იყვნენ მომზადებული, რომ მკაფიოდ ჩამოაყალიბონ თავიანთი გზავნილები და ეფექტურად გამოიყენონ კომუნიკაციის საშუალებები. როგორ შეიძლება ეს უნარ-ჩვევები და ცოდნა მიიღონ ახალგაზრდებმა? ხელისუფლებას შეუძლია ახალგაზრ-

დებს გადასცეს ეს ცოდნა და უნარები უშუალოდ სასკოლო სასწავლო პროგრამებში სამოქალაქო განათლების დანერგვით და ასევე არაპირდაპირი გზით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის, მათ შორის ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის მუშაობისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნით.

ახალგაზრდების ადგილობრივ დონეზე პოლიტიკის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა უნდა წარმოადგენდეს მოქალაქეთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის საერთო პოლიტიკის ნაწილს.

„ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ განახლებული ევროპული ქარტიის“ თანახმად, „ადგილობრივ და რეგიონალურ ცხოვრებაში ახალგაზრდობის წარმატებული და გრძელვადიანი მონაწილეობა მოითხოვს არა მხოლოდ პოლიტიკური ან ადმინისტრაციული სისტემების განვითარებასა თუ რესტრუქტურიზაციას. ახალგაზრდობასთან დაკავშირებული ნებისმიერი პოლიტიკა ან ღონისძიება უნდა ქმნიდეს კულტურულ გარემოს, როგორც ახალგაზრდების პატივისცემის ერთ-ერთი მთავარ წყაროს. ის ასევე უნდა ითვალისწინებდეს ახალგაზრდების კომპლექსურ მოთხოვნილებებს, მისწრაფებებსა და გარემოებებს, გართობის გარკვეული ელემენტების გათვალისწინებით“.

საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეგვიძლია გამოვყოთ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის სამი მოდელი: 1. საკონსულტაციო მოდელი; 2. საკომიტეტო მოდელი; 3. თანამმართველობის მოდელი. მოდით განვიხილოთ თითოეული მათგანი.

პირველი გახლავთ **საკონსულტაციო მოდელი.** საკონსულტაციო მოდელი გულისხმობს ახალგაზრდების მოსაზრებებისა და შეხედულებების შეგროვებას და გადაწყვეტილებების მიღებას მათთან კონსულტირების საფუძველზე. ეს მოდელი საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული. ამ მოდელის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ის, რომ, მართალია ახალგაზრდებთან კონსულტირებით, მაგრამ გადაწყვეტილებებს საბოლოოდ მაინც უფროსები იღებენ. ამასთანავე, არსებობს ახალგაზრდებთან კონსულტაციების ფორმალურად ჩატარების საფრთხეც, როდესაც ახალგაზრდებს რეალურად გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ საბოლოო გადაწყვეტილებაზე. მიუხედავად რისკებისა, საკონსულტაციო მოდელს აქვს მნიშვნელოვანი უპირატესობებიც. კერძოდ, ეს მოდელი ბევრი ახალგაზრდის მონაწილეობის შესაძლებლობას იძლევა.

საკომიტეტო მოდელი - ეს მოდელი გულისხმობს მუდმივმოქმედი ახალგაზრდული სტრუქტურის არსებობას, რომელიც თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა თუ უწყებებთან. ეს მოდელი პრაქტიკაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს, მაგალითად, ახალგაზრდული საბჭოს, საკრებულოს, ფორუმის სახით. ამ სტრუქტურებში ახალგაზრდები ხვდებიან, როგორც წესი, არჩევნების გზით - მათ ირჩევენ სხვა ახალგაზრდები. ახალგაზრდული საბჭოსა და საკრებულოს ძირითადი დანიშნულებაა ადგილობრივ თემში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებებისა თუ მოსაზრებების მიტანა ადგილობრივ თვითმმართველობამდე და მათი ინტერესების ადვოკატირება.

საკომიტეტო მოდელის ძირითადი გამოწვევა ბიუროკრატია და ახალგაზრდების მხოლოდ ფორმალური მონაწილოების მაღალი ალბათობაა. ხოლო დადებითი მხარე არის ის, რომ მას ახასიათებთ მეტი მდგრადობა, რადგან ამ სტრუქტურებს აქვთ კონკრეტული გაწერილი უფლებამოსილებები, რომლებიც აღიარებულია ხელისუფლების მიერ და, შესაბამისად, წარმოადგენს კარგ გზას

გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე გავლენის მოსახდენად. ამ მოდელის უპირატესობაა ასევე მისი წარმომადგენლობითი ხასიათი - მუდმივ-მოქმედ სტრუქტურებში გაერთიანებული ახალგაზრდები არ არიან მხოლოდ ინდივიდები, ისინი წარმოადგენენ ახალგაზრდების დიდი ჯგუფს და მოქმედებენ მათი სახელით.

თანამმართველობის მოდელი, რომელსაც ახლა განვიხილავთ, გულისხმობს, რომ პასუხისმგებლობა და გავლენა თანაბრად გაზიარებულია სახელმწიფოს წარმომადგენლებსა და ახალგაზრდებს შორის. თანამმართველობის მოდელი, რომელიც უკვე 40 წელია მოქმედებს ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ სექტორში წარმოადგენს მონაწილეობითი დემოკრატიის ცოცხალ მოდელს. ეს მოდელი აერთიანებს ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და ახალგაზრდულ საკითხებზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებს. ეს არის თანამშრომლობის უნიკალური მოდელი, სადაც ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და მთავრობებს თანაბარი ხმა აქვთ ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ სექტორთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ახალგაზრდებსა და მთავრობების წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობა ხორციელდება მხარეებს შორის იდეების, გამოცდილების გაზიარებისა და დიალოგის მეშვეობით, ურთიერთგაგებისა და პატივისცემის სულისკვეთებით.

თანამმართველობის მოდელი იძლევა ახალგაზრდების მონაწილეობის და გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე. თუმცა, მნიშვნელოვან დროსა და ძალისხმევას მოითხოვს მისი დანერგვა და ფუნქციური გამართვა.

გთხოვთ, დაფიქრდეთ:
- ახალგაზრდების მონაწილეობის რომელი მოდელის დანერგვა შეგიძლიათ თქვენს მუნიციპალიტეტში?
- ვინ იქნებიან ახალგაზრდები, ვინც ჩაერთვებიან მსგავს მექანიზმებში და როგორ დააინტერესებთ მათ?

წყაროები და დამატებითი მასალა

1. ენ კროული & დენ მოქსონი. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდობის მონაწილეობის ახალი და ინოვაციური ფორმები. 2017.
https://rm.coe.int/new-and-innovative-forms-of-youth-participation-in-decision-making-pro/1680759e6a
2. ევროპოს საბჭო. თქვი შენი სიტყვა. 2015.
https://rm.coe.int/16807023e0

3.5 ახალგაზრდების მონაწილეობის ინსტრუმენტები

ავტორი: ნატო ანთია

ამ ვიდეოში განვიხილავთ რამდენიმე ინსტრუმენტს და იდეას, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ახალგაზრდების მონაწილეობის გასაძლიერებლად. ეს ინსტრუმენტები არ ეხება მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგარზდების მონაწილეობას, არამედ უფრო ფართოდ - იმ კონკრეტულ სფეროებს, რომლებშიც ახალგაზრდების მონა-

წილეობა არსებითია. განვიხილოთ ეს ინსტრუმენტები:

სფერო 1. ტრენინგი ახალგაზრდების მონაწილეობაში

- ეს გახლავთ ტრენინგი მასწავლებლებისა და ახალგარზდული მუშაკებისთვის, ახალგაზრდების მონაწილოების პრაქტიკის გასაცნობად;
- მონაწილოებრივი პრაქტიკის ხელშეწყობა მოსწავლეებისათვის სკოლებში, სხვადასხვა სტრუქტურების შექმნითა და პროექტების განხორციელებით;
- ტრენინგი ახალგაზრდებისა და სკოლის მოსწავლეებისათვის სამოქალაქო განათლებაში, ახალგაზრდების მონაწილეობასა ადამიანის უფლებებში; თანატოლ-განმანათლებლობის ხელშეწყობა ახალგაზრდებში, შესაბამისი
- რესურსებისა და კარგი პრაქტიკის გაცვლის შესაძლებლობების უზრუნველყოფით.

სფერო 2. ახალგაზრდების ინფორმირება

- ახალგაზრდების საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრების შექმნა/ მხარდაჭერა;
- ინფორმაციაზე თანაბარი წვდომის უზრუნველსაყოფად სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების საჭიროებების გათვალისწინება. აქ იგულისხმება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ან იმ ახალგაზრდების საჭიროებების გათვალისწინება, ვისაც არ აქვს წვდომა მაგ. ინტერნეტზე, ტრანსპორტზე და სხვა;
- საინფორმაციო სერვისების მიწოდების სტანდარტების შექმნა და ამ სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფა.

სფერო 3. ახალგაზრდების მონაწილოების მხარდაჭერა საინფორმაციო და კომუნიკაციების ტექნოლოგიების მეშვეობით.

- ეს გულისხმობს ახალგაზრდებზე მორგებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მონაწილეობრივი და საინფორმაციო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისას;
- ახალგაზრდების მიერ აღნიშნულ ტექნოლოგიებზე წვდომის უზრუნველყოფა, როგორც ინფრასტრუქტურის გამართვით, ისე ამ ტექნოლოგიების გამოყენებისათვის საჭირო ცოდნის მიღების თვალსაზრისით.

სფერო 4. მედიაში ახალგაზრდების მონაწილოების ხელშეწყობა

- ახალგაზრდების მიერ და ახალგაზრდებისთვის მედიის შექმის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე (მაგ. ბეჭდური მედია, ინტერნეტ მედია, ტელევიზია, რადიო..);
- სათანადო ტრენინგ-პროგრამების ჩატარება ახალგაზრდებისთვის, რათა მათ განივითარონ მედიის ორგანიზებისა და მედია წიგნიერების უნარები.

სფერო 5. ახალგაზრდებში მოხალისეობრივი საქმიანობის წახალისება, ეს შეიძლება განხორციელდეს:

- მოხალისეობის ცენტრების დაარსების ხელშეწყობა;
- მოხალისეობის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ახალგაზრდებისთვის;
- მოხალისეობრივი საქმიანობის აღიარების და ვალიდაციის სისტემების განვითარება.

სფერო 6. ახალგაზრდული ინიციატივებისა და პროექტების მხარდაჭერა

- მატერიალური, ფინანსური, ტექნიკური და ექსპერტული მხარდაჭერა ახალგაზრდებისათვის პროექტებისა და ინიციატივების განსახორციელებლად;

სფერო 7. ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა

- სათანადო ბიუჯეტის გამოყოფა ახალგაზრდული ორგანიზაციების მხარდასაჭერად;
- თანამმართველობის მოდელის დამკვიდრება და ახალგაზრდებთან და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პრინციპის დანერგვა იმ სფეროებში, რომლებიც ახალგაზრდებს ეხებათ.

სფერო 8. ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა არასამთავრობო სექტორსა და პოლიტიკაში

- იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა (მათ შორის ფინანსური მხარდაჭერა), რომლებიც ხელს უწყობენ ახალგაზრდების მონაწილოებას;
- ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილობის ხელშეწყობა, მათ შორის, პარტიებში მონაწილეობის ხელშეწყობა.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. ევროპის საბჭო. თქვი შენი სიტყვა. 2015. https://rm.coe.int/16807023e0

3.6 ახალგაზრდების ინსტიტუციური მონაწილეობა

ავტორი: ნატო ანთია

ამ ვიდეოლექციაში განვიხილავთ ახალგაზრდების ინსტიტუციურ მონაწილეობას ადგილობრივ დონეზე. ახალგაზრდული პოლიტიკა და მისი დარგობრივი მიმართულებები უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ მხარს უჭერდეს ახალგაზრდების მონაწილეობას საზოგადოებაში. ამის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ ჩამოყალიბდეს ინსტიტუციური სტრუქტურები, რომელთა მეშვეობითაც ახალგაზრდები შეძლებენ საკუთარი მოსაზრებების გაჟღერებას და ამასთან, ეს მოსაზრებები იქნება მოსმენილი და გათვალისწინებული ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ.

„ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ განახლებული ევროპული ქარტია“ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ინსტიტუციური მონაწილეობის ფორმა უნდა შეირჩეს ადგილობრივი საჭიროებების შესაბამისად, მაგრამ ის ყოველთვის მიზნად უნდა ისახავდეს ახალგაზრდებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის პარტნიორობის შექმნას და ახალგაზრდებს საშუალებას აძლევდეს ჩაერთონ იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც მათ ეხებათ.

ახალგაზრდების ინსტიტუციური ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ახალგაზრდების მონაწილეობის ისეთი სტრუქტურები, როგორიცაა ახალგაზრდული საბჭოები, ახალგაზრდული საკრებულოები, ახალგაზრდული ფორუმები:

- უნდა იყოს მუდმივმოქმედი;
- მათ წევრები უნდა იყვნენ ახალგაზრდები, რომლებიც არჩეულები ან დანიშნულები არიან ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ;
- მათი შემადგენლობა უნდა ასახავდეს საზოგადოების სოციოლოგიურ შე-

მადგენლობას (წარმოდგენილნი უნდა იყვნენ სხვადასხვა ჯგუფის ახალგაზრდები);

- ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ პირდაპირი პასუხისმგებლობა პროექტებზე და უნდა ჰქონდეთ რეალური შესაძლებლობა გავლენა მოახდინონ პოლიტიკაზე;
- უნდა წარმოადგენდნენ პლატფორმას ახალგაზრდებისთვის, რომ გამოთქვან თავიანთი შეხედულებები და წუხილები, მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივებთან დაკავშირებით;
- მათ უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება წარუდგინონ წინადადებები ადგილობრივ ხელისუფლებას;
- მათ ხელი უნდა შეუწყონ კონსულტაციებს ახალგაზრდებთან და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან იმ საკითხებზე, რომლებიც მათ ეხებათ;
- მათ ხელი უნდა შეუწყონ ახალგაზრდების მონაწილეობას ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა საკონსულტაციო ორგანოებში.

მოკლედ განვმარტოთ, ზემოთ აღნიშნული სტრუქტურები.

ახალგაზრდული საბჭო/საკრებულო - ამ სტრუქტურაში წარმოდგენილი ახალგაზრდები, როგორც წესი, არჩეულები არიან სხვა ახალგაზრდების მიერ თავიანთი ქალაქიდან, სოფლიდან თუ თემიდან. ახალგაზრდული საბჭოს ძირითადი მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების და მოსაზრებების მიტანა ადგილობრივ ხელისუფლებამდე, ასევე, ახალგაზრდების ინტერესების ადვოკატირება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ახალგაზრდული ფორუმი - არის პლატფორმა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდებს, ახალგაზრდულ ორგანიზაციებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და ხედვები ახალგაზრდობის საკითხებზე. რეგულარული შეხვედრების ფარგლებში, რომელიც ამ პლატფორმის მეშვეობით იმართება, ახალგაზრდები უზიარებენ მათ საჭიროებებსა და გამოწვევებს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

იმისათვის რომ ადგილობრივ დონეზე, მხარი დაუჭირონ ახალგაზრდების მონაწილეობას, რეკომენდირებულია რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა:

- მხარი დაუჭირონ ახალგაზრდების მონაწილეობის როგორც ფორმალურ ისე არაფორმალურ სტრუქტურებს, მონაწილეობის მისაღებად საჭირო სივრცის, ფინანსური და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფით;
- ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდული მონაწილეობის სტრუქტურები დამხმარე პირით (ე.წ. გარანტორი), რომელიც იქნება შუამავალი ახალგაზრდების წარმომადგენლებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის;
- გარანტორი უნდა იყოს დამოუკიდებელი პირი, რომლის კანდიდატურაც უნდა იყოს შეთანხმებული ახალგაზრდებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. ის უნდა იყოს შუამავალი და წარმოადგენდეს ახალგაზრდების ინ-ტერესებს ახალგაზრდებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის გაუგებრობის ან კონფლიქტის დროს და უნდა უზრუნველყოს მათ შორის კომუნიკაცია.

გთხოვთ დაფიქრდეთ:

- ახალგაზრდების მონაწილეობის რომელი სტრუქტურები არსებობს თქვენს მუნიციპალიტეტში/სოფელში/თემში?

- რა როლს ასრულებენ ეს სტრუქტურები და როგორია მათი გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე?

- როგორ შეიძლება შეეწყოს ხელი ამ სტრუქტურების აქტიურ ფუნქციონირებას?

წყაროები და დამატებითი მასალა

1. ევროპის საბჭო. თქვი შენი სიტყვა. 2015. https://rm.coe.int/16807023e0
2. რატი ჭეიშვილი. ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სახელმძღვანელო. World Vision, 2019.

3.7 ციფრული მონაწილეობა

ავტორი: ნატო ანთია

მონაწილეობა ნიშნავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვას, მოსაზრებების გაზიარებასა და მოქმედებას. ეს გულისხმობს, რომ მოქალაქეები აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სხვადასხვა ადმინისტრაციულ დონეზე, (ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ) ან სხვა კონტექსტში, მაგალითად არასამთავრობო ორგანიზაციებში, სკოლებში და სხვა.

ციფრული მონაწილეობის შემთხვევაში, მოქალაქეთა მონაწილეობა და ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ხორციელდება ელექტრონულად, ონლაინ ინფორმაციისა და ინტერნეტზე დაფუძნებული საკომუნიკაციო ტექნოლოგიის გამოყენებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ციფრული მონაწილეობა არის ინტერაქტიული, ონლაინ პოლიტიკის შემუშავება.

ტექნოლოგიურმა განვითარებამ უფრო ადვილი და ეფექტური გახადა, მოქალაქეთა მოსაზრებების შეგროვება და დამუშავება. ციფრული და მობილური მონაწილეობა საშუალებას აძლევს მოქალაქეებს უფრო ეფექტურად მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, დროისა და მათი ადგილსამყოფლის მიუხედავად.

როდესაც ციფრულ მონაწილეობაზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია შევეხოთ ციფრულ სამყაროში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხსაც. ინტერნეტის ეპოქაში აქტუალური გახდა ადამიანის ე.წ ციფრული უფლებები, რაც სხვა არაფერია თუ არა ადამიანის უფლებები, ოღონდ ციფრულ სივრცეში, მაგალითად, პირადი ცხოვრების დაცვა, გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციის თავისუფლება და სხვა. ციფრული მონაწილეობის პროგრამების დანერგვისას, ასევე მნიშვნელოვანი ხდება ადამიანის პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი. დაუშვებელია პერსონალური მონაცემების დამუშავება თუ გამოყენება უკანონოდ, მათ შორის ინფორმირების გარეშე თუ რა სახის ინფორმაცია გროვდება და როგორ შემდგომ როგორ მოხდება შემდგომ მათი გამოყენება. მსგავს საკითხებს არეგულირებს “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ”საქართველოს კანონი.

ახალგაზრდების ციფრული მონაწილეობა მოიცავს ისეთ სამოქალაქო ჩართულობას, როგორიცაა: ინფორმაციის მიღება და გავრცელება; ელექტრონული წერილების გაგზავნა ან სოციალური მედიის მეშვეობით დაკავშირება საჯარო მოხელეებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან; ასევე, ონლაინ ჯგუფებსა და საზოგადოებებში გაწევრიანება და აქტივიზმი. ადრეულ ასაკში, ახალგაზრდების სამოქალაქო საკითხებითა და სამოქალაქო განათლებით დაინტერესება, ბუნებრივია ხელს უწყობს სამომავლოდ მათ აქტიურ სამოქალაქო აქტორებად ჩამოყალიბებას, ხოლო სოციალურ-პოლიტიკური გაძლიერება აისა-

ხება ახალგაზრდების თვითშეფასებასა და კეთილდღეობაზე.

ციფრული მედიის შექმნისა და რედაქტირების ხელსაწყოების მეშვეობით, რომელთა გამოყენებაც მარტივია, ბევრი ახალგაზრდა მონაწილეობს ონლაინ სივრცეებში, სადაც ისინი იყალიბებენ თავიანთ სამოქალაქო იდენტობას და გამოხატავენ პოლიტიკურ პოზიციას შემოქმედებითი გზით, მათ შორის მაგ. ვიდეოების, ფოტოების, მემეებისა და სხვა ნამუშევრების საშუალებით, რაც შეუძლებელი იქნებოდა მათთვის ტრადიციულ სამოქალაქო სივრცეებში.

ციფრული მონაწილეობა შეიძლება მრავალი ფორმით განხორციელდეს. ჩვენ ამ ტერმინის ქვეშ ვგულისხმობთ სოციალური მედიისა და მობილური ტექნოლოგიის გამოყენებას, რაც ახალგაზრდებს აკავშირებს გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან და აძლევს მათ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას. ციფრული მონაწილეობის გამოყენება შეიძლება დამოუკიდებლად, ან სხვა ფორმის მონაწილეობასთან კომბინაციით, მაგალითად ოფლაინ მონაწილეობასთან ერთად, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებითაც, რომ ყველა ახალგაზრდას არ აქვს წვდომა ციფრულ ტექნოლოგიებთან ან ინტერნეტთან. ციფრული მონაწილეობა შეიძლება ინიცირებული იყოს იმ ინსტიტუტების მიერ, რომლებიც ცდილობენ ახალგაზრდებს დაუკავშირდნენ, მაგალითად, გამოკითხვის ან კონსულტაციების ფორმით.

ციფრული მონაწილეობა შეიძლება ასევე განხორციელდეს ახალგაზრდების ინიციატივითაც, ამის მაგალითი შეიძლება იყოს კამპანიები ან ონლაინ პეტიციები, რომელთა შედეგებიც შემდეგ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს წარედგინებათ.

მიუხედავად იმისა, რომ ციფრული მონაწილეობა შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე, ინოვაციურ და უფრო ინკლუზიურ მონაწილეობის ფორმად, ის ჯერ კიდევ არ არის საკმარისად აღიარებული და გამოყენებული სახელმწიფო სტრუქტურების მიერ, ამიტომ მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლება და შესაბამისი სისტემების დანერგვის ხელშეწყობა. შესაბამისად, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ითვლება, რომ ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა ყველაზე ეფექტურადშეიძლება განხორციელდეს ონლაინ ინსტრუმენტებისა და ე.წ. ოფლაინ აქტივობების კომბინაციით, როგორიცაა ინტერაქტიულიღონისძიებები, შეხვედრები, პირდაპირი დისკუსიები.

გთხოვთ დაფიქრდით:
- ციფრული მონაწილეობის რომელი ფორმებია დანერგილი/ან შეიძლება დაინერგოს თქვენს მუნიციპალიტეტში?
- როგორ შეუწყობს ეს ხელს ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდას?
- როგორ შეიძლება წახალისდეს ახალგაზრდებში ციფრული მონაწილეობის პროგრამების გამოყენება?

წყაროები და დამატებითი მასალა

1. UNICEF. ახალგაზრდების მიერ ციფრული სამოქალაქო ჩართულობა. 2020. https://www.unicef.org/globalinsight/media/706/file/UNICEF-Global-Insight-digital-civic-engagement-2020.pdf
2. ენ კროული & დენ მოქსონი. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდობის მონაწილეობის ახალი და ინოვაციური ფორმები. 2017. https://rm.coe.int/new-and-innovative-forms-of-youth-participation-in-decision-making-pro/1680759e6a

3.8 მონაწილეობრივი ახალგაზრდული პოლიტიკა

ავტორი: ნატო ანთია

ამ ვიდეოში ჩვენ შევეხებით მონაწილეობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის საკითხს. „ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ“ განახლებული ევროპული ქარტია ითვალისწინებს რეკომენდაციებს ადგილობრივ დონეზე სექტორული ახალგაზრდული პოლიტიკის შესახებ. ეს რეკომენდაციები, ცხადია ახალგაზრდების მონაწილეობას ეხება და ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოვიყენოთ ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის მიმართულებების ან ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების განსაზღვრისთვის. ქარტიის საკვანძო პრინციპია, რომ ყველა სექტორულ პოლიტიკას გააჩნდეს ახალგაზრდული განზომილება. ეს სექტორული პოლიტიკებია:

1. სპორტის, თავისუფალი დროის ორგანიზების და საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკა;
2. ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის პოლიტიკა და უმუშევრობასთან ბრძოლა;
3. ურბანული გარემო და საცხოვრებელი ადგილი, განსახლების პოლიტიკა და ტრანსპორტი;
4. საგანმანათლებლო და ტრენინგის პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდების მონაწილეობას;
5. გაცვლითი პროგრამებისა და მობილობის პოლიტიკა;
6. ჯანდაცვის პოლიტიკა;
7. გენდერული თანასწორობის პოლიტიკა;
8. სპეციალური პოლიტიკა სოფლებისთვის;
9. პოლიტიკა კულტურის ხელმისაწვდომობისთვის;
10. მდგრადი განვითარებისა და გარემოს დაცვის პოლიტიკა;
11. ძალადობასთან და დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკა;
12. ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა;
13. სქესობრივი პოლიტიკა;
14. კანონებითა და უფლებებით სარგებლობის პოლიტიკა.

ადგილობრივმა და რეგიონულმა ორგანოებმა საკუთარ თავზე უნდა აიღონ ისეთი სტრუქტურებისა და ფორმების ჩამოყალიბება, რომლებიც ითვალისწინებს ახალგაზრდების მონაწილეობას მათ შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა და განხილვაში, რაც ბუნებრივია გულისხმობს მათ ჩართულობას ახალგაზრდული პოლიტიკის, მათ შორის სექტორული ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

როდესაც ვსაუბრობთ მონაწილეობრივი და ეფექტიანი ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებაზე, შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე პრინციპი, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს:

- პოლიტიკას უნდა ჰქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული ხედვა, მიზნები და მათი მიღწევის გზები. ყველა დაინტერესებული მხარე უნდა იყოს ჩართული მათ შემუშავებაში და ყველასთვის ნათელი უნდა იყოს, რის მიღწევას ცდილობს პოლიტიკა და როგორ.
- უნდა არსებობდეს პოლიტიკური ნება, ახალგაზრდობის საკითხები უნდა იყოს ადგილობრივი პრიორიტეტი და სათანადო ყურადღება უნდა ეთმობოდეს.
- საჭირო რესურსები უნდა იქნას გამოყოფილი ახალგაზრდობის პოლიტი-

კის დაგეგმვისთვის, განხორციელებისთვის, მონიტორინგისა და შეფასებისთვის.

- ახალგაზრდები უნდა მონაწილეობდნენ პოლიტიკის განვითარების ყველა ეტაპზე - დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება. თუ პოლიტიკა ჩამოყალიბდა ახალგაზრდებისთვის მათი ჩართულობის გარეშე, მას შეიძლება არ ჰქონდეს საკმარისი დადებითი გავლენა ახალგაზრდებზე.
- ასევე მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდებს გააჩნდეთ მიკუთვნებულობის გრძნობა პოლიტიკასთან მიმართებაში.
- პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვან ყველა სფეროს: განათლება, დასაქმება, ჯანმრთელობა, კულტურა, სპორტი და სხვა.
- პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს მტკიცებულებებს.

მნიშვნელოვანია, ხაზი გავუსვათ, თუ რა სარგებლობა მოაქვს ახალგაზრდების ჩართვას ადგილობრივ დონეზე პოლიტიკის განვითარების პროცესში. პირველ რიგში, ახალგაზრდების მონაწილეობა პოლიტიკის განვითარების პროცესში, ზრდის ახალგაზრდების ცოდნას და ინტერესს სამოქალაქო და პოლიტიკური საკითხებისადმი და აყალიბებს მათ აქტიურ მოქალაქეებად. შედეგად, ახალგაზრდები თვლიან, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღებაში და მთავრობის წარმომადგენლები სერიოზულად განიხილავენ მათ პრობლემებს. ამასთან, ახალგაზრდები უფრო მეტს იგებენ საერთო, საზოგადოების გამოწვევებზე და გრძნობენ პასუხისმგებლობას რომ იპოვონ გადაწყვეტები, რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაში იმუშავებს საზოგადოების სასარგებლოდ.

ახალგაზრდების ჩართვა სამოქალაქო საზოგადოებაში და პოლიტიკაში მონაწილეობა, ინფორმირებულობა პოლიტიკის შესახებ და ხმის მიცემა, ან ახალგაზრდების წახალისება არჩევნების გზით ოფიციალური თანამდებობების დასაკავებლად, აყალიბებს ძლიერ მოქალაქეებს. ახალგაზრდული ორგანიზაციებში გაერთიანება და სხვა არაფორმალური ახალგაზრდული ჯგუფების წევრობა კავშირშია სამომავლო პოლიტიკურ ჩართულობასთან და ქმნის ნდობას და გამჭვირვალობას თაობებს შორის - მოქალაქეებსა და მათ მთავრობას შორის.

გაგიზიარებთ რამდენიმე რჩევას, რომელიც საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, შეიძლება დაეხმაროს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ახალგაზრდების ჩართულობის მიღწევაში:

- შეიმუშავეთ ახალგაზრდებთან კომუნიკაციის სტრატეგია, გაიგეთ ვინ არიან ისინი, რა სურთ და როგორ წარმოუდგენიათ ურთიერთობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან. გაითვალისწინეთ, რომ თქვენი მიზანია, რომ ჩართოთ არა მხოლოდ ის ახალგაზრდები, ვინც უკვე აქტიურები, არიან, არამედ ის-ინი, რა სურთ და როგორ წარმოუდგენიათ ურთიერთობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან. გაითვალისწინეთ, რომ თქვენი მიზანია, რომ ჩართოთ არა მხოლოდ ის ახალგაზრდები, ვინც უკვე აქტიურები, არიან, არამედ ისინიც, ვინც არ არიან გაერთიანებულები ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა თუ კლუბებში.
- მოექეცით ახალგაზრდებს, როგორც თანასწორებს. არ ჩათვალოთ რომ ახალგაზრდებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა, გამოცდილება და უნარები და შესაბამისად, არიან ე.წ. „მეორეხარისხოვანნი“ თქვენთან ურთიერთობაში. მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ურთიერთობის და საუბრის მანერა ახალგაზრდებთან არ იყოს დამაკნინებელი.
- დაგეგმეთ თანამშრომლობითი და სათათბირო პროექტები. ასეთ პროექ-

ტებში, როგორც წესი მონაწილეობენ ახალგაზრდები და ზრდასრული ფასილიტატორები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები ან მკვლევარები, რომლებიც ერთად მუშაობენ კონკრეტული პროექტის განსახორციელებლად ან კონკრეტული საკითხის განხილვის მიზნით. ამ პროექტებს ხშირად აქვთ სემინარების ან კონფერენციების ფორმა, რომელსაც ზოგადად წინ უსწრებს საგანმანათლებლო ეტაპი, რომ მონაწილეები სრულად იყვნენ ინფორმირებულნი განსახილველი საკითხის ან პრობლემის შესახებ და შეძლონ გავლენა მოახდინონ პროექტის შედეგზე და მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

- გამოიყენეთ სოციალური მედია, რათა რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდის მოსაზრება გაიგოთ. ან განავითარეთ შესაბამისი ონლაინ პლატფორმები ახალგაზრდების გრძელვადიანი ჩართულობის უზრუნველსაყოფად. გაითვალისწინეთ, გაითვალისწინეთ, რომ ონლაინ პლატფორმები უნდა იყოს ინკლუზიური და ახალგაზრდებზე მორგებული.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილოების შესახებ განახლებული ევროპული ქარტია.ევროპის საბჭო.2003.
https://rm.coe.int/1680703908
2. თქვი შენი სიტყვა. ევროპის საბჭო. 2015.
https://rm.coe.int/16807023e0
3. რატი ჭეიშვილი. ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სახელმძღვანელო. World Vision. 2019.

3.9 სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების ჩართულობა

ავტორი: ნატო ანთია

„ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას“ - ვკითხულობთ ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტში. ამ მიზნის მისაღწევად, სხვა ვალდებულებათა შორის, განსაზღვრულია სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერა.

როდესაც ამ ჯგუფის ახალგაზრდებზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ ვის მიაკუთვნებს ამ ჯგუფს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი. ესენი არიან:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები;
- ახალგაზრდები, რომლებიც არ დადიან სკოლაში;
- არასრულწლოვანი ორსულები/მშობლები;
- ქუჩაში მცხოვრები და/ან ქუჩაში მომუშავე ახალგაზრდები;
- მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ახალგაზრდები;
- სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი და სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული

ახალგაზრდები;
- მძიმე და განუკურნებელი დაავადებების მქონე ახალგაზრდები;
- ტრეფიკინგის მსხვერპლი ახალგაზრდები;
- ფსიქოტროპული და ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონოდ მომხმარებელი ახალგაზრდები;
- თამბაქოსა და ალკოჰოლის ჭარბი რაოდენობით მომხმარებელი ახალგაზრდები;
- კანონთან კონფლიქტში მყოფი ახალგაზრდები;
- ყოფილი მსჯავრდებულები;
- ძალადობის/დისკრიმინაციის მსხვერპლი ახალგაზრდები;
- ახალგაზრდები იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებიდან;
- საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდები - საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის „ჩართულობა თანამშრომლობის გზით და ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესაბამისად“;
- ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე დასახლებულ პუნქტებში მცხოვრები ახალგაზრდები;
- მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდები;
- ომში დაღუპულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ვეტერანთა შვილები.

ბუნებრივია, სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდებს, სხვა ახალგაზრდების მსგავსად, აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებაში და იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც მათ ეხებათ. თუმცა, მიუხედავად ამისა, მათ ხშირად მონაწილეობის ნაკლები შესაძლებლობები აქვთ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიუხედავად იმისა რომ ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი გვაძლევს მოწყვლადი ჯგუფების ფართო ჩამონათვალს, ცვალებადი და მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინებით, შეუძლებელია ეს ჩამონათვალი მივიჩნიოთ ამომწურავად. შესაბამისად, კონკრეტული მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, სხვა ახალგაზრდებსაც, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილ ჯგუფებს არ განეკუთვნებიან, შეიძლება გააჩნდეთ სპეციალური საჭიროება და მნიშვნელოვანი იყოს მათ მხარდაჭერაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება.

მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს სოციალურ და სამოქალაქო გაძლიერებას, რათა მათ, სხვა ახალგაზრდების მსგავსად, ჰქონდეთ შესაძლებლობები, რომ განავითარონ ღირებულებები, უნარ-ჩვევები და ცოდნა იმისათვის, რომ მართონ თავიანთი ცხოვრება პოზიტიური, მდგრადი ხერხებით და გავლენა იქონიონ გადაწყვეტილებებზე საკუთარი ცხოვრების შესახებ.

როგორ შეიძლება ადგილობრივ დონეზე ხელი შეეწყოს სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მონაწილეობას?

1. მოიკვლიეთ თუ ვინ არიან ეს ახალგაზრდები და რა საჭიროებები აქვთ მათ. დაუკავშირდით არასამთავრობო ორგანიზაციებს, ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, სოციალურ სამსახურს, ისინი მოგაწვდიან ინფორმაციას მათი საჭიროებების შესახებ და ასევე საჭიროების შემთხვევაში დაგაკავშირებენ ამ ახალგაზრდებთან.
2. დაამყარეთ აქტიური კომუნიკაცია მათთან. ეს ახალგაზრდები ხშირად შეიძლება არ იყვნენ ჩართულები სხვადასხვა აქტივობებში ან ორგანიზაციებში. თქვენი მიზანია, შეუქმნათ მათ კეთილგანწყობილი, ხელმისაწვდომი გარემო და უზრუნველყოთ ხელშემწყობი პირობები მონაწილეობისათვის.

3. გააძლიერეთ ახალგაზრდები. დაგეგმეთ და შესთავაზეთ პროგრამები, რომლებიც ინკლუზიურია და ითვალისწინებს მათ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს.
4. აუხსენით ახალგაზრდებს, რატომ არის მათი უშუალო მონაწილეობა მნიშვნელოვანი. დაანახეთ მათ, რა კონკრეტულ სარგებელს მიიღებენ ისინი, მაგალითად მათ გარშემო არსებული პრობლემების გადაჭრაში უშუალო ჩართულობა, მათი უფლებების ხელმისაწვდომობის ადვოკატირების შესაძლებლობა და სხვა.
5. გახსოვდეთ, რომ სპეციალური საჭიროებები მრავალფეროვანია, შესაბამისად თავი შეიკავეთ მხოლოდ სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდებისთვის ცალკეული ჯგუფებისთვის ღონისძიებების ორგანიზებისგან. ალტერნატიულად შეგიძლიათ ორგანიზება გაუწიოთ შერეული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ინკლუზიურ, ერთობლივ ჩართულობას ნებისმიერი ტიპის ღონისძიებასა და პროცესში.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი. 2014. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2314717?publication=0
2. 8 ნაბიჯი ინკლუზიური ახალგაზრდული საქმიანობისკენ. ირლანდიის ადგილობრივი ახალგაზდული საბჭო. 2020. https://www.youth.ie/documents/nyci-8-steps-inclusive/

3.10 მონაწილეობრივი ბიუჯეტი

ავტორი: რევაზ ბარბაქაძე

ადგილობრივი მონაწილეობითი ბიუჯეტირების რაიმე ერთი განსაზღვრება არ არსებობს, რადგან მას სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ფორმა აქვს. ადგილობრივი მონაწილეობითი ბიუჯეტირება შეიძლება გავიგოთ როგორც პროცესი, სადაც მოქალაქეები, მომსახურების მომწოდებლები, ადგილობრივი ადმინისტრაცია და მოხელეები ერთობლივად განსაზღვრავენ, განიხილავენ და პრიორიტეტს ანიჭებენ პროექტებს, რომლებიც საჯარო სახსრებით ფინანსდება. მნიშვნელოვანია, რომ პროცესი აძლევს მათ უფლებამოსილებას, მიიღონ რეალური გადაწყვეტილებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხარჯონ ფული. ამრიგად, ადგილობრივი მონაწილეობითი ბიუჯეტირება საშუალებას აძლევს მოქალაქეებს (რომლებიც არ არიან არჩევით თანამდებობებზე) მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი საჯარო ფინანსების (გარკვეული ნაწილის) როგორც დაგეგმვაში, ისე მათ განაწილებაში.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ადგილობრივი მონაწილეობითი დაგეგმვა ნიშნავს მოქალაქეთა ჩართვას ინიციატივების გამოვლენასა და პრიორიტეტების განსაზღვრაში. ადგილობრივი მონაწილეობითი ბიუჯეტირება კი ასევე მოითხოვს მათ ჩართვას ბიუჯეტთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისა და მისი შესრულების მონიტორინგის პროცესში.

ქვემოთ მოცემული ხუთი კრიტერიუმი გვეხმარება ადგილობრივი მონაწილეობითი ბიუჯეტირების კიდევ უფრო ზუსტად განსაზღვრაში:

1. განხილული უნდა იქნეს ფინანსური და/ან საბიუჯეტო განზომილება; მონაწილეობითი ბიუჯეტირება ითვალისწინებს შეზღუდული რესურსების პრობლემის გადაჭრასაც;
2. პროცესში ჩართული უნდა იყოს ქალაქი ან (დეცენტრალიზებული) რაიონი, რომელსაც აქვს არჩევითი ორგანო და გარკვეული ძალაუფლება ადმინისტრაციაზე (უბნის დონე საკმარისი არ არის);
3. ეს უნდა იყოს განმეორებითი პროცესი (ფინანსური საკითხების შესახებ ერთი შეხვედრა ან ერთი რეფერენდუმი მონაწილეობითი ბიუჯეტირების მაგალითს არ წარმოადგენს);
4. პროცესი უნდა მოიცავდეს კონკრეტული შეხვედრების/ფორუმების ფარგლებში რაიმე სახით ჩატარებულ საჯარო დისკუსიებს („ჩვეულებრივი“ მოქალაქეების ადმინისტრაციულ ან კლასიკურ წარმომადგენლობით შეხვედრებზე დაშვება მონაწილეობით ბიუჯეტირებას არ ნიშნავს);
5. საჭიროა, არსებობდეს შედეგებთან დაკავშირებული გარკვეული ანგარიშვალდებულება.

მონაწილეობით ბიუჯეტირების თემა ბოლო ათწლეულია აქტუალური გახდა დასავლეთის ქვეყნებში. ამ მექანიზმის დანერგვა ინტენსიურად ხდება როგორც ადგილობრივ ასევე ცენტრალურ დონეზე. საქართველოში მონაწილოებითი ბიუჯეტირების მაგალითების და მცდელობების არაერთი მაგალითი არსებობს. ამ მხრივ გამოსაყოფია საქართველოს ფინანსისტთა ასოციაციის მიერ 2020 წელს განხორციელებული ინიციატივა, რომლის ფარგლებშიც ქვეყნის რამდენიმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გამოიყო თანხა მისი მონაწილოებითი განკარგვისათვის. თუმცა ამ პროცესს წინ უძღოდა ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რამდენიმე პროექტი, რითიც მოხდა მონაწილეობითი ბიუჯეტირებისთვის საფუძვლის მომზადება. მსგავსი საქმიანობა ხორციელდებოდა რუსთავის, მარნეულის, ოზურგეთის და სხვა მუნიციპალიტეტებში.

ადგილობრივ მონაწილეობით ბიუჯეტირებას მრავალი სხვადასხვა ფორმა და განსხვავებული შედეგი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო ფინანსების დაგეგმვისა და/ან განაწილების პროცესის ძირითად ნაწილს იმ მოქალაქეთა ჩართულობა წარმოადგენს, რომლებიც არჩევით თანამდებობებზე არ არიან დასაქმებულნი, აქ სულ მცირე ორი ძირითადი განსხვავება უნდა გამოვყოთ: ა) ინსტრუმენტი, რომელიც მონაწილეობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება და ბ) ცვლილების პოლიტიკური მამოძრავებელი ძალის ფუნდამენტური კონცეფცია.

საქართვლოში არსებობს მონაწილეობის კანონით განსაზღვრული ხუთი ინსტრუმენტი, ესენია:

- დასახლების საერთო კრება;
- პეტიცია;
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა;
- მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

გარდა ზემოთჩამოთვლილისა, ადგილობრივ თვითმმართველობებს და მათ პარტნიორებს შეუძლიათ შექმნან და გამოიყენონ მონაწილოების საკუთარი მექანიზმები. ამ მხრივ შეიძლება გამოყოფილი იქნეს რუსთავის მუნიციპალიტეტის მაგალითი, სადაც ადგილობრივი მერიისა და სამოქალაქო სექტორის თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა და დაინერგა ქალაქის მოკლე და გრძელ-

ვადიანი დაგეგმარების ინსტრუმენტები - სამაგიდო თამაში რუსთავი და Urban foresight მეთოდოლოგია. ორივე ინსტრუმენტი მოიაზრებს მასში ადგილობრივი მოქალაქეების ინტენსიურ მონაწილოებას და ეფექტურად შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც მონაწილეობითი ბიუჯეტირების მექანიზმი.

მონაწილეობითი (იგივე სამოქალაქო) ბიუჯეტირება საკმაოდ რთული და მრავალკომპონენტიანი პროცესია. მისი დანერგვა დიდ ძალისხმევას მოითხოვს, როგორც თვითმმართველობების ორგანოების, ასევე სამოქალაქო სექტორის მიერ. განსახორციელებლად კი საჭირო რამდენიმე მნიშვნელოვანი წინაპირობის არსებობა:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური ნება;
2. მოქალაქეთა ინფორმირებულობა და საჯარო ინფორმაციასთან მათი წვდომის მაღალი ხარისხი;
3. სექტორთაშორისი თანამშრომლობის პლატფორმების არსებობა;
4. მონაწილეობის პროცესის ხელშეწყობისთვის საჭირო სხვადასხვა ტექნიკური ინსტრუმენტების არსებობა.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების გამოყენება შესაძლებელია ისეთი ადგილობრივი გამოწვევებისთვის, როგორებიცაა ინფრასტრუქტურა, სერვისები ახალგაზრდებისათვის, ტრანსპორტი, კულტურა, სოციალური სერვისები, განათლება, დასვენება-გართობა...

მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვაზე მომუშავე მხარეებს უნდა ახსოვდეთ, რომ ადგილობრივი მონაწილეობითი ბიუჯეტირების შემოღება მოითხოვს, რომ პროცესის ძირითად დაინტერესებულ მხარეებს სრულად ესმოდეთ კონტექსტი და არსებული დინამიკა. და, რომ ადგილობრივი მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვის შედეგად მოხდება (სულ მცირე) ადგილობრივი კონსულტაციების ჩატარება მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან. ამ კონსულტაციებს პროცესის შემოღების იდენტური დინამიკა ექნებათ და საჭირო გახდება მათი მოდერაცია.

ადგილობრივი მონაწილეობითი ბიუჯეტირებისთვის მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ყურადღების საჯარო ხარჯების მონიტორინგისა და მონაწილეობითი ბიუჯეტირების გადანაწილებითი ბუნების პოტენციალისთვის მიქცევა (მაგ. უღარიბესი რაიონებისთვის მეტი თანხის გამოყოფა)

აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ადგილობრივი მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვა რომელიმე ინსტრუმენტის უბრალო შემოღებაზე უფრო მეტია. იგი საგულისხმო ინსტიტუციურ ცვლილებებსა (და აქედან გამომდინარე, ძალაუფლების გადანაცვლებას) და მხარდაჭერას მოითხოვს.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. პოლ ბ. მუნტერსი. რუსთავის ადგილობრივი მონაწილეობითი ბიუჯეტირების სახელმძღვანელო პრინციპები. https://rustavi.gov.ge/file_manager/69/22786a-fa5eb43cc1a001f1657201be1e.pdf

2. ადვოკატირება სოფლის მდგრადი და ინკლუზიური განვითარებისთვის.2020. http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2020/06/Advocacy-Manual-CiDA.pdf

3. ადგილობრივი ბიუჯეტი და მონაწილეობითი ბიუჯეტირება. გზამკვლევი მოქალაქეთათვის. https://rustavi.gov.ge/file_manager/16/d09ac85949247e7ca7dbaa7686a4cc71.pdf

3.11 პრაქტიკული რჩევები ახალგაზრდების მონაწილოების გასაზრდელად

ავტორი: ნატო ანთია

ახლა მინდა გაგაცნოთ რამოდენიმე პრაქტიკული რჩევა, ახალგაზრდების მონაწილეობის გასაზრდელად. ახალგაზრდების ნამდვილი მონაწილეობის უზრუნველყოფას გააზრება და სათანადო დაგეგმვა სჭირდება. ნამდვილი მონაწილოება გულისხმობს, რომ ახალგაზრდებს აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აქვთ მონაწილეობის უფლება, მათ იციან თუ რაში იღებენ მონაწილობას და აქვთ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა.

სანამ ახალგაზრდებს ჩართავთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გაითვალისწინეთ შემდეგი ნაბიჯები, რათა ხელი შეუწყოთ ახალგაზრდების მონაწილეობის კარგი პრაქტიკის დამკვიდრებას. შემდეგი ნაბიჯების გათვალისწინება ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს ეფექტურად ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ნაბიჯი 1. ორგანიზაციული ვალდებულება

მხარი დაუჭირეთ იმ თანამშრომლებს, რომლებიც ახალგაზრდებთან მუშაობენ, მაგალითად, გააკეთეთ პრეზენტაცია ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ ორგანიზაციის ხელმძღვანელობის და თანამშრომლებისთვის.

გამოყავით სათანადო რესურსები, გაითვალისწინეთ ახალგაზრდების მონაწილოების უზრუნველსაყოფად საჭირო რესურსები ბიუჯეტში.

- მომზადება - ახალგაზრდები უნდა მომზადდნენ და გაძლიერდნენ, რათა მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე.
- დააფასეთ ახალგაზრდების წვლილი - აღიარეთ ახალგაზრდების წვლილი და მათი მონაწილოება სხვადასხვა ფორმით.
- ჩართეთ ახალგაზრდები გადაწყვეტილების მიღების პროცესში დასაწყისიდან ბოლომდე.

გაითვალისწინეთ ახალგაზრდების ჩართვა პროექტის თუ გეგმის როგორც მიზნების შემუშავების, ისე განხორციელების და მიღწეული შედეგების შეფასების ეტაპებზე.

ნაბიჯი 2. შექმენით სივრცე ახალგაზრდების მონაწილეობისთვის

- მოიწვიეთ განსხვავებული ახალგაზრდები მონაწილოების მისაღებად - დაუკავშირდით თქვენს თემში ან რეგიონში მომუშავე ახალგაზრდულ მუშაკებს, ახალგაზრდულ ან ახალგაზრდებთან მომუშავე სხვა ორგანიზაციებს, სკოლის წარმომადგენლებს, რჩევის მისაღებად, თუ როგორ მიაწვდინოთ ხმა ახალგაზრდებს, რომლებიც ჩვეულებრივ არ მონაწილეობენ.
- დარწმუნდით, რომ მონაწილეობის შესაძლებლობები, რომლებსაც სთავაზობთ ახალგაზრდებს ხელმისაწვდომია. მაგალითად, დრო და ადგილი რომელსაც ახალგაზრდებს სთავაზობთ შეხვედრისთვის, მისაღებია მათთვის, ან საკითხი რომელიც უნდა განიხილოთ არის ნათელი და გასაგები.
- აცნობეთ ახალგაზრდებს შესაძლებლობების შესახებ და რომ ისინი არ არიან ვალდებულები მიიღონ მონაწილეობა. მონაწილეობა აუცილებლად ნებაყოფლობითი უნდა იყოს.

ნაბიჯი 3. შექმენით ახალგაზრდებისთვის მეგობრული გარემო

- დაამყარეთ პოზიტიური ურთიერთობები თქვენს ორგანიზაციასა და ახალგაზრდებს შორის;
- შეუქმენით უსაფრთხოების და ნდობის განცდა ახალგაზრდებს.
- შექმენით ახალგაზრდებისთვის მონაწილეობის საინტერესო და სახალისო შესაძლებლობები;
- ახალგაზრდებს მიაწოდეთ ინფორმაცია საკითხისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესახებ.

გაითვალისწინეთ, რა სახის ინფორმაცია და ტრენინგია საჭირო, რომ ახალგაზრდებს დაეხმაროთ ინფორმირებული მოსაზრებების შემუშავებაში და მათ სრულ მონაწილეობაში. დროულად მიაწოდეთ ახალგაზრდებს უკუკავშირი გადაწყვეტილების მიღების პროცესისა და მათი მოსაზრებების გათვალისწინების შესახებ.

წყარრები და დამატებითი მასალა

1. შეინარჩუნე რეალობა - რესურსი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართვისთვის. ახალი ზელანდიის ახალგაზრდობის განვითარების სამინისტრო. 2009.
https://www.myd.govt.nz/documents/resources-and-reports/publications/keepin-it-real/keepin-it-real.pdf
(Links to an external site.)

3.12 10 ხერხი ცუდი ახალგაზრდული პოლიტიკისთვის

ავტორები: თინიკო ნადირაშვილი
ნიკა ბახსოლიანი

ყურადღება! აღნიშნული ვიდეო სატირული შინაარსისაა.

გამარჯობა, თქვენ უყურებთ ინდიკატორს და დღეს შემოგთავაზებთ 10 ნაცად ხერხს, რომელიც უნდა გამოიყენოთ თუკი პოლიტიკის კეთებისას ახალგაზრდების დაიგნორება, ან მათი სათქვენოდ გამოყენება გსურთ.

ნაბიჯი 1. იმანიპულირეთ ახალგაზრდებით. პირველ რიგში, ეს საკმაოდ იაფი დაგიჯდებათ და მეორეც ერთი, ეს დაგეხმარებათ თქვენი პარტიის პროპაგანდისტული მასალის დისტრიბუციაში. მოკლედ, დაუძახეთ ახალგაზრდებს და ბავშვებს, დაურიგეთ თქვენი პარტიული ბუკლეტები, ჩააცვით ერთნაირი მაისურები, შეგიძლიათ, კეპებიც კი დაურიგოთ, გაავრცელებინეთ ეს თქვენი ბუკლეტები, მერე რა, თუ არც ამ კამპანიის აზრი, ან არც იდეოლოგია არ ესმით, ამას მნიშვნელობა აქ აქვს, თან ბავშვების გამოყენება ძალიან კარგია, ეგრევე გულს უჩუყებენ ყველას. თან ახლა, რომ ვიხსენებ, ისე ძალიან მიხაროდა მეც ამ დროშებით სირბილი სხვა ბავშვებთან ერთად პატარაობაში. კეპებსაც გვჩუქნიდნენ, ზოგს ორი ხვდებოდა.

ნაბიჯი 2. აქციეთ ახალგაზრდები თქვენს დეკორაციად. მოკლედ, გამოდიხართ ტრიბუნაზე სიტყვით, საუბრობთ თქვენს გამოწვევებზე, მიღწევებზე, სამომავლო გეგმებზე და ასე შემდეგ, და თქვენს უკან ჩამწკრივებული არიან ახალგაზრდები და ბავშვები. თქვენ, აუცილებლად, უნდა ახსენოთ თუ რა მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ჩართულობა, რომ ახალგაზრდები თქვენს

გუნდთან ერთად დგანან, რომ ახალგაზრდები არიან ჩვენი ქვეყნის მომავალი, იმედი და საზოგადოების ხერხემალი. თუმცა, თქვენ თუ გსურთ ნამდვილ წარმატებას მიაღწიოთ და ეს ხერხი გამოიყენოთ კიდევ უფრო ეფექტურად, მიმართავთ შემდეგ ხერხს: დააანონსებთ კონფერენციას, სამიტს ან ფორუმს და მოიწვევთ ახალგაზრდებს, თანაც ამ ღონისძიებაზე განხილული უნდა იყოს, აუცილებლად, ახალგაზრდობასთან დაკავშირებული პრობლემები. შემდეგ აკეთებთ რას? აკეთებთ დახურულ "ივენთს", იმიტომ, გინდათ თქვენ ინტრიგანები? გინდათ იქ კრიტიკული შეკითხვები და ასე შემდეგ? ნამდვილად არ გინდათ. ამის გამო, "ივენთი" აუცილებლად დახურული უნდა იყოს და ყველა მოწვეული სტუმარი უნდა იყოს თქვენდამი ლოიალურად განწყობილი. ახალგაზრდებიდან ეს შეიძლება იყოს სტუდენტური თვითმმართველობები, თქვენი ნათესავები, თქვენი ნათესავების ახლობლები, თქვენი ფანები, თქვენი მოვალეები და ასე შემდეგ. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ამ ღონისძიების ორგანიზატორებს, აუცილებლად, დაავალეთ წინასწარ გაესაუბრონ ახალგაზრდებს და განრიგი შეათანხმონ. ასევე, რას კითხვა დაისვას, რა-არა? რას მიექცეს ყურადღება? რა მიიჩქმალოს? და ასე შემდეგ, რომ თავის ტკვივილი აირიდოთ ყველანაირად წინასწარ. ბიჭი თქვენი სახელი...მერაბ, ერთი წუთით მოდით. ანუ, აი, შეკითხვებს რაც შეეხება ახლა, აუცილებლად უნდა დაისვას შეკითხვები, ხო იცით, კონფერენციაა მაინც... აი, განვიხილოთ, მაგალითად კულტურულ მემკვიდრეობასთან და ძეგლებთან დაკავშირებით, დაცვის საკითხები. გამიმეორეთ! ანუ, გვინდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებთან და რას ვაკეთებთ? შესანიშნავი შეკითხვაა!

მესამე. აქციე ახალგაზრდები შენს ტოკენებად. მოკლედ, კარგად მოგეხსენებათ, რომ, მაინც საჭიროა ამ ახალგაზრდების ჩართულობა, რომ რაღაც კეთდებოდეს, იწვევდეთ, გააქტიუროთ ახალგაზრდობა და ასე შემდეგ. კარგი, ნუ, გავაკეთოთ ასეთი რაღაც, მოიწვიეთ ახალგაზრდები კონფერენციაზე. მოიწვიეთ იმიტომ, რომ ჩანდეს ახალგაზრდები ნამდვილად არიან ამ კონფერენციის ნაწილი. რას ვაკეთებთ შემდგომ? რაიმე თემას აიღებთ, მაგალითად, ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება და თქვენ გსურთ, რომ აჩვენოთ, რომ ახალგაზრდები ამაში ბოლომდე ჩართული იყვნენ, მერე თქვათ, რომ ახალგაზრდების ჩართულობა ამ კონკრეტულ შემთხვევაში იყო უპრეცედენტო! დიახ. მოკლედ, მისცემთ რაღაც გარკვეულ დროს, მას შემდეგ, რაც პოლიტიკოსები დაამთავრებენ გამოსვლას, ეს შეიძლება ბოლოში იყოს, ან სადმე შუაში, დაახლოებით ნახევარი საათი, ორმოცი წუთი საკმარისია და სთხოვთ დაიყონ ჯგუფებად და იმუშაონ, ვთქვათ, ამ პოლიტიკის სტრატეგიის დოკუმენტზე. ნუ, ბოლოს, რა თქმა უნდა, გადაწყვეტილება თქვენზეა, მაგრამ თქვენ იტყვით, რომ ახალგაზრდების ჩართულობა, მართლაც, უპრეცედენტო ამაში, დადებთ ფოტოებსაც, ვიდეოებსაც, ვიდეოში შეგიძლიათ, აჩვენოთ, რომ ეს ახალგაზრდები ჯგუფებად მუშაობდნენ და რაღაცებს წერდნენ, მოკლედ, საკმარისია. თქვენ უკეთესად არ იცით, რა უნდათ ახალგაზრდებს, ან პოლიტიკის დოკუმენტის წერა როგორ უნდა?!

შემდეგი ნაბიჯია: დაი-ვიწყე! დიახ, არ მოგესმათ. ხომ გაქვთ რაღაც დოკუმენტი, სადაც ახალგაზრდები არიან ნახსენები? ვსო, ანუ, ახლა რა შეიძლება კიდევ გაკეთდეს? შეგიძლიათ, რომ თარგმნოთ და საიტზე გამოაქვეყნოთ, რომ ეს საერთაშორისო მისიებს წარუდგინოთ, რომ ჩვენ გვაქვს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი და ასე შემდეგ.

შემდეგი ნაბიჯია: შექმენით პოლიტიკა მტკიცებულებების გარეშე. არა ახლა, თქვენც იცით, რომ საჭიროებების კვლევა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, კი ბატონო, კი ბატონო, და როცა ვსაუბრობთ ამ საერთაშორისო გამოცდილების

გაზიარებაზე, ძალიან კარგად ჟღერს, თანამედროვედ, მაგრამ, ჩვენ უკეთ არ ვიცით, რა გვინდა?! და პლიუს მაგას, როცა ახლა, მაგალითად მოგვყავს პოსტინდუსტრიული ზესახელმწიფოები ამხელა ბიუჯეტით, კარგით რა! ვიყოთ რეალისტურები. ჩვენ უფრო არ ვიცით, რა უნდათ ჩვენს ახალგაზრდობას?!

ჯობია თუ შექმნით პოლიტიკას ზედმეტი ხალხის ჩარევის გარეშე. ყველას სურვილი და ხუშტური თუ გაითვალისწინეთ, ჩემო კარგო, ძალიან შორს წაგიყვანთ და დემოკრატია რომ ზანტია, მოგეხსენებათ, ალბათ. ახლა, არასამთავრობოს და მედიას, ვერაფერს თქვენ ვერ მოაწონებთ, თუ თქვენი არ არის. ხოდა, დაწერეთ და გააკეთეთ რა, როგორც თქვენ თვლით საჭიროდ და ახლა, თუ რამე, ახალმოსულები შეცვლიან მერე.

ფული არ გყოფნით?! მაშინ, უნდა გადაიტანოთ თქვენი გეგმები და სტრატეგიები ბიუჯეტის შემდეგ განხილვამდე. უფასო და იაფი ვიცი მე მზე და წვიმა.

შემდეგი ხერხი არის ის, რომ **გაუწიეთ დისკრიმინაცია**. ცუდს არაფერს არ ვამბობ, უბრალოდ, ეს არის მეგობრული რჩევა და ნაცადი ხერხი, რომ თუ შენ მოიწვევ ახლა... კენჭისყრა იქნება, კველევა იქნება, ღონისძიება, თუ ზეიმი, თუ რაც იქნება... ამნაირებს, იმნაირებს, ამ ფერის, იმ რწმენის, ნუ, ახლა, ესენი დაიწყებენ რაღაცეებს, შეკითხვებს, იმას, ამას. მერე, ესენი გაბრაზდებიან, ამათ "აჩოტები" აბარე და მოკლედ, თავის ტკივილია, რა.

ჩვენი შემდეგი რჩევაა: **იმოქმედოთ მრავალფეროვნების ხელშეწყობის გარეშე**. აქაც, არაფერს ცუდს არ ვგულისხმობთ, უბრალოდ, ეს არის რჩევა. შენ თუ ახლა მოიწვიე ხალხი სხვადასხვა რაიონებიდან, სხვადასხვა ასაკის, მკვლევარი, მოხუცი, ბავშვი, ბიზნეს სექტორი, ეკლესია და ასე შემდეგ, წელში გაწყდები. ახლა, ერთიც ვთქვათ, რა დროს ახალგაზრდებია?! აქეთ ბიუჯეტია შესასრულებელი, არჩევნები მოდის, თავდაცვა, ინფრასტრუქტურული პროექტები, ბიზნესის ხელშეწყობა. ხალხო, მოდით რა, შევხედოთ ყველაფერს რეალისტურად.

განა მართლა, ეს, რაც ჩამოვთვალე, არასდროს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გააკეთოთ! ახალგაზრდული პოლიტიკა, ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის და ამიტომ მას, ყოველთვის, კეთილსინდისიერად უნდა მოეპყროთ.

ვიდეო შეიქმნა ახალგაზრდული ასოციაცია „დრონის“ ეგიდით და სტუდია „ორნის“ მიერ, ევროკავშირის პროგრამის ერასმუს+ მხარდაჭერით პროექტ "Triangle for participation" ფარგლებში.

3.13 ახალგაზრდული საბჭო

ავტორი: ნატო ანთია

ჩვენ უკვე მიმოვიხილეთ ახალგაზრდების მონაწილოების ფორმები. ამჯერად, უფრო სიღრმისეულად განვიხილავთ ახალგაზრდული საბჭოების მიზანს, მნიშვნელობას, ფუნქციებსა და საქმიანობას.

წარმატებული ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების მიზნით, ადგილობრივმა ხელისუფლებებმა უნდა შექმნან სისტემური და მდგრადი სტრუქტურები, რათა უზრუნველყონ ახალგაზრდების მონაწილეობა ისეთი გადაწყვეტილებების საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც გავლენას ახდენს მათზე. ახალგაზრდული საბჭოს მიზანია, რომ უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების სრულფასოვანი მონაწილეობა.

ახალგაზრდული საბჭო სწორედ ასეთ სტრუქტურას წარმოადგენს, რომელიც არის:

- წარმომადგენლობითი - მოქმედებს ახალგაზრდობის სახელით;
- მუდმივმოქმედი - მისი საქმიანობა არ არის შეზღუდული დროში;
- პლატფორმა - ხელს უწყობს დიალოგსა და თანამშრომლობას ახალგაზრდებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის;
- ოფიციალური - აღიარებულია და მუშაობს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად

ახალგაზრდული საბჭოს ჩამოყალიბების საფუძველს ქმნის საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა კოდექსი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ახალგაზრდული საბჭოს შექმნა არ ნიშნავს იმას, რომ ახალგაზრდების მონაწილეობა უზრუნველყოფილია. პრაქტიკაში, საბჭომ შეიძლება სულაც ვერ უზრუნველყოს ახალგაზრდების რეალური მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და იყოს მხოლოდ სიმბოლური სტრუქტურა, რომლის საქმიანობა ახალგაზრდების მონაწილეობის კიბის ყველაზე დაბალ საფეხურს დაუკავშირდება. მსგავსი გამოცდილება, ბუნებრივია, საბჭოს და მის საქმიანობას არაპოპულარულს და არასანდოს ხდის ახალგაზრდებს შორის.

ამ რისკის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია, რომ კარგად დაიგეგმოს ახალგაზრდული საბჭოს ჩამოყალიებების პროცესი და გათვალისწინებული იქნას მის საქმიანობასთან დაკავშირებული რიგი საკითხები. პირველ რიგში, მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს ფუნქციები (ამოცანები), რომელსაც ახალგაზრდული საბჭო შეასრულებს. კერძოდ:

ა) მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების შესწავლა და წინადადებებისა და რეკომენდაციებისშემუშავება მათი უზრუნველყოფის მიზნით;

ბ) მონაწილეობა მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში;

გ) მონაწილეობა მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესში და ახალგაზრდების მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის განხორციელება;

დ) მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ინფორმირება მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის, პროგრამების, აქტივობების და სხვა არსებული შესაძლებლობების შესახებ;

ე) საზოგადოების ინფორმირება ახალგაზრდობის სფეროში დაგეგმილი და მიმდი-

ნარე ღონისძიებებისა და სიახლეების შესახებ;
ვ) მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა სხვადასხვასფეროებში.

ახალგაზრდული საბჭოს წარმატება დამოკიდებულია, იმაზე თუ რამდენად უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღების პროცესშიმუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებას და შესრულებას.

საჭიროებისა და ინტერესების შესწავლაში ქმედითი ახალგაზრდული საბჭოს მონაწილეობა ამ პროცესს უფრო მრავალფეროვანს დაშედეგიანს გახდის, ის ხელს შეუწყობს ახალგაზრდებისგან მეტი იდეისა და ინიციატივის შეგროვებას და საბოლოო ჯამში, უკეთესი დაუფრო ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას.

გარდა ზოგადი საკითხების შესწავლისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ახალგაზრდების საწყისი ეტაპიდანვე ჩართულობა კონკრეტულიპროექტების დაგეგმვაში, რადგან ისინი გავლენას ახდენენ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ასეთი მიდგომა მონაწილეობის კიბის ზედასაფეხურების შესაბამისად უნდა განხორციელდეს და გულისხმობს, რომ ახალგაზრდები საკუთარი ცხოვრების ყველაზე კარგი ექსპერტებიარიან და ყველაზე უკეთ იციან, თუ რა სჭირდებათ მათ.

საბჭოს, როგორც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების წარმომადგელობით ორგანოს, რეგულარული კონტაქტი და კომუნიკაციაუნდა ჰქონდეს ახალგაზრდებთან და იყენებდეს სხვადასხვა მეთოდებს მათი იდეებისა და ინიციატივების შესასწავლად, ასეთია მაგალითად, ახალგაზრდებთან შეხვედრა, ფოკუს-ჯუფების ჩატარება, არსებული მონაცემების ანალიზი, გამოკითხვა და კითხვარების შევსება, ინტერვიუ და ა.შ..

ინსტრუმენტები და მეთოდები უნდა იყოს ახალგაზრდებზე მორგებული, სახალისო და ხელს უნდა უწყობდეს მათ მოტივაციასა და აქტიურჩართულობას. მათი გამოყენება შესაძლებელია გამარტივებული ფორმებით და როგორც ფიზიკურად, ასევე ონლაინ ხელსაწყოებისსაშუალებით, იმგვარად რომ უზრუნველყოფდეს ახალგაზრდების მაქსიმალურად მრავალფეროვანი ჯგუფის ჩართულობას, მათ შორის მოწყვლადი ახალგაზრდების.

მოკვლევის დროს ახალგაზრდებს ჰქონდეთ აზრის თავისუფლად დაფიქსირების შესაძლებლობა და მათი მოსაზრებებიგათვალისწინებული უნდა იყოს. იმ შემთხვევაში, თუკი ეს ვერ ხერხდება, ახალგაზრდებმა უნდა მიიღონ უკუკავშირი და დეტალურიგანმარტება, თუ რატომ არის ამა თუ იმ იდეის და წინადადების გათვალისწინება შეუძლებელი.

საჭიროებებისა და ინტერესების შესწავლის შედეგად შეგროვებული ინფორმაცია, უნდა იყოს საჯარო და საბჭოს სხდომაზესავალდებულოდ განსახილველი, ახალგაზრდულმა საბჭომ მისი ანალიზის საფუძველზე, უნდა მოამზადოს კონკრეტული ინიციატივები, რეკომენდაციები და პროექტები, რომელთაც საბოლოო ჯამში წარუდგენს ადგილობრივ ხელისუფლებას.

ახალგაზრდების იდეებისა და ინტერესების შეგროვების შედეგად მომზადებული რეკომენდაციები უნდა აისახოს მუნიციპალურ ახალგაზრდობის პოლიტიკაში. მუნიციპალურ ახალგაზრდობის პოლიტიკაში ჩვენ ვგულისხმობთ ადგილობრივი ხელისუფლების ყველა იმქმედებას (ან უმოქმედობაც), რაც ახალგაზრდებზე გავლენას ახდენს და არ აქვს მნიშვნელობა, ასახულია შესაბამისს დოკუმენტში (სტრატეგიაში) თუ პირდაპირ, პრაქტიკულად ხორციელდება.

ახალგაზრდული საბჭოს შემდეგი ფუნქციაა, უზრუნველყოს წინადადებ-

ებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება ახალგაზრდობისპოლიტიკაში, რომლებიც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების შესწავლისა და ანალიზისსაფუძველზე მომზადდა და აწარმოოს შესაბამისი ადვოკატირების კამპანია. ამასთან, ადგილობრივმა ხელისუფლებამაც უნდაუზრუნველყოს, რომ არსებული შესაძლებლობებისა და რესურსების ფარგლებში, მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული საბჭოსრეკომენდაციები და ამის რეალური მექანიზმებიც არსებობდეს მონაწილეობის კიბის ზედა საფეხურების შესაბამისად.

ახალგაზრდული საბჭო ასევე უნდა ჩაერთოს ახალგაზრდობის პოლიტიკის შეფასებაში, რაც გულისხმობს ანალიზს:

- როგორი ხარისხით შესრულდა სხვადასხვა აქტივობები, პროექტები და პროგრამები ახალგაზრდობის პოლიტიკის ფარგლებში;
- რამდენად იქნა მიღწეული წინასწარ დასახული მიზნები და ამოცანები;
- როგორ შეუწყო ხელი განხორციელებულმა ქმედებებმა ახალგაზრდების მდგომარეობის გაუმჯობესებას და მათი საჭიროებებისა დაინტერესების დაკმაყოფილებას.

ამ ყველაფრის საფუძველზე საბჭომ უნდა მოამზადოს რეკომენდაციები, სამომავლოდ რა ცვლილებები უნდა განხორციელდესახალგაზრდული პოლიტიკის სრულყოფის მიზნით.

პოლიტიკის განვითარების ციკლში შეგნებულად არ არის ნახსენები ახალგაზრდული საბჭოს მონაწილეობა განხორციელების ეტაპზე, როგორიცაა (პოლიტიკის დამტკიცება და მიღება რომელიც ცალსახად ადგილობრივი ხელისუფლების პრეროგატივაა, რაც განპირობებულიარიგი ფაქტორებით:

- ახალგაზრდული საბჭოს მიზანია ახალგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფა მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისმიღების პროცესში და არა ამ გადაწყვეტილებების აღსრულება. ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება ადგილობრივიხელისუფლების ან სერვისის მიმწოდებელი სხვა ორგანიზაციების ვალდებულებაა და ახალგაზრდული საბჭო თუ მისი წევრები არ უნდაიყვნენ სხვადასხვა პროექტებისა და თუ პროგრამების შემსრულებლები;
- ღონისძიებების განხოციელების შემთხვევაში, საბჭოს მიერ ვერ მოხერხდება საკუთარი საქმიანობის ობიექტური და მიუკერძოებელიშეფასება (როგორც წესი, შეფასება უნდა განხორციელდეს გარე ექსპერტების ჯგუფის ან დამოუკიდებელი ორგანიზაციების მიერ).

თუმცა, საბჭომ ასევე უნდა განახორციელოს ახალგაზრდული პოლიტიკის მონიტორინგი, რაც გულისხმობს რეგულარულად ინფორმაციისშეგროვებას და ანალიზს პროექტებისა და პროგრამების მიმდინარეობისის შესახებ, რომ მოხდეს თვალყურის მიდევნება, რამდენადწარმატებით და გეგმის შესაბამისად ხორციელდება ისინი.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭო არ მონაწილეობს ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებაში, მას შეუძლია ჩაატაროს სხვადასხვასაგანმანათლებლო აქტივობები, რომელთა მიზანია ახალგაზრდების კომპეტენციების განვითარება სხვადასხვა სფეროებში და ამისთვისდაფინანსების ძიების მიმართულებითაც იმუშავოს, მაგალითად, ტრენინგები და სემინარები, კამპანიები, თამაშები და ა.შ.

საბჭოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ახალგაზრდების პროაქტიური ინფორმირებაა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკისა დაპროგრამების, ასევე სხვა არსებული შესაძლებლობების შესახებ. ხარისხიანი, პროაქტიური, განა-

ხლებული და სრულყოფილი ინფორმაციის ფლობა, ეხმარება ახალგაზრდებს, რომ გამოიყენონ არსებული შესაძლებლობები და რესურსები, მიიღონ პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილებები და აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა - ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ სფეროში.

ასევე ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა მონაწილეობა საბიუჯეტო პროცესებში, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს. მნიშვნელოვანია საბჭოსჩართულობა ამ პროცესის თითოეულ ეტაპზე.

ვინაიდან ახალგაზრდული საბჭო არაერთ ფუნქციას ასრულებს, საჭიროა მისი ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შედგენა, სადაც განსაზღვრული იქნება განსახორციელებელი საქმიანობები, ვადები და მასზე პასუხისმგებელი საბჭოს წევრები.

გიზიარებთ გზამკვლევს - როგორ შევქმნათ ახალგაზრდული საბჭო და ინფორმაციას დავალების შესახებ. ამ გზამკვლევში თქვენ ნახავთ საინტერესო პრაქტიკულ ინფორმაციას საბჭოს დაკომპლექტების, სტრუქტურის, მისი წევრების ფუნქციების, უფლება-მოვალეობების და მუშაობის წესების შესახებ. გთხოვთ, ყურადღებით გაეცნით გზამკვლევს და მასზე დაყრდნობით, შექმნათ ახალგაზრდული საბჭოს დებულება თქვენი მუნიციპალიტეტისთვის.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. რატი ჭეიშვილი. როგორ შევქმნათ ახალგაზრდული საბჭო -გზამკვლევი. 2021. https://drive.google.com/drive/folders/1HyxxXnhcCfP3RGOq2k82C9gxYCy-jUAG0

3.14 სტუდენტური თვითმმართველობა

ავტორი: ნატო ანთია

თვითმმართველობა სტუდენტებისთვის წარმომადგენლობითი ორგანოს ფუნქციას ასრულებს და წარმოადგენს საკვანძო სტრუქტურას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ცხოვრებაში სტუდენტების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად და ამ თვალსაზრისით, საუნივერსიტეტო ცხოვრების დემოკრატიულობის ხარისხის გასაზრდელად. ეს ორგანო უნდა ზრუნავდეს სტუდენტებისთვის პრობლემების გადაჭრაზე, საუნივერსიტეტო ცხოვრების მრავალფეროვნების გაზრდაზე და სტუდენტების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფაზე უნივერსიტეტის ყველა საქმიანობასა და ინიციატივაში. ამასთან, სტუდენტური თვითმმართველობა არის შესაძლებლობა ახალგაზრდებისთვის, რომ თავადაც მიიღონ საუნივერსიტეტო ცხოვრებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, გაიმდიდრონ საგანმანათლებლო გამოცდილება, უნივერ-სიტეტის ადმინისტრაციისგან და აკადემიური პერსონალისგან დამოუკ-იდებლად დაგეგმონ და განახორციელონ პროექტები.

სტუდენტური თვითმმართველობების შექმნის საკანონმდებლო საფუძველს წარმოადგენს ,,ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი“, რომლის თანახმადაც, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ფარული

კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე იქმნება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების მიხედვით არჩეული სტუდენ-ტური თვითმმართველობები.

სტუდენტური თვითმმართველობა საქმიანობს ახორციელებს ზემოაღნიშნული კანონისა და სტუდენტური თვითმმართველობის მიერ შემუშავებული დებულების შესაბამისად. სტუდენტური თვითმმართველობა არის დამოუკიდებელი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას არ აქვს უფლება ჩაერიოს მის საქმიანობაში. სტუდენტური თვითმმართველობას გააჩნია შემდეგი უფლებამოსილებებია:

- უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში;
- ის ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;
- ირჩევს წარმომადგენლებს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოში;
- უფლებამოსილია შეიმუშაოს წინადადებები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს შემდეგ შესაბამის ორგანოს;
- განახორციელებს დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლება-მოსილებებს.

ვინაიდან, სტუდენტური თვითმმართველობა აირჩევა სტუდენტების მიერ ფარული და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე სტუდენტების მიერ, მას ენიჭება ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხი. სტუდენტური თვითმმართველობა საქმიანობას ახორციელებს სტუდენტების სახელით და უნდა ატარებდეს მათ ინტერესებს.

როგორც წესი, სტუდენტური თვითმმართველობა წარმართავს უნივერსიტეტში სტუდენტურ ცხოვრებას. მისი მიზანია სტუდენტების პრობლემებზე იყოს ორიენტირებული და მათი პრობლემები უნივერსიტეტის ადმინისტრაციამდე და აკადემიურ პერსონალამდე მიიტანოს. სტუდენტური თვითმმართველობა ასევე ასრულებს მედიატორის ფუნქცია სტუდენტებსა და აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ პერსონალს შორის. სტუდენტურმა თვითმმართველობამ ხელი უნდა შეუწყოს არაფორმალური განათლების განვითარებას და სტუდენტების სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართვას. ამ მიზნით ის ახორციელებს სხვადასხვა სახის კულტურულ, შემეცნებით და სპორტულ პროექტებს. სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული პროექტები ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.

უკანასკნელ პერიოდში, საქართველოში სტუდენტური თვითმმართველობების საქმიანობების კომპლექსური ანალიზი არ განხორციელებულა. 2010 წელს ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი ჯგუფის მიერ, 17 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელებული კვლევის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება თვითმართველობის საქმიანობას:

- პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტები ნაკლებად არიან ინფორმირებულები როგორც თავიანთი, ასევე თვითმმართველობის უფლება-მოვალეობის შესახებ;
- აღსანიშნავია სტუდენტების პასიურობა თვითმმართველობასთან თანამშრომლობისას. გამოკითხული სტუდენტების 73% აღნიშნავს, რომ არასდროს მიუმართავს თვითმმართველობისთვის რაიმე ინიციატივით.
- სტუდენტური თვითმმართველობები ნაკლებად არიან ჩართული კანონმდებლობით გათვალისწინებული ისეთი უფლებამოსილების განხორციელებაში, როგორიცაა სტუდენტების უფლებების ადვოკატირება

და განათლების ხარისხისა თუ მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად წინადადების შემუშავება აკადემიური პერსონალისა თუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის.

- თვითმმართველობის საქმიანობა, ძირითადად, მოიცავს სპორტული, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების ორგანიზებას; ამ მიმართულებით მათი საქმიანობა მრავალფეროვანია. თვითმმართველობის მიერ ნაკლებად ხორციელდება საგანმანათლებლო პროექტები.
- სტუდენტების მოთხოვნები და საჭიროებები ნაკლებად ახდენს გავლენას თვითმმართველობის საქმიანობაზე და მიიჩნევენ, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია არის მათზე მოქმედი მთავარი ძალა; გამოკითხული სტუდენტების მეოთხედზე მეტი ფიქრობს, რომ ყველაზე დიდი გავლენა თვითმმართველობის საქმიანობაზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციას აქვს.
- სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლის როლი წარმომადგენლობით საბჭოში ფორმალურია და ის რეალურ გავლენას ვერ ახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე.
- თვითმმართველობების ბიუჯეტები, ხშირ შემთხვევაში, არ შეადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტის 1 პროცენტს.

სტუდენტური თვითმმართველობების საქმიანობის საერთაშორისო კარგი პრაქტიკა ადასტურებს, რომ სტუდენტური თვითმმართველობებს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრიათ სტუდენტთა უფლებების დაცვის, სტუდენტთა სოციალური ცხოვრების ორგანიზების და უნივერსიტეტის მმართველ და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში წარმომადგენლობის და სტუდენტთა ინტერესების გახმოვანების თვალსაზრისით. წარმატებულ სტუდენტურ თვითმმართველობებს აქვთ გამოცხადებული მაღალი ნდობა სტუდენტების მიერ და მისი საქმიანობა არის გამჭვირვალე. ის ერთის მხრივ ახორციელებს პროექტებს სტუდენტების საჭიროებებზე და ინტერესებზე მორგებით, ხოლო მეორეს მხრივ, უზრუნველყოფს პერიოდულ ანგარიშგებას სტუდენტებთან განხორციელებული საქმიანობის და განკარგული ბიუჯეტის შესახებ. შესაბამისად, სტუდენტურ თვითმმართველობებს ენიჭებათ მაღალი ლეგიტიმაცია და მის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება სტუდენტებისთვის არის საინტერესო და მომხიბვლელი და პრესტიჟული.

საერთაშორისო გამოცდილების და საქართველოში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტურმა თვითმმართველობამ საქმიანობის განხორციელებისას უზრუნველყოს მონაწილეობის, დემოკრატიულობისა და გამჭვირვალობის სტანდარტების დაცვა, რაც პირდაპირ აისახება სტუდენტების მიერ ამ მნიშვნელოვანი წარმომადგენლობითი ორგანოს მიმართ ნდობის ხარისხზე. მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ჭრილში, სტუდენტურ თვითმმართველობებს შეუძლიათ ითამაშონ კარგი როლი, თვითმმართველობებსა და აკადემიურ სფეროს შორის კავშირის დამყარებით, მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით მნიშვნელოვანი კვლევითი და საგანმანათლებლო პროექტების, მათ შორის სემინარებისა თუ კონფერენციების განხორციელებით.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 45.
2. კვლევითი პროექტი „სტუდენტების მონაწილეობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვაში“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი ნათია ანდღულაძე.

3.15 მოხალისეობა

ავტორი: ირმა გიორგობიანი

რა არის მოხალისეობა, მისი სარგებელი, ტიპები და ინფრასტრუქტურა. მოხალისეობა, როგორც სამოქალაქო ჩართულობის ერთ-ერთი ფორმა, თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების მნიშვნელოვანი მდგენელია, რომელიც ხელს უწყობს აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, სოლიდარობისა და სოციალური ერთობის გაძლიერებას. ამიტომ მოხალისეობის განვითარების ხელშეწყობას დიდი ყურადღება ეთმობა ევროკავშირის ქვეყნებში და ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს მოხალისეობის ხელშეწყობა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება.

მაინც რას ნიშნავს მოხალისეობა? მოხალისეობა კომპლექსური ტერმინია, რომელიც სხვადასხვა კულტურული და სოციალური ფონიდან გამომდინარე განსხვავებული მნიშვნელობა შეიძლება შეიძინოს. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, მოხალისეობა არის „საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა, რომელსაც პირი ეწევა სხვების დასახმარებლად თავისუფალი ნებით და არ არის მოტივირებული რაიმე ფინანსური ან მატერიალური სარგებლის მიღებით“.

რა სარგებელი შეიძლება ჰქონდეს მოხალისეობას ახალგაზრდებისთვის? გარდა იმისა, რომ მოხალისეობა თავისი არსით ალტრუისტული აქტია და გულისხმობს საზოგადოების კეთილდღეობისთვის, საკუთარი დროის, ენერგიის და რესურსების გაღებას, მეორე მხრივ, ის საგანმანათლებლო საშუალებაცაა, რომელიც ახალგაზრდებს განვითარების ფართო სპექტრს სთავაზობს:

- მოხალისეობა ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, საკუთარი ოჯახის, სკოლის და თანატოლთა წრის მიღმა, განსხვავებული პერსპექტივიდან შეხედონ და გაიცნონ საზოგადოება;
- ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდებს მოხალისეობრივი საქმიანობა ზრდასრულ ადამიანებთან ერთად უწევთ, ამიტომ ეს პროცესი ხელს უწყობს თაობათაშორის დიალოგს.
- ახალგაზრდებს აძლევს შესაძლებლობას მოსინჯონ თავი მათთვის საინტერესო ახალ სფეროში, ან იმ სფეროში, რომელსაც მომავალ პროფესიად მოიაზრებენ. რაც კარგი საშუალებაა, იმისათვის, რომ განივითარონ კონკრეტულ სფეროსთან დაკავშირებული ცოდნა და უნარები. გარდა კონკრეტულ სფეროსთან დაკავშირებული კომპეტენციებისა, მოხალისეობა საშუალებას აძლევს მათ განივითარონ დასაქმების უნარები, რადგან ამა თუ იმ ორგანიზაციაში მოხალისეობის პროცესში ეცნობიან ორგანიზაციულ კულტურას, აკვირდებიან პროფესიონალებს, ივითარებენ კომუნიკაციისა და გუნდში მუშაობის კომპეტენციებს. ასევე აძლიერებენ თავიანთ სოციალურ კაპიტალს, რადგან ამყარებენ ახალ კავშირებს და აფართოებენ პროფესიულ წრეს, რაც სამომავლოდ მათთვის ახალ შესაძლებლობებს ხსნის.
- ხელს უწყობს მენტალურ ჯანმრთელობას და ამცირებს დეპრესიის რისკს, რადგან, როგორც კვლევები ადასტურებს, სიკეთის უანგაროდ კეთება, სხვების დახმარება, ადამიანში დადებით ემოციებს იწვევს და ხელს უწყობს ზოგად ემოციურ კეთილდღეობას. შეგრძნება, რომ რაღაც მნიშვნელოვანს და სასარგებლოს აკეთებ ამაღლებს თვითშეფასებას და თავდაჯერებულობას და ეხმარება ახალგაზრდებს, თავი საზოგადოების ნაწილად და მნიშვნელოვან წევრად იგრძნონ.

გარდა, იმ სარგებლისა, რაც ახალგაზრდების პიროვნული განვითარებისთვის მოაქვს, ასევე გასათვალისწინებელია მისი დადებითი გავლენა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაზე. საზოგადოების სასარგებლოდ უანგაროდ გაცემის კულტურის დამკვიდრებით, სოლიდარობის, თანადგომისა და სოციალური ერთობის ხელშეწყობით ეხმარება თემის გაჯანსაღებას. აღსანიშნავია, ისიც, რომ მოხალისეობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკაში. არაერთ ქვეყანაში, შექმნილია მოხალისეებისა და მათი ნამუშევარი საათების აღრიცხვის სისტემა და ხდება, ნამუშევარი დროის და გაწეული შრომის საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით, მოხალისეობრივი სექტორის მიერ ეკონომიკაში შეტანილი წვლილის დათვლა, რაც საკმაოდ შთამბეჭდავ რაოდენობრივ მაჩვენებლებს გვთავაზობს. მაგალითად, 2018 წლის მონაცემებით შოტლანდიაში ეს მაჩვენებელი 5,5 მილიარდს აღწევს.

მოხალისეობის ტიპები

არსებობს მოხალისეობის ორი ძირითადი ტიპი - ფორმალური და არაფორმალური. ფორმალური მოხალისეობა, რომელიც სტრუქტურირებული და ინსტიტუციურია ორგანიზაციებში გრძელვადიან და რეგულარულ მოხალისეობას გულისხმობს. ასეთ მოხალისეობრივ პროგრამებს, როგორც წესი, ჰყავთ მენეჯერები ან კოორდინატორები, რომლებიც აფასებენ მოხალისეების მუშაობის შედეგებს, მათ სწავლებას, უწევენ ზედამხედველობას და აძლევენ უკუკავშირს. ასეთი მოხალისეობა აქტივობათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა და რეგულირდება, როგორც შესაბამისი ორგანიზაციის წესებით, ასევე კანონით. აღსანიშნავია, რომ ასეთ ორგანიზაციებში მომუშავე მოხალისეებს შეიძლება ჰქონდეთ მცირედი მატერიალური ანაზღაურება, რაც მათი ხარჯების (მგზავრობა, ღამისთევა, კვება და ა.შ) დაფარვას ემსახურება.

არაფორმალურ მოხალისეობას არ აქვს ორგანიზებული სახე და არ არის დაკავშირებული რაიმე ტიპის ინსტიტუციასთან. ამ ტიპის მოხალისეობა არ მოიცავს იურიდიულ ვალდებულებებს და გულისხმობს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად დახმარების გაწევას ადამიანებისთვის, რომლებიც არ არიან დახმარების გამწევი პიროვნების მეგობრები ან ნათესავები.

გარდა ამ ორი ძირითადი ტიპისა, შეიძლება გამოიყოს მოხალისეობის სხვა სახეებიც, როგორიცაა მაგალითად, გრძელვადიანი და მოკლევადიანი, ონლაინ და ოფლაინ, ცალკეულ ღონისძიებებზე მოხალისეობა.

აღსანიშნავია კორპორატიული მოხალისეობა, რომელიც ხორციელდება ბიზნეს კომპანიების კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში და გულისხმობს, დასაქმებულებისთვის თავისუფალი დროის მიცემას მოხალისეობრივ პროგრამებსა და აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად. ეს არის მხარდაჭერის აქტიური ფორმა, რომელიც გულისხმობს დროისა და უნარების გაცემას, ნაცვლად ფულადი შემოწირულობებისა, რომელიც პასიური მხარდაჭერის ფორმაა.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო მოხალისეობა, რომელიც ანაზღაურების გარეშე საქმიანობაა მოხალისის საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ მდებარე მიმღებ ორგანიზაციაში. ამ ტიპის მოხალისეობა თემატურად შეიძლება იყოს მრავალფეროვანი და მოიცავდეს როგორც გრძელვადიან, ასევე მოკლევადიან სერვისს.

სფეროები, სადაც ყველაზე ხშირად ერთვებიან მოხალისეები არის: გარემოსდაცვა, განათლებს, ჯანდაცვა, სოციალური სერვისები, კულტურა, სპორტი, მოხალისეობა საგანგებო სიტუაციებში.

მოხალისეობა და სახელმწიფო პოლიტიკა

ევროპის ქვეყნებში, სადაც დამკვიდრებულია მოხალისეობრივი კულტურა, არსებობს კარგად განვითარებული მოხალისეობრივი ინფრასტრუქტურა. რას მოიცავს მოხალისეობრივი ინფრასტრუქტურა? კანონმდებლობას, პოლიტიკას, ორგანიზაციებსა და ქსელებს, რომლებსაც წვლილი შეაქვთ მოხალისეობის განვითარებაში. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოხალისეობის ინფრასტრუქტურა არ უნდა იყოს ზედმეტად ინსტიტუციონალიზებული და რეგულირებული, რადგან ეს ხელს შეუშლის მის ბუნებას, რომელიც თავისუფალი და მოქნილია. რას ემსახურება მოხალისეობრივი ინფრასტრუქტურა?

- ქმნის ხელსაყრელ პირობებსა და მხარდამჭერ ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობს მოხალისეობის სათემო ცხოვრებაში ჩართულობის განახლებულ და ინოვაციურ ფორმებს;
- ახდენს მოხალისეობით დაინტერესებული პირების მოტივირებას და ეხმარება მოახდინონ მათთვის შესაბამისი მოხალისეობრივი შესაძლებლობების იდენტიფიცირება, უზრუნველყოფს ტრენინგებით და აკავშირებს ორგანიზაციებთან, რომლებსაც ესაჭიროებათ მოხალისეები;
- მუდმივად უჭერს მხარს არსებულ მოხალისეებს და ხელს უწყობს მათი უფლებებისა და პასუხისმგებლობების პოპულარიზაციას;
- კოორდინაციას უწევს მოხალისეობაში ჩართულ ან დაინტერესებულ პირებს/მხარეებს;
- კოორდინაციას უწევს მოხალისეობის შესახებ სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებს და კვლევებს;
- აღიარებს მოხალისეობის დამატებით ღირებულებას სოციალურ ეკონომიკური პერსპექტივიდან, ისევე როგორც არაფორმალურ და ფორმალურს გარე სასწავლო გამოცდილებას, რომელიც თან ახლავს მოხალისეობას და მის წვლილს ადამიანების დასაქმების უნარების გაუმჯობესებაში;
- უზრუნველყოფს მოხალისეობრივი საქმიანობის ხარისხს და ადგენს საქმიანობების სტანდარტს.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. საქართველოს მთავრობის განკარგულება N553. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის” დამტკიცების შესახებ. 2014. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2314717?publication=0Links to an external site.
2. მოხალისეობის ეკონომიკური, სოციალური, და კულტურული ღირებულება დასავლეთ ავსტრალიაში. პროექტის მენეჯმენტის ინსტიტუტი. 2015. https://www.volunteeringwa.org.au/assets/downloads/vwa-report-book_web.pdf
3. არაფორმალური მოხალისეობა სახელმძღვანელო. https://www.volunteer.ie/wp-content/uploads/2020/03/Informal-Volunteering-Guide.pdf
4. ევროპის მოხალისეობის ცენტრი. მოხალისეობის ინფრასტრუქტურა. 2012. http://www.alliance-network.eu/wpcontent/uploads/2014/05/CEV_Volunteering-infrastructure.pdf
5. ვებ მისამართი: https://www.volunteerscotland.net/

3.16 მოხალისეობა საქართველოში

ავტორი: ირმა გიორგობიანი

მოხალისეობა საქართველოში სიახლე ნამდვილად არ არის. უფრო მეტიც, მოხალისეობრივი კულტურა უძველესი დროიდან იღებს სათავეს ჩვენს ქვეყანაში და დიდი ხნის მანძილზე ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილს წარმოადგენდა. ძველი მოხალისეობრივი ტრადიციის კარგი მაგალითია დასავლეთ საქართველოში გავრცელებული „ნადი“, რომელიც ურთიერთდახმარების პრინციპზეა აგებული- თუ ეხმარები მეზობელს, ისიც აუცილებლად გეხმარება. ნადი იკრიბებოდა მიწის სამუშაოებზე, სახლის მშენებლობისა თუ სხვა მძიმე სამუშაოების დროს. მსგავსი ტრადიციებია მაგალითად: შემოთხოვა, ღამისათიერი, ყეენობა, ალილოობა და სხვა.

მოხალისეობრივი კულტურის დამკვიდრებისა და განვითარების კუთხით, განსაკუთრებით საინტერესოა, XIX საუკუნის მეორე ნახევარი. ამ პერიოდში აქტიურად ხდება მოხალისე განმანათლებლების მიერ ბიბლიოთეკებისა და სკოლების დაარსება, ასევე მოხალისეობრივად იქმნება და ვითარდება თეატრები. მაგალითად, რუსეთის იმპერიის საგანმანათლებლო პოლიტიკითა და მახინჯი საგანმანათლებლო პროგრამებით დაღლილმა გურულმა მასწავლებლებმა ისიდორე რამიშვილმა, არსენ წითლიძემ და ლავრენტი წულაძემ სკოლის გარეთ, იმ დროისთვის თანამედროვე პედაგოგიური მიდგომების გამოყენებით თავისუფალი საგანმანათლებლო სივრცეები შექმნეს.

ამ პერიოდში გააქტიურდა თეატრალური ცხოვრება და სხვადასხვა რეგიონებში მოხალისეობრივად იქმნებოდა თეატრალური წრეები. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა გორი, სადაც შედგა ქალთა დებიუტი სცენაზე.

ამ პერიოდის ყველაზე გამორჩეულ მოვლენას მაინც „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ წარმოადგენდა. ეს იყო კულტურულ - საგანმანათლებლო, მოხალისეობრივი ორგანიზაცია, რომელიც 1879 წელს დაარსდა, იმ მიზნით, რომ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, გლეხებისა და მშრომელთა ფენაში განათლება შეეტანა. ორგანიზაცია შემოწირულობებით არსებობდა და მისი თაოსნობით თბილისსა და ქუთაისში დაფუძნდა ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიები, სადაც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა სწავლა. გიმნაზიების დაარსებამდე კი, მოხალისეებმა სოფლებსა და ქალაქებში დაიწყეს სიარული და ადამიანებს უანგაროდ ასწავლიდნენ წერა-კითხვას. ამ საზოგადოების საქმიანობაში საქართველოს მასშტაბით 17000-ზე მეტი ადამიანი იყო ჩართული, მათ შორის, იმ პერიოდის უმნიშვნელოვანესი მოღვაწეები ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, რაფიელ ერისთავი, აკაკი წერეთელი და სხვა უამრავი მნიშვნელოვანი ადამიანი.

მოხალისეობის საინტერესო მაგალითია ილიკო ქურხული, რომელმაც ფეხით შემოიარა მთელი საქართველო. სოფელ-სოფელ გლეხების შვილებს ეროვნულ სიმღერებს ასწავლიდა და ევროპულ მუსიკას აზიარებდა, ასმენინებდა ბახს, მოცარტს, გრეგს, ჩაიკოვსკის და სხვა კლასიკოსებს.

მოხალისეობის ისტორიაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით 19 წლის სტუდენტის, მარო მაყაშვილის სახელს , რომელიც მოხალისედ წავიდა ფრონტზე, მოწყალების დად ჩაეწერა წითელ ჯვარში და კოჯრისკენ მიმავალ გზაზე ყუმბარის აფეთქების დროს სასიკვდილოდ დაიჭრა. კიდევ არაერთი მაგალითის მოტანა შეიძლება ამ პერიოდის საქართველოს მოხალისეობრივი ისტორიიდან, თუმცა საბჭოთა კავშირის ნაწილად ქცევამ რადიკალურად შეიცვალა ვითარება. 30-იან წლებში დაწყებულმა რეპრესიებმა, როცა აზრის გამოხატვა და სამოქალაქო ინი-

ციატივები გაციმბირებითა და დახვრეტით ისჯებოდა, დიდი ხნით ჩაახშო სამოქალაქო საზოგადოების შექმნის იდეა, მოხალისეობა და სამოქალაქო აქტივიზმი. საბჭოთა კავშირს ჰქონდა, ეგრეთ წოდებული, მოხალისეობრივი აქტივობები, სადაც ადამიანების თავისუფალი ნების გათვალისწინება ნაკლებად ხდებოდა. ტარდებოდა ლენინური შაბათობები, სადაც ახალგაზრდები სტუდენტები და ქარხნების მუშები გარემოს ასუფთავებდნენ და სასოფლო-სამეურნეო საქმეებში იღებდნენ მონაწილეობას. იმდროინდელი მოხალისეობის სხვა მაგალითებია ჯართის და მაკულატურის ჩაბარების კვირეულები, შრომითი ლენინური ორწლედები, ზაფხული არდადეგებზე „შრომითი სემესტრები“, როდესაც მოსწავლეები ჩაის პლანტაციებსა და კოლმეურნეობის მინდვრებში მიჰყავდათ სამუშაოდ. მოხალისეებად ითვლებოდნენ პიონერები და კომკავშირელებიც, თუმცა ეს ახალგაზრდული მოძრაობა შორს იდგა მოხალისეობრივი პრინციპებისგან. საბჭოთა წარსულმა, ფსევდო მოხალისეობრივი საქმიანობების გამოცდილებამ, ძალიან მძიმე გავლენა იქონია არამხოლოდ ქართულ, არამედ მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის საზოგადოებაზე და სოციალური კაპიტალის ჩამოყალიბებაზე.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 90-იანი წლებიდან ნელ-ნელა კვლავ იწყება საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნის პროცესი, დასაწყისში ძირითადად ევროპული ქვეყნებისა და ამერიკის ხელშეწყობით. თუმცა მოხალისეობრივი კულტურის გაღვივება არც თუ შორეულ წარსულს უკავშირდება. მოხალისეობის ძალიან კარგი მაგალითი იყო 2015 წლის ივნისის წყალდიდობის პერიოდი, როდესაც ახალგაზრდებმა და არა მხოლოდ მათ, დაიწყეს დატბორილი ტერიტორიების დასუფთავება, მათ სოციალური ქსელის მეშვეობით მოახერხეს ამ პროცესების გონივრულად ორგანიზება, და თუ მოხალისეების ნაწილი ფიზიკურად შრომობდა, მეორე ნაწილი მათ საკვებით და შესაბამისი რესურსებით ამარაგებდა. ეს იყო ერთსულოვნებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ძალიან კარგი მაგალითი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე არ უნახავს საქართველოს.

COVID-19 ის პანდემია, რომელმაც არაერთი კუთხით კრიზისი შექმნა ქვეყანაში, მოხალისეობრივი აქტივობების კარგი ინსპირაცია გახდა. საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თუ რიგითი მოქალაქეების მიერ ინიცირებული არაერთი კარგი წამოწყების მომსწრე გავხდით: მოხალისეები აგროვებდნენ სურსათსა და სანიტარულ-ჰიგიენურ საშუალებებს ურიგებდნენ მათ მოწყვლად ჯგუფებისა, დაიწყო არაერთი საინფორმაციო კამპანია. თუმცა, მიუხედავად სასიკეთო ძვრებისა, მოხალისეობის კულტურის დამკვიდრება მაინც პრობლემად რჩება ჩვენს ქვეყანაში.

რა ვითარება გვაქვს მოხალისეობრივი ინფრასტრუქტურის კუთხით? 2015 წლის 24 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოხალისეობის შესახებ. აღნიშნული კანონი არეგულირებს ურთიერთობებს მოხალისესა და შუამავალ ორგანიზაციას შორის (საქართველოს ტერიტორიაზე) და განსაზღვრავს მოხალისის სტატუსს, მოხალისეობის რაობასა და საქმიანობის შესაბამის სფეროებს. ამ კანონის გარდა, 2018 წელს გამოიცა საქართველოს მთავრობის განკარგულება „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოხალისეთა დებულების დამტკიცების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს და არეგულირებს ურთიერთობებს მოხალისეებსა და საგანგებო სიტუაციების სამსახურს შორის. ასევე აღსანიშნავია, რომ „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დოკუმენტში ხაზგასმულია ახალგაზრდების მოხალისეობის მნიშვნელობა, როგორც ახალგაზრდების მონაწილეობისა და ჩართულობისთვის ერთ-ერთ მთავარი ინსტრუმენტი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ

2015 წელს საქართველომ მხარი დაუჭირა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღებას და პასუხისმგებლობა აიღო ამ მიზნების განხორციელებაზე. რაც ქვეყანას ავალდებულებს მოხალისეობის განვითარების ხელშეწყობასაც, რადგან დოკუმენტში გაწერილი მიზნები და ამოცანები თავის თავში მოიცავს და ხაზს უსვამს ეკონომიკური ზრდის, სოციალური ჩართულობისა და გარემოს დაცვის სფეროებში მოხალისეობის მნიშვნელობას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი და აიღო საერთაშორისო ვალდებულებები, ჯერჯერობით, არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები. შედეგად კვლავ სახეზეა განუვითარებელი მოხალისეობრივი კულტურა, ოფიციალური მოხალისეობრივი პროგრამების ნაკლებობა, მოხალისეობრივ საქმიანობაში მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი. ამის მიზეზი ისაა, რომ მოხალისეობრივი ინფრასტრუქტურის კომპონენტებიდან ამ ეტაპზე გვაქვს კანონი და როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მოხალისეობრივი ორგანიზაციები. თუმცა, მათი რაოდენობა მცირეა და მათ შორის კოორდინაცია ნაკლებად მიმდინარეობს.

იმისათვის რომ სფერო ამოქმედდეს საჭიროა, ინფრასტრუქტურის სხვა კომპონენტების განვითარებაც. საჭიროა, შევქმნათ მოხალისეობრივი ინიციატივების ხელშემწყობი პირობები, დაფინანსების ხელმისაწვდომი მექანიზმები; მუდმივად უნდა ვზრუნავდეთ მოხალისეობის პოპულარიზაციაზე, ახალგაზრდების მოზიდვის მიზნით. ასევე ამ კუთხით ფართო საზოგადოებაში ცნობიერების ასამაღლებლად, რადგან როგორც საბჭოთა წარსულ გამოვლილ ქვეყანას, ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო, რომ შევქმნათ სწორი წარმოდგენა მოხალისეობაზე, მის მნიშვნელობასა და დადებით გავლენაზე; მნიშვნელოვანია, მოხალისეობრივი საქმიანობის ხარისხის სტანდარტების შემუშავება, მოხალისეობრივი ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობა და პროგრამების შექმნა. ასევე საჭიროა ვაღიაროთ მოხალისეობა, როგორც არაფორმალური და ფორმალურს გარე სასწავლო გამოცდილება და მისი როლი ახალგაზრდების დასაქმების უნარების გაუმჯობესებაში და შევქმნათ ამ გამოცდილების აღიარების მექანიზმი. უნდა გაგვაჩნდეს მექანიზმები, რომლის მეშვეობითაც გავზომავთ იმ სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს, რაც მოაქვს მოხალისეობას. შესაქმნელია სისტემა, რომლის მეშვეობითაც ახალგაზრდები მარტივად შეძლებენ მათთვის საინტერესო მოხალისეობრივი შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და მათში ჩართვას.

ამ ყველაფრის მისაღწევად კი საჭიროა ერთიანი სახელმწიფო ხედვისა და პოლიტიკის არსებობა. სწორედ ამიტომ ახალგაზრდობის სააგენტომ დაწყო ახალგაზრდული მოხალისეობის კონცეფციის დოკუმენტზე მუშაობა. დოკუმენტი შეიქმნება მონაწილეობრივი პრინციპების დაცვით, საუკეთესო ევროპული პრაქტიკების გათვალისწინებითა და ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოხალისეობის კომპონენტი შესულია ახალგაზრდული სტრატეგია 2020-2025 -ის დოკუმენტშიც. ამ ორი დოკუმენტის დამტკიცებისა და ამოქმედების შემდეგ შესაძლებელი გახდება მოხალისეობრივი ინფრასტრუქტურის ყველა მნიშვნელოვანი კომპონენტის შექმნა, რაც საბოლოო ჯამში დაგვეხმარება, გვქონდეს სათანადო გარემო მოხალისეობის განვითარებისთვის, რათა რაც შეიძლება მეტ ახალგაზრდას მიეცეს ხარისხიან მოხალისეობრივ აქტივობებსა და პროგრამებში ჩართვის საშუალება.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი. 2020. საკითხავი მოხალისეობაზე. [online].[Accessed 10 May 2021].Available from:https://drive.google.com/file/d/1Yk3y7i2_DpPzM5VJ4fhfIB2KCQqongEO/view?fbclid=IwAR1afp7CY7rmS4wyj1MpIhzDV02GZ8kfyRiSXVVwJv5YYkd1w6bIjpjQUdw (Links to an external site.)
2. საქართველოს კანონი მოხალისეობის შესახებ.2015.[online].

3.17 მოხალისეობის პროგრამებში ხშირად დაშვებული შეცდომები

ავტორი: ირმა გიორგობიანი

ინსტიტუციური მოხალისეობრივი პროგრამების არსებობა განვითარებული მოხალისეობრივი ეკოსისტემის უმნიშვნელოვანესი მდგენელია. იმისათვის, რომ ამგვარი პროგრამები, ეფექტურად და ეფექტიანად განახორციელონ ორგანიზაციებმა, აუცილებელია, თავიდან აიცილონ მოხალისეობრივ მენეჯმენტში ხშირად დაშვებული შეცდომები.

იმ ქვეყნებში, სადაც მოხალისეობრივი კულტურა დიდი ხნის დამკვიდრებულია, მოხალისეობრივი პროგრამების მართვის მდიდარი გამოცდილება დაგროვდა. შემუშავდა მოხალისეობრივი პროგრამების მენეჯმენტის განსხვავებული სტილები და პრაქტიკები. თუმცა, ამ ქვეყნებშიც და მით უმეტეს, ისეთ სახელმწიფოებში, სადაც ახლა იკიდებს ფეხს მოხალისეობა და ინსტიტუციური პროგრამები ჯერ კიდევ იშვიათობას წარმოადგენს, ხშირია, მოხალისეთა მენეჯმენტთან დაკავშირებული შეცდომები და არასწორი დამოკიდებულებები. მაშინ როცა, სწორედ დამოკიდებულბები და ის გარემო, რასაც ვახვედრებთ მოხალისეებს, წარმოადგენს, პროგრამების წარმატება-წარუმატებლობის მთავარ განმაპირბებელ ფაქტორს, მნიშვნელოვანია გავიაზროთ უკვე არსებული გამოცდილებები და შევძლოთ სწორად დავგეგმოთ და წარვმართოთ პროცესები. ამიტომ, გთავაზობთ, ხშირად დაშვებულ შეცდომებს და მათი გამოსწორების გზებს:

არ ხდება მოხალისეების ფუნქცია-მოვალეობების წინასწარ განსაზღვრა

ასეთი დამოკიდებულებით ორგანიზაცია ვერ შეძლებს მოხალისეების მოზიდვას, ან თუ მოიზიდავს, მათი დიდხანს შენარჩუნება რთული იქნება, რადგან დიდი შანსია ასეთი ბუნდოვანების შემთვევაში მოხალისე სულ სხვა მიზნებით და მოლოდინებით მივიდეს ორგანიზაციაში, რეალურად კი სხვა სიტუაციის წინაშე აღმოჩნდეს. ასევე, ეტაპობრივად საკუთარი როლის და მოვალეობიბს აღმოჩენის პროცესმა მასში დროის ფუჭად კარგვის განცდა და დემოტივირება გამოიწვიოს.

მოხალისეობრივი პროგრამის წარმატებისთვის, საჭიროა სარგებელი ორმხრივი იყოს. როლი რომელსაც მოხალისე ირგებს ერთი, მხრივ ხელს უნდა უწყობდეს ორგანიზაციის მიზნების მიღწევას, მეორე მხრივ კი თავად მოხალისისთვისაც უნდა იყოს სასარგებლო. ამ ფაქტორის გათვალისწინება ძალიან მნიშვნელოვანია მოხალისის ფუნქცია -მოვალეობების განსაზღვრისას.

მოხალისის წინასწარ გაწერილი როლები, რომელიც პროგრამის თანამშრომლებთანაც შეთანხმებულია და ამავდროულად პასუხობს პროგრამის მიზნებს, გააადვილებს მოხალისეთა მოზიდვას. რეკრუტირების ეტაპზე ასეთი მიზნობრივი სამუშაო აღწერილობა პოტენციურ მოხალისეებს საშუალებას მისცემს, წინასწარვე განსაზღვრონ რამდენად პასუხობს მათ ინტერესებსა და მათი მოტი-

ვირებული საქმიაობის კარგი წინაპირობა იქნება.

არ ხდება მოხალისეებისთვის ორგანიზაციის მისიის, სტრუქტურის და საქმიანობების გაცნობა

საკუთარი ძალებით სიტუაციაში გარკვევის პროცესი დროში გაწელილი და არაეფექტურია, ასევე დემოტივირების ერთიერთი განმაპირობებელი ფაქტორია. როდესაც ახალ მოხალისეებს მიიღებთ ორგანიზაციაში, მნიშვნელოვანია, პირველივე კვირას გააცნოთ გუნდის წევრებს, განსაკუთრებით მათ, ვისთანაც მჭირდო კონტაქტი ექნებათ. თუ ორგანაზიაცია დიდია, კარგია თუ მისცემთ ორგანიზაციული მოწყობის სტრუქტურის სქემას. ისევე როგორც დაქირავებულ პერსონალს გააცნობდით, მოხალისეებსაც ესაუბრეთ ორგანიზაციაში არსებულ პროცედურებსა და რეგულაციებზე, რომლების გათვალისწინება და დაცვა აუცილებლად მოუწევთ. კარგი იქნება თუ ეს ინფორმაცია წერილობითაც ექნებათ. აუცილებელია, მოხალისეებს გააცნოთ თქვენი ორგანიზაციის მიზნები და საქმიანობა, რათა შეეძლოთ დაინახონ დიდი სურათი და მის ნაწილად აღიქვან თავი. როდსაც კარგად გააცნობიერებენ რას ემსახურება თქვენი საქმიანობა და დაინახავენ თავიან როლს საერთო მიზნების მიღწევის პროცესში, ეს კიდევ უფრო გაზრდის მათ მოტივაციას.

ძალიან მნიშვნელოვანია გამოყოთ ერთი ადამიანი, რომელიც მოხალისეებთან ურთიერთობაზე იქნება პასუხისმგებელი. ეს შეიძლება იყოს მოხალისეთა მენეჯერი, კოორდინატორი ან მენტორი. მოხალისეებმაც უნდა იცოდნენ ვის მიმართონ თუ კითხვები გაუჩნდებათ ან მოუნდებათ პრობლემების და წუხილების გაზიარება. ასევე კარგია, თუ ამ ადამიანებისგან მოხალისეები მიიღებენ უკუკავშირს, რაც თავიანთი საქმიანობის გაუმჯობესებაში დაეხმარებათ.

მოხალისეების კომპეტენციების განვითარებაში ლიმიტირებული რესურსების გამოყოფა ან ამ კომპონენტის სრულად გაუთვალისწინებლობა.

მოხალისეთა საქმიანობის ეფექტურობისთვის, აუცილებელია მათ ჰქონდეთ შესაბამისი კომპეტენციები, ამიტომ მნიშვნელანია ორგანიზაციამ უზრუნველყოს მოხალისეთა კვალიფიკაციის ამაღლება და უნარების გაძლიერება ტრენინგებისა და სხვა საგანმანათლეო აქტივობების გზით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა საქმე ეხება ახალგაზრდა მოხალისეებს. მიუხედავად იმისა, რომ მოხალისეობა გულისხმობს საკუთარი დროის, ცოდნის, უნარებისა და ენერგიის უანგაროდ გაცემას, ამ პროცესს საგანმანათლებლო დატვირთვაც აქვს, რაც ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ცოდნა და განივითარონ კომპეტენციები, რაც საბოლოო ჯამში, მათი დასაქმების უნარების გაუმჯობესებას განაპირობებს და ხელს უწყობს სწავლიდან შრომის ბაზარზე ტრანზიციის პროცესს. ასე რომ, ტრენინგები და სასწავლო გამოცდილება ახალგაზრდა მოხალისეებისთვის მოტივაციის განმაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორია და კარგი იქნება მათი ეს მისწაფება ცოდნის შეძენისკენ დააკმაყოფილოთ.

მოხალისეების შრომის დაუფასებლობა

მართალია, მოხალისეები საკუთარი ნებით, უანგაროდ საქმიანობენ, და მათთვის ეს საქმიანობა არის კმაყოფილების გამომწვევი მიზეზი, თუმცა ვის არ გაუხარდება თუ მათ წვლილს დაინახავენ და დააფასებენ. მნიშვნელოვანია, გამონახოთ დრო იმისათვის რომ დაინახოთ და აღიაროთ მათი გაწეული შრომა, ის სასიკეთო ცვლილებები, რაც მათ საქმიანობას მოაქვს და მადლობა გადაუხადოთ ამისთვის. ეს მოტივაციასაც გაზრდის და მოხალისეთა მდგრადობასაც შეუწყობს

ხელს. მოხალისეთა ღვაწლის დაუფასებლობა კი ნამდვილად გახდება როგორც დემოტივირების, ასევე, მათი თქვენი ორგანიზაციისდან წასვლის მიზეზი.

თუ გსურთ თქვენს ორგანიზაციაში მოხალისეები მოტივირებულები იყვნენ, მათი საქმიანობა კი - ეფექტიანი, მოხალისეობრივი პროექტების დაგეგმვა-განხორციელბებისას, აუცილებლად გაითვალისწინეთ ის შეცდომები და მცდარი დამოკიდებებულებები, რაზეც ვისაუბრეთ.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. ჩრდილო-აღმოსავლეთის სომერსეთის საბჭო. მოხალისეების მართვის სახელმძღვანელო სათემო და მოხალისეობრივი ორგანიზაციებისათვის. 2018. https://www.bathnes.gov.uk/sites/default/files/a_guide_to_recruiting_and_managing_volunteers_april_2018.pdf
2. ეროვნული ზრუნვის ფორუმი&ნებაყოფლობითი ორგანიზაციების ქმედუუნარიანობის ჯგუფი. მოხალისე მენეჯმენტის სახელმძღვანელო. 2016. https://www.vodg.org.uk/wp-content/uploads/2016-VODG-NCF-Volunteer-Management-Toolkit-Second-Edition.pdf
3. The National Care Forum and Voluntary Organizations Disability Group. 2016. Volunteer Management Toolkit. [online]. 2nd ed. London: Voluntary Organizations Disability Group. [Accessed 22 May 2021].

IV მოდული

ახალგაზრდული
სივრცეები

IV მოდული - ახალგაზრდული სივრცეები

4.1 ახალგაზრდული სივრცეები - შესავალი;
ახალგაზრდული სივრცეების ფორმები და
4.2 მაგალითები;
4.3 ხარისხი ახალგაზრდული სივრცეებისთვის;
4.4 ახალგაზრდული სივრცეების კონცეპტუალიზაცია;
4.5 ახალგაზრდული სივრცეების კონცეპტუალიზაცია - პირველი ნაბიჯები;
4.6 ახალგაზრდული სივრცეების კონცეპტუალიზაცია - შემდეგი ნაბიჯები;
4.7 ახალგაზრდული სივრცეების მენეჯმენტი;
4.8 ახალგაზრდული სივრცეების ინფრასტრუქტურა;
4.9 ახალგაზრდული სივრცეების დაფინანსება და მდგრადობა;
4.10 ახალგაზრდული სივრცის პროგრამა;
4.11 ევროპული ახალგაზრდული ცენტრები;
4.12 ევროპული ახალგაზრდული ცენტრების ხარისხის იარლიყი;
4.13 ევროპული ახალგაზრდული ცენტრების ხარისხის იარლიყის მიღება;
4.14 ინტერვიუ ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენელთან.

4.1 ახალგაზრდული სივრცეები - შესავალი

ავტორი: გუბაზ კობერიძე

ახალგაზრდული სივრცე არის ადგილი, სადაც ახალგაზრდებს არაფორმალურ გარემოში ერთმანეთთან კომუნიკაციისა და ურთიერთობის შესაძლებლობა ეძლევათ. ეს არის მათდამი კეთილგანწყობილი გარემო, სადაც ისინი იკრიბებიან, ერთობლივად გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის აქტივობას, მონაწილეობას იღებენ კულტურულ-შემოქმედებით, საგანმანათლებლო, სპორტულ, გარემოსდაცვით და სხვა ხასიათის ღონისძიებებში, შესაძლებლობა აქვთ განივითარონ ძირითადი კომპეტენციები, გაცვალონ და ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილებები და ცოდნა. ახალგაზრდული სივრცეები განსხვავდებიან თავიანთი საქმიანობით მთელ მსოფლიოში და აღნიშნული ძირითადად გამომდინარეობს კონკრეტული ლოკაციის კულტურული და ისტორიული გამოცდილებიდან და, გარდა ამისა, ახალგაზრდული სერვისებისა და სივრცეების არსებობის ტრადიციებიდან. თუ განვიხილავთ ახალგაზრდული სივრცეების მაგალითებს ისეთი ქვეყნების რეალობიდან, რომელშიც ახალგაზრდული საქმიანობა და ახალგაზრდული სერვისების არსებობა უკვე ისტორიულ ტრადიციადაა ქცეული მივხვდებით, რომ აღნიშნულ სივრცეებს აქვთ მრავალფეროვანი კულტურული, პოლიტიკური და სოციალური ისტორია და დატვირთვა.

ახალგაზრდული სივრცეების შექმნა მნიშვნელოვნად განაპირობა სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში მეცხრამეტე საუკუნეში არსებულმა რეალობამ, რომელიც ძირითადად ინდუსტრიალიზაციის პროცესებიდან გამომდინარეობდა. ახალგაზრდები გადადიოდნენ დიდ ქალაქებში საცხოვრებლად, რათა ეპოვათ უკეთესი სამსახური. როდესაც ვსაუბრობთ დიდ ქალაქებში არსებულ უკეთეს სამსახურზე ვგულისხმობთ მხოლოდ ორ ალტერნატიულ გზას - ჯარი ან ფიზიკური მუშაობა. აღნიშნულმა რეალობამ კი, განაპირობა პოტენციურად დასაქმებული ახალგაზრდების რამდენიმე კატეგორიის შექმნა. მათ შორის:

1. ახალგაზრდა რომელიც დარჩა თავის საცხოვრებელ ადგილას და დასაქმდა;
2. ახალგაზრდა რომელიც გადავიდა ქალაქში საცხოვრებლად და დაიწყო მუშაობა ქარხანაში - ან ნებისმიერ სხვა დაწესებულებაში, რომელიც ფიზიკურად შრომას მოითხოვდა;
3. ახალგაზრდა რომელიც წავიდა ჯარში;
4. ახალგაზრდა რომელმაც ცხოვრება დაუკავშირა სულიერ ზრდას და აქტიურად ჩაერთო რელიგიურ პროცესებში.

აღნიშნულ ოთხ კატეგორიაში შემავალი ახალგაზრდები ყველაზე ნაკლებად იყვნენ ცხოვრებისეული დაბნეულობისათვის განწირულნი, მაგრამ ძალიან, ძალიან ბევრი ახალგაზრდა იყო ისეთი, რომელიც სამწუხაროდ ამ ოთხიდან ვერცერთ კატეგორიაში ვერ ჯდებოდა - ეს ახალგაზრდები კი ძალიან ხშირ შემთხვევაში უსიამოვნებებში ეხვეოდნენ და დროის უდიდეს ნაწილს ქუჩაში ატარებდნენ.

ყოფა რომელიც ინდუსტრიალიზაციის პერიოდში არსებობდა განსაკუთრებით დამღუპველი იყო ბევრი ახალგაზრდისთვის, მაგრამ საბედნიეროდ აღნიშნულმა განაპირობა ერთის მხრივ როგორც ახალგაზრდული საქმიანობის შექმნა, ასევე ახალგაზრდული სივრცეებისა და სერვისების ჩამოყალიბება სხვადასხვა კონტექსტებსა თუ რეალობებში.

ახალგაზრდული სივრცეების პირველადი დანიშნულება და მიზანი იყო ახალგაზრდებისთვის ისეთი სივრცის შექმნა, რომელიც მათ მოაშორებდა ქუჩასა და უსიამოვნებებს. შეიქმნა მრავალი სხვადასხვა მიმართულებით მომუშავე ახალ-

გაზრდული სივრცე, რომელიც გულისხმობდა ახალგაზრდების პირდაპირი მნიშვნელობით საქმით დაკავებას, რათა ახალგაზრდებს რაღაც საქმე ეკეთებინათ და დრო არ დარჩენოდათ სხვა აქტივობებისთვის, რომელიც მათ პოტენციურად უსიამოვნებებამდე მიიყვანდა. მაგრამ ეს ყველაფერი იყო მხოლოდ დასაწყისი - პირველ ეტაპზე ახალგაზრდების საქმით დაკავება იყო ახალგაზრდული სივრცეების ამოსავალი წერტილი, მაგრამ დროთა განმავლობაში ამ ყოველივემ უკვე შეიძინა ახალგაზრდების განვითარების, თვითრეალიზებისა და გართობის ფუნქციაც და ახალგაზრდები გარდა დროის სასიამოვნოდ გატარებისა უკვე სხვადასხვა პროფესიის შესასწავლად და უნარის განვითარებისთვის მიდიოდნენ აღნიშნულ სივრცეებში.

XXI საუკუნის რეალობაში სხვადასხვა ქვეყანაში მრავალ ახალგაზრდულ სივრცეს ვხვდებით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყოველდღიურად ემატება ახალი სივრცეები, რომლებსაც განსხვავებული მიდგომები, დანიშნულებები და საქმიანობის არეალი აქვთ. დღეს ვხვდებით, როგორც ახალგაზრდულ სივრცეებს სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ სოციალიზაციისა და გართობისათვის მისვლა, ასევე ვხვდებით უფრო სტრუქტურირებულ სივრცეებს, რომლებშიც მიმდინარეობს მრავალი პროგრამა ახალგაზრდებში სხვადასხვა კომპეტენციის განვითარებისა და მათი აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებისათვის.

ამ მრავალ ახალგაზრდულ სივრცეს კი აერთიანებს ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი - ახალგაზრდულმა სივრცემ ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდის კეთილდღეობასა და განვითარებას.

4.2 ახალგაზრდული სივრცეების ფორმები და მაგალითები

ავტორები: გუბაზ კობერიძე
ნიკა ბახსოლიანი

ახალგაზრდული სივრცეების მრავალწლიანმა არსებობამ მნიშვნელოვნად განაპირობა სივრცეების კონცეფციების დახვეწა და გამრავალფეროვნება. თუ საწყის ეტაპზე აღნიშნული სივრცეების მთავარი დანიშულება ახალგაზრდებისთვის "საქმის გამონახვა" იყო, შემდეგ უფრო მეტად ღირებული დატვირთვა შეიძინა, ახალგაზრდების უფრო მრავალმხრივ საჭიროებებზე ორიენტირებული გახდა და მათ შორის, ახალგაზრდების ინტერესებზე უფრო მეტად კონცენტრირდა. შეიქმნა მრავალი ახალგაზრდული სივრცე, კლუბი და ცენტრი, რომელიც კონკრეტულ ლოკაციაზე კონკრეტული ახალგაზრდებისთვის კონკრეტულ მიზნებს ისახავდა.

დღესდღეობით პრაქტიკაში ვხვდებით მრავალი ტიპის ახალგაზრდულ სივრცეს, ჩვენ კი ახალგაზრდული სივრცეების შემდეგ ძირითად კლასიფიკაციებს გამოვყოფთ:

1. **არაორგანიზებული ურბანული სივრცეები** - რომლებიც ძირითადად არის ახალგაზრდების მიერ თვითორგანიზებული სივრცე, რომელსაც არ აქვს ახალგაზრდის განვითარების კონკრეტული მიზანი და ძირითადად ახალგაზრდების მიერ გამოყენებულია როგორც სივრცე დროის გასაყვანად და ერთმანეთთან კომუნიკაციისთვის. აღნიშნული სივრცე შეიძლება იყოს ეგრეთ წოდებული 'ბირჟა', ახალგაზრდული შტაბი და ა.შ.
2. **სამუშაო სივრცეები** - სივრცეები, რომლებიც შექმნილია ახალ-გაზრდებისთვის, რათა მათ შეძლონ სხვადასხვა იდეასა თუ საკითხზე მუშა-

ობა. აღნიშნული სივრცე შეიძლება იყოს ახალგაზრდული საერთო სამუშაო სივრცე, ბიბლიოთეკა, მედიათეკა, კლასიკური საერთო სამუშაო სივრცე, ტექ-ჰაბი და სხვა.

3. **ახალგაზრდებისთვის შექმნილი სივრცეები** - ორგანიზებული სივრცეები ახალგაზრდებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავს ახალგაზრდის განვითარების პროცესებში წვლილის შეტანას. აღნიშნული სივრცე შეიძლება იყოს ღია ახალგაზრდული ცენტრი, ჰობი-განათლების დაწესებულება, ახალგაზრდული ჰაბი, ახალგაზრდული ოთახი ან ახალგაზრდული ცენტრი.

ჩვენ ამ შემთხვევაში განვიხილავთ ახალგაზრდებისთვის შექმნილ სივრცეებს და ვეცდებით დეტალურად განვმარტოთ თუ რა ფუნქცია, დანიშნულება და ღირებულება აქვს ახალგაზრდისთვის შექმნილ თითოეულ სივრცეს. აღნიშნულ სივრცეებს აქვთ ძალიან ბევრი საერთო გადაკვეთის წერტილი, განსაკუთრებით საქმიანობებისა და ღირებულებების მიმართულებით, მაგრამ ასევე არის ძალიან მრავალი მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა, რომელიც ძირითადად საქმიანობაში, სამიზნე აუდიტორიასა და სტრუქტურაში გამოიხატება. ცხადია, შესაძლებელია ერთ შენობაში გაერთიანებული იყოს ოთხივე სახის ახალგაზრდული სივრცე, რომლებიც იფუნქციონირებენ პარალელურად.

ახალგაზრდული ოთახი. პრაქტიკაში ახალგაზრდულ ოთახს ვუწოდებთ ისეთ ადგილს, რომელიც ძირითად შემთხვევაში არასტრუქტურირებული და არაორგანიზებული სივრცეა ახალგაზრდებისთვის.
ახალგაზრდული ოთახი შეიძლება იყოს მარტივად ერთი პატარა სივრცე მუნიციპალიტეტის შენობაში, სადაც ახალგაზრდებს აქვთ სრული ავტონომია დაკავდნენ ისეთი საქმიანობით რაც მათ უნდათ, აინტერესებთ და სიამოვნებთ - ცხადია აღნიშნული საქმიანობა მიმდინარეობს ახალგაზრდული მუშაკის დაკვირვებითა და მხარდაჭერით.

ღია ახალგაზრდული ცენტრი. ღია ახალგაზრდული ცენტრი ერთ-ერთი საინტერესო და კარგი პრაქტიკის მაგალითია, რომელიც განსაკუთრებით გავრცელებულია ლიეტუვაში. ღია ახალგაზრდული ცენტრი არის ღია სივრცე ახალგაზრდებისთვის სადაც მათ შეუძლიათ გაატარონ თავისუფალი დრო მშვიდ, უსაფრთხო, სასიამოვნო და მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებულ გარემოში. ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა გააკეთონ ისეთი საქმე რაც მათ მოსწონთ, იმუშაონ სხვადასხვა იდეაზე, ითამაშონ, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობაში და ასევე ახალგაზრდული მუშაკისგან ან ფსიქოლოგისგან მიიღონ ემოციური მხარდაჭერა თუ ეს ესაჭიროებათ. ღია ახალგაზრდული ცენტრის კარი ახალგაზრდებისთვის ყოველთვის ღიაა, არ კეთდება დამსწრე ახალგაზრდების სიები (ჯგუფების დაკომპლექტებისა და ჯგუფის ზომების ლიმიტების დაწესების თავიდან აცილების მიზნით), რადგან ახალგაზრდას ცენტრში მისვლის შესაძლებლობა აქვს მაშინ როდესაც უნდა და როდესაც მას ეს სჭირდება.

ღია ახალგაზრდულ ცენტრში ახალგაზრდას აქვს შესაძლებლობა უსაფრთხო, მშვიდ და ახალგაზრდულ სივრცეში გაერთოს, ითამაშოს, მეგობრებთან ჰქონდეს კომუნიკაცია და აქტიურად ჩაერთოს შემოქმედებით საქმიანობაში და ხორცი შეასხას ისეთ ახალგაზრდულ იდეებს, რაზე მუშაობის შესაძლებლობაც სხვა სივრცესა და რეალობაში არ აქვს. აღნიშნული ტიპის ცენტრებში აუცილებელია მუშაობდეს ახალგაზრდული მუშაკიც, რომელიც მაქსიმალურად დაუჭერს მხარს ახალგაზრდას თვითრეალიზებისა და განვითარების პროცესში, დაეხმარება სხვადასხვა აქტივობის ორგანიზებაში, კონფლიქტების მოგვარებაში და სხვა.

ჰობი განათლების დაწესებულება. ეს არის სოციალური და რეკრეაცი-

ული ცენტრი, რომელიც ძირითადად გამოიყენება ბავშვებისა და ახალგაზრდების ორი ასაკობრივი ჯგუფისთვის - 11-დან 15 წლამდე და 15-დან 21 წლამდე. ცხადია აღნიშნული ასაკობრივი კატეგორია არ არის ექსკლუზიური, მრავალი ჰობი განათლების დაწესებულება არსებობს, რომელიც ასევე მუშაობს მცირეწლოვან ბავშვებთან და ზრდასრულ ახალგაზრდებთან, რომლებიც 21 წლის და უფროსები არიან.

აღნიშნული ტიპის სივრცე მხარს უჭერს ახალგაზრდებს ფიზიკური, სოციალური, ემოციური და შემეცნებითი შესაძლებლობების განვითარებაში. მათ აძლევს შანსს სოციალიზაციის პროცესებში აქტიურად ჩაერთონ, მიიღონ სიამოვნება, შეხვდნენ მეგობრებს და მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა საინტერესო აქტივობაში.

ჰობი განათლების დაწესებულება ახალგაზრდებს სთავაზობს ორგანიზებულ სასწავლო პროგრამებს ფიზიკური აქტივობებისთვის, როგორიცაა ცეკვა, იოგა და საბრძოლო ხელოვნება; აკადემიური და ხელოვნების პროგრამებს, როგორიცაა მეცნიერება, ხელსაქმე და თეატრი; შესაძლებლობებსა და სივრცეს არასტრუქტურიზებული საქმიანობისთვის, როგორიცაა თამაში, საზოგადოებრივი შეკრებები, კლუბური შეხვედრები და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ არასტრუქტურირებული საქმიანობა ზოგადად ახალგაზრდული სივრცეების ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია, ეს მაინც საჭიროებს წინასწარ დაგეგმვას, სხვადასხვა საკითხის გათვალისწინებასა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ზედამხედველობას ახალგაზრდების უსაფრთხოებისა და პოზიტიური განვითარებისათვის. შესაბამისად, როგორც სხვა ტიპის ახალგაზრდულ სივრცეებში, აქაც აუცილებელია ახალგაზრდული მუშაკის ყოლა.

ქართულ რეალობაში საკმაოდ ხშირად ვხვდებით ჰობი განათლების დაწესებულების მაგალითებს. რთულია ვთქვათ რომ საქართველოში არსებული ცენტრები კლასიკური გაგების ახალგაზრდული ცენტრებია, მაგრამ თითოეულ მათგანს აქვს პოტენციალი მუნიციპალურ დონეზე ახალგაზრდებისათვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ადგილი გახდეს , ამისთვის კი საჭიროა: ინფრასტრუქტურის განვითარება, ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული პროგრამებისა და სერვისების შემუშავება და კვალიფიციური ახალგაზრდული მუშაკების დასაქმება.

ახალგაზრდული ჰაბი. ახალგაზრდული ჰაბი არის სივრცე ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის, სივრცე სადაც ახალგაზრდულ ორგანიზაციებს ერთის მხრივ აქვთ შესაძლებლობა წარმართონ თავიანთი ადმინისტრაციულ შინაარსობრივი საქმიანობა, ხოლო მეორეს მხრივ განახორციელონ სხვადასხვა ტიპის აქტივობა ახალგაზრდებისთვის. ახალგაზრდული ჰაბის პრაქტიკას ევროპის ძალიან ბევრ ქვეყანაში ვხვდებით და აღნიშნული სივრცე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ახალგაზრდული ორგანიზაციების განვითარებისა და ახალგაზრდული სერვისების დეცენტრალიზაციის მიმართულებით.

ახალგაზრდული ცენტრი. ახალგაზრდული ცენტრიც ცხადია კრებითი ტერმინია, მაგრამ პრაქტიკაში ახალგაზრდულ ცენტრად მოვიხსენიებთ ისეთ სივრცეს სადაც ახალგაზრდებისთვის სტრუქტურირებული არაფორმალური განათლებაზე დაფუძნებული სასწავლო ღონისძიებები ხორციელდება. ახალგაზრდული სივრცეების კატეგორიებიდან, ალბათ ახალგაზრდული ცენტრების კატეგორიაა რაოდენობრივად ყველაზე მწირი. ეს არ გამომდინარეობს იქიდან, რომ არ არის საკმარისი რესურსი იმისთვის რომ ევროპულ ქვეყნებში ბევრი აღნიშნული ტიპის ახალგაზრდული ცენტრი იყოს. ამ ყოველივეს რეალური მიზეზი არის ის რომ ახალგაზრდული ოთახების, ღია ახალგაზრდული ცენტრების,

ახალგაზრდული ჰაბებისა და ჰობი განათლების დაწესებულებების მრავალრიცხოვანი არსებობა უფრო მეტად საჭიროა, რადგან ისინი პირდაპირ მუშაობენ ახალგაზრდებთან, ხოლო ახალგაზრდული ცენტრი ძირითად შემთხვევაში ფუნქციონირებს იმ ადამიანებისთვის, ვინც ახალგაზრდებთან მუშაობენ.

შესაბამისად, ახალგაზრდული ცენტრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დატვირთვაა იმ ადამიანების გაძლიერებისა და განვითარების ხელშეწყობა, რომლებიც მუშაობენ ახალგაზრდებთან სხვადასხვა კონტექსტსა თუ რეალობაში. ახალგაზრდული ცენტრი მიზნად ისახავს კომპეტენციები განუვითაროს ერთის მხრივ სხვა ახალგაზრდულ სივრცეებში მომუშავე პროფესიონალებს, მეორეს მხრივ კი ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებიც ასევე ახალგაზრდებთან მუშაობენ.

4.3 ხარისხი ახალგაზრდული სივრცეებისთვის

ავტორი: გუბაზ კობერიძე

ახალგაზრდული სივრცის მუშაობის სპეციფიკა და ხარისხი მნიშვნელოვნად განპირობებულია სივრცის სტრუქტურიდან, პროგრამული მიმართულებებიდან და მიზნებიდან გამომდინარე. არსებობს სამი ზოგადი ოქროს წესი ახალგაზრდული სივრცის მუშაობისა და ფუნქციონირების ხარისხის შესანარჩუნებლად, რომელიც ვრცელდება ნებისმიერი სახის ახალგაზრდულ სივრცეზე. ნებისმიერ ახალგაზრდულ სივრცეს აუცილებლად უნდა ჰქონდეს:

1. მკაფიოდ განსაზღვრული სამუშაო სტრუქტურა, არეალი და თემები: მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული თუ რა სტრუქტურით მუშაობს ახალგაზრდული სივრცე. აღნიშნული მნიშვნელოვნად განაპირობებს თუ რა ტიპის ახალგაზრდული სივრცეა, რა ტიპის სერვისებს სთავაზობს ახალგაზრდებს და რისთვის შეუძლია ახალგაზრდას აღნიშნულ სივრცეში მისვლა. მნიშვნელოვანია ნათლად და წინასწარ იყოს განსაზღვრული თუ რა არეალისთვის ფუნქციონირებს ახალგაზრდული სივრცე. ახალგაზრდული სივრცისთვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია კარგად იყოს გააზრებული თუ ვინ არიან ახალგაზრდები ვისთვისაც სივრცე იმუშავებს. ეს ყოველივე მნიშვნელოვნად განაპირობებს სივრცის მიზანსა და პროგრამებს, რადგან ძირითად შემთხვევაში კონკრეტულ არეალში ახალგაზრდებს ასე თუ ისე ერთნაირი ან ერთმანეთის მსგავსი საჭიროებები და პრობლემები აქვთ. შესაბამისად, აუცილებელია აღნიშნული სივრცე არსებულ საჭიროებებს პასუხობდეს და პრობლემების მოგვარებას ემსახურებოდეს. მიუხედავად იმისა რომ ერთ არეალში მცხოვრებ ახალგაზრდებს შეიძლება მსგავსი საჭიროებები ჰქონდეთ ეს საერთოდ არ ნიშნავს რომ ამ ახალგაზრდებს შეიძლება მსგავსი ინტერესები ჰქონდეთ. ახალგაზრდული სივრცის მთავარი არსი კი არის, ის რომ ახალგაზრდის საჭიროება დაკმაყოფილდეს მისი ინტერესის გავლით. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია სამუშაო თემების ახალგაზრდების ინტერესების მიხედვით განსაზღვრა.

2. ნებისმიერ ახალგაზრდულ სივრცეს აუცილებლად უნდა ჰყავდეს **ახალგაზრდული მუშაკი**. ეს არის უპირობო წესი - ახალგაზრდული სივრცე ახალგაზრდული მუშაკის გარეშე არის უბრალოდ სივრცე და არა ახალგაზრდული

სივრცე. შესაბამისად, თუ გვსურს ახალგაზრდულმა სივრცემ დასახულ მიზნებს მიაღწიოს, ახალგაზრდებს ემსახუროს და მათთვის უსაფრთხო, განვითარებაზე ორიენტირებული და სასიამოვნო სივრცე შექმნას, აუცილებელია სივრცეში იყოს ახალგაზრდული მუშაკი. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდული ოთახის, ღია ახალგაზრდული ცენტრისა და ჰობი განათლების დაწესებულების შემთხვევაში, რადგან ამ სივრცეებში უშუალოდ ახალგაზრდები მიდიან და დროს ატარებენ. ახალგაზრდული ცენტრის შემთხვევაში კი შესაძლებელია ახალგაზრდული მუშაკი იყოს ან არ იყოს, რადგან ახალგაზრდული ცენტრის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია ამ დაწესებულების საქმიანობა დაკავშირებული იყოს მხოლოდ ახალგაზრდებთან მომუშავე ადამიანებთან და არა თვითონ ახალგაზრდებთან. ცხადია ეს ყოველივე უპირობოდ არ ნიშნავს, რომ ახალგაზრდულ ცენტრში არ უნდა იყოს ახალგაზრდული მუშაკი. პირიქით, უმჯობესიც იქნება, მაგრამ მიზნებისა და სტრუქტურის გათვალისწინებით შესაძლებელია იმდენად მნიშვნელოვანი არ იყოს ახალგაზრდული მუშაკის ამ კონტექსტში არსებობა.

3. ნებისმიერი ტიპის ახალგაზრდული სივრცე, ასევე უნდა იყოს **დაფუძნებული სხვადასხვა მნიშვნელოვან ღირებულებასა და პრინციპზე**. ახალგაზრდული სივრცეების კონტექსტში, ახალგაზრდებთან მუშაობის ღირებულებებია:

- ახალგაზრდების ინდივიდუალური განსხვავებულობის აღიარება და დაფასება;
- ახალგაზრდებისთვის ავტონომიურობის მნიშვნელობის რწმენა;
- ახალგაზრდების ნებაყოფლობითი მონაწილეობის მხარდაჭერა;
- ახალგაზრდების პოტენციალის აღიარება და ამ პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა;
- ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების უპირობო მნიშვნელობით აღიარება.

ახალგაზრდებთან მუშაობის პრინციპებია:

- ახალგაზრდები არიან ახალგაზრდული სივრცეებისა და სერვისების ცენტრალური ბენეფიციარები - ყველაფერი გამომდინარეობს ახალგაზრდის საჭიროებებიდან და ინტერესებიდან;
- ახალგაზრდულ სივრცე დაფუძნებულია ახალგაზრდის უფლებების, თანასწორობის, ხარისხიან ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და კონსულტირების პრინციპებზე;
- ახალგაზრდული სივრცე და ახალგაზრდული სერვისები ხელმისაწვდომია ყველა ახალგაზრდისთვის;
- ახალგაზრდული სერვისის საქმიანობა დაფუძნებულია ახალგაზრდის განვითარებისა და პოტენციალის რეალიზების პრინციპებზე;
- ახალგაზრდებისთვის უსაფრთხოება, არადისკრიმინაციული გარემო და თანასწორობა უპირობო პრინციპებია.

4.4 ახალგაზრდული სივრცეების კონცეპტუალიზაცია

ავტორი: გუბაზ კობერიძე

ახალგაზრდული სივრცის კონცეფცია შედგება, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე შინაარსობრივი და მენეჯმენტური ნაწილებისგან. ახალგაზრდული სივრცის შექმნის პირველი ნაბიჯი აუცილებლად უნდა იყოს კონცეფციის ნათლად განსაზღვრა და ამ კონცეფციის შესრულებაზე სრული მზაობა სხვადასხვა ჩართული აქტორის მხრიდან.

ახალგაზრდული სივრცის კონცეფციის შექმნის დროს, მნიშვნელოვანია გავიაზროთ კონკრეტული საკითხები რაც საბოლოო ჯამში მიგვიყვანს ახალგაზრდული სივრცის კონცეფციამდე.

1. ვისთვის კეთდება ახალგაზრდული სივრცე? ახალგაზრდული სივრცის სამიზნე აუდიტორიის, მათი რეალობის, საჭიროებებისა და ინტერესების ცოდნა არის კონცეფციაზე მუშაობის პირველი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი. თუ ვიცით ვინ შეიძლება იყოს ახალგაზრდული სივრცის პოტენციური ბენეფიციარი და თუ რა რეალობა აქვთ ამ ახალგაზრდებს ჩვენ ბევრად მარტივად შეგვიძლია დავინახოთ თუ რა მიმართულებით უნდა განვავითაროთ იდეა. შესაბამისად, პირველ რიგში კარგად უნდა გავიაზროთ ვისთვის ვაკეთებთ ამ ყველაფერს და რა რეალობა, საჭიროება და ინტერესი აქვთ ამ ადამიანებს - სწორედ ეს განსაზღვრავს ყველა მომდევნო დეტალს. ამ ყველაფრის გააზრებაში დაგვეხმარება შემდეგი კითხვები:

- ვინ არიან ის ახალგაზრდები ვისთვისაც გვინდა ახალგაზრდული სივრცის შექმნა?
- რა რეალობაში უწევთ ამ ახალგაზრდებს ცხოვრება?
- რა სჭირდებათ ამ ახალგაზრდებს ყველაზე მეტად?
- და რისი კეთება უყვართ ამ ახალგაზრდების ყველაზე მეტად?

2. რა ტიპის ახალგაზრდული სივრცის გაკეთებაა საჭირო? მას შემდეგ რაც კარგად გავიაზრებთ თუ ვინ არიან ჩვენი ახალგაზრდული სივრცის ბენეფიციარი ახალგაზრდები, რა რეალობა, საჭიროებები და ინტერესები აქვთ მნიშვნელოვანია დავფიქრდეთ რა ტიპის ახალგაზრდული სივრცის გაკეთება გვესაჭიროება: ახალგაზრდული ოთახი, ღია ახალგაზრდული ცენტრი, ჰობი-განათლების დაწესებულება, ახალგაზრდული ჰაბი, ახალგაზრდული ცენტრი, თუ რაიმე ჰიბრიდული.

ამ ყველაფრის გააზრება მარტივი არ არის, მაგრამ არც ძალიან რთულია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში როდესაც კარგად გვაქვს გააზრებული თუ რა საჭიროება აქვთ ახალგაზრდებს. როდესაც ვიკვლევთ თუ რა სჭირდებათ და რა აინტერესებთ ამ ახალგაზრდებს, მარტივია განვსაზღვროთ თუ რა ტიპის სერვისია მათთვის საჭირო. როდესაც ვიაზრებთ თუ რა ტიპის სერვისია საჭირო, შემდეგ უკვე შეგვიძლია განვსაზღვროთ თუ რომელი ტიპის ახალგაზრდულ სივრცეში შეიძლება შეიქმნას აღნიშნული სერვისი.

მაგალითად თუ ახალგაზრდებს ყველაზე მეტად სჭირდებათ სოციალიზაცია, სივრცე ერთმანეთის სანახავად, სივრცე მეგობრების გასაჩენად და უბრალოდ გასართობად ღია ახალგაზრდული ცენტრი უნდა იყოს ყველაზე კარგი ვარიანტი; თუ უბრალოდ გვინდა ადგილი სადაც ახალგაზრდები შეიკრიბებიან და რაიმე იდეაზე იმუშავებენ, შეიძლება იყოს როგორც ახალგაზრდული ოთახი და ღია ახალგაზრდული ცენტრი, ასევე ჰობი განათლების დაწესებულებაც; თუ პირობითად ჩვენ მუნიციპალიტეტში ბევრი ახალგაზრდაა, რომელსაც სურს აქტიურად ჩაერთოს სხვადასხვა სპორტულ, კულტურულ და სხვა ტიპის აქტივობებში ყველაზე მეტად ამ საქმიანობისთვის ჰობი-განათლების დაწესებულება გამოდგება.

3. გავაგრძელოთ შემდეგი კითხვით - სად შეგვიძლია გავაკეთოთ აღნიშნული ახალგაზრდული სივრცე? ვიცით ვისთვის ვაკეთებთ და რას ვაკეთებთ - შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორ უმნიშვნელოვანეს კითხვას გავეცით უკვე პასუხი. შემდეგ უკვე უნდა გადავწყვიტოთ თუ სად გვინდა აღნიშნული სივრცის გაკეთება და ტერიტორიულად სად უნდა იყოს?

ახალგაზრდული სივრცის შექმნისთვის ადგილის გამონახვა ყოველთვის ერთ დიდ გამოწვევას წარმოადგენს. განსაკუთრებით იმ რეალობაში, როდესაც ახალგაზრდული სივრცის ფუნქციონირება უფრო მეტად ორიენტირებულია ღირებულებრივ მიდგომებზე და არა ბიზნესზე. მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერ ახალგაზრდულ სივრცეში აუცილებელია ბიზნეს-დაგეგმარება, სამწუხაროდ უმეტეს შემთხვევებში ახალგაზრდული სივრცე მაინც ვერ ახერხებს იმხელა ფინანსური რესურსის გენერირებას, რაც ოპერალიზაციისთვის არის საჭირო. შესაბამისად, ყოველთვის მომგებიანია თუ ახალგაზრდული სივრცე მაგალითად იხსნება შენობაში, რომელიც მერიას ეკუთვნის - ამ შემთხვევაში იჯარის გადასახადის გადახდა აღარ არის საჭირო, რაც ფინანსური რესურსების დაზოგვას ძალიან უწყობს ხელს.

მართალია შესაძლებელია იჯარის თანხისგან განვთავისუფლდეთ მაშინ, როდესაც მუნიციპალიტეტი გვიჭერს მხარს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შეიძლება იყოს ზღვაში წვეთი, იმიტომ რომ ახალგაზრდულ სივრცეს ბევრად მეტი ფინანსური რესურსი სჭირდება ვიდრე იჯარის თანხა. შესაბამისად ძალიან მნიშვნელოვანია თუ ნაწილობრივ ახალგაზრდული სივრცე დაფინანსებული იქნება მუნიციპალიტეტისგან, ნაწილობრივ ვითანამშრომლებთ კერძო სექტორთან და ასევე მას ექნება შესაძლებლობა გააკეთოს ფინანსების გენერირება - მაგალითად ახალგაზრდულ სივრცეში შეიძლება ახალგაზრდებმა შექმნან ხელნაკეთობები, რომლებიც გაიყიდება და ეს თანხა მოხმარდება სივრცის ოპერირებას და ა.შ.

4. ვინ იმუშავებს ახალგაზრდულ ცენტრში? ეს საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც ახალგაზრდული სივრცის კონცეფციაზე მუშაობის დროს უნდა გავითვალისწინოთ. ცხადია შეგვიძლია იდეალურად განვსაზღვროთ ყველა სხვა საკითხი, შეგვიძლია მოვიპოვოთ მხარდაჭერა სხვადასხვა სტრუქტურისა თუ ორგანიზაციისგან და ყველაფერი ისე გავაკეთოთ, როგორც გვინდა, მაგრამ ეს ყველაფერი მნიშვნელობას კარგავს მაშინ, როდესაც ახალგაზრდულ სივრცეში არ არის კომპეტენტური კადრები, რომლებიც იმუშავებენ ახალგაზრდებთან.

გარდა იმისა, რომ წარმატებული ოპერალიზაციისათვის ძალიან მნიშვნელოვანია კარგი ადამიანური რესურსის ყოლა, უფრო მეტად მნიშვნელოვანია ახალგაზრდებთან მუშაობის პროცესებში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ახალ-გაზრდებთან მუშაობა მარტივი არ არის და დიდი შანსია დაშვებულმა პატარა შეცდომამ ძალიან ნეგატიური გავლენა მოახდინოს ახალგაზრდის ცხოვრებაზე. შესაბამისად, ახალგაზრდულ სივრცეში აუცილებლად უნდა იყოს კვალიფიციური ახალგაზრდული მუშაკი, რომელიც პირდაპირ იმუშავებს ახალგაზრდებთან, მხარს დაუჭერს მათ განვითარებასა და შესთავაზებს მათ საჭიროებებსა და ინტერესებზე დაფუძნებულ აქტივობებს.

გარდა ახალგაზრდული მუშაკისა ახალგაზრდული სივრცის ტიპის გათვალისწინებით შესაძლებელია საჭირო გახდეს დამატებითი, როგორც შინა-არსობრივ ასევე ტექნიკურ საკითხებზე მომუშავე პირების არსებობა. მაგალითად, ახალგაზრდული ოთახის მართვა და პროგრამული უზრუნველყოფა შესაძლებელია შეძლოს ერთმა ახალგაზრდულმა მუშაკმა, მაგრამ თუ დავალთ უკვე სხვა ტიპის სივრცეებზე მაგალითად, ახალგაზრდული ცენტრი ან ჰობი-განათ-

ლების დაწესებულება აუცილებელი ხდება კვალიფიციური კადრები, რომლებიც იმუშავებენ სხვადასხვა პროგრამაზე, მიხედავენ ცენტრის ტექნიკურ საკითხებს, ჩაერთვებიან ქსელური მუშაობის პროცესებში და ა.შ.

და ბოლოს, ერთი დამატებითი ოქროს წესი შეეხება კონცეფციაზე მუშაობის დაგეგმვას. არასდროს არ უნდა დავიწყოთ აღნიშნულ საკითხებზე მუშაობა სხვა თანმიმდევრობით. სამწუხაროდ ძალიან ხშირად, ბევრ რეალობაში პირველ რიგში იძიებენ ფართს და ამის შემდეგ იწყებენ იმაზე ფიქრს თუ რა შეიძლება გაკეთდეს ამ ფართში - საბოლოოდ კი დგებიან იმ ფაქტის წინაშე რომ გააკეთეს ახალგაზრდული სივრცე, მაგრამ ამ ახალგაზრდულ სივრცეში ახალგაზრდები არ დადიან. თუ გვინდა რომ კონცეფცია შეესაბამებოდეს ახალგაზრდების საჭიროებებსა და ინტერესებს და თუ გვინდა რომ სივრცე აქტიურად გამოიყენონ ახალგაზრდებმა უნდა მივყვეთ ჩამოთვლილ ნაბიჯებს, რათა სივრცე რასაც ვქმნით იყოს გამოსადეგი და საინტერესო პოტენციური ბენეფიციარი ახალგაზრდისთვის.

4.5 ახალგაზრდული სივრცეების კონცეპტუალიზაცია - პირველი ნაბიჯები

ავტორი: გუბაზ კობერიძე

ვისაუბროთ ახალგაზრდული სივრცეების ხედვაზე, მიზანსა და ამოცანებზე და ასევე შევეცდებით გავიაზროთ თუ რა ტიპის ბიზნეს მოდელი შეიძლება ჰქონდეს ახალგაზრდულ სივრცეს ახალგაზრდული სივრცე არის ზუსტად იგივე ტიპის ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელიც პრაქტიკაში ძალიან ბევრი გვხვდება. ნებისმიერ ახალგაზრდულ სივრცესაც აქვს ორგანიზაციული ხედვა, მიზანი და ამოცანები მიუხედავად მისი ტიპისა და ფუნქციისა.

მას შემდეგ რაც გავივლით ახალგაზრდული სივრცის კონცეფციის შემუშავების ეტაპებს აუცილებელია დავიწყოთ ფიქრი იმაზე თუ რა ხედვა, მიზანი და ამოცანები უნდა ჰქონდეს სივრცეს. ამ ყოველივეს განსაზღვრაში კი მნიშვნელოვნად დაგვეხმარება უკვე გააზრებული ინფორმაცია პოტენციური ბენეფიციარების, მათი საჭიროებებისა და ინტერესების შესახებ.

მისიის მსგავსად, ნათლად ჩამოყალიბებული ხედვა დაინტერესებულ მხარეებს, განსაკუთრებით თანამშრომლებს, მხარდამჭერებსა და პარტნიორებს, აძლევს კონკრეტულ გზას გააცნობიერონ ახალგაზრდული სივრცის მნიშვნელობა და არსი. ამასთან, ხედვა გამოხატავს ახალგაზრდული სივრცის ძალისხმევის გრძელვადიან სასურველ შედეგებს. მაგალითად, მაიკროსოფტის ადრეული ხედვა იყო „კომპიუტერი ყველა მაგიდაზე და ყველა სახლში“, ახალგაზრდული სივრცის ხედვა კი მაგალითად შეიძლება იყოს „ციფრული უნარები ყველა ახალგაზრდას“, რომელიც ნათლად ასახავს სურვილს, იდეასა და მზაობას ემსახუროთ ახალგაზრდებს.

ხედვის სრულყოფილი დებულების შექმნა შეიძლება რთულ დავალებად აღიქმებოდეს, მაგრამ ასე სულაც არ არის. ხედვის განსაზღვრისთვის არ არის ველოსიპედის თავიდან გამოგონება საჭირო. ამის ნაცვლად, ჩვენ მხოლოდ ის ინფორმაცია უნდა გამოვიყენოთ რაც უკვე გვაქვს ჩვენი იდეებისა და დაკვირვებების სახით. იფიქრეთ იმაზე თუ რისი გაკეთება გინდათ ახალგაზრდებისთვის და აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ ხედვა, ერთის მხრივ, აუცილებლად უნდა იყოს ადვილად გასაგები, ხოლო, მეორეს მხრივ, ადვილად დასამახსოვრებელი.

ახალგაზრდულ სივრცეს, იქნება ეს ჰობი განათლების დაწესებულება თუ სხვა, აუცილებლად უნდა ჰქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული მიზანი. მაგალითად დიდ ბრიტანეთში დიოკესანის ახალგაზრდული ცენტრი მიზნად ისახავს „ახალგაზრდებისათვის სხვადასხვა შესაძლებლობის განვითარებას, რათა მათ შეძლონ სრული ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური და სულიერი პოტენციალის რეალიზება“. აღნიშნულ მაგალითში მკაფიოდ და ნათლად ჩანს თუ რა ტიპის საქმიანობას ეწევა აღნიშნული ახალგაზრდული ცენტრი, რისთვის ეწევა ამ საქმიანობას და რისი მიღწევა სურს.

ამოცანები კი, როგორც ნებისმიერი პროექტისა თუ ორგანიზაციის შემთხვევაში არის მიზნის მიღწევისთვის სვლის განუყოფელი ნაწილი. უფრო მეტად ასახავს კონკრეტულ საქმიანობას, იდეებსა და გეგმებს. თუ ისევ დიოკესანის ახალგაზრდულ ცენტრს განვიხილავთ მივხვდებით, რომ მათი ამოცანები არის ძალიან კონკრეტული, შედეგზე ორიენტირებული და სრულიად ემსახურება დასახული მიზნის მიღწევას. მაგალითად, მათი ერთ-ერთი ამოცანაა „ახალგაზრდებისთვის სოციალური ინტერაქციის შესაძლებლობების შექმნა. მაგალითისთვის: გამოცდილების გაზიარება, ურთიერთობების განვითარება და ნდობის მშენებლობა“.

როდესაც დავასრულებთ კონცეფციის შექმნის ეტაპებს და მკაფიოდ განვსაზღვრავთ ახალგაზრდული სივრცის ხედვას, მიზანსა და ამოცანებს უკვე შეგვიძლია დავიწყოთ ფიქრი ბიზნეს მოდელზე, რომელიც დაგვეხმარება სივრცის ოპერალიზაციის პროცესებში. ცხადია, ყველა დაინტერესებულ მხარეს ურჩევნია სივრცე მდგრადი იყოს და თვითონ ახერხებდეს საკუთარი თავის შენახვას, მაგრამ ეს ხშირ შემთხვევაში სამწუხაროდ უტოპიური აზრია, რადგან ხშირად, მიუხედავად კარგად განსაზღვრული კონცეფციისა ახალგაზრდული სივრცე ოპერალიზაციისთვის საჭირო თანხის გენერირებას ვერ ახერხებს. სხვადასხვა სივრცის შემთხვევაში რესურსების გენერირების მრავალი მაგალითი არსებობს. უკეთ წარმოდგენისათვის შეგვიძლია განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი სივრცის ტიპების მიხედვით:

დავიწყოთ **ახალგაზრდული ოთახით** - ძირითად შემთხვევაში ახალგაზრდული ოთახი სრულიად დაფინანსებულია მუნიციპალიტეტის ან კერძო სექტორის მხრიდან, რადგან აღნიშნული სივრცის შინაარსობრივი მხარიდან გამომდინარე რთულია ვიფიქროთ ბიზნეს მოდელზე;

ღია ახალგაზრდული ცენტრი - მის მაგალითებში ხშირად ვხვდებით ახალგაზრდების მიერ გაკეთებული ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვის აქტივობებს. შესაბამისად, ღია ახალგაზრდული ცენტრის ახალგაზრდებს შეუძლიათ შექმნან ხელნაკეთი ნივთები, დააორგანიზონ გამოფენა-გაყიდვა და შემდეგ მიღებული თანხა გამოიყენონ ცენტრის განვითარებისათვის, ან რაიმე ნივთის შესყიდვის ან თუნდაც თავიანთი სხვა პროექტის განხორციელებისათვის;

ჰობი-განათლების დაწესებულება იმთავითვე გულისხმობს, რომ მნიშვნელოვნად დაფინანსებულია მუნიციპალიტეტის მიერ, მაგრამ ცხადია ეს არ ნიშნავს იმას, რომ მან არ უნდა იფიქროს შემოსავლის გენერირებაზე საქმიანობის უკეთ წარმართვისათვის. აღნიშნული ტიპის ცენტრშიც ხშირად შეიძლება შევხვდეთ ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვის აქტივობებს, მაგრამ ასევე შეიძლება შევხვდეთ სხვადასხვა კონცერტს, რომლის ბილეთების გაყიდვისგან შემოსული თანხა ხმარდება ცენტრის განვითარებას.

ახალგაზრდული ჰაბი არის სივრცე ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის, განსაკუთრებით კი ისეთი ორგანიზაციებისთვის, რომელთაც არ აქვთ ფინანსური შესაძლებლობა იქირაონ საოფისე ფართი, რათა წარმართონ თავიანთი საქმიანო-

ბა. შესაბამისად, ახალგაზრდული ჰაბის შინაარსობრივი მხრიდან გამომ- დინარე რთულია ვიფიქროთ ბიზნეს მოდელზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბიზნეს ოპერირებისთვის არ გვაქვს უფლება ფართი იჯარით ასევე გადავცეთ სხვა ძლიერ ორგანიზაციებს, რათა ეს თანხა პატარა ორგანიზაციებს მოხმარდეს.

და ბოლოს, **ახალგაზრდული ცენტრი** - ამ შემთხვევაში მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა, გამომდინარე იქიდან, რომ არსებობს მნიშვნელოვანი ფართი სხვადასხვა ორგანიზაციისათვის, რათა მათ განახორციელონ თავიანთი აქტივობები. შესაბამისად ახალგაზრდულ ცენტრს აქვს შესაძლებლობა მის საკუთრებაში არსებული ფართი, რომელიც პირობითად გამოიყენება საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზებისათვის, მიაქირაოს სხვა ორგანიზაციას, მიღებული თანხა კი გამოიყენოს თავისი მიზნების მიღწევისათვის ან ახალგაზრდული სფეროს სხვადასხვა აქტორისათვის საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზებისათვის.

4.6 ახალგაზრდული სივრცეების კონცეპტუალიზაცია - შემდეგი ნაბიჯები

ავტორი: გუბაზ კობერიძე

ახალგაზრდული მუშაკის გარეშე ახალგაზრდისთვის შექმნილი სივრცე ხდება უბრალოდ სივრცე, რომელსაც ვერ ექნება ახალგაზრდის განვითარების ხელშეწყობისა და პოტენციალის რეალიზების დატვირთვა. სივრცის სტრუქტურა და კადრების პოტენციური ჩამონათვალი განვიხილოთ ახალგაზრდებისათვის შექმნილი სხვადასხვა ტიპის სივრცის მაგალითის მიხედვით:

დავიწყოთ, **ახალგაზრდული ოთახით** - ძირითად შემთხვევაში ახალგაზრდული ოთახი არის ერთ-ერთი ყველაზე მწირ შტატიანი სივრცე ახალგაზრდებისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ ახალგაზრდული ოთახი ხშირ შემთხვევაში კონკრეტულ ახალგაზრდათა ჯგუფთან მუშაობს შეიძლება ერთ ან ორ ახალგაზრდულ მუშაკზე მეტი არ მუშაობდეს;

ღია ახალგაზრდული ცენტრიც ახალგაზრდული ოთახის მსგავსად არ საჭიროებს ბევრი ადამიანის დასაქმებას. მაგრამ მნიშვნელოვანია იყოს ადამიანი, რომელიც მენეჯმენტის პროცესებშია ჩართული და ასევე ახალგაზრდული მუშაკი, რომელიც უშუალოდ მუშაობს ახალგაზრდებთან. ღია ახალგაზრდულ ცენტრში ასევე მნიშვნელოვანია არსებობდეს ტექნიკური პერსონალი, რომელიც სხვადასხვა ტექნიკურ საკითხებს მოაგვარებს;

ჰობი-განათლების დაწესებულება შედარებით დიდი სივრცეა, რომელშიც თავს იყრის სხვადასხვა წრე, ჰობი-განათლების მიმართულება, ახალგაზრდული კლუბი და მრავალი სერვისი ახალგაზრდებისთვის. შესაბამისად აუცილებელია ჰობი-განათლების დაწესებულებას ჰქონდეს მკაფიოდ და კარგად აწყობილი სტრუქტურა, რომელშიც აუცილებლად უნდა შედიოდეს: მენეჯმენტი, ახალგაზრდული მუშაკები, სხვადასხვა წრის, კურსისა თუ ჰობი-განათლების მიმართულების მენტორი ან კურატორი, ტექნიკური მხარდაჭერის პირები, დაცვა და სხვა თანამშრომლები რომელთა საჭიროებაც კონკრეტული ცენტრის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარეობს.

სხვა ახალგაზრდული სივრცეების მსგავსად **ახალგაზრდული ჰაბიც** ცხადია საჭიროებს კვალიფიკაციური კადრების მხარდაჭერას. ჰაბის ფუნქციონი-

რებისთვის აუცილებელია ერთის მხრივ ახალგაზრდული მუშაკი, რომე- ლიც ახალგაზრდულ ორგანიზაციებს როგორც პროგრამულ ასევე ორგანიზაციულ მხარდაჭერას სთავაზობს, ხოლო მეორეს მხრივ მატერიალურ-ტექნიკური პერსონალი, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ჰაბის მატერიალურ-ტექნიკურ მენეჯმენტზე.

და ბოლოს, **ახალგაზრდული ცენტრი** - ახალგაზრდული ცენტრის შემთხვევაში მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა. ჰობი განათლების დაწესებულების მსგავსად, ახალგაზრდულ ცენტრსაც ესაჭიროება მენეჯმენტი, დაცვა, ტექნიკური პერსონალი და სხვა, რადგან ახალგაზრდული ცენტრის შემთხვევაშიც შედარებით დიდ შენობასთან გვაქვს საქმე. მაგრამ სხვა სივრცეებისგან განსხვავებით შესაძლებელია მსგავსი ტიპის ახალგაზრდულ ცენტრში არ იყოს ახალგაზრდული მუშაკი, მაგრამ აუცილებელია იყოს საგანმანათლებლო ჯგუფი, რომელიც მუდამ ზრუნავს სხვადასხვა საგანმანათლებლო ინიციატივების შემუშავებაზე ახალგაზრდებთან მომუშავე ადამიანებისათვის.

4.7 ახალგაზრდული სივრცეების მენეჯმენტი

ავტორი: გუბაზ კობერიძე

ცხადია ყველა ახალგაზრდულ სივრცეს აქვს განსხვავებული სპეციფიკა, რომელიც გამომდინარეობს იმ ახალგაზრდების საჭიროებებიდან და ინტერესებიდან, რომელთაც ემსახურება კონკრეტული სივრცე. ყოველთვის ვამბობთ, რომ ყველა ახალგაზრდულ სივრცეს აქვს მრავალი გადაკვეთის წერტილი, განსაკუთრებით რუტინული სამუშაოებისა და ტექნიკური მენეჯმენტის კუთხით, ხოლო განსხვავებას ძირითადად ვხედავთ სხვადასხვა სერვისსა და პროგრამას შორის. აღნიშნული შეგვიძლია განვიხილოთ ახალგაზრდული სივრცეების ტიპების მიხედვით.

ყველა სივრცეს სჭირდება ადმინისტრაციული და ტექნიკური მენეჯმენტი. აღნიშნული მიმართულებით სამუშაოს მოცულობა და პოტენციურად დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა დამოკიდებულია ერთის მხრივ ბენეფიციართა რაოდენობაზე, ხოლო მეორეს მხრივ ახალგაზრდული სივრცის ტიპზე. განვიხილოთ თითოეული ახალგაზრდული სივრცე რუტინული სამუშაოების, პოტენციური სერვისებისა და საშტატო საჭიროებების მიხედვით:

პრაქტიკაში **ახალგაზრდულ ოთახს** ვუწოდებთ ისეთ ადგილს, რომელიც ძირითად შემთხვევაში არასტრუქტურირებული და არაორგანიზებული სივრცეა ახალგაზრდებისთვის. ახალგაზრდულ ოთახს აუცილებლად ესაჭიროება ახალგაზრდული მუშაკი, რომელიც აქტიურად მუშაობს ახალგაზრდებთან და სთავაზობს ახალგაზრდების განვითარებაზე ორიენტირებულ სერვისებსა და პროგრამებს. პლუს ახალგაზრდული მუშაკი მხარს უჭერს ახალგაზრდებს თავიანთი იდეებისა და პოტენციალის რეალიზების პროცესში. გარდა ახალგაზრდული მუშაკისა, ახალგაზრდული ოთახის ზომიდან და ბენეფიციარების რაოდენობიდან გამომდინარე შესაძლებელია საჭირო გახდეს მატერიალურ-ტექნიკური პერსონალი, რომელთა ფუნქციაც ოთახის ტექნიკური მენეჯმენტი, დაცვა და ოპერალიზაცია იქნება. ხშირ შემთხვევაში თუ ახალგაზრდული ოთახი მცირე რაოდენობის ბენეფიციარზეა გათვლილი და არ აქვს დიდი მატერიალური ბაზა, ახალგაზრდული მუშაკი მართავს ყველა პროცესს დაწყებული შინაარსობრივიდან,

დასრულებული ტექნიკური პროცესებით.

გადავიდეთ **ღია ახალგაზრდული ცენტრზე**, ეს არის ღია სივრცე ახალგაზრდებისთვის, სადაც მათ შეუძლიათ თავისუფალი დრო გაატარონ მშვიდ, უსაფრთხო, სასიამოვნო და მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებულ გარემოში. სერვისებისა და პროგრამების კუთხით ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა გააკეთონ ისეთი საქმე რაც მათ მოსწონთ, იმუშაონ სხვადასხვა იდეაზე, ითამაშონ, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობაში და ასევე ახალგაზრდული მუშაკისგან ან ფსიქოლოგისგან მიიღონ ემოციური მხარდაჭერა თუ ეს მათ ესაჭიროებათ.

შესაბამისად ერთ-ერთი საკვანძო ადამიანი ვინც აუცილებლად უნდა იყოს ღია ახალგაზრდულ ცენტრში არის ახალგაზრდული მუშაკი, რომელსაც შესაძლებელია აგრეთვე დასჭირდეს ფსიქოლოგის მხარდაჭერაც, ან შეითავსოს იმ შემთხვევაში თუ მას ამ ყოველივეს კვალიფიკაცია გააჩნია. მატერიალურ-ტექნიკური კუთხით საშტატო ერთეულის ყოლის მიმართულებით კი ღია ახალგაზრდული ცენტრი ახალგაზრდული ოთახის მსგავსად დამოკიდებულია მის ზომასა და ბენეფიციართა პოტენციურ რაოდენობაზე.

ჰობი განათლების დაწესებულება არის სოციალური და რეკრეაციული ცენტრი, რომელიც ძირითადად გამოიყენება ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის. სერვისებისა და პროგრამების მიმართულებით აღნიშნული ტიპის სივრცე მხარს უჭერს ახალგაზრდებს ფიზიკური, სოციალური, ემოციური და შემეცნებითი შესაძლებლობების განვითარებაში, მათ აძლევს შანსს სოციალიზაციის პროცესებში აქტიურად ჩაერთონ, შეხვდნენ მეგობრებს და მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა საინტერესო აქტივობაში.

ჰობი განათლების დაწესებულება ახალგაზრდებს სთავაზობს ორგანიზებულ სასწავლო პროგრამებს რაც თავისთავად გულისხმობს პროგრამული კურატორების საშტატო ერთეულების არსებობას. ტრადიციულად ჰობი-განათლების დაწესებულებებს აქვთ საკმაოდ დიდი ფართი რასაც ცხადია ასევე სჭირდება მატერიალურ-ტექნიკური პერსონალი, რომლებიც პასუხისმგებლები იქნებიან როგორც სივრცის უსაფრთხოებაზე და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოფრთხილება-ზედამხედველობაზე, ასევე ახალგაზრდებისთვის უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოს შექმნაზე. აგრეთვე, როგორც სხვა ტიპის ახალგაზრდულ სივრცეებში, აქაც აუცილებელია გვყავდეს ახალგაზრდული მუშაკი.

ახალგაზრდული ჰაბი არის სივრცე ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის. სივრცე სადაც ახალგაზრდულ ორგანიზაციებს ერთის მხრივ აქვთ შესაძლებლობა წარმართონ თავიანთი ადმინისტრაციულ-შინაარსობრივი საქმიანობა, ხოლო მეორეს მხრივ განახორციელონ სხვადასხვა აქტივობა ახალგაზრდებისთვის. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდულ ჰაბში ახალგაზრდულ ორგანიზაციებს ჰქონდეთ სხვადასხვა მნიშვნელოვან სივრცეზე ხელმისაწვდომობა, როგორიცაა სამუშაო სივრცეები, ტრენინგ სივრცეები, შეხვედრების ოთახები და სხვა. აგრეთვე მნიშვნელოვანია ახალგაზრდულ ორგანიზაციებს ჰქონდეთ წვდომა ახალგაზრდულ მუშაკზე, რომელიც მათ დაეხმარებათ სხვადასხვა აქტივობისა თუ სერვისის შემუშავება-განხორციელების პროცესში და წვლილს შეიტანს მათი ორგანიზაციული განვითარების პროცესებში.

ახალგაზრდული ცენტრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დატვირთვაა იმ ადამიანების გაძლიერებისა და განვითარების ხელშეწყობა, რომლებიც მუშაობენ ახალგაზრდებთან სხვადასხვა კონტექსტსა და რეალობაში. ახალგაზრდული ცენტრი მიზნად ისახავს კომპეტენციები განუვითაროს ერთის მხრივ ახალგაზრდულ სივრცეებში მომუშავე პროფესიონალებს, ხოლო მეორეს მხრივ ახალგაზრდული

ორგანიზაციებისა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებიც ასევე ახალგაზრდებთან მუშაობენ შესაძლებელია ახალგაზრდული ცენტრი იყოს ის ახალგაზრდული სივრცე, რომელსაც მატერიალურ-ტექნიკური რესურსის მიმართულებით ყველაზე მეტი საჭიროება აქვს. ახალგაზრდულ ცენტრს უნდა ჰქონდეს სხვადასხვა ჯგუფის განთავსების, მათთვის სამუშაო სივრცეების უზრუნველყოფისა და სხვადასხვა საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა. აუცილებლად სჭირდება საგანმანათლებლო დეპარტამენტი, რომელიც კონცენტრირებულია სხვადასხვა პროგრამის შემუშავება-განხორციელებაზე და პლუს ტექნიკური თანამშრომლები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან უსაფრთხოებაზე, ტექნიკურ გამართულობასა და სხვა მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ საკითხებზე.

თუ ახალგაზრდულ ცენტრს სურვილი აქვს მიიღოს ევროპის საბჭოს ხარისხის იარლიყი, ამ შემთხვევაში, მათ ასევე უწევთ დააკმაყოფილონ ევროპის საბჭოს ახალგაზრდული ცენტრების სხვადასხვა კრიტერიუმი, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ ვიდეოლექციის დამატებით წასაკითხ მასალაში.

4.8 ახალგაზრდული სივრცეების ინფრასტრუქტურა

ავტორი: გუბაზ კობერიძე

როდესაც ვსაუბრობთ სხვადასხვა ახალაგზრდული სივრცისთვის საჭირო ინფრასტრუქტურაზე, ცხადია ამ ყველაფერს განვიხილავთ ერთის მხრივ საერთო ინფრასტრუქტურის, მეორეს მხრივ კი ახალაგზრდულის სივრცის კონკრეტული ტიპისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მიმართულებით. ახალაგზრდული სივრცის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა იყოს ხელმისაწვდომი ყველა ახალგაზრდისთვის, შესაბამისად, აუცილებელია ისეთი დეტალების გათვალსიწინება, როგორებიცაა: ადაპტირება, საჭიროებებზე მორგებულობა, უსაფრთხოება და ა.შ.

ახალგაზრდული სივრცეების კონკრეტული სპეციფიკიდან და ტიპიდან გამომდინარე კი განსხვავდება ინსფრასტრუქტურული ნაწილიც. განვიხილოთ თითოეული ახალაგზრდული სივრცე პოტენციურად საჭირო ინფრასტრუქტურის ჭრილში.

პრაქტიკაში **ახალგაზრდულ ოთახს** ვუწოდებთ ისეთ ადგილს, რომელიც ძირითად შემთხვევაში არასტრუქტურირებული და არაორგანზიებული სივრცეა ახალგაზრდებისთვის. შესაბამისად, ახალგაზრდული ოთახისთვის მნიშვნელოვანია გვქონდეს უსაფრთხო, ხელმისაწვდომი და რაც ყველაზე მთავარია ახალაგზრდების საჭიროებებზე მორგებული ოთახი და სხვადასხვა ინვენტარი, რომელიც კონკრეტული ახალაგზრდული ოთახის პოტენციური პროგრამებიდან გამომდინარეობს, რაც შეიძლება იყოს მაგალითად: კომპიუტერი, პრინტერი, სამაგიდო თამაშები და სხვა.

ღია ახალგაზრდული ცენტრი არის ღია სივრცე ახალგაზრდებისთვის სადაც მათ შეუძლიათ თავისუფალი დრო გაატარონ მშვიდ, უსაფრთხო, სასიამოვნო და მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებულ გარემოში. ღია ახალგაზრდული ცენტრის ინფრასტრუქტურა პოტენციურად ძალიან გავს ახალაგზრდული ოთახის ინფრასტრუქტურას, განსაკუთრებით უსაფრთხო, ხელმისაწვდომი და ახალაგზრდების საჭიროებებზე მორგებული სივრცის

არსებობით. ღია ახალაგზრდული ცენტრის შემთხვევაში პოტენციური პროგრამები შეიძლება უფრო მეტად კომპლექსური იყოს ვიდრე ახალაგზრდულ ოთახში, შესაბამისად პროგრამული ინვენტარიც შესაძლოა უფრო მეტად კომპლექსური იყოს, მაგალითად: სპორტული ინვენტარი, 3დ პრინტერი და სხვა.

ჰობი-განათლების დაწესებულება არის სოციალური და რეკრეაციული ცენტრი, რომელიც ძირითადად გამოიყენება ბავშვებისა და ახალაგზრდებისთვის. ჰობი-განათლების დაწესებულება არის ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური ახალაგზრდული სივრცე გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ სივრცეში შესაძლოა ერთდროულად შევხვდეთ როგორც თეატრალურ, ასევე სპორტულ, შემეცდნებით, გასართობ და სხვა მრავალი მიმართულების კლუბსა თუ წრეს ახალგაზრდისთვის. ცხადია ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია უსაფრთხო, ხელმისაწვდომი და ახალაგზრდების საჭიროებებზე მორგებული სივრცეების არსებობა. ჰობი-განათლების დაწესებულებების უმრავლესობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ სივრცითი მოწყობის კუთხით აღნიშული ტიპის ახალაგზრდულ სივრცეებს ბევრად მეტი საჭიროება აქვთ ვიდრე ღია ახალაგზრდულ ცენტრს ან ახალგაზრდულ ოთახს. ხოლო პროგრამული ინვენტარი სრულიად გამომდინარეობს იმ პროგრამებიდან, წრეებიდან თუ კლუბური საქმიანობიდან რომელსაც აღნიშნული სივრცე ეწევა.

ახალგაზრდული ჰაბი არის სივრცე ახალგაზრდული ორგანიზა-ციებისთვის, სივრცე სადაც ახალგაზრდულ ორგანიზაციებს ერთის მხრივ აქვთ შესაძლებლობა წარმართონ თავიანთი ადმინისტრაციულ-შინაარსობრივი საქმიანობა, ხოლო მეორეს მხრივ განახორციელონ სხვადასხვა აქტივობა ახალგაზრდებისთვის. შესაბამისად, სივრცითი თუ ინფრასტრუქტურული მოწყო-ბის მიმართულებით ახალგაზრდულ ჰაბს სჭირდება უსაფრთხო, ხელმისაწვდომი და ახალაგზრდული ორგანზიაციების საჭიროებებზე მორგებული სივრცეები. თუ ახალაგზრდულ ჰაბს განვიხილავთ, როგორც საერთო სამუშაო სივრცეს და სივრცეს სადაც ახალგაზრდულმა ორგანზიაციებმა შეიძლება წარმართონ სხვადასხვა აქტივობა, მაშინ უმნიშვნელოვანესია ჰაბს ჰქონდეს ერთის მხრივ, ერთობლივი მუშაობისთვის საჭირო სივრცე, ხოლო მეორეს მხრივ აღნიშნულ სივრცეში მომუშავე ორგანიზაციების პროგრამებიდან გამომდინარე საჭირო ინფრასტრუქტურა.

ახალგაზრდული ცენტრის დატვირთვაა იმ ადამიანების გაძლიერებისა და განვითარების ხელშეწყობა, რომლებიც მუშაობენ ახალაგზრდებთან სხვადასხვა კონტექსტსა და რეალობაში. ახალგაზრდული ცენტრის კლასიკური გაგებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ახალაგზრდულ ცენტრს ჰქონდეს სამუშაო სივრცეები, კამპუსი, სადაც სხვადასხვა აქტივობის მონაწილეების განთავსება იქნება შესაძლებელი, გასართობი სივრცეები და საგანმანათლებლო აქტივობებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. გამომდინარე იქიდან, რომ ნებისმიერ ახალაგზრდულ ცენტრს პოტენციურად აქვს შესაძლებლობა მიიღოს ევროპის საბჭოს ახალგაზრდული ცენტრების იარლიყი, ინფრასტრუქტურა აგრეთვე შეგვიძლია განვიხილოთ ევროპის საბჭოს სტანდარტების მიხედვითაც.

ევროპის საბჭოს ხარისხის იარლიყის კრიტერიუმი #13: ცენტრს აქვს ახალგაზრდული ინფრასტრუქტურა: ცენტრი მაქსიმალურად არის ორიენტირებული ახალგაზრდული და ახალგაზრდული საჭიროებებზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურის შექმნასა და შენარჩუნებაზე, რომლის ძირითადი ფუნქცია არის სხვადასხვა ახალგაზრდული ჯგუფის მიღება და მათთან მუშაობა.

ევროპის საბჭოს ხარისხის იარლიყის კრიტერიუმი #15: ხელმისაწვდომი სამუშაო გარემო: ცენტრი ახალგაზრდებს სთავაზობს მაქსიმალურად კომფორტულ, მოსახერხებელ და საჭირო გარემოს სხვადასხვა საგანმანათლლო აქტივობის

სატრეინინგო ფართები და კვების ობიექტი იმყოფება ერთ შენობაში. ცენტრს ორგანიზებისათვის. ცენტრს გააჩნია არაფორმალური განათლებისათვის საჭირო, ადეკვატური, კომფორტული და მოსახერხებელი გარემო.

ევროპის საბჭოს ხარისხის იარლიყის კრიტერიუმი #17: ახალგაზრდულ ცენტრს გააჩნია კამპუსი და აუცილებლად კამპუსი, თანამშრომლების ოფისი, აქვს შესაძლებლობა უზრუნველყოს ბენეფიციარები საცხოვრებელი ფართით იმ შენობაში სადაც მიმდინარეობს აქტივობები;

ევროპის საბჭოს ხარისხის იარლიყის კრიტერიუმი #18: უსაფრთხოების სისტემა: ახალგაზრდული ცენტრი აკმაყოფილებს ქვეყანაში არსებულ უსაფრთხოების ნორმებს და შუძლია შემოწმების გავლა და ყველა საჭიროების დაკმაყოფილება ნებისმიერ დროს.

4.9 ახალგაზრდული სივრცეების დაფინანსება და მდგრადობა

ავტორი: გუბაზ კობერიძე

ახალგაზრდულ სივრცეებს, როგორც ნებისმიერი სხვა ტიპის სივრცეს სჭირდება დაფინანსება რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს სივრცისა და სხვადასხვა სერვისის ახალგაზრდებისათვის ხელმისაწვდომობას. ყველა ახალგაზრდულ სივრცეს აქვს შესაძლებლობა მოიპოვოს სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო დაფინანსება, ჰყავდეს მხარდამჭერი პარტნიორები ან ეცადოს თვითდაფინანსებით შეინარჩუნოს მდგრადობა. ცხადია, ეს ყველაფერი არ არის ურთიერთგამომრიცხავი ნებისმიერმა ახალგაზრდულმა სივრცემ შეიძლება მდგრადობისათვის მიმართოს სამივე ხერხს, მაგრამ ჩვენ ახლა განვიხილავთ თითოეულ ახალაგზრდულ სივრცეს მდგრადობისათვის დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობების კონტექსტში:

ძირითად შემთხვევაში **ახალგაზრდული ოთახები** გვხვდება მუნიციპალურ შენობებში, რაც მდგრადობისთვის ძალიან კარგი მიდგომაა, რადგან მუნიციპალიტეტების უმრავლესობას შეუძლია ერთი ოთახი მუდმივად გამოყოს ახალაგზრდებისათვის სადაც შესაძლებელია იფუნქციონიროს ახალაგზრდულმა ოთახმა. გარდა სივრცისა ახალგაზრდულ ოთახს ასევე ესაჭიროება ინვენტარი, რომელიც გამომდინარეობს პროგრამებიდან და ასევე ადამიანური რესურსი, რომელიც სხვადასხვა პროცესს წარმართავს. მდგრადობის შენარჩუნებისთვის საჭიროა ინვენტარის მუდმივი განახლება და ადამიანური რესურსის ფინანსური მხარდაჭერა. აღნიშნული ხარჯი შეიძლება ახალგაზრდულმა ოთახმა, როგორც მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით, ასევე სხვადასხვა დონორთან და კერძო სექტორთან თანამშრომლობით დაფაროს. ახალაგზრდული ოთახის სპეციფიკიდან გამომდინარე რთულია ამოქმედდეს სრული თვითდაფინანსების მექანიზმი, მაგრამ ნაწილობრივი ხარჯების დაფარვისთვის ეს მექანიზმი იდეალურია.

ახალგაზრდული ოთახის მსგავსად **ღია ახალგაზრდულ ცენტრებსაც** ძირითადად მუნიციპალიტეტებთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად ვხედავთ, განსაკუთრებით ლიეტუვაში. ახალგაზრდული ოთახისგან განსხვავებით ღია ახალაგზრდულ ცენტრს მეტი ფინანსური საჭიროება აქვს მდგრადობისთვის, მაგრამ დაფინანსების მექანიზმები და შესაძლებლობები სრულიად იდენტურია.

ჰობი-განათლების დაწესებულება ბევრად კომპლექსური სივრცეა, განსაკუთრებით თუ შევადარებთ ახალგაზრდულ ოთახს ან ღია ახალგაზრდულ

ცენტრს. კომპლექსურობა ძირითადად იქიდან გამომდინარეობს, რომ აღნიშნულ სივრცეში ვხვდებით მრავალ პარალელურ პროგრამას ახალგაზრდებისთვის. ქართულ რეალობაში ჰობი-განათლების დაწესებულებები ძირითადად აქტიურ რეჟიმში არიან გადასულები თვითდაფინანსების მექანიზმზე - ახალაგზრდა, რომელიც დადის კონკრეტულ წრეზე, იხდის მომსახურების საფასურს. თვითდაფინანსების მექანიზმს ემატება სახელმწიფო ან მუნიციპალური მხარდაჭერა და აღნიშნული დაწესებულება სთავაზობს სხვადასხვა სერვისს ახალაგზრდებს. ჰობი-განათლების დაწესებულებას, როგორც სხვა ნებისმიერი ტიპის ახალგაზრდულ ცენტრს აქვს შესაძლებლობა დამატებით მოიპოვოს დაფინანსება დონორებისგან თუ კერძო სექტორისაგან.

ახალგაზრდული ჰაბი ძირითად შემთხვევაში არის სივრცე ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა ჰქონდეთ ფართი მათი ადმინისტრაციული საქმიანობისა და სხვადასხვა ახალგაზრდული აქტივობების წარმართვისათვის. ახალგაზრდული ჰაბების მდგრადობის შენარჩუნებისათვის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია აქტიური თანამშრომლობა ადგლობრივ თუ საერთაშორისო დონორებთან და კერძო სექტორთან. ახალგაზრდული ჰაბის სრულიად თვითდაფინანსებადი მექანიზმით მართვა რთულია, მაგრამ ნაწილობრივი ხარჯების დაფარვისთვის ეს მექანიზმი იდეალურია.

ახალგაზრდული ცენტრი სხვა ახალგაზრდული სივრცეებისგან განსხვავებით ყველაზე ახლოს მდგომია კლასიკური სასტუმროს სტრუქტურასთან, რადგან აღნიშნულ სივრცეს გააჩნია, როგორც ადამინანების განთავსებისა და კვების, ასევე სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. სრული თვითდაფინანსებადი მექანიზმის ამოქმედება ყველაზე რეალისტურია ახალგაზრდული ცენტრის შემთხვევაში, რადგან სივრცის გამოყენება შეიძლება კომერციულად დაიტვირთოს, რათა სხვადასხვა ორგანზიაციამ გააკეთოს აქტივობა, ხოლო შემოსული ფინანსური რესურსი მოხმარდეს ცენტრის მდგრადობას, განვითარებასა და სხვადასხვა პროგრამების განხორციელებას.

4.10 ახალგაზრდული სივრცის პროგრამა

ავტორი: გუბაზ კობერიძე

პროგრამის ფორმირება და ახალგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფა, ახალგაზრდული მუშაკების როლი. ახალგაზრდული სივრცის პროგრამა ახალგაზრდული სივრცეების ტიპებზე საუბრის დროს მრავალჯერ ვახსენებთ, რომ ნებისმიერი ახალგაზრდული სივრცე უნდა იყოს ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებზე დაფუძნებული. ანალოგიურად თითოეული ახალგაზრდული სივრცის პროგრამაც სრულიად გამომდინარეობს იმ ახალგაზრდების ინტერესებიდან და საჭიროებებიდან, ვინც არიან პოტენციური ბენეფიციარები.

გარდა ბენეფიციარი ახალგაზრდების ინტერესებისა და საჭიროებებისა, ახალგაზრდული სივრცეების პროგრამები პირდაპირ კავშირშია სივრცის ტიპთანაც. მაგალითად ახალგაზრდულ ოთახს შეიძლება წინასწარ განსაზღვრული პროგრამა საერთოდ არ ჰქონდეს, მაგრამ ჰობი-განათლების დაწესებულებისთვის

წინასწარ მკაცრად სტრუქტურირებული პროგრამის განსაზღვრა აუცილებელია. მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ ღია ახალგაზრდული ცენტრის პოტენციური პროგრამა, რათა ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას თუ რა ტიპის პროგრამები შეიძლება განხორციელდეს ამ ტიპის ახალგაზრდულ სივრცეში.

ღია ახალგაზრდული ცენტრი არის ღია სივრცე ახალგაზრდებისთვის სადაც მათ შეუძლიათ თავისუფალი დრო გაატარონ მშვიდ, უსაფრთხო, სასიამოვნო და მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებულ გარემოში. სერვისებისა და პროგრამების კუთხით უმნიშვნელოვანესია თავიდანვე დაცული იყოს ბალანსი ღიაობასა და წინასწარ განსაზღვრულ სტრუქტურირებულ პროგრამირებას შორის. ღია ახალგაზრდული ცენტრის პროგრამა კავშირში უნდა იყოს თავად ახალგაზრდული სივრცის კონცეფციასთან, მიზანთან და ამოცანებთან. მოქმედებების სახით, იგი ძირითადად შეიძლება ითვალისწინებდეს აქტივობებს, რომელიც მიმართულია ახალგაზრდების ინფორმირებასა და მოზიდვაზე, მათთვის სოციალიზაციის და რეგულარული ინტერაქციის დამყარებაზე, სხვადასხვა განსავითარებელი შესაძლებლობებისა და მაღალი მონაწილეობრივი სივრცის შექმნაზე. ახალგაზრდების ინფორმირება და მოზიდვა - ეს აქტივობები ძირითადად ითვალისწინებს სამიზნე ახალგაზრდებთან პირველი კონტაქტის დამყარებას და მათთვის სივრცისა და ამ სივრცის სერვისების შესახებ ცნობების მიტანას, იმ მიზნით, რომ ახალგაზრდები გამოიყენებენ ამ შესაძლებლობებს. სოციალიზაციის და რეგულარული ინტერაქციის დამყარება - პირველადი კონტაქტი შესაძლოა დამყარდეს სივრცის გარეთ - მოზიდვის ახალგაზრდული საქმიანობის მეშვეობით, ან თავად ამ სივრცეში მოკლევადიანი აქტივობების დაგეგმვით, მაგალითად გამოფენა, კონცერტი, კულტურული საღამო, კულინარიული ფესტივალი ან რაიმე მსგავსი.

პირველ კონტაქტს მოსდევს რეგულარული კომუნიკაციის დამყარება, როდესაც ახალგაზრდული მუშაკები და ახალგაზრდები ერთმანეთს უკეთ იცნობენ და ერთმანეთისადმი ნდობას ავითარებენ. ამ დროს, ახალგაზრდები აქტიურად იყენებენ სივრცის მიერ შეთავაზებულ შესაძლებლობას გაიცნონ სხვა ახალგაზრდები, პერსონალი, ისწავლონ თავად შენობის შიდა სამზარეულო, წესები და ეს ტერიტორია აღიქვან როგორც სანდო, უსაფრთხო გარემო, სადაც შეუძლიათ მეგობრული კავშირების შექმნა და განვითარება. აქ მნიშვნელოვანია, რომ სივრცის ინფრასტრუქტურა, შინაგანაწესი, და პერსონალი იყოს ამ კომფორტის შექმნისკენ მიმართული. პროგრამული ღონისძიებების მხრივ, შეიძლება დაიგეგმოს გაცნობის აქტივობები, რომელიც ყინულის გალღობისკენაა მიმართული, ფილმის ჩვენებები, დისკუსიები, სამაგიდე თამაშების საღამოები და ა.შ.

მაღალი მონაწილეობრივი სივრცის ფორმირების შემთხვევაში ახალგაზრდები გამოდიან ბენეფიციარის როლიდან და ირგებენ ლიდერის ამპლუას, ამ შემთხვევაში თავად ახალგაზრდები გეგმავენ და ახორციელებენ ღონისძიებებს სხვა ახალგაზრდებისთვის. სხვა სიტყვებით, ახალგაზრდულის ცენტრის პერსონალი, ახალგაზრდული მუშაკები და სხვა ახალგაზრდები გადადიან მაყურებლის ადგილზე, ხოლო სცენაზე თავად ახალგაზრდები არიან. ამ ოთხნაირი პროგრამული მიმართულებების აღქმა შეიძლება როგორც დინამიკური, ისე სტატისტიკური პერსპექტივით. რაც ნიშნავს, რომ ერთმა ახალგაზრდამ შეიძლება პირველიდან მეოთხემდე გაიაროს ყველა საფეხური, მაგრამ ღია ახალგაზრდულმა ცენტრმა უნდა გაითვალისწინოს უნივერსალობის პრინციპი და მისი რუტინული პროგრამა უნდა შეიცავდეს ოთხივე მიმართულებას, ანუ დროის ნებისმიერ მონაკვეთში უნდა იყოს ღია ახალგაზრდისთვის და შესთავაზოს მათთვის მისაღები

დატვირთვა, ყურადღება და შესაძლებლობები. რა თქმა უნდა, ოთხივე მიმართულების განხორციელებისას მონაწილე პირები და პერსონალი ინფორმირებულნი უნდა იყვნენ სამიზნე აუდიტორიის უფლებრივი მდგომარეობის, საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების შესახებ და ამ ყველაფერზე დაფუძნებით შექმნან და დახვეწონ პროგრამა და ღონისძიებები.

4.11 ევროპული ახალგაზრდული ცენტრები

ავტორი: გუბაზ კობერიძე

ევროპის საბჭოს ახალგაზრდული ცენტრები ბუდაპეშტსა და სტრასბურგში ძლიერი დასაყრდენია ევროპის საბჭოს ახალგაზრდული დეპარტამენტისა და ზოგადად ახალგაზრდული სექტორისათვის, რადგან ასრულებენ „ახალგაზრდული საგანმანათლებლო ლაბორატორიების“ ფუნქციას, რაც ხელს უწყობს მომავალი თაობების გაძლიერებასა და განვითარებას.

აღნიშნული ახალგაზრდული ცენტრები ძალიან დიდ როლს ასრულებენ ასევე ევროპული ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესებში, რაც ცხადია დადებითად ისახება ახალგაზრდებზე. ახალგაზრდული ცენტრების სახით ევროპის საბჭო კონტინენტური ევროპის ახალგაზრდებსა და ახალგაზრდული სამოქალაქო საზოგადოების ფორმალურ და არაფორმალურ სტრუქტურებს სთავაზობს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მხარდაჭერას, დაცულ საცხოვრებელ გარემოსა და ევროპის საბჭოს ნებისმიერ სტრუქტურულ ერთეულთან მჭიდრო თანამშრომლობას. აღნიშნული ხელს უწყობს ახალგაზრდების გააქტიურებას სხვადასხვა საჭირო და ღირებული სოციალური ცვლილებების მისაღწევად.

ევროპის საბჭოს აქვს ორი ევროპული ახალგაზრდული ცენტრი. სტრასბურგის ახალგაზრდული ცენტრი 1972 წლიდან, ხოლო ბუდაპეშტის 1995 წლიდან აქტიურად ასრულებს ახალგაზრდული პოლიტიკის ცენტრის ფუნქციას და ძალიან ბევრ ახალგაზრდას ევროპული სტანდარტების მქონე აქტივობებში მონაწილეობის საშუალებას აძლევს, რაც მომავალ თაობებში არაძალადობრივი და ჰუმანური ღირებულებების პოპულარიზებასა და დანერგვას უწყობს ხელს.

ევროპის ახალგაზრდული ცენტრების სტანდარტი ევროპის საბჭოს მიერ არის შემუშავებული ბუდაპეშტისა და სტრასბურგის ახალგაზრდული ცენტრებისა და ზოგადად ახალგაზრდული ცენტრების მრავალ დეკადიანი მართვის გამოცდილების შედეგად.

ნამდვილად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ევროპის საბჭო ყოველთვის ცდილობს დახვეწოს ახალგაზრდული ცენტრების სტანდარტი და მაქსიმალურად იყოს მორგებული ნებისმიერი საჭიროების მქონე პიროვნებაზე. ახალგაზრდული ცენტრების სტანდარტის კონცეფცია სრულად მოიცავს ახალგაზრდულ პოლიტიკას, პროგრამებს, ინფრასტრუქტურას, მენეჯმენტსა და ადმინისტრაციულ საკითხებს. აღნიშნული სტანდარტი შესაძლებელია მივიჩნიოთ, როგორც მაქსიმალურად დაწვრილებით და კარგად ჩამოყალიბებული გზამკვლევი, იმის შესახებ თუ რა არის ევროპული ახალგაზრდული ცენტრი, რა ფუნქცია აქვს და როგორ მუშაობს.

განათლებაზე ორიენტირებული ღირებულებები: ევროპული ახალგაზრდული ცენტრების საქმიანობა მაქსიმალურად უნდა უსვამდეს ხაზს ევროპის საბჭოს ღირებულებებს და აქტივობები უნდა ემსახურებოდეს ახალგაზრ-

დული პოლიტიკის განვითარებას არაფორმალური განათლების მიდგომების გამოყენებით;

სოციალური საკითხების გაუმჯობესებისაკენ მიმართული საქმიანობა: ევროპული ახალგაზრდული ცენტრების საქმიანობა მაქსიმალურად უნდა იყოს მიმართული ახალგაზრდების გააქტიურებისაკენ სოციალურისაკითხების გაუმჯობესებისათვის;

ახალგაზრდულ პოლიტიკაზე გავლენა: ევროპული ახალგაზრდული ცენტრები აქტიურად უნდა იღებდნენ მონაწილეობას ეროვნული და საერთაშორისო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებისა და იმპლემენტაციის პროცესებში;

განათლებაზე ორიენტირებული პოლიტიკა: ევროპული ახალგაზრდული ცენტრები აქტიურად უნდა მოქმედებდნენ, როგორც „ახალ-გაზრდული საგანმანათლებლო ლაბორატორიები“ და მაქსიმალურად უნდა ცდილობდნენ არაფორმალური განათლების მეთოდებით სოციალური ცვლი-ლების მიღწევას, ახალგაზრდების განვითარებასა და ახალი ინოვაციური საგანმანათლებლო მეთოდების შემუშავებას;

საერთაშორისო თანამშრომლობა: ევროპული ახალგაზრდული ცენტრები ახალგაზრდებს უნდა სთავაზობდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის პროექტებსა და პროგრამებს და ასევე საერთაშორისო გაცვლით პროგ-რამებს.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. ვებ მისამართი: https://www.coe.int/en/web/youth/eyc-budapest
2. ვებ მისამართი: https://www.coe.int/en/web/youth/eyc-strasbourg

4.12 ევროპული ახალგაზრდული ცენტრების ხარისხის იარლიყი

ავტორი: გუბაზ კობერიძე

ევროპის საბჭოს „ევროპული ახალგაზრდული ცენტრების ხარისხის იარლიყი“ ინიცირებულია CMJ - ‘Joint Council on Youth’ მიერ და დამტკიცებულია ევროპის საბჭოს ახალგაზრდობისა და სპორტის დირექტორატის მიერ. ევროპის საბჭო 2010 წლიდან საკმაოდ აქტიურად იყენებს აღნიშნულ სტანდარტებს და სამი წლის ვადით აძლევს სხვადასხვა ახალგაზრდულ ცენტრს აკრედიტაციას, იმის ნიშნად რომ იგი აკმაყოფილებს ყველა საჭირო მოთხოვნას, ხოლო სამი წლის გასვლის შემდეგ აღნიშნული აკრედიტაციის კვლავ მიღება შესაძლებელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული სტანდარტები შენარჩუნებულია.

ევროპის საბჭომ ასევე შექმნა ევროპის ახალგაზრდული ცენტრების პლატფორმა, რომლის წევრებიც არიან ის ახალგაზრდული ცენტრები, რომლებსაც აქვთ აკრედიტაცია მიღებული და აკმაყოფილებენ ხარისხის იარლიყის სტანდარტებს. პლატფორმა არის უნიკალური შესაძლებლობა ხარისხის იარლიყის მქონე ან იარლიყის მიღების მსურველი ახალგაზრდული ცენტრებისათვის, რადგან პლატფორმა მათ აძლევს უნიკალურ შანსს ქსელური თანამშრომლობის, ხარისხის განვითარებისა და კრიტერიუმების დაკმაყოფილებისათვის.

ევროპის საბჭოს ევროპული ახალგაზრდული ცენტრების ხარისხის იარ-

ლიყის სტანდარტების გათვალისწინება სასურველია ისეთი ტიპის ახალგაზრდული ცენტრებისთვის, რომლებიც აპირებენ განახორციელონ ლოკალური, ეროვნული და საერთაშორისო პროექტები და პროგრამები. აკრედიტაციის შემდეგ ახალგაზრდული ცენტრი სამი წლის განმავლობაში ხდება ევროპის საბჭოს ბუდაპეშტისა და სტრასბურგის ახალგაზრდულ ცენტრებთან გათანაბრებული შინაარსობრივი, ტექნიკური და ხარისხობრივი კუთხით, რადგან ხარისხის იარლიყი გულისხმობს ახალგაზრდული ცენტრის სტანდარტიზაციას, როგორც პროგრამული და შინაარსობრივი, ასევე ტექნიკური მიმართულებით. ცხადია ყველასთვის სასურველია აკრედიტაციის ქონა და სხვადასხვა ევროპული აქტივობების გახორციელება ახალგაზრდულ ცენტრში, მაგრამ ამისთვის ძალიან ბევრი ტექნიკური და შინაარსობრივი დეტალის გათვალისწინება არის საჭირო. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ევროპული ახალგაზრდული ცენტრების ხარისხის იარლიყი და გზამკვლევი, რომლის გამოყენებითაც აღნიშნული პროცესების გავლა მაქსიმალურად მარტივი ხდება.

მრავალი წელია სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ახალგაზრდული ცენტრები ცდილობენ დააკმაყოფილონ ევროპის საბჭოს ხარისხის იარლიყით განსაზღვრული სტანდარტები. საინტერესოა რატომ არის აღნიშნული სტანდარტების დაკმაყოფილება და აკრედიტაციის მიღება ასეთი მნიშვნელოვანი და ღირებული თითოეული ახალგაზრდული ცენტრისთვის.

ხარისხის განვითარება: კანდიდატ ახალგაზრდულ ცენტრებს შეუძლიათ გამოიყენონ ახალგაზრდული ცენტრების სტანდარტები და არსებული გზამკვლევი ცენტრის და ახალგაზრდებზე შესათავაზებელი სერვისების ხარისხის გასავითარებლად. აღნიშნული სტანდარტების გათვალისწინება ახალი ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობის პროცესში არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან უკვე დასრულებული ახალგაზრდული ცენტრი დააკმაყოფილებს ევროპის საბჭოს სტანდარტებს და მარტივად შეძლებს მიიღოს ხარისხის იარლიყი. აღნიშნული პროცესების დროს ევროპის საბჭოს შეუძლია უზრუნველყოს ექსპერტული მხარდაჭერა, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო მიმართულებით.

ტრეინინგები და რესურსები: კანდიდატებს შეუძლიათ ისარგებლონ სხვადასხვა პრივილეგიებით, რათა ევროპული ახალგაზრდული ცენტრების სტანდარტები მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული ცენტრის მმართველობისა და ყოველდღიური საქმიანობის პროცესებში. მაგალითად კანდიდატ ცენტრებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ევროპული ახალგაზრდული ცენტრების პლატფორმის ყოველწლიურ შეხვედრაში, ევროპის საბჭოს ახალგაზრდული დეპარტამენტის სხვადასხვა სასწავლო სესიასა და ტრეინინგში და გამოიყენონ ევროპის საბჭოს სხვადასხვა საგანმანათლებლო გზამკვლევი და მატერიალი. ასევე ევროპის საბჭო ექსკლუზიურად აძლევს კანდიდატებს სხვადასხვა საგანმანათლებლო მატერიალების თარგმნის, ბეჭდვისა და გამოყენება-გავრცელების საავტორო უფლებას.

ქსელური მუშაობა: ევროპულ ახალგაზრდულ ცენტრებს აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში ეძლევათ ქსელური მუშაობისა და თანამშრომლობის უნიკალური შანსი ევროპის საბჭოსა და ევროპული ახალგაზრდული ცენტრების პლატფორმისგან. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ევროპული ახალგაზრდული ცენტრების პლატფორმის შეხვედრებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა, რაც თავისთავად გულისხმობს სხვა უფრო გამოცდილი ახალგაზრდული ცენტრების წარმომადგენლებთან შეხვედრასა და ინფორმაციის გაცვლას. ასევე ევროპის საბჭო ყოველთვის მაქსიმალურად ცდილობს მხარი

დაუჭიროს სხვადასხვა ევროპულ ახალგაზრდულ ცენტრს, სხვა ცენტრებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან კომუნიკაციისა და პარტნიორული ურთიერთობების დამყარების პროცესებში.

პრესტიჟი: ევროპის საბჭოს ევროპული ახალგაზრდული ცენტრების ხარისხის იარლიყით განსაზღვრული სტანდარტების დაკმაყოფილება და აკრედიტაციის მიღება ახალგაზრდულ ცენტრს აძლევს აღიარებას, როგორც საერთაშორისო დონეზე საერთაშორისო ორგანიზაციებში, ასევე ლოკალურ და ეროვნულ დონეებზე კონტინენტურ ევროპაში. აღნიშნული აკრედიტაციის მიღება ავტომატურად ნიშნავს, რომ ევროპული ახალგაზრდული ცენტრი ნამდვილად სწორი მიმართულებით მუშაობს და ნამდვილად უწყობს ხელს ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებას.

ევროპის საბჭოს შემუშავებული აქვს ზოგადი წინაპირობები და კრიტერიუმები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს ახალგაზრდული ცენტრი, რომ შეძლოს აკრედიტაციის პროცესის დაწყება. აღნიშნული ზოგადი წინაპირობებია:

- ცენტრის მთავარი მისია უნდა იყოს ახალგაზრდებთან მუშაობა და მათი გაძლიერება სხვადასხვა აპრობირებული მეთოდების გამოყენებით;
- ცენტრს და ცენტრის მენეჯმენტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ამ სფეროში მუშაობის მანდატი სახელმწიფო სტრუქტურებისგან;
- ცენტრს და ცენტრის მენეჯმენტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სტრუქტურული თანამშრომლობა სახელმწიფო სტრუქტურებთან;
- ცენტრის პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობითი კომუნიკაცია;
- ცენტრის საქმიანობაში აუცილებლად უნდა იყვნენ ჩართულები ახალგაზრდები, ახალგაზრდული მუშაკები და ახალგაზრდული ან/და ახალგაზრდულ თემებზე მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაცია;
- ცენტრს აუცილებლად უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო დეპარტამენტი და უნდა ჰყავდეს აღნიშნული მიმართულებით მომუშავე თანამშრომლები;
- ცენტრს აუცილებლად უნდა ჰქონდეს საცხოვრებელი კამპუსი იგივე შენობაში სადაც იქნება სხვადასხვა აქტივობების ჩატარების შესაძლებლობა;
- ცენტრის ფინანსები აუცილებლად უნდა იყოს საჯარო და მკაცრად არ უნდა ეწეოდეს კომერციულ საქმიანობას.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის გავლას ვერ შეძლებენ ისეთი ცენტრები რომლებიც ასრულებენ ტურისტული და დასასვენებელი კომპლექსების ფუნქციას, არ აქვთ არანაირი თანამშრომლობითი კომუნიკაცია სახელმწიფო სტრუქტურებთან და მუშაობენ მხოლოდ კომერციული თვალსაზრისით. ცენტრი მაქსიმალურად უნდა ემსახურებოდეს ახალგაზრდებს! აღნიშნული ზოგადი წინაპირობების დაკმაყოფილების შემდეგ აკრედიტაციის მისაღებად აუცილებელია ცენტრმა დააკმაყოფილოს არსებული 22 კრიტერიუმი, რისი დაკმაყოფილებაც არის იმის გარანტი რომ ახალგაზრდულმა ცენტრმა ევროპის საბჭოს აკრედიტაცია მიიღოს.

ხარისხის იარლიყი მოიცავს 22 კრიტერიუმს, რომელშიც შევხვდებით პუნქტებს: ახალგაზრდული ცენტრების ღირებულებებზე, ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხზე, ცენტრის როლზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების საკითხებზე, არაფორმალური განათლების მნიშვნელობასა და ხარისხზე, საერთაშორისო თანამშრომლობაზე, ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობაზე, საგანმანათლებლო დეპარტამენტის ფუნქცია-დანიშნულებაზე, ცენტრის მენეჯმენტზე, პროექტებზე, პროგრამებზე და მრავალ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც განაპირობებს ახალგაზრდული ცენტრის მუშაობის ხარის-

ხსა და ხარისხის იარლიყის სტანდარტების დაკმაყოფილებას. აღნიშული 22 კრიტერიუმის დეტალური ჩაშლა შეგიძლიათ იხილოთ დოკუმენტის სახით.

წყაროები და დამატებითი მასალა
ევროპის საბჭოს ხარისხის იარლიყი ახალგაზრდული ცენტრებისთვის
https://rm.coe.int/quality-label-brochure-en-2015/16806fcf1b

4.13 ევროპული ახალგაზრდული ცენტრების ხარისხის იარლიყის მიღება

ავტორი: გუბაზ კობერიძე

ევროპის საბჭო ხარისხის იარლიყის მიღებით დაინტერესებულ ახალაგზრდულ ცენტრებს აძლევს უნიკალურ შანსს მიიღონ პირდაპირი კონსულტაციები ევროპის საბჭოს ექსპერტებისა და უკვე აკრეტიდებული ახალგაზრდული ცენტრებისგან. ერთი მხრივ ევროპის საბჭო მზადყოფნას აცხადებს არსებულ ახალაგზრდულ ცენტრებს მაქსიმალურად მხარი დაუჭიროს დააკმაყოფილონ კრიტერიუმები, ხოლო მეორე მხრივ მზადაა აქტიურად ჩაერთოს ახალი ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობის პროცესშიც, რათა თავიდანვე გათვალისწინებული იყოს ყველა ხარისხის კრიტერიუმი.

ევროპული ახალგაზრდული ცენტრების ხარისხის იარლიყის მიღება ძირითადად გამომდინარეობს ცენტრის ინფრასტრუქტურისა და პროგრამების ხარისხიდან. აღნიშნული პროცედურის დაწყება გულისხმობს, რომ ახალგაზრდულ ცენტრს აქვს სურვილი დააკმაყოფილოს სტანდარტი და მიიღოს ხარისხის იარლიყი, აღნიშნულიდან გამომდინარე კი ცენტრი ვალდებულია უზრუნველყოს ხარისხის განვითარება და გაითვალისწინოს ევროპის საბჭოს რეკომენდაციები. ახალგაზრდული ცენტრის საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატის მიღება მიმდინარეობს ეტაპობრივად:

ინტერესის გამოხატვის ფორმა: კანდიდატი ცენტრი ავსებს ევროპის საბჭოს მიერ შექმილ ინტერესის გამოხატვის ფორმას და ფორმასთან ერთად აგზავნის ყველა საჭიროდოკუმენტს, რომელიც არის ევროპის საბჭოს მიერ მოთხოვნილი;

ინტერესის გამოხატვის ფორმის შეფასება: ინტერესის გამოხატვის ფორმას აფასებენ ევროპის საბჭოს სხვადასხვა სამუშაო ჯგუფის წევრები. შეფასების კომიტეტი მაქსიმალურად არის დაკომპლექტებული, როგორც ახალგაზრდებით, ასევე ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებითა და ევროპის საბჭოს თანამშრომლებით; ევროპის საბჭო ასევე უზრუნველყოფს შეფასების კომიტეტისათვის სასწავლო ვიზიტის ორგანიზებას, რომელიც გაიმართება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შეფასების კომიტეტს დააკმაყოფილებს ინტერესის გამოხატვის ფორმა და ჩათვლის, რომ შესაძლოა ახალგაზრდულმა ცენტრმა დააკმაყოფილოს სტანდარტები და მიიღოს ხარისხის იარლიყი.

სასწავლო ვიზიტი: შეფასების კომიტეტის წევრი ექსპერტები სტუმრობენ დაინტერესებულ ახალგაზრდულ ცენტრებს რათა ადგილზე შეაფასონ ყველა დეტალი. სასწავლო ვიზიტი იმართება დიალოგის ფორმატში ახალგაზრდული ცენტრის თანამშრომლებთან. სასწავლო ვიზიტის საფუძველზე მზადდება ანგარიში, რომელიც მოიცავს: კრიტერიუმებს რომელსაც აკმაყოფილებს ცენტრი,

კრიტერიუმებს რომელსაც ვერ აკმაყოფილებს, რეკომენდაციებს ცენტრის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ექსპერტთა ჯგუფი ამზადებს ანგარიშს სასწავლო ვიზიტიდან მაქსიმუმ ორი თვის განმავლობაში. ცენტრის თანამშრომლებთან ერთად შეფასების კომიტეტი ამზადებს ცენტრის დახვეწისა და განვითარების სტრატეგიას.

ახალგაზრდული ცენტრის **განვითარების ფაზაში** ცენტრი უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურულ, ადმინისტრაციულ და პროგრამულ განვითარებას ექსპერტთა საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში ახალგაზრდული ცენტრის თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა დაესწრონ ევროპის საბჭოს ახალგაზრდული დეპარტამენტის ტრეინინგებში. ახალგაზრდულ ცენტრს აქვს საშუალება მიიღოს მონაწილეობა ევროპის ახალგაზრდული ცენტრ-ების პლატფორმის შეხვედრაში. ექსპერტთა ჯგუფი მაქსიმალურად უჭერს მხარს ცენტრს განვითარების პროცესში და აძლევს ახალ რეკომენდაციებს.ექსპერტთა ჯგუფს და ახალგაზრდული ცენტრის თანამშრომლებს შეძლებისდაგვარად და საჭიროებისამებრ აქვთ აქტიური კომუნიკაცია.

ექსპერტთა ჯგუფის მეორე ვიზიტი: განვითარების ფაზის დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი კიდევ ერთხელ აკეთებს სასწავლო ვიზიტს, რათა შემოწმდეს ცენტრის განვითარების შედეგი.

ხარისხის მინიჭება: მეორე სასწავლო ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი ამზადებს რეკომენდაციას 'Joint Council on Youth-სთვის', რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ხარისხის იარლიყის მინიჭებასთან დაკავშირებით. თუ ცენტრი აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტებს იგი ჯილდოვდება ხარისხის იარლიყით და ხდება ევროპული ახალგაზრდული ცენტრების პლატფორმის სრულუფლებიანი წევრი.

4.14 ინტერვიუ ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენელთან

ინტერვიუერი: გუბაზ კობერიძე
რესპონდენტი: ლისბეთ ვან ლილი

გუბაზი: გამარჯობა, ჩვენ ვაგრძელებთ კურსს ახალგაზრდული სივრცეების შესახებ და დღეს ჩვენ გვყავს სტუმარი, რომელიც წარმოადგენს ჰანენბოსის ახალგაზრდულ ცენტრს ბელგიიდან. ლისბეთი გაგვიზიარებს გამოცდილებას ახალგაზრდული ცენტრის მუშაობის შესახებ და მოგვითხრობს თავად ახალგაზრდული ცენტრის შესახებ. ჩვენ გვჯერა, რომ ეს ნამდვილად კარგი მაგალითი იქნება იმის გასაგებად, თუ როგორ მუშაობენ ახალგაზრდული ცენტრები სხვადასხვა ადგილას. ვიმედოვნებთ, რომ ეს ნამდვილად კარგი მაგალითი იქნება განსახილველად.

ლისბეთი: მე მქვია ლისბეთ ვან ლილი, 2010 წლიდან ვმუშაობ ახალგაზრდულ ცენტრებში დესტელედი და ჰანენბოს. ეს არის ორი ახალგაზრდული ცენტრი ბელგიაში, ბრიუსელის მახლობლად. მე ვარ პასუხისმგებელი ჰანენბოსის ყოველდღიურ მენეჯმენტზე.

გუბაზი: **იქნებ გვითხრათ თავად ახალგაზრდული ცენტრის შესახებ, რა მისია აქვს მას, რა სახის შენობები გაქვთ და იქნებ ასევე გვიამბოთ თავად ახალგაზრდული ცენტრის ისტორიაზე.**

ლისბეთი: ჰანენბოს არის ADJ ცენტრი, ბრიუსელის მახლობლად, ფლანდრიაში, ბელგიაში. ADJ ნიშნავს, რომ ეს არის ახალგაზრდული ტურიზმის გენერალური სააგენტო, ეს არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელსაც გადაეცა ფლამანდური მთავრობის საკუთრებაში არსებული სამი ახალგაზრდული ცენტრი სამართავად. ასე რომ, ჰანენბოსი ერთ-ერთი მათგანია. ჩვენ ფლამანდური მთავრობის მიერ ვართ დაფინანსებული, რათა შევთავაზოთ იაფი დასაბინავებელი ადგილი, ინფრასტრუქტურა და მომსახურება ახალგაზრდულ ჯგუფებს. ეს დაფინანსება ემყარება ოთხწლიან საგრანტო ხელშეკრულებას, სხვადასხვა სტრატეგიული და ოპერატიული მიზნებით. მნიშვნელოვანია, რომ ცენტრები ადაპტირებული იყოს ახალგაზრდების საჭიროებებსა და მოლოდინებზე. ამიტომ ახალგაზრდების მონაწილეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩვენს ორგანიზაციაში. რადგან ახალგაზრდობა ჩვენი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სამიზნე ჯგუფია. ჰანენ-ბოსი ყურადღებას ამახვილებს რეკრეაციასა და სათავგადასავლო გარემოზე ღია ცის ქვეშ. ცენტრში არის სათავგადასავლო ტყე, ახალი ბილიკით და საბაგირო ბილიკით. ჰანენბოსში წელიწადში დაახლოებით 6000 სტუმარი ათენებს 12000 ღამეს. ჩვენ ასევე ვამაყობთ, რომ ვართ საერთაშორისო ქსელის ნაწილი.ევროპის საბჭოს მიერ შექმნილი ეს ქსელი ხელს უწყობს ევროპის ახალგაზრდულ ცენტრს, როგორც სტანდარტის დამდგენ ინსტრუმენტს და ახალგაზრდული პოლიტიკის კარგი პრაქტიკის მაგალითს. ცოტა ისტორიის შესახებ, შენობა 1913 წელს ააშენა ქრისტიანმა ლეიბორისტულმა მოძრაობამ ფლანდრიაში, ბელგიაში. იგი აშენდა რეფლექსიისა და ტრენინგის დღეებისთვის. დაახლოებით 2000-იან წლებში ფლანდრიის მთავრობამ იყიდა შენობა და გარემონტდა მთელი ცენტრი.

***გუბაზი:* შეგიძლიათ გვითხრათ, რა არის ძირითადი საქმიანობა ახალგაზრდული ცენტრისთვის, რას აკეთებთ ახალგაზრდებისთვის?**

ლისბეთი: უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვთავაზობთ დაბინავებას, ეს ნიშნავს 6 საკონფერენციო დარბაზს და 40 საძინებელს, საერთო ჯამში გვაქვს 110 საწოლი. ცენტრში მოსულ ჯგუფს ჩვენ სრული შემადგენლობით ვხვდებით. გარდა ამისა, ჩვენ ვეხმარებით ჯგუფებს, შეადგინონ თავიანთი პროგრამა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამის სურვილი აქვთ. ჩვენ მათ ასევე ვაკავშირებთ შესაძლო პარტნიორებთან თემში. ჩვენ ასევე ვთავაზობთ უამრავ მასალას, მაგალითად, შეხვედრების გასამართ მასალას, ასევე სპორტულ და სათამაშო აღჭურვილობას, და გუნდური მშენებლობის ნაკრებებს. ჩვენ ვაწყობთ ასევე გამოფენებს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, ვთავაზობთ ღონისძიებებს ამ გამოფენის და, რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებების შესახებ. ჩვენს ევროპელ პარტნიორებთან ერთად დავაორგანიზეთ ახალგაზრდული გაცვლა. მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე მეორე წელია ეს შეუძლებელია მისი განხორციელება (პანდემია).

***გუბაზი:* იქნებ გვითხრათ ვინ არიან თქვენი ახალგაზრდული ცენტრის ძირითადი ბენეფიციარები?**

ლისბეთი: ჩვენი სამიზნე ჯგუფია ახალგაზრდული მუშაკები, მაგრამ მხოლოდ ახალგაზრდული საქმიანობა არ არის საკმარისი, რომ იყოს მომგებიანი. ახალგაზრდული ჯგუფები, როგორც წესი, მხოლოდ არდადეგებზე და უქმეებზე ჩამოდიან, ამიტომ კვირის განმავლობაში ბევრ სკოლას ვიღებთ. ჩვენი სტუმრების ასაკი ძალიან განსხვავდება. ჩვენ ვიღებთ სკოლებს, რომლებიც ოთხი წლის ასაკის ბავშვებით მოდიან, მაგრამ არის საშუალო სკოლები ან ასევე უნივერსიტეტები

ჩვენ ასევე ვიღებთ ზრდასრულთა ჯგუფებს და ზოგჯერ ვიღებთ ოჯახებსაც.

***გუბაზი:* ძირითადად, რაც ახლა თქვით, ის გეხმარებათ ფინანსურ მდგრადობაში, არა?**

ლისბეთი: დიახ, დიახ, დიახ.

***გუბაზი:* ესეც შემოსავლის წყაროა?**

ლისბეთი: ჰო, რადგან ახალგაზრდული საქმიანობა არ არის საკმარისი.ეს არის ჩვენი სამიზნე ჯგუფი, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ თავი გავიტანოთ.

***გუბაზი*: ანუ თქვენ ძირითადად აქირავებთ სხვადასხვა ოთახებს სხვადასხვა ჯგუფებისთვის, არა?**

ლისბეთი: ჰო.

***გუბაზი:* რაკი უკვე დავიწყეთ საუბარი მდგრადობაზე და ამ ფინანსურ საკითხებზე, შეგიძლიათ, გვითხრათ, რას აკეთებთ ახალგაზრდული ცენტრის მდგრადობის შესანარჩუნებლად? დასაწყისში აღნიშნეთ, რომ სამთავრობო დაფინანსებაც გაქვთ, თქვენ ასევე მასპინძლობთ სხვადასხვა ჯგუფებს... ეს საკმარისია ახალგაზრდული ცენტრის ფინანსური მდგრადობის შესანარჩუნებლად თუსხვა რამეების გაკეთებაც გიწევთ, მაგალითად, არ ვიცი, შემოწირულობები ან სხვა პროექტები, ან მსგავსი რამ.**

ლისბეთი: შენობები მთავრობას ეკუთვნის, ამიტომ მათ შენახვაზე არაფერი გვაქვს სადარდებელი. კიდევ, როდესაც სტუმრები აკეთებენ ჯავშანს ჩვენს ცენტრში, ჩვენ ყოველთვის ვითხოვთ დეპოზიტს. რადგან მნიშვნელოვანია, რომ უკვე შეგვეძლოს ამ ფულის გამოყენება. და თუ ისინი გააუქმებენ ხელშეკრულების დადასტურების შემდეგ ჯავშანს, მოუწვეთ გაუქმების ჯარიმის გადახდა, რადგან ეს ხელს უშლის სხვა ჯგუფების ცენტრში დარჩენას. ამ თანხის ოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის გააუქმებენ ჯავშანს. რაც უფრო ახლოს იქნება მათი ჩამოსვლის თარიღთან, მით მეტია გადასახადი. სხვა რამ არის ის, რომ ჩვენს თანამშრომელთა უმეტესობას ნახევარ განაკვეთზე აქვს მუდმივი კონტრაქტი ჩვენს ცენტრში, ამიტომ ისინი სამსახურში მხოლოდ მაშინ გამოდიან, როცა სტუმრები გვყავს. მაგალითად, ზამთრის პერიოდში, ბევრი ჯგუფი არ გვყავს ცენტრში, ამიტომ ჩვენს თანამშრომლებს შეუძლიათ სახლში დარჩნენ.

***გუბაზი*: მთავრობა თავად ზრუნავს შენობაზე, არა?**

ლისბეთი: დიახ.

***გუბაზი:* ანუ, ძირითადად, მთელი შემოსავალი, რაც გაქვთ იხარჯება პერსონალისთვის და ახალგაზრდების პროგრამებისთვის, არა?**

ლისბეთი: ჰო, და კვებისთვისაც.

***გუბაზი:* ჰო, ახლა, რაკი პროგრამებიც აღვნიშნეთ, მოდით, ჩავუღრმავდეთ ახალგაზრდული ცენტრის ყოველდღიურ მუშაობას და ყოველდღიურ პროგრამირებას. შეგიძლიათ ახალგაზრდული ცენტრის ერთი დღის შესახებ მომიყვეთ?**

ლისბეთი: ჩვენს ცენტრებში ყველა დღე განსხვავებულია. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ვიყოთ მოქნილი და ჩვენი მთლიანი დღე არ დავაკავოთ. მზარეულები და დამსუფთავებლები დილის 7 საათზე იწყებენ სამზარეულოში და იწყებენ ოფისის დალაგებას. 9 საათზე იხსნება მიმღები და, ჩვეულებრივ, დილის 8:30 საათზე მოვდივარ მე. ამ დროს, მე ვხვდები დარაჯს და განვიხილავ მას, თუ როგორ ჩაიარა წინა საღამომ. ამის შემდეგ, მე სამზარეულოს პასუხისმგებელ პიროვნებას ვხვდები და განვიხილავ როგორ წარიმართა მათი მომსახურება, როგორი იყო სადილი, როგორი იყო საუზმე, აქვს თუ არა ჯგუფს რაიმე სპეციალური მოთხოვნა.... სწორია თუ არა ჯგუფის წევრების რაოდენობა და ა.შ. რეგულარულად მაქვს საკონსულტაციო მომენტები ჩვენს ხალხთან. ასევე ელ.ფოსტის წერილებზე პასუხის გაცემას დიდი დრო სჭირდება, მე ასევე დიდ დროს ვუთმობ ოთახებში ჩექ-ინს და ჩექ-აუთს. რეგულარულად დავდივარ შენობაში დღეში რამდენჯერმე, რომ ვნახო ყველაფერი წესრიგშია, თუ არა. მე ვესაუბრები ჯგუფებსა და ჩვენს თანამშრომლებს.

***გუბაზი:* ძირითადად რა სახის პროგრამები გაქვთ ახალგაზრდებისთვის?**

ლისბეთი: ჯგუფების უმეტესობა თვითონ ქმნის პროგრამას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ღონისძიების ორგანიზებას გვთხოვენ, ჩვენ ამას ვაკეთებთ. მაგრამ ეს ყოველთვის არ ხდება. მაგალითად, როგორც ადრე გითხარით, ჩვენ გვაქვს გამოფენა და ჩვენ შეგვიძლია მათთვის გიდობის გაწევა, გარდა ამისა, შეგვიძლია ექსკურსია მოვუწყოთ ჩვენს ტყეში, მაგრამ ჯგუფებს თავად აქვთ არჩევანის უფლება. მათ მხოლოდ გარკვეულ მომენტებში უწევთ მოსვლა ჩვენთან.

***გუბაზი:* რას ურჩევდით მათ, ვისაც ახალგაზრდული ცენტრის შექმნა სურს, განსაკუთრებით, პრაქტიკისა და გამოცდილების მხრივ, რაც თქვენ გაქვთ, რადგან ახლა, ვინც ამ ვიდეოებს უყურებს, იმედია, ახალგაზრდული ცენტრის გახსნაზე დაიწყებს ფიქრს. რა რეკომენდაცია გექნებოდათ? რას ურჩევდით?**

ლისბეთი: ვურჩევდი, კონცენტრირება არ გააკეთონ ერთ სამიზნე ჯგუფზე, ეცადონ მიიღონ მრავალფეროვანი, სხვადასხვა ჯგუფები მთელი წლის განმავლობაში. ასევე მნიშვნელოვანია, თქვენი სტუმრებისთვის მკაფიო წესების განსაზღვრა. მათ წინასწარ უნდა იცოდნენ, რა არის დაშვებული და რა არა. ამის შემდეგ, თქვენ მაინც მიიღებთ უამრავ კითხვას არსებული წესების შესახებ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ სტუმრებს ჰქონდეთ კარგი განწყობა ჩვენს ცენტრში. თქვენ უნდა მოუსმინოთ მათ შეკითხვებს და მოლოდინებს, მაგრამ არ უნდა დაუშვათ ზედმეტები თქვენს ცენტრში. სტუმრებთან ერთად ვეძებთ გამოსავალს, რომელიც ყველასთვის მისაღებია, თუ მათ თხოვნა აქვთ წესების ცვლილებასთან დაკავშირებით. მაგალითად, გასულ კვირას ჩვენი ეროვნული ნაკრების საფეხბურთო მატჩი იყო ტელევიზორში რომელიც ვახშმის დროს ემთხვეოდა. თავდაპირველად ჯგუფს სურდა ვახშამი მატჩის დასრულების შემდეგ, მაგრამ ეს ნიშნავდა, რომ ჩვენს მზარეულს უფრო დიდხანს მოუწევდა დარჩენა. ჩვენ შევთანხმდით, რომ შესვენე-

ბის დროს ეჭამათ, მართალია ეს უკვე 45 წუთით გვიანი იყო, ვიდრე ვახშმის ჩვეულებრივი დრო, მაგრამ მათთვის ეს მისაღები იყო და ასევე ჩვენი თანამშრომლებისთვის. ასე რომ, ეს კარგი გამოსავალი იყო ორივესთვის.

გუბაზი: **შესანიშნავია, ძალიან სასიამოვნოა იმის მოსმენა, თუ როგორ მუშაობს თქვენი ახალგაზრდული ცენტრი. მართლაც სასიამოვნოა იმის მოსმენა, რომ ბევრი ადამიანი მოდის და მათ აქვთ განცდა, რომ მათ რეალურად შეუძლიათ სარგებელი მიიღონ ახალგაზრდული ცენტრისგან. და მე ნამდვილად იმედი მაქვს, რომ ადამიანები, რომლებიც ამ ვიდეოსაც უყურებენ, მაქსიმალურად გამოიყენებენ ჩვენ მიერ შეთავაზებულ კონტენტს.**

V მოდული

ახალგაზრდობის
პოლიტიკა
მოქმედებაში

V მოდული - ახალგაზრდული პოლიტიკა მოქმედებაში

5.1 ახალგაზრდობის პოლიტიკის სტანდარტი და
5.2 ხარისხის კრიტერიუმები;
5.3 პოლიტიკის ციკლი - მისი ეტაპობრივი
5.4 ფორმირება;
5.5 პოლიტიკის დოკუმენტის სტრატეგიული ნაწილი;
5.6 ლოგიკური ჩარჩო;
5.7 სამოქმედო გეგმა და ფინანსები;
5.8 რისკები;
5.9 კარგი მმართველობა;
5.10 ახალი საჯარო მმართველობა;
5.11 ადვოკატირება და ლობირება;
5.12 ფონდების მოძიება;
5.14 მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა და მათი შესრულების ნაბიჯები; მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია.

5.1 ახალგაზრდობის პოლიტიკის სტანდარტი და ხარისხის კრიტერიუმები

ავტორი: ანა კვერნაძე

საქართველოს პოლიტიკის დაგეგმვის სისტემაში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით პოლიტიკის დოკუმენტებში იგულისხმება 3 სახის დოკუმენტი: კონცეფცია, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ხოლო პოლიტიკის დოკუმენტების სხვა ტიპები კი ჯერ-ჯერობით საქართველოს პოლიტიკის სისტემისთვის უცნობია.

პოლიტიკის დოკუმენტი არის პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის შედეგი, რომელიც განსაზღვრავს პრობლემის გადაწყვეტისა და სფეროს განვითარების გზებს, რომლის ერთ-ერთი სახეობაა როგორც აღვნიშნეთ სტრატეგია და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა.

ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში, ცენტრალურ დონეზე შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტი - „სახელმწიფო ახალგაზრდული სტრა-ტეგია 2025“, რომელიც განსაზღვრავს სფეროს პრიორიტეტებს, მიზნებსა და ამოცანებს, აყალიბებს მიდგომებს დასახული მიზნების/ამოცანების განსახორციელებლად და ადგენს შედეგების ინდიკატორებს პროგრესის შესაფასებლად. ხოლო, აღნიშნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს ახალგაზრდული პოლიტიკის პრიორიტეტების, მიზნების და ამოცანების მისაღწევად კონკრეტულ აქტივობებს, შედეგების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ უწყებებს, შესრულების ვადებს, ბიუჯეტსა და დაფინანსების წყაროს.

„სახელმწიფო ახალგაზრდული სტრატეგია -2025“, შემუშავებულია ეროვნული პოლიტიკის დაგეგმვის სტანდარტების შესაბამისად, რაც იმას ნიშნავს, რომ, სტრატეგიას გააჩნია ყველა ის საჭირო კრიტერიუმი, რომლის მეშვეობით შესაძლებელი დება სტრატეგიით განსაზღვრულ დროში მისი განხორციელების პროგრესის მონიტორინგი და შეფასება, ანუ რეალური შედეგების გაზომვა.

მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტები უნდა ეფუძნებოდეს სახელმწიფო ახალგაზრდული სტრატეგიის ანუ ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტის პრინციპებს, პრიორიტეტებსა და მიზნებს და შემუშავებული უნდა იყოს ქვემოთ მოცემული სტანდარტების შესაბამისად.

მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებული სტრატეგიები სასურველია ფარავდეს 3-5 წლიან, ხოლო სამოქმედო გეგმები კი 1-2 წლიან პერიოდს. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა უნდა განსაზღვრავდეს იმ მიზნებს, ამოცანებს, მიმართულებებს და აქტივობებს ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც მუნიციპალიტეტი გეგმავს რომ განახორციელებს ამ სფეროში არსებული საჭიროებების, ინტერესების და გამოწვევების საპასუხოდ ადგილობრივ დონეზე.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო“, მთავრობის დადგენილება 629.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4747283?publication=0

5.2 პოლიტიკის ციკლი – მისი ეტაპობრივი ფორმირება

ავტორი: ანა კვერნაძე

პოლიტიკის შემუშავების პროცესი მრავალი ეტაპისგან შედგება და აქვს ციკლის სახე. ისევე, როგორც ცენტრალური ხელისუფლების დონეზე, ადგილობრივი პოლიტიკის ციკლი:

1. იწყება მუნიციპალიტეტში არსებული სიტუაციის ანალიზით - პრობლემების იდენტიფიცირებით;
2. გრძელდება ამ სიტუაციის საპასუხოდ პრობლემების გადაჭრის გზების განსაზღვრით და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებით (რომლის ბიუჯეტიც კარგად უნდა იყოს დათვლილია);
3. ციკლი მთავრდება მათი შესრულების შეფასებით, რაც, თავის მხრივ, პოლიტიკის ახალი ციკლის დაწყების, ანუ განვითარების დოკუმენტის განახლების საფუძველია.

ამ ნაწილში განვიხილავთ ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის ეტაპებს და მათი შემუშავების მეთოდებს და დეტალურად დავფარავთ პოლიტიკის ციკლის პირველ 2 ეტაპს, შესაბამისი მაგალითებით.

ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში მუნიციპალიტეტი გადის შემდეგი ეტაპებს:

1. პოლიტიკის შექმნასა და კოორდინაციაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის ფორმირება;
2. აღნიშნული სფეროს სიტუაციის ანალიზი;
3. ლოგიკური ჩარჩოს ფორმირება;
4. სამოქმედო გეგმის შემუშავება და ბიუჯეტირება;
5. საჯარო კონსულტაციები - ახალგაზრდების მონაწილეობა ახალგაზრდობის პოლიტიკის შექმნის პროცესში.

პოლიტიკის შექმნის და დამტკიცების შემდგომი 2 მნიშვნელოვანი პროცესია:

6. ახალგაზრდობის პოლიტიკის მონიტორინგი და შეფასება (მათ შორის ხარისხის შეფასება).

ეტაპი I: მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის შექმნასა და კოორდინაციაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის ფორმირება. მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტი, წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის გეგმას ახალგაზრდებთან დაკავშირებით და იგი არ შეიძლება დაიწეროს დახურულ კარს მიღმა, შესაბამისი სამსახურის თანამშრომლების, ან თუნდაც გარედან მოწვეული კვალიფიციური ექსპერტების მიერ. აღნიშნული პოლიტიკა უნდა შეიქმნას ფართო მსჯელობისა და კონსესუსის შედეგად, განხილვაში კი ჩართული უნდა იყოს ყველა ის მხარე, რომელიც პროფესიულად და კომპეტენციურად დაკავშირებულია ახალგაზრდული სფეროს პოლიტიკასთან. ინკლუზიური პროცესის შედეგად მიღებული პოლიტიკის შედეგად, პასუხისმგებელი მუნიციპალიტეტი მეტად ანგარიშვალდებულია მონიტორინგისა და შეფასების ეტაპებზე, ყველა ჩართულ მხარესთან, რომლებსაც ასევე მეტი ბერკეტები გააჩნიათ აწარმოონ პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი.

ამასთან უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდული პოლიტიკის გატარება საკმაოდ დიდ რესურსს მოითხოვს როგორც ფინანსური და მატერიალური, ისე ადამიანური თვალსაზრისით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტებს სჭირდებათ დონორი ორგანიზაციების, ფონდებისა თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა, რიგითი ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა,

ამისათვის კი საჭიროა, ყველა ეს სუბიექტი დაგეგმვის ეტაპიდანვე აქტიურად მონაწილეობდეს პროცესში და მკაფიოდ ხედავდეს საკუთარ ადგილს, როლსა და წვლილს საერთო საქმეში.

დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობის დამყარება, როგორც ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავების პროცესის საწყისი ეტაპი, უმნიშვნელოვანესია და სწორედ იგი ქმნის შემდგომი ეტაპების წარმატების მყარ საფუძველს.

პოლიტიკის შექმნის გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, პირველი ეტაპი არის დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და პოლიტიკის შექმნის მიზნებისთვის შესაბამისი ჯგუფის შექმნა. ადგილობრივ დონეზე, შესაძლოა, არსებობს დაინტერესებულ მხარეთა დიდი ჯგუფი მრავალფეროვანი ხედვებით და ინტერესებით. ესენი შეიძლება იყვნენ: ინდივიდუალური პირები, ჯგუფები, თემები ან ინსტიტუცია, რომლებიც კონკრეტული რესურსით, პროცესით, მომსახურებით ან ჩარევითა არიან დაინტერესებულნი, რადგან მასზე სხვების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები პირდაპირ ან არაპირდაპირ ზემოქმედებას ახდენენ.

საწყის ეტაპზე უნდა მოხდეს ადგილობრივ დონეზე არსებული კონკრეტული ინსტიტუციების, პირებისა თუ პირთა ჯგუფების დასახელება და წერილობით დაფიქსირება, რათა შემდეგ უფრო ადვილად წარმოვიდგინოთ მათთან კომუნიკაციისა და პარტნიორული ურთიერთობების დამყარების სტრატეგია.

საყურადღებოა იმ მხარეების გამოვლენა ადგილობრივი თვითმმართველობის (მერიის, მუნიციპალიტეტის) შიგნით, რომელთაც ახალგაზრდობის საკითხები პირდაპირ არ ეხებათ, თუმცა აბარიათ ის მიმართულებები მაგ. როგორიც არის: ჯანდაცვა, სოციალური დაცვა, ინფრასტრუქტურა, ფინანსები და სხვა თემები, რომლებიც მათ შორის ახალგაზრდებსაც ეხებათ და, შესაძლოა, ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტში პრიორიტეტის სახითაც კი გამოიკვეთოს. ამ საკითხთა კურატორ პირებთან მჭიდრო თანამშრომლობა თავიდანვეა აუცილებელი.

ამრიგად, დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირების ეტაპზე პირველ რიგში ხდება კონკრეტული უწყებების, პირებისა თუ პირთა ჯგუფების იდენტიფიცირება, რომელთაც თავიანთი როლითა თუ საქმიანობით შეუძლიათ პროცესზე როგორც დადებითი გავლენის მოხდენა.

მას შემდეგ რაც მოხდება საჭირო პირების იდენტიფიცირება და მათგან პროცესში მონაწილეობის შესახებ დადებითი პასუხი უკვე მიღებულია, ყალიბდება პოლიტიკის შექმნის სამუშაო ჯგუფი. ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელ სამუშაო ჯგუფს ჰყავს კოორდინატორი, რომელიც კოორდინაციას უწევს ჯგუფის მუშაობას, ორგანიზებას უკეთებს სამუშაო შეხვედრებს და არის საკონტაქტო პირი პროცესში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან. ჯგუფის კოორდინატორი არის მერის მოადგილე ან მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. მისი ინიციატივით, სამუშაო ჯგუფი იკრიბება, სულ მცირე, ორ კვირაში ერთხელ. სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი ამზადებს განსახილველი საკითხების დღის წესრიგს, ჯგუფის წევრებთან განიხილავს პროცესის მიმდინარეობას და მათთან ერთად განსაზღვრავს თითოეული წევრის როლს.

მნიშვნელოვანია, რომ სამუშაო ჯგუფმა ამ ეტაპზევე დაგეგმოს ახალგაზრდობის ჩართულობის მექანიზმებისა და ფორმატების შემუშავება. უმჯობესია ისინი აღნიშნული სამუშაო ჯგუფის, ან სხვა და სხვა ფოკუს ჯგუფების მუშაობაში პირველივე ეტაპიდანვე იყვნენ ჩართულები რადგან დასაწყისშივე იყოს უზრუნველყოფილი სრული ინკლუზიურობა, ღიაობა და მიზნობრივი ჯგუფების სა-

ჭიროებების მაქსიმალურად გათვალისწინება.

ეტაპი II - სიტუაციის ანალიზის ჩატარება - სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტების შემდეგ, იწყება აქტიური სამუშაო პროცესი, რომლის საწყისი ნაბიჯი არის ახალგაზრდული სფეროს პრობლემების პირველადი ანალიზის ჩატარება, რასაც სიტუაციის ანალიზი ეწოდება. პრობლემების ზედმიწევნით გააზრების გარეშე შესაძლოა, ახალგაზრდული ისევე როგორც ნებისმიერი სხვა პოლიტიკის ძალისხმევა არასწორი მიმართულებით წარიმართოს და მოსალოდნელი შედეგები ვერ მივიღოთ. სიტუაციის ანალიზისთვის შესაძლებელია ჩატარდეს ახალგაზრდული სფეროს სრულყოფილი საბაზისო კვლევა ადგილობრივ დონეზე, ან შეფასდეს ახალგაზრდობის პოლიტიკის წინა დოკუმენტის განხორციელება. სიტუაციის ანალიზში სტრუქტურირებულად უნდა იყოს მოცემული კვლევის ან შეფასების შედეგად გამოვლენილი ახალგაზრდული სფეროს ძირითადი მიგნებები, პრობლემები და მათი გამომწვევი ფაქტორები ადგილობრივ დონეზე (მუნიციპალიტეტში), რომელიც გამყარებული უნდა იყოს შესაბამისი მონაცემებით. პრობლემების გამომწვევი ფაქტორების მტკიცებულებების სახით არსებობა, მათი ვალიდურობა, აუცილებელი პირობაა სიტუაციური ანალიზის ჩატარების დროს.

სიტუაციის ანალიზისას დროს მუნიციპალიტეტმა/სამუშაო ჯგუფმა უნდა გასცეს პასუხი შემდეგ კითხვებს:

- რა სახის პრობლემასთან გვაქვს საქმე?
- როგორია პრობლემის მასშტაბი (ზომა) და როგორია მისი გავრცელება (მუნიციპალური, რეგიონული, ა.შ)?
- რა ფაქტორები შეიძლება იწვევდეს აღნიშნულ პრობლემას? ვისზე და რაზე ახდენს პრობლემა გავლენას?
- ვის გააჩნია უნარი და შესაძლებლობა ყველაზე ეფექტურად მართოს ან გადაჭრას ეს პრობლემა?
- რამდენი ხანია, რაც პრობლემა არსებობს?
- როგორია მისი ისტორიული მაჩვენებლები? უარესდება, ერთ დონეზე ნარჩუნდება, თუ უმჯობესდება?
- როგორ შეიცვლება პრობლემა მომავალში? გაიზრდება, შემცირდება თუ იგივე დარჩება?

მხოლოდ კარგად ჩატარებული სიტუაციის ანალიზის შედეგად, შეიძლება გამოიკვეთოს ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების მიზნები, ამოცანები, ინდიკატორები და მონაცემთა წყაროები.

პოლიტიკის შექმნის პროცესში, სიტუაციის ანალიზის ეტაპზე, ყველაზე მეტად რეკომენდირებულია პრობლემის ხის აგება, რაც ყველაზე მეტ საშუალებას აძლევს პროცესში ჩართულ პირებს უფრო კარგად მოახდინონ ფოკუსირება პრობლემის საწყისებზე - გამოვწევ ფაქტორებზე და განსაზღვრონ სწორედ ამ ფაქტორების აღმოსაფხვრელი მიზნები და ამოცანები, რომელიც კონკრეტული შედეგების მომტანი იქნება.

აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანია ახალგაზრდობის სფეროსთან მჭიდროდ დაკავშირებული აქტორების მონაწილეობა, რომლებიც კომპეტენტურები არიან მსჯელობის შედეგად გამოკვეთონ სფეროს პრობლემები, მათი გამომწვევი ფაქტორები და გადაჭრის გზები.

როგორ გავაკეთოთ პრობლემების ხის ანალიზი? მსგავსი ანალიზის წარმოება ყველაზე საუკეთესოდ განხორციელებადია პატარა სამუშაო ჯგუფის პირობებში, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ სფეროს წარმომადგენლები,

მუნიციპალიტეტის, ახალგაზრდული და არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სექტორისა და თავად ახალგაზრდების ჩართულობით.

პირველ რიგში, უნდა გაკეთდეს პრობლემებისა ჩამონათვალი, ხოლო მეორე ეტაპზე კი მათი გამომწვევი ფაქტორების იდენტიფიცირება. პრობლემების დალაგებულ უნდა მოხდეს იერარქიულად. საწყის ეტაპზე პროცესი საკმაოდ ზოგად და ურთიერთგადაკვეთის პრობლემებს იძლევა, თუმცა მათი დალაგება იერარქიულად ხის სტრუქტურაში ყველაფერს თავის ადგილზე ალაგებს.

პრობლემების ხის ჩარჩოსთან დაკავშირებით მნივშნელოვანი დისკუსია უნდა წარმოებდეს მუნიციპალიტეტის დონეზე, ჩართული უნდა იყოს ყველა მონაწილე მხარე და მათ უნდა მიეცეთ საშუალება გამოთქვან მათი არგუმენტირებული პოზიციები. დისკუსიის დროს მნიშვნელოვანია შემდეგი კითხვების დასმა:

- ასახავს თუ არა იდენტიფიცირებული პრობლემები რეალობას?
- აღნიშნული პრობლემების მოუგვარებლობით დგება თუ არა უფრო დიდი საფრთხე და ღრმავდება თუ არა პრობლემის საწყისი მდგომარეობა?
- რა არის პრობლემების კვალდაკვალ დამდგარი შედეგები?
- ყველაზე მეტად რომელ პრობლემას გამოყოფდით?
- რომელია ყველაზე მარტივი ან რთული პრობლემების გამომწვევი ფაქტორები? რა გადაწყვეტები არსებობს?

შედეგი	**ახალგაზრდების სოციალური პრობლემები.**
პრობლემა	**ახალგაზრდების უმუშევრობა**
პრობლემის გამომწვევი ფაქტორი	**სამუშაო ძალის მოთხოვნისა და მიწოდების დისბალანსი**

მნიშვნელოვანია რომ სიტუაციის ანალიზის ეტაპი, ისევე როგორც ყველა სხვა ეტაპი ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებათა მიდგომას (HRBA) და ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებს, რაც ითვალისწინებს ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვისა და წარმოების ფარგლებში, ყველა სახის დისკრიმინაციის დაშვების გამორიცხვას და მოწყვლადი, მარგინალიზებული ჯგუფების დაცვას, რომლებსაც უამრავი ბარიერები აქვთ მათი უფლებების განხორციელების გზაზე. ამ მიდგომის გათვალისწინება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობების მაგალითზე ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვის ფარგლებში, მაშინ როდესაც ინტეგრაციის მიზნებისთვის ენობრივი ბარიერები ძალიან ბევრ პრობლემებს ქმნის. შესაბამისად, ამ ტიპის მაგალითები პოლიტიკის დაგეგმვის დროს აუცილებლად უნდა იქნას მხედველობაში მიღებული.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო“, მთავრობის დადგენილება 629.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4747283?publication=0

5.3 პოლიტიკის დოკუმენტის სტრატეგიული ნაწილი

ავტორი: ანა კვერნაძე

ახალგაზრდული პოლიტიკის პრობლემებისა და მათი გამომწვევი ფაქტორების გამოვლენის საფუძველზე, იქმნება პოლიტიკის დოკუმენტის ე.წ. სტრატეგიული ჩარჩო, ანუ სტრატეგიული ნაწილი, რომელშიც სამუშაო ჯგუფში განხილვებისა და პრობლემის ხის ანალიზზე დაფუძნებით, უნდა გაიწეროს პოლიტიკის ახალი ხედვა, მიზნები, ამოცანები და ამოცანის შედეგების ინდიკატორები. პოლიტიკის დოკუმენტის ეს ნაწილი ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ამ ნაწილში იწერება პრობლემების გადაწყვეტის ახალი ხედვა და კონკრეტული ნიშნულები თუ სად გვინდა რომ მივიდეთ და რას გვინდა რომ მივაღწიოთ.

- სტრატეგიული ხედვა, ეს არის მოკლე, ზოგადი და მარტივად ჩამოყალიბებული განაცხადი, რომელიც აყალიბებს იმ სასურველ შედეგს, რაც უნდა დადგეს პოლიტიკის განხორციელების შემდეგ. განაცხადი უნდა იყოს მხოლოდ ერთი, ორი ან მაქსიმუმ სამი წინადადება;
- მიზანი არის შედარებით ზოგადი ტიპის განაცხადი, რომელიც ასახავს ხელისუფლების გრძელვადიან (3 და მეტი წელი) ხედვას სექტორში იდენტიფიცირებული კონკრეტული პრობლემის გადაჭრის შედეგად სასურველი შედეგის შესახებ;
- ამოცანა არის განცხადება მიზნის მიღწევის უფრო კონკრეტულ, შუალედურ მდგომარეობაზე.

მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრის პროცესი წარიმართება სამი კრიტერიუმით: (1) ექცევა თუ არა საკითხი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებაში; (2) რამდენად მნიშვნელოვანია ამ პრობლემის მოგვარება ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებისთვის; და (3) შესაძლებელია თუ არა ფინანსური, ადამიანური და ტექნიკური რესურსების გამოყოფა მის მოსაგვარებლად. პრობლემათა ის ნაწილი, რომელიც არ შედის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში, აისახება დოკუმენტის სიტუაციური ანალიზის ნაწილში, რათა არ დარჩეს ყურადღების მიღმა და მუნიციპალიტეტმა შუამდგომლობა გაუწიოს ხელისუფლების სხვა რგოლებსა და დაინტერესებულ მხარეებს.

ხედვის მაგალითი შეიძლება იყოს: „ადგილობრივი თვითმმართველობა ახალგაზრდებისთვის ქმნის მათი, როგორც დამოუკიდებელი ინდივიდების და საზოგადოების სრულფასოვანი წევრების განვითარების მხარდამჭერ გარემოს, სადაც უზრუნველყოფილია ახალგაზრდების, როგორც ინდივიდების და ადამიანური კაპიტალის მთავარი განახლებადი წყაროს პოტენციალის სრულად რეალიზება, მრავალმხრივი განვითარება, სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სრულფასოვანი მონაწილეობა.“

მიზნების მაგალითი შეიშლება იყოს შემდეგი ფორმულირება: „საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების გაძლიერებული ჩართულობის, თანაბრად მონაწილეობის, და აქტიური მოქალაქეობის ხელშეწყობა“ „მუნიციპალურ დონეზე ახალგაზრდული საქმიანობის და არაფორმალური განათლების მეშვეობით ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა“ ან და - „ახალგაზრდების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაძლიერება“.

ამოცანების მაგალითი: „მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული მუშაკის პროფესიის დანერგვის, გავრცელების და განვითარების ხელშეწყობა,“ “მუნიციპა-

ლიტეტის მასშტაბით, ხარისხიანი ჰობი განათლების განვითარება და ხელ-მისაწვდომობის გაზრდა“ „მუნიციპალიტეტის დონეზე ბავშვთა/ადრეული ქორ-წინებებისა და მოზარდთა ორსულობის შემცირება“.

რა არის ინდიკატორი? ინდიკატორი არის საშუალება, რომლითაც იზომება მიზნების, ამოცანებისა და აქტივობების მიღწევა ან შესრულება. მათი გამოყენებით იზომება:

1. რამდენად წარმატებით დადგა მიზნებსა და ამოცანებში დასახული სასურველი შედეგი, ან არის თუ არა პროგრესი მათი მიღწევის გზაზე;
2. რამდენად წარმატებით აღმოიფხვრა სიტუაციის ანალიზში წარმოდგენილი პრობლემები და მათი გამომწვევი ფაქტორები, ან არის თუ არა პროგრესი მათი მოგვარების მხრივ.

ინდიკატორებით ფასდება კონკრეტულ სექტორსა და სფეროში მიღწეული პროგრესი, ასევე, პასუხისმგებელი უწყების ეფექტურობა, ეფექტიანობა, ეკონომიურობა და თანასწორობა კონკრეტული შედეგების მიღწევის მიმართულებით.

ინდიკატორები უნდა იყოს:

1. **კონკრეტული** - ინდიკატორი უნდა იყოს ვიწრო, კონკრეტული და ნათელი;
2. **მიღწევადი** - ინდიკატორი უნდა იყოს მიღწევადი და რეალისტური, და არა ზედმეტად ამბიციური ან მოკრძალებული;
3. **გაზომვადი** - ინდიკატორის შინაარსი უნდა იძლეოდეს პროგრესის გაზომვის შესაძლებლობას;
4. **შესაბამისი** - ინდიკატორი უნდა ზომავდეს პირდაპირ/უშუალოდ ცვლილებას და მის მნიშვნელოვან მახასიათებლებს;
5. **დროში გაწერილი** - ის უნდა იყოს დროში გაწერილი, იმგვარად, რომ ჩანდეს მისი მიღწევის დრო. ამ უკანასკნელს უზრუნველყოფს ლოგიკურ ჩარჩოში (მე-4 დანართი) წლებისა და მაჩვენებლების მითითების შესაძლებლობა საწყისი, შუალედური და საბოლოო სამიზნე ინდიკატორებისთვის.

ინდიკატორები შეიძლება იყოს რაოდენობრივი - დათვლადი - მაგა-ლითად, სტატისტიკური მაჩვენებლები და შეიძლება იყოს ხარისხობრივი - ფაქ-ტობრივი ინფორმაცია - მაგ. როგორიცაა კანონმდებლობის ძალაში შესვლა. ინდიკატორს უნდა მიეთითოს საბაზისო, შუალედური და სამიზნე მაჩვენებლები (მაგ.იმ ახალგაზრდების წილი, რომლებიც არიან დასაქმების, განათლების და ტრენინგის მიღმა (NEET ახალგაზრდები) საბაზისო გახლავთ - 2020 წელი - 32%; შუალედური მაჩვენებელი (სასურველი მაჩვენებელი)შეიძლება იყოს - 2025 წელი - 25%; სამიზნე სასურველი მაჩვენებელი - 2030 წელი - 20%. რაც მეტად რეალისტურს ხდის დასახული ამოცანებისა და მიზნების მიმართულებას და რაც მონიტორინგისა და შეფასების პროცესში იძლევა ძალიან ხელშესახებ ინფორმაციას - თუ რამდენად იქნა მიღწეული დაგეგმილი ამოცანები/მიზნები.

რა განსხვავებაა გავლენის ინდიკატორს, ამოცანის შედეგის ინდიკატორისა და აქტივობის ინდიკატორს შორის?

- **გავლენის ინდიკატორი (impact)** – იგი ზომავს გრძელვადიან ცვლილებას, რომელიც მიღწეულია მიზანთან მიმართებით. იგი აჩვენებს კიდევ უფრო ზოგად, მაგრამ გაზომვად და ხელშესახებ ცვლილებას, რომელიც მიღწეულია კონკრეტული სამიზნე ჯგუფის უფლებრივი, ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებით. მაგალითად: იმ ახალგაზრდების წილი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებულია მუნიციპალური პოლიტიკურ დღის წესრიგში.

- **ამოცანის შედეგის (outcome) ინდიკატორი** – უკავშირდება აქტივობების განხორციელების შედეგად მიღებულ ცვლილებას ამოცანის დონეზე. მაგალითად: იმ ახალგაზრდების წილი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მუნიციპალურ დონეზე ახალგაზრდებისთვის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი ინკლუზიური და სწრაფი რეაგირების უნარის მქონეა.
- **აქტივობის შედეგის (output) ინდიკატორი** – აქტივობის შედეგის ინ-დიკატორი პირდაპირ უკავშირდება იმ აქტივობის შინაარსს, რომლის განხორციელებაც არის გათვალისწინებული. იგი გვიჩვენებს აქტივობის მყისიერ შედეგს. მაგალითად: იმ ახალგაზრდების წილი, რომლებმაც გაიარეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობის შესახებ სპეციფიური ტრენინგები.

რა ინდიკატორებით შეიძლება გაიზომოს მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკა? იმისათვის, რომ ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელება წარმატებით შედგეს, საჭიროა შესაბამისი შინაარსობრივი ინდიკატორების შემუშავება, რომლებიც ნაკლებად იქნება ეგრეთ წოდებული „სურვილების ჩამონათვალი“ , არამედ მეტად ასახავს რეალობას. იგი გაზომავს შედეგებს ახალგაზრდული პოლიტიკის მიმართულებით. ამისთვის აღნიშნულ სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ახალგაზრდული პოლიტიკის სპეციფიური ინდიკატორები, რომლებიც გამოიყენება საერთაშორისო დონეზე პოლიტიკის საზომად და ახალგაზრდების ცხოვრების ნებისმიერი ასპექტისა თუ კეთილდღეობის შესახებ სურათის შესაქმნელად. აღნიშნული ინდიკატორები ადაპტირებადია მუნიციპალიტეტების დონეზე, მათი ინდივიდუალური გამოწვევების კვალდაკვალ.

ახალგაზრდობის პოლიტიკის ძირითადი ინდიკატორები, რომლებიც მონაცემების არსებობის შემთხვევაში სასურველია დაიშალოს გენდერულ და ასაკობრივ ჭრილში გახლავთ შემდეგი:

- მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელი;
- მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების დასაქმების მაჩვენებელი;
- მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების სამუშაო ძალის მაჩვენებელი;
- მუნიციპალიტეტში ახალგაზრდა რომელიც არ სწავლობს, არ მუშაობს ან არ არის ჩართული საგანმანათლებლო საქმიანობაში - NEET მაჩვენებელი;
- მუნიციპალიტეტის დონეზე ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც იმყოფებიან ემიგრაციაში;
- მუნიციპალიტეტის უმაღლესი/საშუალო და პროფესიული განათლების მქონე ახალგაზრდების რაოდენობა;
- მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების განათლების დონე იმ ახალგაზრდების % რაოდენობა, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები ცხოვრების მანძილზე სწავლებაში (LLL);
- მუნიციპალურ სოციალურ-კულტურულ აქტივობებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა;
- ადგილობრივ დონეზე, იმ ახალგაზრდების % რაოდენობა, რომლებიც მიყვებიან ცხოვრების ჯანსაღ წესს;
- მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების მიერ სასწავლებლების მიტოვების მაჩვენებელი (drop-out rate);
- მუნიციპალიტეტში მცხოვრები იმ ოჯახების % რაოდენობა სადაც ცხოვრობენ 29 ან ნაკლები ასაკის პირები და ფლობენ კომპიუტერს;
- ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების % რაოდენობა, რომლებსაც არასდროს გამოუყენებიათ კომპიუტერი (სხვა ტექნოლოგიური მოწყობილობები);

- მუნიციპალური სკოლების/ახალგაზრდული ცენტრების % რაოდენობა;
- ტექნოლოგიებითა და ინტერნეტით აღჭურვილი საჯარო სივრცეების % რაოდენობა მუნიციპალიტეტში;
- მუნიციპალიტეტში კარიერული რჩევისა და კონსულტირების სისტემის არსებობა;
- კარიერული რჩევისა და კონსულტირების სერვისების მიმღები ახალგაზრდების რაოდენობა;
- მუნიციპალურ დონეზე ახალგაზრდების სიკვდილიანობის მაჩვენებელი;
- ახალგაზრდებისთვის მუნიციპალური ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი;
- ფსიქოლოგის, თერაპევტის მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობა; თამბაქოს, ნარკოტიკის, ალკოჰოლის მოხმარების მაჩვენებლები მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებში;
- ახალგაზრდული მუნიციპალური საბჭოების რაოდენობა;
- კლუბებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების რაოდენობა და ინფრასტრუქტურული ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტში;
- იმ ახალგაზრდების % რაოდენობა, რომლებსაც არასდროს დაუტოვებიათ მუნიციპალიტეტი (სწავლების, მოგზაურობის ან სხვა მიზნებისთვის);
- ახალგაზრდების მიერ ჩადენილი დანაშაულების რაოდენობა და დანაშაულის ტიპები (მუნიციპალურ დონეზე);
- ახალგაზრდების რაოდენობა რომლებზეც მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა (მუნიციპალურ დონეზე) ;
- ძალადობის მსხვერპლი ახალგაზრდების რაოდენობა (მუნიციპალურ დონეზე);
- გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლი ახალგაზრდები მაჩვენებელი (მუნიციპალურ დონეზე);
- დისკრიმინაციის ნიშნით ძალადობის ქეისების რაოდენობა ახალგაზრდების მიმართ (მუნიციპალურ დონეზე);
- მუნიციპალური საოჯახო პოლიტიკის სისტემის არსებობა;
- რეკრეაციული საშუალებების არსებობა და რაოდენობა მუნიციპალიტეტში;
- მუნიციპალიტეტში მცხოვრები იმ ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც გადიან სამხედრო სავალდებულო სამსახურს;
- მუნიციპალური ახალგაზრდული პროგრამებისა და სერვისების რაოდენობა/ კმაყოფილების დონე;
- გენდერული ნიშნით დაგეგმილი აქტივობებისა და პროგრამების მაჩვენებელი (მუნიციპალურ დონეზე);
- ახალგაზრდული სივრცეების რაოდენობა/ ახალგაზრდების კმაყოფილების დონე (მუნიციპალურ დონეზე);
- ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვა-განხორციელებისათვის საჭირო სამართლებრივი ბაზის არსებობა (მუნიციპალურ დონეზე);
- მუნიციპალური ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა (ფინანსური; დროითი და ინფრასტრუქტურული)
- დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის მუნიციპალური საბინაო პოლიტიკის/ საცხოვრისის არსებობა;
- მუნიციპალიტეტის მასშტაბით,საკუთარი პროფესიით ოფიციალურად დასაქმებული სერტიფიცირებული ახალგაზრდული მუშაკების რაოდენობა;
- მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ჰობი განათლების პროგრამებში ჩართული ახალგაზრდების (6-13 და 14-29 წლის ასაკობრივი ჯგუფები) პროცენტული

მაჩვენებელი.

ინდიკატორების სრული ვერსია, შეგიძლიათ იხილოთ ატვირთულ მასალებში.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. ევროპის საბჭო. ექსპერტი ახალგაზრდული პოლიტიკის ინდიკატორების შესახებ. 2003. https://rm.coe.int/1680702413

5.4 ლოგიკური ჩარჩო

ავტორი: ანა კვერნაძე

ხედვას, მიზნებს, ამოცანებსა და ინდიკატორებს შორის უნდა არსებობდეს ნათელი კავშირი და ლოგიკური ჯაჭვი. შესაბამისად ამ ყოველივეს ერთად თავმოყრისა და ამ ჯაჭვის აწყობის მიზნით იგება ლოგიკური ჩარჩო.

ლოგიკური ჩარჩო არის შედეგებზე დაფუძნებული მართვის საწყისი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკის დაგეგმვის დასაწყისშივე კარგად იყოს გააზრებული ლოგიკური ჩარჩოს აგების პროცესი, მისი მნიშვნელობა და საბოლოო შედეგი. სწორედ ლოგიკური ჩარჩოს საფუძველზე ხდება შემდეგ სტრატეგიის დოკუმენტის ძირითადი ნაწილის შედგენა.

ლოგიკური ჩარჩო ეხმარება პოლიტიკის შემდგენს მარტივად და სტრუქტურირებულად დააკავშიროს სრული ჯაჭვი; შეცვალოს მიზნები, ამოცანები საჭიროებისამებრ, რაც ბუნებრივი პროცესია პოლიტიკაზე მუშაობის დროს და მხოლოდ ჩარჩოზე შეთანხმების მიღწევის შემდგომ შეუდგეს ლოგიკური ჩარჩოს ნარატიული ნაწილის შემუშავებას.

ეს გახლავთ ლოგიკური ჩარჩოს შაბლონი, რომელიც ივსება მუნიციპალიტეტის თანამშრომლების მიერ. როგორც ხედავთ ხედვის ნაწილში იწერება:

ხედვა - რომელიც გავიარეთ წინა მოდულების დროს, **მიზანი** - იწერება ის მიზნები, რომლებიც გააჩნია მუნიციპალიტეტს სტრატეგიაში წარმოსადგენად; იწერება **გავლენის ინდიკატორი**, რომელიც არის მიზნის გაზომვის ინდიკატორი; ვწერთ **წელს, საბაზისო მაჩვენებელს, შუალედურ მაჩვენებელს და საბოლოო მაჩვენებელს**. და აუცილებელია, რომ აქვე მივუთითოთ **დადასტურების წყარო.**

აქვე ივსება **ამოცანა**. რა ამოცანით გვინდა რომ მივაღწიოთ მიზანს. **ამოცანის შედეგის ინდიკატორები**, იგივე პრინციპით, როგორც მიზნის ინდიკატორები ანუ გავლენის ინდიკატორები ივსება. მიეთითება **წელი**, ანუ საბაზისო წელი. მაგალითად რომელიმე სტატისტიკური ინფორმაცია, შეგვიძლია სიტყვაზე ვთქვათ ავიღოთ - ახალგაზრდების უმუშევრობა. საბაზისო წელი, ვთქვათ - 2021 წელი. რამდენი არის უმუშევრობა დღეს. სიტყვაზე ვთქვათ, ეს დაუშვათ არის 20 %. შუალედური მაჩვენებელი - რას გვინდა რომ ჩვენ მივაღწიოთ 2025-2026 წლის ფარგლებში, რამდენად გვინდა რომ შევამციროთ. სიტყვაზე, შეგვიძლია დავწეროთ, მაგალითად, რომ გვინდა შევამციროთ 3% ით. და საბოლოო მაჩვენებელი - მაგალითად 2030 წლისთვის, რა მაჩვენებლის მიღება გვსურს.

ლოგიკური ჩარჩო უნდა აეწყოს შემდეგი ფორმატით:

ლოგიკური ჩარჩოს ფორმატი:

ხედვა:	1.				
მიზანი 1:	2.				
გავლენის ინდიკატორი 1.1:	3.	**საბაზისო:**	**სამიზნე:** შუალედური:	**სამიზნე:** საბოლოო:	**დადასტურების წყარო:**
		წელი: 4.	6.	8.	10.
		მაჩვენებელი: 5.	7.	9.	
ამოცანა 1.1:	11.				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1:	12.	**საბაზისო:**	**სამიზნე:** შუალედური:	**სამიზნე:** საბოლოო:	**დადასტურების წყარო:**
		წელი: 13.	15.	17.	19.
		მაჩვენებელი: 14.	16.	18.	
რისკი:	20.				

1. **ხედვა** - მიეთითოს დოკუმენტით გათვალისწინებული ხედვა.
2. **მიზანი** - მიეთითოს დოკუმენტში განსაზღვრული მიზანი, სრული ფორმულირებით.
3. **გავლენის ინდიკატორი** - მიეთითოს პირველი მიზნის გავლენის ინდიკატორი, რომელიც გაზომავს მიზნის მიღწევას. შესაძლებელია, წარმოდგენილი იყოს რამდენიმე ასეთი ინდიკატორი, თუმცა არაუმეტეს სამისა.
4. **გავლენის ინდიკატორის საბაზისო წელი** - მიეთითოს დოკუმენტის დამტკიცების ან მისი წინა წელი (დამოკიდებულია მონაცემთა შეგროვების პერიოდზე). მაგალითად, 2021-2024 წლების განმავლობაში მოქმედი ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის გავლენის ინდიკატორის საბაზისო წლად უნდა მიეთითოს 2021 (ან 2020) წელი.
5. **გავლენის ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი** - მიეთითოს გავლენის ინდიკატორის მაჩვენებელი მე-4 უჯრაში განსაზღვრული საბაზისო წლისათვის.
6. **გავლენის ინდიკატორის შუალედური წელი** - მიეთითოს ის წელი, როდესაც გავლენის შუალედური სამიზნე მაჩვენებელი შეფასდება. შუალედური შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სამოქმედო გეგმის შესაბამისად განხორციელებული აქტივობებით დამდგარი შედეგები. 2021-2024 წლის გეგმისთვის შუალედური შეფასება ჩატარდება 2022 წლის ბოლოს.
7. **გავლენის ინდიკატორის შუალედური სამიზნე მაჩვენებელი** - მიეთითოს დასახული მიზნის მიღწევისთვის გავლენის ინდიკატორის შუალედური სამიზნე მაჩვენებელი მე-6 უჯრაში განსაზღვრული წლ(ებ)ისთვის.
8, **გავლენის ინდიკატორის საბოლოო წელი** - მიეთითოს დოკუმენტის მოქმედების დასრულების საბოლოო წელი. მაგალითად, 2021-2024 წლებში მოქმედი დოკუმენტის გავლენის ინდიკატორის საბოლოო წლად უნდა მიეთითოს 2024 წელი.
9. **გავლენის ინდიკატორის საბოლოო სამიზნე მაჩვენებელი** - მიეთითოს გავლენის ინდიკატორის მაჩვენებელი მე-8 უჯრაში განსაზღვრული საბოლოო წლისთვის.

10. **გავლენის ინდიკატორის დადასტურების წყარო** - მიეთითოს, სულ მცირე, ერთი წყარო, რომლითაც დადასტურდება გავლენის ინდიკატორით გათვალისწინებული ინფორმაცია და პროგრესის ამსახველი მონაცემები მაჩვენებლებთან მიმართებით.
11. **ამოცანა** - მიეთითოს მე-2 უჯრაში განსაზღვრული მიზნის მისაღწევად ჩამოყალიბებული ამოცანა, სრული ფორმულირებით.
12. **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** - მიეთითოს მე-11 უჯრაში ჩამოყალიბებული ამოცანის შედეგის ინდიკატორი, რომელიც გაზომავს მის მიღწევას. შესაძლებელია, წარმოდგენილი იყოს რამდენიმე ასეთი ინ-დიკატორი, თუმცა არაუმეტეს სამისა.
13. **ამოცანის შედეგის ინდიკატორის საბაზისო წელი** - მიეთითოს დო-კუმენტის დამტკიცების ან მისი წინა წელი (დამოკიდებულია მონაცემთა შეგროვების პერიოდზე). მაგალითად, 2021-2024 წლების განმავლობაში მოქმედი დოკუმენტის ამოცანის შედეგის ინდიკატორის საბაზისო წლად უნდა მიეთითოს 2021 (ან 2020) წელი.
14. **ამოცანის შედეგის ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი** - მიეთითოს ამოცანის შედეგის ინდიკატორის მაჩვენებელი მე-13 უჯრაში განსაზღვ-რული საბაზისო წლისთვის.
15. **ამოცანის შედეგის ინდიკატორის შუალედური წელი** - სურვილის შემთხვევაში, მიეთითოს ის წელი, როდესაც ამოცანის შედეგის შუალედური სამიზნე მაჩვენებელი შეფასდება. შუალედური შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სამოქმედო გეგმის შესაბამისად განხორციელებული აქტივობებით დამდგარი შედეგები. 2021-2024 წლის გეგმისთვის შუალედური შეფასება ჩატარდება 2022 წლის ბოლოს.
16. **ამოცანის შედეგის ინდიკატორის შუალედური სამიზნე მაჩვენებელი** - მიეთითოს ამოცანის შედეგის ინდიკატორის შუალედური სამიზნე მაჩ-ვენებელი მე-15 უჯრაში განსაზღვრული წლ(ებ)ისთვის.
17. **ამოცანის შედეგის ინდიკატორის საბოლოო წელი** - მიეთითოს დოკუმენტის მოქმედების დასრულების წელი. მაგალითად, 2021-2024 წლებში მოქმედი სტრატეგიის ამოცანის შედეგის ინდიკატორის საბოლოო წლად უნდა მიეთითოს 2024 წელი.
18. **ამოცანის შედეგის ინდიკატორის საბოლოო სამიზნე მაჩვენებელი** - მიეთითოს ამოცანის შედეგის ინდიკატორის მაჩვენებელი მე-17 უჯრაში მოცემული საბოლოო წლისთვის.
19. **ამოცანის შედეგის ინდიკატორის დადასტურების წყარო** - მიეთითოს, სულ მცირე, ერთი წყარო, რომლითაც დადასტურდება ამოცანის შედეგის ინდიკატორით გათვალისწინებული ინფორმაცია და პროგრესის ამსახველი მონაცემები მაჩვენებლებთან მიმართებით.
20. **რისკი** - განისაზღვროს შესაძლო რისკ(ებ)ი ამოცანის შედეგის ინდი-კატორით გათვალისწინებული სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის პროცესში.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო“, მთავრობის დადგენილება 629. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4747283?publication=0

5.5 სამოქმედო გეგმა და ფინანსები

ავტორი: ანა კვერნაძე

სტრატეგიული ჩარჩოს შექმნის, ანუ მას შემდეგ რაც ვიცით რა მიზნები, სტრატეგიული ჩარჩოს შექმნის, ანუ მას შემდეგ რაც ვიცით რა მიზნები, ამოცანები და ინდიკატორები გვაქვს პოლიტიკის მისაღწევად და გასაზომად, დღის წესრიგში დგება პოლიტიკის განხორციელების გეგმის ანუ სამოქმედო გეგმის შემუშავება. გეგმა თავის მხრივ არის ლოგიკური ჩარჩოს გაგრძელება, რომლის სტრუქტურა შეიცავს ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე: აქტივობები, აქტივობების შედეგების ინდიკატორები, დადასტურების წყაროები, აქტივობაზე პასუხისმგებელი უწყებები/სტრუქტურული ერთეულები, პარტნიორი უწყება/სტრუქტურული ერთეული, შესრულების ვადა, შესაბამისი ბიუჯეტი და დაფინანსების წყარო. აქტივობები იწერება ამოცანებიდან გამომდინარე და მათი განხორციელებით დგება ხდება კონკრეტული შედეგების მიღწევა.

სამოქმედო გეგმის შემუშავება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც დეტალურად უნდა დავგეგმოთ ის კონკრეტული ღონისძიებები რითაც მოვიაზრებთ ამოცანების და მიზნების მიღწევას. სამოქმედო გეგმის გარეშე ნებისმიერი სტრატეგიის განხორციელება ეჭვის ქვეშ დგება, ვინაიდან ბუნდოვანია დაგეგმილი საქმიანობა, ამისთვის საჭირო ფინანსები და შესაბამისად ბუნდოვანია კონკრეტული პასუხისმგებლობები.

სამოქმედო გეგმის შემუშავების ეტაპები შემდეგია:

სამოქმედო გეგმაში აქტივობის ჩამოყალიბების შემდეგ, უნდა განისაზღვროს კონკრეტული აქტივობის შედეგის ინდიკატორები;

- დადგინდეს აქტივობის შედეგების მისაღწევად გასატარებელი ღონის-ძიებები ანუ ქვე-აქტივობები;
- განისაზღვროს თითოეული ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო რესურსები;
- დადგინდეს რესურსების ღირებულება/ფასი;
- დაანგარიშდეს ღონისძიებებისა და შესაბამისი აქტივობის ხარჯები და, შე-საბამისად, სამოქმედო გეგმის სრული ხარჯი.

სამოქმედო გეგმის ფორმატი:

აქტივობა:	აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	დადასტურების წყარო:	პასუხის-მგებელი უწყება:	პარტნიორი უწყება:	შესრულების ვადა:	ბიუჯეტი:	დაფინანსების წყარო:					
							მუნიციპალიტე-ტის ბიუჯეტი:				სხვა:	დონო-ციები
							ოფეხობა	პროგრ. ეროი	ოფეხობა	ორგანი-ზაცია		
1.	2.	3.	4.	5.	6.	7.	8.	9.	10.	11.	12.	

1. **აქტივობა** - მიეთითოს კონკრეტული ქმედება მე-3 უჯრაში განსაზღვრული ამოცანის მისაღწევად.
2. **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** - მიეთითოს აქტივობის შედეგის ინდიკატორი, რომელიც გაზომავს აქტივობის შესრულების შედეგს. შესაძლებელია, წარმოდგენილი იყოს ორი ან მეტი ასეთი ინდიკატორი.
3. **აქტივობის შედეგის ინდიკატორის დადასტურების წყარო** - მიეთითოს, სულ მცირე, ერთი წყარო, რომლითაც დადასტურდება აქტივობის შედეგის ინდიკატორით გათვალისწინებული ინფორმაცია და პროგრესის ამსახველი მონაცემები მაჩვენებლებთან მიმართებით.
4. **აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყება/სტრუქტურული ერთეული** - მიეთითოს აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი მხოლოდ

ერთი საჯარო უწყება/სტრუქტურული ერთეული. მიუხედავად იმისა, რომ აქტივობა შეიძლება ითვალისწინებდეს თანამონაწილეობით მიდგომას, მნიშვნელოვანია, მიეთითოს მხოლოდ ერთი საჯარო დაწესებულება/ერთეული, რომელიც პასუხისმგებლობას იღებს აქტივობის შესრულებაზე.

5. აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყების **პარტნიორი უწყება/სტრუქტურული ერთეული** - მიეთითოს ერთი ან რამდენიმე საჯარო უწყება/ერთეული, რომელსაც გარკვეული წვლილი შეაქვს აქტივობის შესრულებაში.
6. **აქტივობის შესრულების ვადა** - მიეთითოს აქტივობის განხორციელების საბოლოო ვადა, სულ მცირე, კონკრეტული წლის კვარტალი.
7. აქტივობის განსახორციელებლად საჭირო **ბიუჯეტი** - მიეთითოს კონკრეტული ხარჯი ეროვნულ ვალუტაში, რომელიც, სავარაუდოდ, საჭიროა აქტივობის შესასრულებლად. მთავრობის სახელმძღვანელოს თანახმად, აქ უნდა მიეთითოს აქტივობისთვის საჭირო მხოლოდ პირდაპირი ხარჯები. აღნიშნული ბიუჯეტი გამოითვლება მთავრობის სახელმძღვანელოს ბიუჯეტირების ინსტრუმენტის გამოყენებით.
8. აქტივობის დაფინანსება **მუნიციპალური ბიუჯეტიდან** - მიეთითოს იმ კონკრეტული თანხის **ოდენობა**, რომელიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოფა აქტივობის განსახორციელებლად.
9. აქტივობისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების **პროგრამის კოდი** - მიეთითოს: ბიუჯეტიდან ან პრიორიტეტების დოკუმენტიდან იმ პროგრამის კოდი, რომლის ფარგლებშიც გამოიყოფა მე-8 უჯრაში მითითებული დაფინანსება; ასევე, ის სხვა წყარო (მაგ.: სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაცია, კერძო კომპანია), რომელიც დაფარავს ხარჯის ნაწილს. თუ ხარჯის დარჩენილ ნაწილს არც არსებული პროგრამები ითვალისწინებს და არც სხვა წყაროები, ის უნდა მიეთითოს დეფიციტის ნაწილში და იქცეს მოლაპარაკების საგნად.
10. **აქტივობის დაფინანსება სხვა წყაროებიდან** - მიეთითოს იმ კონკრეტული თანხის **ოდენობა**, რომელიც მოძიებულია დონორი ან სხვა საფინანსო ინსტიტუტებისგან და შეთანხმებულია მათთან აქტივობის განსახორციელებლად.
11. სხვა წყაროებიდან მოძიებული თანხის **დამფინანსებელი ორგანიზაცია** - მიეთითოს დონორი ორგანიზაცია ან სხვა საფინანსო ინსტიტუტი, რომელიც გამოყოფს 10-ე უჯრაში განსაზღვრულ თანხას აქტივობის შესასრულებლად.
12. აქტივობის შესრულების დაფინანსების **დეფიციტი** - მიეთითოს იმ კონკრეტული თანხის ოდენობა, რომლის მოძიებაც ვერ მოხერხდა აქტივობის შესასრულებლად.

როგორ დავითვალოთ აქტივობების ბიუჯეტი? იმისთვის, რომ ეფექტურად გავთვალოთ ფინანსური რესურსები და შევაფასოთ აქტივობების განხორციელების რეალისტურობა, აუცილებელია დავიანგარიშოთ მათი განხორციელების ფასი. ამ პროცესს ეწოდება ბიუჯეტირება, რომელიც შედგება ხარჯთაღრიცხვისგან და დაფინანსების წყაროს დადგენისგან. ხარჯთაღრიცხვა გულისხმობს აქტივობების ჩაშლას განფასებადი ღონისძიებების სახით და მათი განხორციელებისთვის საჭირო რესურსების რაოდენობისა და ფასის დაანგარიშებას. საბოლოო ჯამში, ის იძლევა საშუალებას, რომ განისაზღვროს თითოეული აქტივობის შესრულების ხარჯი. ხარჯების სახეობებია:

- **მიმდინარე (საოპერაციო) ხარჯები** (რომელშიც არ შედის შრომის ანაზღაურებისა) - ტექნიკური და ექსპერტული დახმარება, ტრენინგები, პუბ-

ლიკაციები, ცნობიერების ამაღლების კამპანიები, სასწავლო ტურები, კონფერენციები, ფორუმები, მათში მონაწილეობა და ა.შ.

- **კაპიტალური ხარჯები** – ხარჯები, რომლებიც საჭიროებს დიდი მოცულობით ფინანსურ რესურსებსა და დროს (ინფრასტრუქტურული პროექტები; სამშენებლო პროექტები, შესყიდვები და სხვა).
- **შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ხარჯები** – ეს ის ხარჯებია, რომელიც საჭიროა ახალი თანამშრომლების დაქირავების ან რეორგანიზაციის ჩატარების შედეგად უწყების შიგნით და ა.შ.
- **სხვა დანარჩენი ხარჯები** – ნებისმიერი ხარჯი, რომელიც არ განეკუთვნება ზემოთ ჩამოთვლილი ხარჯების კატეგორიას.

აქტივობათა ბიუჯეტის დათვლისა და დაფინანსების წყაროების განსაზღვრის შემდეგ, სამოქმედო გეგმაში უნდა შევიდეს მხოლოდ ისეთი აქტივობები, რომელთა ხარჯის დაფარვა მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც იგეგმება მუნიციპალური ბიუჯეტიდან ან სხვა წყაროებიდან, დარჩენილი დეფიციტი კი შეიძლება შეივსოს ცენტრალური ხელისუფლების, დონორების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური წყაროებიდან.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო“, მთავრობის დადგენილება 629. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4747283?publication=0

5.6 რისკები

ავტორი: ანა კვერნაძე

ლოგიკური ჩარჩოს შემუშავების პროცესში უნდა მოხდეს იმ რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ამოცანის შედეგის დადგომას და შესაბამისი ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლის მიღწევას. რისკად შესაძლოა მივიჩნიოთ ნებისმიერი სახის წინაღობა რომელიც შეიძლება გაჩნდეს პოლიტიკის განხორციელების პროცესში და რომელსაც შეიძლება ნეგატიურის გარდა დადებითი ეფექტიც კი ჰქონდეს.

პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში და არამხოლოდ, რისკების მართვის ჩარჩო შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- რისკის იდენტიფიცირება;
- რისკის ანალიზი;
- რისკის შეფასება;
- რისკების მიტიგაცია, პრევენცია და კონტროლი.

რისკების მართვის პროცესი აუცილებელია წარმართოს მაკოორდინირებელმა სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელშიც შედის ყველა დაინტერესებული მხარე რადგან რისკების იდენტიფიცირება ფართო სპექტრის ინფორმაციის ანალიზს მოითხოვს. რისკის იდენტიფიცირება გულისხმობს გარე და შიდა რისკები განსაზღვრას, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს დაგეგმილი ახალგაზრდობის პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების მიღწევას, ეს შეიძლება იყოს სამართლებრივი, ფინანსური, საზოგადოებრივი, ინფრასტრუქტურული რისკები თუ სხვა.

უნდა შეფასდეს ყველა იდენტიფიცირებული რისკის გავლენა პოლიტიკაზე, შესაბამისად, ამ კუთხით უნდა მოხდეს რისკების პრიორიტიზირება - რომელი რისკებია უფრო მნიშვნელოვანი და რომლების იგნორირება შეიძლება პოლიტიკის განხორციელების ფაზაში.

რისკების ანალიზი შესაძლოა გაკეთდეს 2 მეთოდით:

ხარისხობრივი მეთოდი - ეს არის მეთოდი, რომლის როდესაც შესაძლებელია რისკების ანალიზი მოხდეს მისი ალბათობისა და სიხშირის მიხედვით შემდეგი კრიტერიუმებით:

- ალბათობა რამდენი არის რისკის ალბათობა? როგორი არის რისკის
- ალბათობა? რისკის ალბათობა მაღალი (75%-ზე მეტია);
- რისკის ალბათობა საშუალოა (25-დან 75%-მდე);
- რისკის ალბათობა დაბალია (25%-ზე დაბალია).

  გავლენა:
- რისკს აქვს გავლენის მაღალი მაჩვენებელი;
- რისკს აქვს გავლენის საშუალო მაჩვენებელი;
- ან რისკს აქვს გავლენის დაბალი მაჩვენებელი.

რაოდენობრივი მეთოდი - ხარისხობრივი ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით ხდება რისკების პრიორიტიზაცია ტოპ რამდენიმე რისკების სიის მიხედვით.

რისკების საპასუხო ქმედებების დაგეგმა.

თითოეული მთავარი რისკისთვის, რომლებიც იდენტიფიცირებულია ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზის შედეგად, უნდა დაიგეგმოს რისკების საპასუხო მიდგომები, როგორიცაა:

- პრევენცია - საფრთხის მინიმიზაცია რისკების გამომწვევი მიზეზის შემცირებით;
- მიტიგაცია - რისკების ალბათობის ან გავლენის შემცირება;
- მიღება - არანაირი ქმედება რისკის დასაზღვევად;
- გადატანა - სხვა პასუხისმგებელი მხარის იდენტიფიცირება რისკების სამართავად.

რისკების მონიტორინგი, კონტროლი და მათზე ანგარიშგება უნდა განხორციელდეს პოლიტიკის დაგეგმვის სრული ციკლის განმავლობაში. ყველაზე საყურადღებოა იდენტიფიცირებული ძირითადი რისკების მონიტორინგი, რადგან პოლიტიკის განხორციელებას ზიანი, სწორედ შეიძლება ამ რისკებით მიადგეს.

წყაროები და დამატებითი მასალა

1. CFA ინსტიტუტის კვლევითი ფონდი. რისკის მენეჯმენტი: ინფორმაცია არასტანდარტული რისკის შემსრულებლებისგან. 2020.
https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=uq0CEAAAQBAJ&oi=fnd&pg=PT6&dq=Learning+about+Risk+Management:+Insights+from+Unconventional+Risk-Takers.&ots=IVaZKI2tOK&sig=RPDMOyuuwG6_WTSmOZr8t__hjeg&redir_esc=y#v=onepage&q=Learning%20about%20Risk%20Management%3A%20Insights%20from%20Unconventional%20Risk-Takers.&f=false

5.7 კარგი მმართველობა

ავტორი: ანა კვერნაძე

კარგი მმართველობა თავის თავში მოიაზრებს იმგვარ მართვას, რომლის დროსაც დაცულია ადამიანის უფლებები და სამოქალაქო თავისუფლებები, ხოლო მართვის ამომავალი პრინციპი არის სამართლიანობა. კარგი მმართველობა გულისხმობს რომ კორუფცია მინიმუმამდე არის დაყვანილი, უმცირესობების შეხედულებები გათვალისწინებულია მთავრობების მიერ და ყველაზე მოწყვლადი მოსახლეობის ხმა მხედველობაშია მიღებული გადაწყვეტილებების მიღების დროს. ის ასევე პასუხობს საზოგადოების არსებულ და სამომავლო საჭიროებებს.

ამ განმარტების მიხედვით კარგი მმართველობაა ის, რომელიც არის მონაწილეობრივი, კონსენსუსზე ორიენტირებული, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე, ეფექტური, ეფექტიანი და ინკლუზიური. სწორედ აღნიშნულ პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს ახალგაზრდობის პოლიტიკა როგორც ცენტრალურ ისე ადგილობრივ დონეზე.

ბუნებრივია კარგი მმართველობის პრინციპები შეძლებისდაგვარად უნდა იყოს ასახული ნებისმიერი პოლიტიკის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვის და განხორციელების პროცესში. რაც მარტივად, რომ გადავთარგმნოთ ითვალისწინებს შემდეგს:

- ახალგაზრდები იღებენ მონაწილეობას ახალგაზრდული პოლიტიკის წარმოებაში და გადაწყვეტილებები მიიღება მათთან ერთად;
- ახალგაზრდული პოლიტიკა მაქსიმალურად მორგებულია ახალგაზრდების საჭიროებებს როგორც ცენტრალურ ისე ადგილობრივ დონეზე, სადაც შესაძლოა არსებობდეს სპეციფიკური განსხვავებები;
- ახალგაზრდული პოლიტიკა ეფუძნება ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტებს და არ უგულებელყოფს არცერთ მათგანს;
- ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობა ანგარიშვალდებულია ახალგაზრდების წინაშე და აბარებს მათ ანგარიშს, ამ სფეროში გადადგმული ნაბიჯების, გამოწვევების და გეგმების შესახებ, მათ შორის ბიუჯეტის ხარჯვის კუთხით და განსაკუთრებით კი ადგილობრივ დონეზე, სადაც საბიუჯეტო პროცესების წარმოება ღიად და გამჭვირვალედ უნდა მიმდინარეობდეს;
- შემუშავებულია ყველა ზომა იმისთვის, რომ ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების პროცესში მინიმუმამდე იყოს დაყვანილი კორუფციული რისკები.

რას ნიშნავს მონაწილეობა? ეფექტური მმართველობისთვის მთავარია საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მონაწილეობა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი ისე წარმომადგენლობითი. რაც იმას ნიშნავს რომ მოქალაქეს შეუძლია თავად გამოიყენოს მისთვის მინიჭებული ეს უფლება ან სხვას მისცეს მისი უფლებებისა და ინტერესების დამცველისა და წარმომადგენლის მეშვეობით ისმოდეს მისი ხმა. შეუძლებელია სწორად დაიგეგმოს ახალგაზრდული პოლიტიკა ახალგაზრდების მოსმენის, მათი ჩართულობის, მათი საჭიროებების გაზიარების გარეშე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალურ დონეზე, სადაც საჭიროებები განსხვავდება მუნიციპალიტეტებს შორს და არსებობს გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული განსხვავებები. შესაბამისად, ნებისმიერი აქტივობა, რომლებიც ხორციელდება ახალგაზრდული პოლიტიკის ეგიდით უნდა იყოს მონაწილეობრივი და აერთიანებდეს მთავარს - მის სამიზნე აუდიტორიას.

რა არის გამჭვირვალობა? გამჭვირვალობა ნიშნავს იმასაც, რომ ინფორმაცია თავისუფლად ხელმისაწვდომია, განსაკუთრებით მათთვის, ვისზეც ასეთი გადაწყვეტილების მიღებამ ან მისმა განხორციელებამ შესაძლოა, გავლენა მოახდინოს. ასევე საჭიროა საზოგადოება უზრუნველყოფილი იყოს საკმარისი ინფორმაციით, რომლის მიწოდება მოხდება ადვილად გასაგები ფორმითა და მედიის საშუალებით.

სახელმწიფო დაწესებულებები ინფორმაციას პროაქტიულად უნდა აქვეყნებდნენ მათ ორგანიზაციის ელექტრონულ რესურსზე. ახალგაზრდული პოლიტიკისთვის ეს პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იმდენად რამდენადაც ახალგაზრდებს ყველა მეტად მიუწვდებათ ხელი ინტერნეტ რესურსებთან, მათ მეტად უმარტივდებათ ინფორმაციის მოძიება და ამისთვის ყველა საჭირო რესურსს მიმართავენ. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა არ უნდა შეზღუდოს მის ხელთ არსებული ინფორმაციის გაზიარება ახალგაზრდებისთვის რაც ხელს უწყობს ახალგაზრდების ინფორმირებულობას, მათ ცნობიერების გაზრდას, მეტ აქტიორობასა და მონაწილეობას.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მთავარი კრიტერიუმია - გამჭვირ-ვალობის პრინციპის უზრუნველსაყოფად. მაშინ როდესაც ვამბობთ რომ, ახალგაზრდული პოლიტიკა უნდა იყოს მონაწილეობრივი და ახალგაზრდების ჩართულობით შექმნილი და წარმოებული, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ამას ხშირ შემთხვევაში ქმნის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებაა - მუნიციპალიტეტის მიერ თავიანთ ელექტრონულ რესურსზე: იქნება ეს ვებ-გვერდი; ფბ გვერდი; და სხვა სოციალური გვერდი. შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით საზოგადოებრივი/ახალგაზრდების ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაციის განთავსება. ინფორმაციის ხელმისაწვდომობაში, იგულისხმება, როგორც ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება, ასევე ღია მონაცემების მეტი ხელმისაწვდომობა და რაც მთავარია, მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება კანონით დადგენილ ვადებში ინფორმაციის მომთხოვნისთვის. აღნიშნული წესების დაცვა, მუნიციპალიტეტს მისცემს საშუალებას უფრო მეტად აქტიურად ჰყავდეს ჩართული ადგილობრივი ახალგაზრდობა პოლიტიკის წარმოებაში.

მეორე პრინციპი საჯარო მმართველობის, ეს გახლავთ - **კონსენსუსზე ორიენტირება**. კარგი მმართველობა მოითხოვს საზოგადოებაში არსებულ განსხვავებულ ინტერესებს შორის მედიაციას, რათა მოხერხდეს ფართო კონსენსუსის მიღწევა იმ საკითხზე, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება მთელი საზოგადოების ინტერესს. ის ასევე მოითხოვს საზოგადოების მდგრადი განვითარებისათვის და მისი მიღწევის გზებისათვის ფართო და გრძელვადიანი პერსპექტივის არსებობას.

მონაწილეობა არ ნიშნავს მხოლოდ დასწრებას, აზრის მოსმენასა და ამ შესაძლებლობის ფორმალიზმად ქცევას. მონაწილეობის მთავარი ხიბლია დისკუსია, განხილვა და კონსენსუსის მიღწევა. შესაბამისად, მაშინ როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობა განხილვისთვის იწვევს ახალგაზრდებს და მზად არის მათი აზრი მოისმინოს ამა თუ იმ საკითხზე, მან ასევე უნდა უზრუნველყოს რომ შეხვედრები იყოს კონსენსუსზე ორიენტირებული და მიემართებოდეს გარკვეულ შედეგს, რომელიც დადგება ამ შეხვედრის შედეგად. აუცილებელია კონსენსუსით გადაწყდეს პოლიტიკის საკითხები და მით უფრო თუ ეს საკითხები ეხება ახალგაზრდებს.

თუკი მონაწილეობრივი პრინციპი გამოყენებულია მხოლოდ ფორმალური

სახით და მონაწილეობას არ გააჩნია ქმედითი ბერკეტი, მაშინ ამ სახის პროცესები განწირულია წარუმატებლობისკენ და ასეთ პოლიტიკას აუცილებლად შეექმნება პრობლემები განხორციელების ეტაპზე.

ბუნებრივია მუნიციპალიტეტისთვის უმჯობესია მათ მიერ მიმართული პოლიტიკა და ფინანსური რესურსები იხარჯებოდეს მიზნობრივად და შესაბამისად ეს ყოველივე კეთდებოდეს კონსენსუსზე დაყრდნობით.

ეფექტურობა და შედეგიანობა - კარგი მმართველობა ნიშნავს, რომ რესურსების ეფექტურად გამოყენების გზით, არსებული ინსტიტუტებისა და მიმდინარე პროცესების მეშვეობით, ვიღებთ შედეგს, რომელიც პასუხობს საზოგადოების მოთხოვნებს. შედეგიანობის კონცეფცია გულისხმობს - ნაკლები ფინანსური რესურსი, ხარისხიანი და ეფექტური შედეგის მიღებას. განსაკუთრებით კი როცა საქმე სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვას ეხება.

აუცილებელია წინასწარ გაითვალოს რა დაჯდება ამა თუ იმ აქტივობის განხორციელება და იმის ანალიზი რა გავლენას მოახდენს პოლიტიკა გარკვეულ ჯგუფზე, რას შეცვლის და რას გააუმჯობესებს? თუ ეფექტურობის ანალიზი აჩვენებს, რომ პოლიტიკის წარმოება იმდენად ძვირადღირებული ფუფუნებაა, რომ მისი ხარჯები ეფექტის საპირწონე ვერასდროს გახდება, მაშინ აუცილებელია გადაიხედოს პოლიტიკა და შეიცვალოს ხედვები მის განხორციელებასთან დაკავშირებით.

მთავარი პრინციპი საჯარო მმართველობის, გახლავთ - **ანგარიშვალ-დებულება**, რომელიც გახლავთ ეფექტური მმართველობის უმთავრესი მოთ-ხოვნა. არა მარტო სახელისუფლებო ინსტიტუტები, არამედ კერძო სექტორიცა და სამოქალაქო საზოგადოებაც უნდა იყვნენ ანგარიშვალდებული ხალხის და მათთან ინსტიტუციონალურადდაკავშირებული ადამიანების წინაშე. ვინ ვის წინაშეა ანგარიშვალდებული, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ სად ხდება გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება. ძირითადად ორგანიზაციები ან ინსტიტუტები ანგარიშვალდებულნი არიან მათ წინაშე, ვისზეც გავლენას ახდენს მათი გადაწყვეტილებები ან ქმედებები. ანგარიშვალდებულება გამჭვირვალობის გარეშე ვერ მიიღწევა.

ადგილობრივი თვითმმართველობა ვალდებულია ანგარიში ჩააბაროს ახალგაზრდებს ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის შედეგებზე. ანგა-რიშგებისთვის მუნიციპალიტეტს შეუძლია მიმართოს სხვადასხვა ფორმებს, გააზიაროს პროგრესის შესახებ ინფორმაცია წერილობით, ან მოიწვიოს შეხვედრა და ვერბალურად გააზიაროს მიმდინარე პროცესები ახალგაზრდებთან.

ანგარიშვალდებულება აუმჯობესებს განხორციელებას. თუ ანგარიშგების დროს იკვეთება ხარვეზები, დღის წესრიგში დგება მათ გამოსწორების გზებზე ფიქრის დაწყება. ანგარიშგების გარეშე, შეუძლებელია საზოგადოებამ იცოდეს რა გამოწვევები არსებობს და შესაბამისად მოკლებულია შესაძლებლობას იფიქროს მისი გადაჭრის გზებზე, რაც საბოლოო ჯამში პროცესს აზიანებს. აღნიშნული პრინციპების დაცვა გარანტიაა კარგი მმართველობის და ნებისმიერი სახელმწიფო უწყება უნდა ხელმძღვანელობდეს ამ კრიტერიუმებით.

თუკი ადგილობრივი თვითმმართველობა იცავს კარგი მმართველობის აღნიშნულ პარამეტრებს, მის მიერ დაგეგმილი პოლიტიკა ეფექტურად, გაზიარებული პასუხისმგებლობით და საჭიროებებზე მორგებით არის მართული, რაც ბუნებრივად წარმატებისთვის მთავარი ფორმულაა.

5.8 ახალი საჯარო მმართველობა

ავტორი: ანა კვერნაძე

ახალი საჯარო მმართველობის კონცეფცია დაიბადა 1980-იან წლებში, რომლის მთავარი იდეა იყო საჯარო სექტორის მართვისა ცვლილება იმგვარად, რომ გაზრდილიყო საჯარო სექტორის ეფექტურობა. მართვის მოდელად ახალმა საჯარო მმართველობამ შემოეტანა კერძო სექტორის მართვის სტილი საჯარო სექტორში. ამ კონცეფციის თანახმად, მოქალაქე განხილულია როგორც ცენტრალური და ამომავალი წერტილი, რომელიც არის საჯარო სექტორის მომსახურეებების მიმღები.

ახალი საჯარო მმართველობის სისტემა გვთავაზობს რესურსების უფრო დეცენტრალიზებულ მიდგომას და ახალი სერვისების მიწოდებას, რომ უფრო კარგ შედეგებს მიაღწიოს ქვეყანამ, ხოლო საჯარო სექტორი კი კონკურენტუნარიანი იყოს კერძო სექტორთან. იგი თავის თავში ითვალისწინებს საჯარო ფინანსების ახალი მართვის მოდელს და ცვლილებები შემოაქვს პოლიტიკის წარმოებაში. იმისთვის, რომ დავინახოთ რა სახეცვლილებები შემოაქვს ახალ მართვას ტრადიციული საჯარო მმართველობისგან განსხვავებით, უნდა გავითვალისწინოთ მისი მთავარი შემდეგი ასპექტები:

- ეს არის ძლიერი ფინანსური კონტროლი და „ფასისა და ხარისხის თანაფარდობის“ შეფასება, რომელიც მიზნად ისახავს ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილებას მინიმალური ფინანსური რესურსებით: მაგალითად: სახელმწიფო უწყება წინასწარ აფასებს ახალგაზრდული პოლიტიკის კონკრეტულ აქტივობას - რა ფინანსური რესურსია საჭირო? როგორი იქნება ხარისხი? შესაძლებელია თუ არა იგივე ხარისხის მიღება, უფრო ნაკლები დანახარჯით?
- ფუნქციების კონტროლი; ძლიერი დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სისტემის არსებობა - მაგალითად: რა შედეგები მოიტანა მუ-ნიციპალური ახალგაზრდული სამოქმედო გეგმის განხორციელებამ? შე-იცვალა არსებული მდგომარეობა? თუ არა, რატომ?
- შემდგომი ეს არის ფინანსური და პროფესიული აუდიტების შემოღება, პროგრესის გამჭვირვალედ შეფასება; მიზნების დასახვა; პროტოკოლების შექმნა, სამუშაოს შესრულების ხარისხის გაზომვისა და ამის მიხედვით შესაბამისი ანაზღაურების სისტემების დანერგვა, რომელიც აუმჯობესებს პროფესიულ ქცევას; ამის მაგალითი არის მაგალითად: მუნიციპალიტეტის აუდიტის სამსახურები ამოწმებენ რამდენად მიზნობრივად დაიხარჯა ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის წარმოებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები. დებენ დასკვნას და რეკომენდაციებს, რომელსაც მოჰყვება რეაგირება. მუნიციპალიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური კი აფასებს საჯარო მოხელეების მუშაობას შეფასების სისტემის მეშვეობით. დებს დასკვნებს და რეკომენდაციებს საკადრო რესურსის პრობლემების გამოსწორების მიზნით.
- შემდეგი კრიტერიუმი ეს არის - მოქალაქეებზე ანუ მომხმარებლებზე ორიენტირებულობა და მათ საჭიროებებზე სწრაფი რეაგირება, ეს არის დეცენტრალიზაცია, ანუ ეს ნიშნავს - მეტი ძალაუფლება ად-გილობრივ თვითმმართველობებს ადგილზე სწრაფი და ეფექტური რეაგირებისთვის, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების მეტად გათვალისწინებისა და მათი ჩართულობისთვის; ამის მაგალითი შეიძლება იყოს: მუნიციპალიტეტს აქვს სრული თავისუფლება თავად მიიღოს გადაწყვეტი-

ლება ახალგაზრდული სერვისების დაგეგმვის კუთხით. სერვისების დაგეგმვა მოახდინოს ადგილობრივი საჭიროებების მიხედვით და მათ დაგეგმვაში ჩართოს ადგილობრივი ახალგაზრდები. ბუნებრივია ამას ხელს უწყობს დეცენტრალიზაცია - მეტი ფინანსური და მენეჯერული თავისუფლება მუნიციპალიტეტს. წარმოიდგინეთ რამდენად რთული იქნება სერვისის დანერგვას რომ ცენტრალური ხელისუფლება აწარმოებდეს?

- არასამთავრობო აქტორების როლის ზრდა; მაგალითად: ადგილობრივი არასამთავრობო და ახალგაზრდული ორგანიზაციების ინიციატივების განხილვა, მათი მონაწილეობა, ჩართულობა, მათი ჩართვა განხორციელების ფაზაში, პასუხისმგებლობის გადანაწილება.
- შემდეგი კრიტერიუმი ეს არის - ბიუროკრატიისგან განსხვავებით სტრატეგიული მართვის წახალისება, ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტებით, მაგალითად, ნაკლები ბარიერები ინფორმაციის მოთხოვნის კუთხით, მეტი ინფორმაციაა ხელმისაწვდომი მუნიციპალიტეტების ელექტრონულ რესურსებზე. ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკა იგეგმება გრძელი ვადით, ახალგაზრდების ჩართულობით, ყველას აქვს საერთო და შეთანხმებული მოლოდინი თუ რას უნდათ რომ მიაღწიონ.
- და ერთ-ერთი ყველაზე მთავარი კრიტერიუმი - სტანდარტული სერვისებისგან განსხვავებით უფრო მოქნილი და სწრაფი სერვისების დანერგვა. მაგალითად: ახალგაზრდული სერვისების დიგიტალიზაცია, პანდემიის პირობებში და არა მხოლოდ.

დღეს უკვე საჯარო სექტორის მართვის ეს დომინანტური მოდელი, აუმჯობესებს საჯარო სექტორის საქმიანობის ეფექტურობას და ინსტიტუციების კომპეტენციასაც. აღნიშნული მეთოდი როგორც უკვე აღვნიშნე, კერძო სექტორის მართვის სტილს ეფუძნება და იხრება ისეთი პოლიტიკისკენ რომელიც ახორციელებს მეტ პრივატიზაციას, საჯარო სექტორის ზომის შემცირებას, აუთსორსინგს და მომხმარებელზე ფოკუსირებას, მოქნილობას, შეფასებისა და მონიტორინგის მძლავრი მექანიზმების დანერგვას. ეს ყოველივე მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს მეტ გამჭვირვალობას, როგორც ფინანსურ ისე საოპერაციო დონეზე.

ახალი მმართველობის მოდელი და საჯარო მმართველობის რეფორმა ზეგავლენას ახდენს ყველა სახის პოლიტიკის წარმოებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდული პოლიტიკა მთლიანი საჯარო პოლიტიკის მცირე ნაწილია, რასაკვირველია მასზე დიდი გავლენა აქვს თუ როგორ იმართება ზოგადად საჯარო სექტორი და პოლიტიკა. ახალი საჯარო მმართველობის რეფორმა, რომელიც როგორც აღინიშნა ეფუძნება ახალი მმართველობის მოდელის პრინციპებს, ახალგაზრდობის პოლიტიკას ხდის უფრო მეტად შედეგებზე ორიენტირებულს, მოქნილს და ახალგაზრდების საჭიროებებზე დაფუძნებულს. ახალი მოდელის მიხედვით, ახალგაზრდობის პოლიტიკის მიზნები უნდა იყოს ცხადი და ნათლად არტიკულირებული, გაზომვადი და ფინანსურ და ადამიანურ რესურსებზე გათვლილი, იგი უნდა მუშავდებოდეს ღიაობისა და გამჭვირვალობის პრინციპებზე დაყრდნობით და ახალგაზრდების მონაწილეობით, ასევე უნდა არსებობდეს ახალგაზრდული პოლიტიკის მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომა და მონიტორინგისა და შეფასების მყარი სისტემები.

ხარისხის მართვა ახალი მოდელის მთავარი კრიტერიუმია, სწორედ ამ ნიშნით ახალგაზრდული პოლიტიკის ხარისხის შეფასებისთვის უნდა არსებობდეს დადგენილი კრიტერიუმები და ხარისხის ინდიკატორები თუ რა შემთხვევაში შეიძლება ჩავთვალოთ პოლიტიკა ეფექტურად და ხარისხიანად. მთავარი ამომა-

ვალი წერტილი პოლიტიკის განსაზღვრისას, უნდა იყოს მომხმარებელი - ანუ ახალგაზრდა, რაც ახალი მმართველობის მოდელის ძირითადი მოთხოვნაა, რაც საჯარო სექტორს კონკურენტუნარიანს ხდის კერძო სექტორთან. ამ მხრივ, ახალგაზრდულ პოლიტიკას კიდევ უფრო დიდი პოტენციალი ენიჭება, ახალ-გაზრდული სერვისების დაგეგმვა და განხორციელება სწორედ ახალგაზრდების აქტიურობითა და მათ საჭიროებებზე მორგებით ხდება შესაძლებელი, რაც ზრდის მოქალაქეების მონაწილეობის სტანდარტს. ამ ნაწილში დიდი როლი აქვს ასევე, ადგილობრივი ახალგაზრდული საბჭოებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების ჩართვას, რაც საქართველოს შეუძლია გამოიყენოს წარმატებით, რადგან ეს ინფრასტრუქტურა გამართულად მუშაობს ამ დრომდე.

ახალი საჯარო მართვის კიდევ ერთი ძირითადი მიზანია ეფექტურობისა და ეფექტიანობის პრინციპების დანერგვა საჯარო სექტორში. ორივეს გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია გადასახადების გადამხდელების ფინანსური რესურსი გონივრულად და მიზნობრივად იყო გახარჯული და მათ ხარჯვას მოჰქონდეს მაქსიმალური ეფექტი. მაგალითად, როცა ვსაუბრობთ ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობაზე ან მათი როლის გაზრდაზე სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, იმგვარი საპასუხო მიზნები, ამოცანები და აქტივობები უნდა დაისახოს სახელმწიფომ, რომ სახელმწიფო რესურსის, იქნება ეს ფინანსური და ადამიანური, ინვესტირება მოახდინოს მტკიცებულებებზე დაყრდნობით, კარგი პრაქტიკის შესწავლით და გათვლა უნდა იყოს მაქსიმალური შედეგების მიღებაზე, რომელიც უნდა გაიზომოს და გაანალიზდეს რამდენად წარმატებით დაიხარჯა აღნიშნული რესურსები და ხომ არ აჯობებს სამომავლო ხედვის შეცვლა შედეგების ანალიზის და მიგნებებზე დაყრდნობით.

ახალგაზრდობის სექტორმა უნდა დაასაბუთოს, რომ ახალგაზრდულ საქმიანობებში ინვესტირებული თანხები არის მიზნობრივი, ამისთვის აუცილებელია კვლევითი საქმიანობების გააქტიურება, რათა გაიზომოს ახალგაზრდული პროგრამების და მათი გავლენის ეფექტურობა.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი მმართველობის მოდელი უფრო მეტად ფოკუსირებას ახდენს სტრატეგიულ დაგეგმვაზე, ბიუჯეტირებასა და მტკიცებულებებზე, აუცილებელია არ დაგვავიწყდეს სფეროს ყოველდღიური საქმიანობა, რადგან ძალიან ბევრი არსებული პროგრამებითა და აქტივობებით მიმდინარეობს მრავალმხრივი მუშაობა აღნიშნულ სფეროში, შესაბამისად აუცილებელი იქნება, რომ განხორციელების ნაწილშიც საკმარისი რესურსი და ყურადღება იყოს კონცენტრირებული, რადგან სამომავლო ხედვის ანუ სტრატეგიული ხედვის პარალელურად, არ გაჩერდეს სფეროს ყოველდღიური აქტიური მუშაობა, რაზეც ძალიან დიდი შედეგები დევს.

5.9 ადვოკატირება და ლობირება

ავტორი: რევაზ ბარბაქაძე

ადვოკატირება არის წინასწარ მოფიქრებული და დაგეგმილი ნაბიჯების ერთობლიობა, რომელიც საბოლოოდ ემსახურება ინდივიდებში, თემსა თუ საჯარო პოლიტიკაში ცვლილებას. ეს არის გამიზნული პროცესი ისეთ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოსახდენად, რომლებსაც შეუძლია ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა ერთი ან მრავალი ადამიანისთვის, შესაბამისად, გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან კომუნიკაცია მისი შემადგენელი ნაწილია.

გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე არსებობს გავლენის მოხდენის ორი გზა „შიდა“ და „გარე“ გზა. „გარე“ გზა დაკავშირებულია ადვოკატირების კამპანიებსა და აქტივობებთან, ხოლო „შიდა“ გზა ორიენტირებულია კონსტრუქციულ დიალოგზე და გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან პირდაპირ კომუნიკაციაზე.

ადვოკატირების პროცესი ერთმნიშვნელოვნად არ გულისხმობს რომელიმე ერთი სოციალური ან პოლიტიკური ჯგუფის საქმიანობას, უფრო ხშირად ეს არის სხვადასხვა სექტორული ინტერესის გადაკვეთის წერტილი. ადვოკატირების საბოლოო მიზანი ორ ნაწილად შეიძლება ჩამოყალიბდეს: პირველი არსებულ გამოწვევასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება და მეორე, შეთანხმება პრობლემის გადაჭრის გზებზე და თანამოაზრეთა შემოკრება ერთიანი ძალებით მუშაობისთვის. ადვოკატირების საშუალებით შესაძლებელია მთავრობის ანგარიშვალდებულების გაზრდა, გამჭვირვალობის ხელშეწყობა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებამდე ხმის მიწვდენა იმ მოწყვლადი ჯგუფებისა, ვინც პოლიტიკის შექმნის და გადაწყვეტილების მიღების პროცესის მიღმა რჩება. შესაბამისად, ადვოკატირების შედეგად შესაძლებელი ხდება თითოეული მოქალაქის ხმა ისმოდეს სამიზნე მუნიციპალიტეტის მერიასა თუ საკრებულოში ან ცენტრალური მთავრობის დონეზე.

ადვოკატირების პროცესი შვიდ ძირითად ეტაპს მოიცავს და ხორციელდება ციკლის პრინციპით დასასრულს ისევ დასაწყისი შეიძლება მოჰყვეს.

წარმატებული ადვოკატირებისათვის, პირველ რიგში, უნდა განვსაზღვროთ, **რა გვინდა.** შესაბამისად, პრობლემა სწორად უნდა შეირჩეს, მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს და მისი გადაწყვეტისთვის დაისახოს ეფექტიანი და შედეგის მომტანი ამოცანები. თუ ვერ მოახდენთ პრობლემის სწორად იდენტიფიცირებას, ადვოკატირების პროცესი თავიდანვე განწირული იქნება მარცხისთვის. შერჩეული გამოწვევა უნდა იყოს კონკრეტული და უნდა უკავშირდებოდეს რომელიმე ადგილს ან მოსახლეობის ჯგუფს ან, ამავე დროს, შეიძლება, ერთი ინდივიდის პრობლემასაც ასახავდეს. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ადვოკატირების კამპანიიის წარმოება არაეფექტური იქნება თუ მისი მიზანი იქნება სიღარიბის დაძლევა ან ვთქვათ ახალგაზრდული სტარტაპების განვითარების ხელშეწყობა.

ადვოკატირების პროცესის საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია მაქსიმალურად სწორად იქნას განსაზღვრული კონკრეტული პრობლემა და ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზები. თავად ადვოკატირების პროცესი მიმართული უნდა იყოს არა პრობლემის სინდრომებისა და შედეგების აღმოსაფხვრელად, არამედ მისი გამომწვევი გარემოებების აღმოსაფხვრელად. ამითი ადვოკატირების დაგეგმვის პროცესი ძალიან გავს საპროექტო განაცხადის მომზადების პროცესს.

პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ, მნიშვნელოვანია სწორად იქნეს შერჩეული ადვოკატირების სამიზნე აუდიტორია ანუ ის პიროვნებები და ინსტიტუციები ვისაც შეუძლია არსებული პრობლემის მოგვარება. სამიზნე აუდიტორიის სწორი იდენტიფიცირებისთვის საჭიროა პროცესის ორგანიზატორები

კარგად იცნობდნენ გარემოს, ძირითად აქტორებს და საკანონმდებლო ბაზას. მაგალითად, არაეფექტურია დაგეგმო ადვოკატირების კამპანია სასმელი წყლის ან ელექტრო ენერგიის მოწოდების გასაუმჯობესებლად და მისი სამიზნე აუდიტორიად განსაზღვრო ადგილობრივი თვითმმართველობა.

იმისათვის, რომ ზუსტად მოხდეს სამიზნე აუდიოიტორიასთან მიდგომის განსაზღვრა, უნდა დაისვას შემდეგი კითვები:

- როგორია სამიზნე აუდიტორიის გავლენა გამოწვევაზე/საკითხზე;
- რა უნდა გააკეთოს სამიზნე აუდიტორიამ იმისთვის, რომ გავლენა მოახდინოს გამოწვევაზე/საკითხზე;
- როგორ უნდა გააკეთოს მან ეს.

შემდეგი ეტაპია მიზნებისა და ამოცანების დასახვა. კამპანიის მიზანი არის იმ შედეგის მიღწევა, რაც გვინდა, რომ დადგეს, ხოლო ამოცანები - ესაა იმ აქტივობების და ნაბიჯების ერთიანობა რისი საშუალებითაც შესაძლებელია მიღწეული იქნეს მიზანი.

ადვოკატირების პროცესში მნიშვნელოვანია მოხდეს დაინტერესებული მხარეების განსაზღვრა. დაინტერესებული მხარეები არიან ის ადამიანები, ჯგუფები ან ინსტიტუტები, რომლებზეც ადვოკატირების პროცესი ნეგატიურ ან პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს, რის გამოც ისინი შეიძლება მხარდამჭერები, მოწინააღმდეგეები და ნეიტრალურები.

ადვოკატირების პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია რესურსების ანალიზი. გასათვალისწინებელია რომელი სახის და რა რაოდენობის რესურსია საჭირო მიზნის მისაღწევად. რესურსები პირობითად შეიძლება დაიყოს შემდეგ სახეებად:

- ფინანსური რესურსი;
- ადამიანური რესურსი;
- არამატერიალური რესურსი;
- დროის რესურსი.

შეიძლება ითქვას, რომ პრობლემის, სამიზნე აუდიტორიის, მიზნების, დაინტერესებული მხარეებისა და რესურსების განსაზღვრა არის მოსამზადებელი საქმიანობა კამპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილის - მისი სტრატეგიის შემუშავებისთვის.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანია განისაზღვროს ადვოკატირების მექანიზმები/ინსტრუმენტები, მთავარი გზავნილები, განმახორციელებლები (გზავნილის გამავრცელებლები) და გუნდის ძლიერი და სუსტი მხარეები.

ერთმანეთისაგან განსხვავდება მექანიზმები რომლებიც გამოყენებული უნდა იქნას ადგილობრივი თვითმმართველობის და ცენტრალური ხელისუფლების მიმართებაში. თუ ადგილობრივ დონეზე ეფექტური იქნება გაფართოებული შეხვედრების ჩატარება, ცნობიერების ამაღლების კამპანია, ღია წერილი/ პეტიცია/ელექტრონული პეტიცია, ვიდეორგოლების მომზადება ან ფლეშ მობი, ცენტრალურ დონეზე საჭიროა გაერთიანებული წერილის მიწერა, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან კომუნიკაცია და მათი ჩართვა ადვოკატირების პროცესში; ქსელური მუშაობა და სექტორთშორისი თანამშრომლობა და ა.შ. სხვანაირად რომ ვთქვათ, მექანიზმები შერჩეული უნდა იქნას სამიზნე აუდიტორიის მასშტაბისა და ზეგავლენიდან გამომდინარე.

მნიშვნელოვანია, რომ მკაფიოდ იქნას ჩამოყალიბებული ადვოკატირების პროცესის მთავარი გზავნილი. მისი დახმარებით სათქმელი გასაგებად და ნათლად უნდა მივიდეს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან. გზავნილი თავისი არსით

უნდა მოიცავდეს როგორც ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რისი შეცვლა იგეგმება. ანუ, პრობლემის გადაჭრისკენ მიმართული პოლიტიკისთვის ადვოკატირება უნდა გვთავაზობდეს გამოსავალსაც.

ადვოკატირების წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია გამოყენებული იქნას ორგანიზაციის, საინიციატივო ჯგუფის ან თემის ძლიერი მხარეები. ესაა, გამოცდილება, ადგილობრივი პირობები, კავშირის სხვადსხვა ძლიერ აქტორებთან და მედიასთან.

პროცესის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა ადგილობრივი თემის მობილიზაცია და მათი ჩართვა ადვოკატირებაში. თემის დროული და სწორი ჩართვა პროცესში დიდ წილად განაპირობებს წარმატებას.

ადვოკატირების ყოველი ეტაპის პარალელურად და მისი შესრულების შემდეგ, აუცილებელია პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გაკეთება. მონიტორინგი და შეფასება საშუალებას იძლევა განისაზღვროს რამდენად იქნა მიღწეული შედეგი, შეფასდეს ტაქტიკის წარმატება, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ხარისხი. მონიტორინგისა და შეფასების მიზანია იმის გარკვევა, რამდენად საჭიროა საქმიანობის სტრატეგიაში გარკვეული ცვლილების შეტანა

და ბოლოს, ადვოკატირების პროცესის ეფექტურობისათვის, საჭიროა წინსწარ იყოს განსაზღვრული რამდენიმე ფაქტორი:

ადვოკატირების დრო - განსაკუთრებით, თუ ეს იწვევს რომელიმე დონის ბიუჯეტში ცვლილებას.

ადვოკატირებისთვის საჭირო თვისებები - კამპანიის საწარმოებლად საჭიროა ისეთი ადამიანების მობილიზება, რომლებსაც შეუძლიათ მოიტანონ ადვოკატირებისათვის სასარგებლო რესურსი. ისინი პირადად უნა იყვნენ და-ინტერესებული პრობლემის მოგვარებით. როდესაც ადამიანს კარგად აქვს გააზრებული საკითხი და თავადაც სჯერა ადვოკატირების პროცესის, მისი მონაწილეობა გაცილებით ეფექტურია.

ძალთა გაერთიანება ადვოკატირებისათვის - რაც ხელს უწყობს ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, იძლევა რესურსების გაზრდის შესაძლებლობას. ამასთან, პარტნიორებს შეიძლება უკვე ჰქონდეთ წარმატებული ადვოკატირების გამოცდილებაც.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ ხელისუფლებაზე ზემოქმედების ისეთი მექანიზმი, როგორიცაა ლობირება. ლობირება ესაა ადვოკატირების ერთ ერთი ნაირსახეობა, რომელიც მიმართულია საკანონმდებლო ცვლილებაზე. ლობირების ობიექტს წარმოადგენენ ხელისუფლების ინსტიტუტები. ესაა ზეგავლენა საკანონმდებლო პროცესზე. მისი დახმარებით მოქალაქეთა ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო კომპანიები და სხვადასხვა "განსაკუთრებული ინტერესების ჯგუფები" ცდილობენ გავლენა იქონიონ მთავრობის და პარლამენტის ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე და მისი მიზანია გარკვეული კანონპროექტის ან დადგენილების მხარდაჭერა, დამტკიცება ან შეცვლა. არსებობს ორი ტიპის ლობირება, უშუალო და არაუშუალო:

უშუალო ლობირება - ესაა ლობისტების მიერ წარმოდგენილი ორგანიზაციის ინტერესების პირდაპირი დაცვა, ანუ კანონმდებელზე უშუალო ზეწოლა. უშუალო ლობირების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ კანონმდებლებთან ურთიერთობას, რომელიც იმ მუნიციპალიტეტიდანაა არჩეული, სადაც საქმიანობს დამკვეთი. ამასთანავე მნიშვნელოვანია საქმიანი ურთიერთობები იმ ჯგუფებთან, რომლებსაც დიდი როლი ენიჭებათ კონკრეტული კანონპროექტის მიღებისას. მაგალითად, საკანონმდებლო ორგანოს კომიტეტების წევრები, რომლებიც პროფილის მიხედვით ვალდებულნი არიან განიხილონ

კანონპროექტი.

არაუშუალო ლობირება - ესაა ლობირება ქვემოდან, სხვადასხვა მასობრივი კამპანიების ორგანიზების გზით, ანუ საზოგადოების მობილიზება რაიმე აქტის მხარდასაჭერად (ასეთი ფორმის ლობირებას ხშირად უწოდებენ ადგილობრივსაც). ასეთი ტიპის ლობირების ძირითადი მიზანია გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე და ამომრჩეველმა გააძლიეროს ზეგავლენა. ლობირების ამ ეტაპზე უდიდესი როლი ენიჭება მასმედიასთან მუშაობას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს კონკრეტული საკითხის საერთო სამოქალაქო მნიშვნელობის დემონსტრირებას. ლობირების ამ ფორმის გამოყენებისას დიდი როლი ენიჭება პიროვნებათაშორის ურთიერთობების მოწყობას, ხალხის კონკრეტულ ჯგუფებთან შეხვედრას და კორესპონდენციის საფოსტო გზავნილების მასიური კამპანიის ორგანიზებას.

ძირითადი სხვაობა ადვოკატირებასა და ლობირებას შორის მდგომარეობს იმაში, რომ ადვოკატირების კამპანია არ საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას. მაგალითად - კამპანია საჯარო შენობებზე პანდუსების მოწყობის მოთხოვნით. ხოლო ლობირება მიმართულია უშუალოდ საკანონმდებლო ცვლილებებზე. თუმცა არსებობს პრაქტიკა, როდესაც ადვოკატირების პროცესი გადაიზარდა ლობირების პროცესში შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილების გამო.

ადვოკატირების და ლობირების წარმატებულ მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ქალაქ რუსთავში მოქმედი ორგანიზაცია ,,გავიგუდეთ"-ისმიერ წარმოებული კამპანია, რასაც მოჰყვა ცვლილებების შეტანა გარემოსდაცვით კანონმდებლობაში, რითაც ადგილობრივ ბიზნეს სექტორს დაეკისრა გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიზნით კონკრეტული ღონისძიებების გატარება.

5.10 ფონდების მოძიება

ავტორი: რევაზ ბარბაქაძე

ნებისმიერი საქმიანობის წარმატებული განხორციელებისთვის უმნიშვნელოვანესია შესაბამისი ფინანსური და მატერიალური რესურსების მოძიება. სულ ახლო წარსულში, ერთადერთი წყარო ამ რესურსების მოსაძიებლად იყვნენ საერთაშორისო ფონდები, პროგრამები და საგრანტო კონკურსები. დღევანდელ რეალობაში ეს სურათი იცვლება და უკვე შესაძლებელია ამ წყაროების დიფერენციაცია. დღეს არსებობენ რესურსების მოძიების შემდეგი წყაროები:

- საერთაშორისო ფონდები და პროგრამები;
- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ბიზნეს სექტორი;
- ქრაუდფანდინგი.

რასაკვირველია, აღნიშნული წყაროების გამოყენება საკმაოდ რთულია. მოითხოვს დონორების საქმიანობაზე მუდმივ თვალყურის დევნებას, საკუთარი საქმიანობის სფეროზე სრული ინფორმაციის ქონას და საგრანტო განაცხადების მომზადების კარგ ცოდნას.

დაფინანსების მოსაპოვებლად სამოქალაქო სექტორმა შესაძლებელია გამოიყენოს შემდეგი შესაძლებლობები:

- საგრანტო კონკურსები;
- მუნიციპალური პროგრამები;
- ქრაუდფანდინგის პლატფორმები.

დღეისთვის საერთაშორისო ფონდები და მათი პროგრამები მაინც რჩებიან რესურსების მოძიების ძირითად წყაროდ. ყველაზე მსხვილი და ცნობადი ფონდები და პროგრამები რომლებიც საქართველოში მუშაობენ არიან: EU, USAID, UNDP, OSGF, საელჩოები და ა.შ.

ზემოთხსენებული ფონდებს გააჩნიათ სპეციალიზებული პროგრამები სხვადასხვა მიმართულებით, რომლებიც პერიოდულად აცხადებენ ღია ან დახურულ საგრანტო კონკურსებს. აღნიშულ კონკურსებში მონაწილეობა აძლევს შესაძლებლობას სხვადასხვა ორგანიზაციებსა და საინიციატივო ჯგუფებს მოიპოვონ რესურსები საკუთარი საქმიანობის განსახორციელებლად და მიზნების მისაღწევად.

საგრანტო კონკურსში მონაწილოების მისაღებად განაცხადის წარმდგენი დეტალურად უნდა გაეცნოს კონკურსის პირობებს. დონორები ხშირად ითხოვენ ისეთი აუცილებელი პირობების დაკმაყოფილებას, როგორიცაა ორგანიზაციის მდგრადობა, ისტორია, ფინანსური ბრუნვა, დარგში მუშაობის გამოცდილებას და ა.შ.

მნიშვნელოვანია რომ საგრანტო განაცხადის ფორმა ზედმიწევნით ზუსტად იყოს შევსებული და მთლიანად პასუხობდეს დონორის მოთხოვნებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია რომ ორგანიზაცია თავისი ისტორიით შეესაბამებოდეს კონკურსის მოთხოვნებს. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კონკურენცია ძალიან დიდია და მხოლოდ დონორის ყველა მოთხოვნის სრულყოფილად შესრულება აძლევს ორგანიზაციას შანსს რომ მიიღოს დაფინანსება.

ბოლო წლებში გაჩნდა პრეცედენტები, როდესაც ადგილობრივმა თვითმმართველობებმა დაიწყეს სხვადასხვა სახის დაფინანსების გაცემა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებზე ამა თუ იმ მიმართულებით სამუშაოდ. პირდაპირი გრანტის გაცემა მუნიციპალიტეტს ეკრძალება, თუმცა მაინც შესაძლებელი გახდა სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის გზების მოძიება.

კონკრეტული წარმატებულ მაგალითად შესაძლებელია განვიხილოთ რუსთავის მუნიციპალიტეტის ,,ინიციატივების თანადაფინანსების პროგრამა", რომლის არსიც მდგომრეობს შემდეგში: თუ ორგანიზაცია ან აქტივისტთა ჯგუფი მოიპოვებს საერთაშორისო დაფინანსებას რუსთავის მუნიციპალიტეტის ფარგლებში ახალგაზრდული პროექტის ან აქტივობის განსახორციელებლად, ადგილობრივი მერია პროგრამის ფარგლებში ახდენს ინიციატივის სრული ღირებულების არაუმეტეს 50% ით თანადაფინანსებას. პროგრამა საკმაოდ წარმატებული გამოდგა და 2018-2019 წლებში მის ფარგლებში საერთო ჯამში გაცემული იქნა 75 000 ლარამდე თანადაფინანსება სხვადასხვა ორგანიზაციებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე ორგანიზაცია ,,რუსთავის ინოვაციების ჰაბი" ახდენს ამ პროგრამის წარმატებულ რეპლიკაციას მარნეულის, ბოლნისის და დმანისის მუნიციპალიტეტებში. მართალია არსებული რეგულაციების პირობებში თანადაფინანსების გაცემა არაა ადვილი და სწრაფი პროცესი, მოითხოვს მუნიციპალიტეტის რიგი თანამშრომლების და სამსახურების მიერ საკმაოდ რთული პროცედურების გავლას, თუმცა მსგავსი პრეცედენტები ხელს უწყობს ადგილზე არსებული ახალგაზრდა ინიციატორების გააქტიურებას და უჩენს მათ დამატებით მოტივაციას მუშაობისთვის.

მართალია არსებული რეგულაციების პირობებში თანადაფინანსების გაცემა არაა ადვილი და სწრაფი პროცესი, მოითხოვს მუნიციპალიტეტის რიგი თა-

ნამშრომლების და სამსახურების მიერ საკმაოდ რთული პროცედურების გავლას, თუმცა მსგავსი პრეცედენტები ხელს უწყობს ადგილზე არსებული ახალგაზრდა ინიციატორების გააქტიურებას და უჩენს მათ დამატებით მოტივაციას მუშაობისთვის. ამ პროცესის განვითარებას ხელი შეუშალა კოვიდ პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა პრობლემებმა. ამ რეალობის დადგომამდე მეტი და მეტი ბიზნესმენი იყო დაინტერესებული პროცესებში ჩასართავად.

ბიზნესის მიერ სამოქალაქო სექტორის მხარდაჭერას რიგ შემთხვევაში აქვს კერძო დონაციის და ქველმოქმედების სახე, თუმცა ეს მხარდაჭერა თანდათან უფრო ხშირად გვხვდება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ფარგლებში. განსაკუთრებით ამ სფეროში გამოირჩევიან მსხვილი ბანკები და კომპანიები.

მნიშვნელოვანია ბიზნეს სუბიექტების ჩართვა სხვადასხვა პლატფორმების მუშაობაში, რომელიც მიმართული იქნება კონკრეტული გამოწვევების დასაძლევად. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ბიზნეს სექტორი აქტიურად ერთვება ისეთ პლატფორმებზე, რომელთა მიზანია სხვადასხვა სახის ეკონომიკური და ურბანული განვითარება, ახალგაზრდული სტარტაპებისა და სოციალური ინოვაციების ხელშეწყობა, გარემოს დაცვა და ა.შ.

ბოლო წლებში თანდათან პოპულარული ხდება ფონდების მოძიების ახალი შესაძლებლობა - ქრაუდფანდინგი. ქრაუდფანდინგი (Crowdfunding) ერთ-ერთი წარმატებული გზა გახდა სხვადასხვა წამოწყებისთვის (ბიზნეს, სამეცნიერო, პირადი და ა.შ.) ინვესტიციების მოსაზიდად. მისი მთავარი არსი არის ის, რომ ონლაინ სივრცეში დიდი რაოდენობის პოტენციურ დამფინანსებელთან გეძლევა საკუთარი იდეის წარდგენის საშუალება. რაც უფრო მეტ დამფინანსებელს დააინტერესებ, უფრო ზრდი შანსს რომ იდეის განხორციელებისათვის საჭირო თანხა აგროვდეს. გარკვეული დროის განმავლობაში დაინტერესებული დამფინანსებლები იდეის ავტორს (ან ავტორთა ჯგუფს, კომპანიას) ურიცხავენ თანხას. თანხის რაოდენობას დამფინანსებლები თავიანთი სურვილით განსაზღვრავენ. ძირითად შემთხვევებში, უმეტესი ქრაუდფანდინგის ვებსაიტი დაფუძნებულია ქველმოქმედების ან გარკვეული არაკომერციული სარგებელის პრინციპზე.

ქრაუდფანდინგის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ დაფინანსების მოპოვება ბანკების, სხვადასხვა ფონდებისა და ბირჟების მონაწილეობის გარეშე შეიძლება. ეს უფრო დემოკრატიული მეთოდია. ქრაუდფანდინგი იძლევა საშუალებას პროექტი კრედიტების გარეშე აიწყოს. ეს ასევე შესანიშნავი PR-საბაბია.

საქართველოში კრაუდფანდინგის ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითად შესაძლებელია განვიხილოთ ორგანიზაცია ,,ორბელიანი საქართველოს“ მიერ შექმნილი ონლაინ პლატფორმა www.orbelianimeti.ge. თავისი ერთწლიანი საქმიანობის მანძილზე ამ პლატფორმის საშუალებით შესაძლებელი გახდა 20 პროექტის და ინიციატივის განსახორციელებლად 42 ათას ლარზე მეტის მოგროვება. აღნიშნული პლატფორმის გამოყენება შეუძლია ყველა მსურველს. პლატფორმის საშუალებით, შესაძლებელია რესურსების მოძიება სოციალური ინიციატივებისთვის, სტარტაპისთვის, განათლებისთვის და ა.შ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საქართვლოში ფონდების მოძიების მოსაძიებელი სივრცე საკმაოდ მრავალფეროვანი გახდა და საჭიროა სამოქალაქო სექტორმა დროულად აიღოს სწორება ამ ცვლილებების ჯეროვნად და ეფექტურად გამოსაყენებლად.

5.11 მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა და მათი შესრულების ნაბიჯები

ავტორი: ანა კვერნაძე

პოლიტიკის მონიტორინგი და შეფასება ერთ-ერთი მნიშნველოვანი კომპონენტია საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში. ახალგაზრდული პოლიტიკის ჩამოყალიბების შემდეგ, იწყება მისი განხორციელება და პროცესის კოორდინაცია, რომლის განუყოფელი ნაწილია პოლიტიკის მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგისა და შეფასების მიზანია: დაკვირვება ახალგაზრდული პოლიტიკის მიზნების, ამოცანებისა და აქტივობების მიღწევაზე და მათი შეფასება; არსებული გამოწვევებისა და შეფერხებების დროული გამოვლენა სწორი, დროული და მიზანმიმართული გადაწყვეტილებების მისაღებად. პროცესი ასევე აფასებს, რამდენად განაპირობა სამოქმედო გეგმაში გაწერილმა საქმიანობებმა პრობლემების მოგვარება და მიღწეულია თუ არა ამოცანები/მიზნები.

როგორც მონიტორინგის, ისე შეფასების მიზანია პოლიტიკის შედეგების გაუმჯობესება, თუმცა მონიტორინგი გულისხმობს მონაცემთა რეგულარულ შეგროვებას პოლიტიკის მიმდინარეობაზე, ხოლო შეფასება არის პოლიტიკის არსისა და შედეგების ერთჯერადი ან პერიოდული სიღრმისეული ანალიზი.

მონიტორინგისა და შეფასების ნაწილია რეგულარული **ანგარიშგება**. მუნიციპალიტეტის ორგანოები ამზადებენ მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშებს.

მონიტორინგის წლიური ანგარიშების დანიშნულებაა, დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიღწეულ პროგრესზე; ასევე, მერსა და საკრებულოს ჰქონდეთ წარმოდგენა მუნიციპალური სამსახურების ეფექტურად მუშაობაზე, ძირითად პრობლემებსა და შესაძლო ჩარევებზე. მონიტორინგის წლიურ ანგარიშს ამზადებს სამუშაო ჯგუფი და წარუდგენს მერს. მას საბოლოოდ ამტკიცებს საკრებულო. მონიტორინგის წლიური ანგარიშს კი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორს სამუშაო ჯგუფისა და პასუხისმგებელი განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები უგზავნიან სტატუს ანგარიშებს. ამ დოკუმენტებში ასახულია მოკლე ინფორმაცია სამოქმედო გეგმის იმ აქტივობათა შესრულებაზე, რომლებზეც პასუხისმგებელ უწყებებად ეს ერთეულები არიან განსაზღვრულნი. სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, წევრებთან ერთად, განსაზღვრავს სტატუს ანგარიშების მომზადება-გაგზავნის პერიოდულობას, მოცემული ცხრილის შესაბამისად:

განსხვავებები მონიტორინგის ანგარიშებს შორის

ანგარიშის ტიპი	სავარაუდო პერიოდი	სავალდებულობა	გამოქვეყნების ვადა	შინაარსი
სტატუს-ანგარიშები	1 თვე, 3 თვე ან 6 თვე.	სულ მცირე, 6 თვეში ერთხელ.	არ ქვეყნდება.	აქტივობები.
მონიტორინგის წლიური ანგარიშები	1 წელი	სავალდებულოა	მომდევნო წლის 1 მარტამდე	ამოცანები, აქტივობები.

პერიოდულობის თვალსაზრისით, არსებობს შეფასების ორი ტიპი: შუალედური და საბოლოო. შესაბამისად, შეფასების ანგარიში მზადდება ორ წელიწადში ერთხელ - დოკუმენტის დამტკიცებიდან ორი წლის შემდეგ (შუალედური შეფასება) და დოკუმენტის ოთხწლიანი ვადის გასვლისას (საბოლოო შეფასება). შეფასებისას განისაზღვრება მისი კრიტერიუმები და კითხვები, ტიპი და მეთოდოლოგია. ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის შესაფასებლად, შესაძლებელია შეფასების შიდა, გარე და შერეული ტიპის გამოყენება:

- შიდა, რომელსაც ახორციელებს მერია;
- შერეული, როდესაც მერიას შეიძლება ეხმარებოდნენ დამოუკიდებელი გარე ექსპერტები, ორგანიზაციები ან/და სხვა სახელმწიფო უწყებები;
- გარე, როდესაც შეფასებას ატარებენ დამოუკიდებელი გარე ექსპერტები ან ორგანიზაციები.

მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის მონიტორინგსა და შეფასებაში აქტიურად არიან ჩართული ადილობრივი და-ინტერესებული მხარეები, კერძო და სამოქალაქო სექტორი, განსაკუთრებით, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები.

მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშების საბოლოო შედეგია მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების დოკუმენტის გაუმჯობესება. გასული ორი წლის მონიტორინგისა და შუალედური შეფასების ანგარიშები ხდება ახალი ორწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების ძირითადი საფუძველი, ხოლო საბოლოო შეფასებაზე დაყრდნობით სრულად განახლდება მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი.

5.12 მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია

ავტორი: ანა კვერნაძე

მოცემულია მონიტორინგის ანგარიშების სტრუქტურა, რომელიც უნდა შეივსოს დეტალურად მუნიციპალიტეტის მიერ და სადაც მონიშნული არის რიცხობრივად გრაფები და შევეცდები, რომ რიცხვების მიხედვით ავხსნა, თუ რა ინფორმაცია სად უნდა შევიყვანოთ.

მონიტორინგის ანგარიშის სტრუქტურა

აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხის-მგებელი ერთეული	გამოქვეყნე-ბის ვადა	სტატუსი	%	პროგრესი (ნარატივი)	ფერი
1.	2.	3.	4.	5.	6.	7.	8.

1. **აქტივობის** დასახელება, რომელზეც ივსება ინფორმაცია. ივსება დამტკიცებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად.
2. **აქტივობის შედეგების ინდიკატორ[ებ]ის** დასახელება. ივსება დამტკიცებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად.
   მითითებული აქტივობის განხორციელებაზე **პასუხისმგებელი უწყება ან**
3. **სტრუქტურული ერთეული**. ივსება დამტკიცებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად
4. მითითებული აქტივობის განხორციელების **ვადა** - ივსება დამტკიცებული

სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

5. მითითებული აქტივობის განხორციელების სტატუსი: სტატუსები შეიძლება იყოს:
    - არ დაწყებულა;
    - ნაწილობრივ შესრულდა;
    - მეტწილად შესრულდა;
    - განხორციელდა;
    - განხორციელდა დაგვიანებით;
    - გაუქმებულია.

    ივსება პასუხისმგებელი უწყების/სტრუქტურული ერთეულის მიერ მიღწეული პროგრესის შესაბამისად.
6. მითითებული **აქტივობის განხორციელების პროცენტული მაჩვენებელი** 0%-დან 100-მდე. ეს მაჩვენებელი უნდა შეესაბამებოდეს აქტივობის განხორციელების სტატუსს:
    - არ დაწყებულა - 0%
    - ნაწილობრივ შესრულდა - 1%-დან 50%-ის ჩათვლით
    - მეტწილად შესრულდა - 51%-დან - 99%-ის ჩათვლით
    - განხორციელდა - 100%
    - განხორციელდა დაგვიანებით - 100%
    - გაუქმებულია - 0%

    ივსება პასუხისმგებელი უწყების/სტრუქტურული ერთეულის მიერ მიღწეული პროგრესის შესაბამისად.
7. **ნარატიული ინფორმაცია** 1 გრაფაში მითითებული აქტივობის განხორციელებაზე (სტატუსი და პროცენტული მაჩვენებელი), რომელიც უნდა ხსნიდეს, თუ რა ნაბიჯები გადაიდგა და რა იგეგმება სამომავლოდ. სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 250. საბოლოო ჯამში, ნარატიული ნაწილი უნდა იძლეოდეს საშუალებას, გავიგოთ, თუ რატომ მიენიჭა კონკრეტული სტატუსი და პროცენტული მაჩვენებელი აქტივობის განხორციელებას. ივსება პასუხისმგებელი უწყების/სტრუქტურული ერთეულის მიერ მიღწეული პროგრესის შესაბამისად
8. შესაბამისი **ფერი** 1 გრაფაში მითითებული აქტივობის განხორციელების სტატუსისთვის:
    - არ დაწყებულა - წითელი;
    - ნაწილობრივ შესრულდა - ღია მწვანე;
    - მეტწილად შესრულდა - საშუალო მწვანე;
    - განხორციელდა - მუქი მწვანე;
    - განხორციელდა დაგვიანებით - ვარდისფერი
    - გაუქმებულია - რუხი

მონიტორინგის წლიურ ანგარიშს ამზადებს სამუშაო ჯგუფი, მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ მოწოდებული სტატუს ანგარიშების საფუძველზე. მისი სტრუქტურა უნდა იყოს ლოგიკური, თანმიმდევრული და მარტივად აღსაქმელი. ცხრილზე ვხედავთ. მონიტორინგის წლიური ანგარიშის რეკომენდებულ სტრუქტურას. სტრუქტურა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას იხ. ცხრილი.

შეფასების მეთოდოლოგია და ანგარიშგების სტრუქტურა - შეფასების ანგარიშები მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების პერიოდში მზადდება ორჯერ - ე.წ. შუალედური შეფასება ტარდება დოკუმენტის დამტკიცებიდან 2 წლის თავზე, ხოლო ე.წ. საბოლოო შეფასება - დოკუმენტის ვადის გასვლისას. მაგალითად, თუ დოკუმენტი მოიცავს 2021-2024

ანგარიშის სტრუქტურა:

თავის დასახელება	რისგან უნდა შედგებოდეს თავი:
1. მოკლე შეჯამება	• ძირითადი განხორციელებული აქტივობები; • რისკები და რეკომენდაციები.
2. შესავალი	• ინფორმაცია კონკრეტული პოლიტიკის დოკუმენტზე; • საანგარიშო პერიოდი; • სხვა მეთოდოლოგიური საკითხები.
3. ზოგადი პროგრესი	• საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობების რაოდენობა; • ზოგადი განხორციელების დონე სტატუსებისა და პროცენტული მაჩვენებლების შესაბამისად; • საუკეთესო და ყველაზე საგანგაშო სფეროები პრიორიტეტების შესაბამისად.
4. გამოწვევები და რეკომენდაციები	• ძირითადი პრობლემები განხორციელებასთან დაკავშირებით; • რისკები, რომლებიც შეიძლება ამ პრობლემებმა წარმოშვას; • რეკომენდაციები აღნიშნული პრობლემებისა და რისკების დასაბალანსებლად.
5. დანართები	• მტკიცებულებები, რაოდენობრივი მონაცემები, ფოტომასალა და სხვა.

შუალედური შეფასების ანგარიში უნდა მომზადდეს - 2022 წლის პირველ ნახევარში, ხოლო საბოლოო შეფასების ანგარიში - 2024 წლის პირველ ნახევარში. შუალედური შეფასების მიზანია - შეფასდეს დოკუმენტის საშუალოვადიანი ამოცანების, ასევე, აქტივობების შესრულება და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრესი; და დადგინდეს ჩავარდნები და გამოწვევები განხორციელების პროცესში. საბოლოო შეფასების მიზანი არის - დოკუმენტის გრძელვადიანი მიზნებისა და საშუალოვადიანი ამოცანების საბოლოო მდგომარეობის დადგენა სამიზნე ინდიკატორებთან მი-მართებით; ასევე, დოკუმენტის შესაბამისობა, ეფექტურობა, ეფექტიანობა, მდგრადობა და გავლენა. რაც შეეხება შეფასების მეთოდოლოგიას, უნდა გაანალიზდეს სტრუქტურული ერთეულების მიერ გამოგზავნილი ანგარიშები, ასევე, აქტივობის შედეგების ინდიკატორებთან მიმართებით პირველადი და მეორეული მონაცემები; უნდა ჩატარდეს ფოკუს ჯგუფები, ინტერვიუები, სამუშაო შეხვედრები ყველა დაინტერესებულ მხარესთან. შეფასების მეთოდი შეიძლება იყოს შუალედურის შემთხვევაში, შიდა, შერეული, გარე, საბოლოოს შემთხვევაშიც იდენტური მოდელები შეიძლება იყოს შიდა, შერეული და გარე შეფასება. საქართველოში პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემაში გამოიყენება შეფასების 5 ძირითადი კრიტერიუმი:

- შესაბამისობა - რამდენად შეესაბამება მიზნები და ამოცანები მუნიციპალურ საჭიროებებს, გლობალურ პრიორიტეტებსა და პარტნიორთა და დონორთა პოლიტიკას. შუალედური შეფასება იკვლევს ჩარევის ამოცანებისა ან ჩანაფიქრის აქტუალობას შეცვლილი გარემოებების გათვალისწინებით;
- ეფექტურობა - მიღწეულია თუ არა მიზნები და ამოცანები (და არა აქტივობები) ან რამდენად მოსალოდნელია მათი მიღწევა;
- ეფექტიანობა - შედეგების მიღწევა ყველაზე დაბალი ხარჯებით. დგინდება შედეგების შეფარდება აუცილებელ ხარჯებთან (რესურსებთან);
- მდგრადობა - რამდენად განაგრძობს მოქმედებას განვითარების სფეროში ჩარევის სარგებელი ძირითადი დახმარების შემდეგ და როგორია ხანგრძლივ პერსპექტივაზე გათვლილ სიკეთეთა გაგრძელების ალბათობა;
- გავლენა - როგორია განვითარების სფეროში ჩარევის შედეგები: პირდაპი-

რი/არაპირდაპირი, გამიზნული/დაუგეგმავი, პოზიტიური/ნეგატიური, მთავარი/მეორადი.

როგორც შუალედური, ისე საბოლოო შეფასების სტრუქტურა უნდა იყოს ლოგიკური, თანმიმდევრული და მარტივად აღსაქმელი.

ლიტერატურის კატალოგი



თქვი შენი სიტყვა - ეს არის მოსაზრებათა და შეკითხვათა კრებული, რომელიც დაეხმარება ადგილობრივ დონეზე მომუშავე პროფესიონალებს, იპოვონ საკუთარი გზები ახალგაზრდების ხარისხიანი მონაწილეობის მისაღწევად და გასაზრდელად.

ევროპოს საბჭოს მიდგომები ახალგაზრდული პოლი-ტიკისა და ახალგაზრდული საქმიანობის საკვანძო საკითხებზე - სახელმძღვანელო აერთიანებს ევროპოს საბჭოს მიდგომებს ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდული საქმიანობის საკვანძო საკითხებზე, როგორიცაა: ახალგაზრდული მონაწილეობა, პოლიტიკის შექმნა, არაფორმალური განათლება და ა.შ.



ხედვები ახალგაზრდული პოლიტიკის მართვაში - პუბლიკაცია მიზანს ისახავს ცოდნის, გამოცდილებისა და ინფორმაციის მოწოდებას ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებას და მმართველობის ფორმებზე, რომლებიც წარმართავენ პოლიტიკის შემუშავებას, მიწოდებასა და შეფასებას ევროპაში. ამრიგად, ის გვთავაზობს სურათს იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ახალგაზრდული პოლი-ტიკის შემუშავება და რომელი საჯარო სტრუქტურები უზრუნველყოფენ მის განხორციელებას და ასევე, როგორ არიან ახალგაზრდები ჩართული ამ პროცესში.

ახალგაზრდობის პოლიტიკის ძირითადი ასპექტები - სახელმძღვანელო წარმოადგენს ახალგაზრდული პოლი-ტიკის გამოწვევების, ძირითადი ცნებებისა და პრინციპების მიმოხილვას. პასუხს სცემს ისეთ კითხვებს, როგორიცაა: როგორ შეუძლიათ მათ ხელი შეუწყონ ახალგაზრდებს საზოგადოებაში ჩართვაში და მათი მისწრაფებების და პოტენციალის რეალიზებაში?





გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდობის მონაწილეობის ახალი და ინოვაციური ფორმები - სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებულია ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების მონაწილეობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობის ინოვაციურ ფორმებზე. სახელმძღვანელოში გამოკვლეული როგორ ირჩევენ ახალგაზრდები მონაწილეობას, იძლევა თუ არა ეს მეთოდები მათ წარმომადგენლობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და განსაზღვრავს პრაქტიკას, რომელიც ხელს უწყობს დემოკრატიის კონსოლიდაციას.

ახალგაზრდული პოლიტიკის სახელმძღვანელო – როგორ განვითარდეს ახალგაზრდობის ეროვნული სტრატეგია - სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებულია ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების მონაწილეობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობის ინოვაციურ ფორმებზე. სახელმძღვანელოში გამოკვლეული როგორ ირჩევენ ახალგაზრდები მონაწილეობას, იძლევა თუ არა ეს მეთოდები მათ წარმომადგენლობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და განსაზღვრავს პრაქტიკას, რომელიც ხელს უწყობს დემოკრატიის კონსოლიდაციას.



ახალგაზრდული საქმიანობა - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2017)4 წევრ ქვეყნებს ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ - რეკომენდაციაში შეგიძლიათ გაეცნოთ ახალგაზრდული საქმიანობის განვითარებას ევროპული თანამშრომლობის გზით. ევროპის საბჭოს მიერ შემუშავდა 2020 წლის დღის წესრიგი, რომლითაც პრიორიტეტი გახდა ახალგაზრდული სექტორი. აღნიშნული აქტივობები მოიცავდა წევრ სახელმწიფოებში ახალგაზრდობის პოლიტიკის მიმოხილვას, ადამიანის უფლებების სწავლებას, ქარტიის შემუშავებაში ახალგაზრდების თანამონაწილეობას ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე. აღნიშნული აქტივობების საშუალებით, ევროპის საბჭომ შეძლო დაემკვიდრებინა ახალგაზრდების როლი ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებაში.

ახალგაზრდების უფლებებთან ხელმისაწვდომობა - ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრი ქვეყნებისადმი, რომელიც კონცენტრირდება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარებაზე.



ადგილობრივ და რეგიონალურ ცხოვრებაში ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ გადახედილი ევროპული ქარტია - სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტი, რომელიც მიმართულია ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების მიმართ და მოიცავს ისეთ პოლიტიკასა და სექტორულ პოლიტიკას, რომელიც დაკავშირებულია ახალგაზრდების ნამდვილი მონაწილეობის განვითარებასთან.

YFJ-ს ინსტრუმენტთა ნაკრები, ახალგაზრდობის პოლიტიკის სტანდატრების შესახებ - ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც, შეგიძლიათ არსებულია ახალგაზრდული პოლიტიკის ვიზუალიზაცია და შეფასება ხარისხიანი ახალგაზრდული პოლიტიკის შესაქმნელად საჭირო 8 სტანდარტის მიხედვით, მოცემული კითხვებითა და ინდიკატორებით.





ახალგაზრდობის პოლიტიკა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში - ეს პუბლიკაცია წარმოადგენს ევროკავშირის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან დაკავშირებულ ახალგაზრდულ პროგრამებსა და მხარდაჭერის მექანიზმეს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ახალგაზრდული პოლიტიკის მიმოხილვას, ამ რეგიონში ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების აღწერას. ასევე დასკვნებსა და რეკომენდაციებს ევროკავშირის ქვეყნებს შორის, განსაკუთრებით პოლონეთსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის, თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდული მუშაობის მიმართულებით.

ახალგაზრდები ტრანზიტში - ახალგაზრდობის პოლიტიკა და მონაწილეობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში - ეს პუბლიკაცია მიჰყვება გადახედილ ევროპის ქარტიას მონაწილეობის შესახებ და თითოეულ პუნქტზე იძლევა რეკომენდაციას თუ რა შეიძლება და არ შეიძლება განხორციელდეს პრაქტიკაში.



ბავშვთა მონაწილეობა: ტოკენიზმიდან მოქალაქეობისკენ - ეს პუბლიკაცია შეეხება ბავშვთა უფლებებსა და მონაწილეობას და დაწერილია მათთვის, ვისაც სურს, რომ ხელი შეუწყოს ახალგაზრდებს თქვან თავიანთი სათქმელი. ასევე, მიზნად ისახავს, ხმა მიაწვდინოს იმ ხალხს, ვისაც აქვს ძალაუფლება ასისტირება გაუწიოს ბავშვებს აიმაღლონ ხმა, მაგრამ მათი ჩართულობის ტრივიალიზაციას ახდენენ.

ახალგაზრდული მონაწილეობრივი პოლიტიკის გადახედვა - სახელმძღვანელო უზრუნველყოფს ახალგაზრდების კონცეპტუალური, ისტორიული, სოციოლოგიური და ინსტიტუციური ანალიზების ინტერდისციპლინარულ პანორამას და მათ დემოკრატიულ ჩართულობას ევროპაში, ასევე ხაზს უსვამს, ახალგაზრდების მონაწილეობის რეალურ ძალაზე



უკვე დროა! სახელმძღვანელო ახალგაზრდობის პოლიტიკისთვის ევროპული პერსპექტივიდან - ეს სახელმძღვანელო ახალგაზრდობის პოლიტიკას პოზიციონირებას უკეთებს როგორც საჯარო პოლიტიკის ნაწილს. თემატურად იგი ფოკუსირდება მონაწილეობაზე, ინფორმირება, მოხალისეობა, სოციალური ინკლუზია, უფლებებთან ხელმისაწვდომობა, ახალგაზრდული საქმიანობა, მობილობა და დიგიტალიზაცია.



წიგნაკი - მოხალისეობრივი ახალგაზრდული საქმიანობა - ეს მოკლე პუბლიკაცია მიმოიხილავს ორი კონცეპტის - ახალგაზრდების მონაწილეობისა და ახალგაზრდული საქმიანობის ურთიერთგადაკვეთას, განიხილავს საერთო პრინციპებსა და იძლევა პრაქტიკულ გამოსავალს მონაწილეობრივი ახალგაზრდული საქმიანობის განსავითარებლად.

ახალგაზრდობის ძალა ახალგაზრდობის უფლებებისთვის - ინსტრუმენტთა ნაკრები შეიქმნა ნაციონალური ახალგაზრდული სტრატეგიის შემუშავებისადმი გაზრდილი ინტერესის საპასუხოდ და ასახავს სტრატეგიის განვითარებისა და განხორციელების პროცესებს. სახელმძღვანელო არ არის შაბლონი, რომელიც ყველას მოერგება, არამედ ეს არის გზები და მიმართულებები, რომელიც უნდა გაიაროთ სტრატეგიის განვითარებისთვის.

Contents lists available at ScienceDirect

Evaluation and Program Planning

Assessing youth policies. A system of indicators for local government

Anna Planas | Pere Soler, Montserrat Vilà

ახალგაზრდობის პოლიტიკის შეფასება. ადგილობრივი მმართველობის ინდიკატორების სისტემა - ახალგაზრდული პოლიტიკის შეფასების ინდიკატორების მიმოხილვა. იქიდან გამომდინარე, რომ შეფასების ინსტრუმენტები ძირითადად არსებობს სახელმწიფო დონეზე, დოკუმენტში თავმოყრილია რაოდენობრივი და თვისობრივი ინდიკატორები ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის შეფასებისათვის.

დეპოლიტიზაციის განვითარება: მონაწილეობის ბოროტად გამოყენება - პუბლიკაციაში მოცემეულია პოლიტიკური მონაწილეობის სხვადასხვა ფორმები და დონეები. ასევე, შესაძლო შემთხვევები, როდესაც შეიძლება მონაწილეობა ბრძოლის მიზეზი გახდეს და ბოროტად იქნას გამოყენებული.

Depoliticising development: the uses and abuses of participation

Sarah C. White

Introduction

როგორ შევქმნათ ახალგაზრდული საბჭო - წითელი ჯვარისა და ახალგაზრდობის სააგენტოს მხარდაჭერით რატი ჭეიშვილის მიერ შექმნილი გზამკვლევი ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული საბჭოს ფორმირების შესახებ.



ახალგაზრდობის სფეროს ლექსიკონი

ადამიანის უფლებათა სწავლება - განათლება, წრთვნა, ცნობიერების ამაღლება, ინფორმირება, პრაქტიკა და საქმიანობები, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემის, უნარებისა და ნათელი წარმოდგენების განვითარებისა და დამოკიდებულებებისა და ქცევის წესის ჩამოყალიბების გზით, მათთვის იმ რესურსების მიწოდება, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ, საკუთარი წვლილი შეიტანონ საზოგადოებაში ადამიანის უფლებათა საყოველთაო კულტურის დანერგვისა და დაცვის საქმეში, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დანერგვისა და დაცვის თვალსაზრისით.
წყარო: https://rm.coe.int/1680496561

ადვოკატირება - ადვოკატირება არის ორგანიზებული პროცესი, რომელიც მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურების კოორდინირებულ მცდელობებს, იმისათვის, რომ შექმნან შეცვალონ არსებული საზოგადოებრივი პოლიტიკა და პრაქტიკები ან დაბალანსონ ძალაუფლება, რესურსები, იდეები და ღირებულებები, რომელიც გავლენას ახდენს მოქალაქეებზე და მოქალაქეთა ჯგუფზე. ტერმინს აქვს მრავალი განმარტება, რომელიც ძირითადად განისაზღვრება ადვოკატირების პროცესში მონაწილე აქტორების მიხედვით. სოციალური სამართლიანობის ადვოკატირება გულისხმობს იმ პროცესებს, რომელიც სოციალური უსამართლობის მსხვერპლთა მიერ არის ინიცირებული. უფლებებზე დაფუძნებული ადვოკატირება მოიცავს კამპანიებსა და პროექტებს, რომელიც განხორციელებულია მეთვალყურე ორგანიზაციების მიერ. საზოგადოებრივი ინტერესების ადვოკატირება და ადამიანებზე ორიენტირებული ადვოკატირება შექმნილია მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად გადაწყვეტილების მიღების პროცესში ან კვლევით ცენტრებში.
წყარო:
https://www.justassociates.org/sites/justassociates.org/files/new-weave-eng-ch1-politics-advocacy.pdf
https://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership/glossary

არაფორმალური განათლება - ინდივიდუალური და სოციალური განათლების ნებისმიერი დაგეგმილი, ნებაყოფლობითი პროგრამა, რომელიც არ არის ფორმალური სასწავლო პროგრამების ნაწილი და მიზნად ისახავს კომპეტენციების (ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების) განვითარებას და რომელსაც პირი იღებს პროფესიული განათლებისა და საქართველოს საქართველოს კანონმდებლო-ბით გათვალისწინებული სა-განმანათლებლო პროგრამებისგან დამოუკიდებლად.
წყარო: კანონი ახალგაზრდობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ.

ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი - სხვადასხვა პოლიტიკის, პროგრამის, პროექტისა თუ სერვისის განვითარებისას ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღებისას ახალგაზრდების ასაკის, განვითარების, საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინება.

ახალგაზრდების მონაწილეობა - მონაწილეობა და მოქალაქეობრივი აქტივობა გულისხმობს უფლებების, საშუალებების, სივრცისა და შესაძლებლობათა ქონას, საჭიროების შემთხვევაში კი, მონაწილეობაში მხარდაჭერასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩაბმას უკეთესი საზოგადოების შექმნის მიზნით.
წყარო: Revised European Charter on Participation of Young People in Local and Regional Lives

ახალგაზრდების განვითარება - პროცესი, რომელიც ახალგაზრდებს ამზადებს ცროვრებისეული გამოწვევებისთვის და ხელს უწყობს მათი პოტენციალის სრულად რეალიზებას; ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა შეიძლება ისეთი აქტოვობებითა და გამოცდილებებით, რომლებიც მათ დაეხმარება სოციალური, ეთიკური, კოგნიტური კომპეტენციების განვითარებაში.

ახალგაზრდების უფლებამოსილებით აღჭურვა - გულისხმობს პროცესს, როდესაც ახალგაზრდები წახალისებული არიან წვლილი შეიტანონ საკუთარი და მათ გარშემო არსებული რეალობის პოზიტიურ ცვლილებებში; ახალგაზრდების გაძლიერება განსხვავდება ახალგაზრდების განვითარებისგან, რადგან განვითარება, უფრო მეტად, ფოკუსირებულია ინდივიდუალურ დონეზე განვითარებაზე, ხოლო გაძლიერებას აქვს მეტად კოლექტიური ბუნება და ორიენტირებულია უფრო მასშტაბური, საზოგადოებრივი ცვლილებების შექმნაზე, რაც მიიღწევა ინდივიდუალური შესაძლებლობებისა განვითარებით.

ახალგაზრდების უფლებები - მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებები ყველასთვისაა, საზოგადოების ზოგიერთი ჯგუფი განსხვავებულ ბარიერებს ეჩეხება თა-ვიანთი უფლებების ხელმისაწვდომობის კუთხით.

ახალგაზრდები – სოციალური ჯგუფი, რომელიც გადადის ბავშვობიდან ზრდასრულობამდე, ეჩეხება სხვადასხვა სახის სირთულეს განათლების, ხარისხიანი დასაქმების, სოციალური დაცვისა და სამოქალაქო თუ პოლიტიკური უფლებების ხელმისაწვდომობის პროცესში.

ახალგაზრდობაზე მომუშავე ორგანიზაცია - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის სადამფუძნებლო დოკუმენტაციით განსაზღვრულია, რომ ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ახალგაზრდების ინდივიდუალურ და სოციალურ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები.
წყარო: კანონი ახალგაზრდობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ.

ახალგაზრდობა - მოიცავს , ძირითადად, 14-29 წლის ასაკს და გულისხმობს ადამიანის გარდამავალ პერიოდს ბავშვობიდან ზრდასრულობამდე (თუმცა განსაზღვრებები განსხვავდება კონკრეტული ასაკისდა მიხედვით).
წყარო: The life chances of young people in Scotland: evidence review.

ახალგაზრდობის პოლიტიკა - ხელისუფლებისა და საზოგადოების ხედვები ახალგაზრდობის შესახებ, რომელიც რეალიზებულია საჯარო პოლიტიკაში, არის სექტორთაშორისი და აერთიანებს ყველა იმ გადაწყვეტილებასა და პროცესებს, რომლებიც გავლენას ახდენს ახალგაზრდების ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე – დასაქმებაზე, საცხოვრისზე, განათლებაზე, ჯანმრთელობაზე, რეკრეაციაზე, კულტურაზე და სხვა.
უნდა ასახავდეს ახალგაზრდობის გამოწვევებსა და დაბრკოლებებს ბავშვობიდან ზრდასრულობაში გადასვლის პერიოდში და უნდა ემყარებოდეს ადგილობრივი საკრებულოს, ეროვნული მთავრობისა და/ან მთავრობათაშორისი ორგანიზაციების მიერ დაწესებულ პოლიტიკურ მიზნებსა და პრინციპებს.
წყარო: European Framework for Youth Policy.

ახალგაზრდობის სფეროს ეკოსისტემა - არენა, რომელიც შედგება რვა ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული კომპონენტისგან. ამ კომპონენტების და მათ შორის არსებული კავშირის გააზრება სფეროს რეფორმირებისთვის გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

ახალგაზრდობის სფეროს ეკოსისტემა შედგება საჯარო პოლიტიკისგან, ორგანიზაციებისგან და ინსტიტუციებისგან, ადამიანური კაპიტალისგან, ინფრასტრუქტურისგან, ბაზრისგან, ახალგაზრდების შესახებ ცოდნისგან, და კულტურა და დამოკიდებულებისგან.

ახალგაზრდული მუშაკი - პირი, რომელიც ახორციელებს ახალგაზრდულ საქმიანობას, მუშაობს ახალგაზრდებთან სხვადასხვა ტიპის არაფორმალურ გარემოში და როგორც წესი, მიზნად ისახავს ინდივიდუალური ან/და ჯგუფურ აქტივობებში ახალგაზრდების ნებაყოფლობით ჩართვის გზით მათი პიროვნული და სოციალური განვითარების ხელშეწყობას.
წყარო: Recommendation CM/Rec(2017)4 of the Committee of Ministers to member States on youth work

ახალგაზრდული გაცვლა - ახალგაზრდული გაცვლა არის აქტივობა, რომელიც საშუალებას აძლევს სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდულ ჯგუფებს, ერთმანეთს შეხვდნენ, იცხოვრონ. ერთად და იმუშაონ საერთო პროექტებზე მოკლე დროში. ახალგაზრდული გაცვლა ხდება სკოლის გარემოს გარეთ. ახალგაზრდულ გაცვლაზე შეგხვდებათ ისეთი აქტივობები, როგორიცაა: დებატები, როლური თამაშები, ღია ცის ქვეშ აქტივობები, სავარჯიშოები და ა.შ.
წყარო: https://ec.europa.eu/programmes/erasmus-plus/opportunities/individuals/young-people/youth-exchanges_en

ახალგაზრდული ოთახი - ისეთი ადგილი, რომელიც ძირითად შემთხვევაში არასტრუქტურირებული და არაორგანიზებული სივრცეა ახალგაზრდებისთვის. ახალგაზრდული ოთახი შეიძლება იყოს მარტივად ერთი პატარა სივრცე მუნიციპალიტეტის შენობაში, სადაც ახალგაზრდებს აქვთ სრული ავტონომია დაკავდნენ ისეთი საქმიანობით რაც მათ უნდათ, აინტერესებთ და სიამოვნებთ – აღნიშული საქმიანობა მიმდინარეობს ახალგაზრდული მუშაკის დაკვირვებითა და მხარდაჭერით.

ახალგაზრდული ორგანიზაცია - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი (წევრობაზე დაფუძნებული) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის სადამფუძნებლო დოკუმენტაციით განსაზღვრულია, რომ იგი წარმოადგენს საერთო ინტერესების მქონე ახალგაზრდების გაერთიანებას, რომლებიც იზიარებენ აღნიშნული ორგანიზაციის წესდე-

ბით გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანებს.
წყარო: კანონი ახალგაზრდობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ.

ახალგაზრდული სამოქალაქო სივრცე - გარემო, სადაც ახალგაზრდების მონაწილეობა სამოქალაქო მოქმედებაში გაძლიერებულია სხვადასხვა სტრუქტურებისა და დამხმარე მექანიზმების მეშვეობით, და რომელიც წარმოქმნის შესაძლებლობებს ახალგაზრდებისთვის ჩაერთონ კრიტიკულ დისკუსიაში, დიალოგაში და მოქმედებაში.

ახალგაზრდული საქმიანობა - ფართო ტერმინია, რომელიც სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო, გარემოს დაცვისა და/ან პოლიტიკური ხასიათის აქტივობებს დიდ ჯგუფს აერთიანებს. ახალგაზრდულ საქმიანობა ეფუძნება არაფორმალურ და ფორმალურს გარე სწავლების პროცესს, რომელშიც ახალგაზრდები ნებაყოფლობით არიან ჩართული. ახალგაზრდულ საქმიანობას, სამსახურეობრივად ან მოხალისეობრივ საწყისებზე, ახორციელებს ახალგაზრდული მუშაკი ჯგუფურად ან ინდივიდუალურად, ახალგაზრდებისთვის, მათ მიერ და მათთან ერთად. ახალგაზრდული საქმიანობა, უპირველეს ყოვლისა, სოციალური პრაქტიკაა, რომელიც ახალგაზრდებთან და იმ თემთან ხორციელდება, სადაც ისინი ცხოვრობენ და ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებასა და კეთილდღეობას, საზოგადოებაში მათ აქტიურ მონაწილეობასა და ინტეგრაციას
წყარო: Recommendation CM/Rec(2017)4 of the Committee of Ministers to the member States on youth work

ახალგაზრდული სივრცე - ადგილი, სადაც ახალგაზრდებს არაფორმალურ გარემოში ერთმანეთთან კომუნიკაციისა და ურთიერთობის შესაძლებლობა ეძლევათ. ეს არის მათდამი კეთილგანწყობილი გარემო, სადაც ისინი იკრიბებიან, ერთობლივად გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის აქტივობას, მონაწილეობას იღებენ კულტურულ-შემოქმედებით, საგანმანათლებლო, სპორტულ, გარემოსდაცვით და სხვა ხასიათის ღონისძიებებში, შესაძლებლობა აქვთ განივითარონ ძირითადი კომპეტენციები, გაცვალონ და ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილებები და ცოდნა.

ახალგაზრდული სერვისი - ახალგაზრდებისთვის წინასწარ ორგანიზებული ღონისძიებათა ჯაჭვი, რომელიც შექმნილია ახალგაზრდების განსავითარებლად და მათ საზოგადოებრივ, სამოქალაქო და ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩასართავად ან მათი ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად. დაცვისა და/ან პოლიტიკური ხასიათის აქტივობების დიდ ჯგუფს.

ახალგაზრდული ცენტრი - ადგილი, სადაც ახალგაზრდებს სივრცე, სადაც ახალგაზრდებისთვის სტრუქტურირებული არაფორმალური განათლებაზე დაფუძნებული სასწავლო ღონისძიებები ხორციელდება.

ახალგაზრდული ჰაბი - ახალგაზრდული ჰაბი არის სივრცე ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის, სივრცე სადაც ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, ერთი მხრივ, აქვთ შესაძლებლობა წარმართონ თავიანთი ადმინისტრაციულ შინაარსობრივი საქმიანობა, ხოლო, მეორეს მხრივ, განახორციელონ სხვადასხვა აქტივობა ახალგაზრდებისთვის.

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისთვის - განათლება, წვრთნა, ცნობიერების ამაღლება, ინფორმირება, პრაქტიკა და საქმიანობები, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს, მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემის, უნარებისა და ნათელი წარმოდგენების განვითარებისა და დამოკიდებულებებისა და ქცევის წესის ჩამოყალიბების გზით, მათთვის იმ რესურსების მინოდება, რომელიც საშუალებას მისცემთ მათ, გამოიყენონ და დაიცვან მათდამი მინიჭებული დემოკრატიული უფლებები და ვალდებულებები საზოგადოებაში, დააფასონ მრავალფეროვნება და აქტიური როლი ითამაშონ დემოკრატიული ცხოვრების წესში, დემოკრატიის პრინციპებისა და კანონის უზენაესობის დანერგვისა და დაცვის საშუალებით.
წყარო: https://rm.coe.int/1680496561

დაინტერესებული პირი - ფიზიკური პირი, ადგილობრივი თვითმმართველობა, ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დაწესებულება, საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ან, და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის სამოქმედო სფეროს ერთ-ერთი სეგმენტი ახალგაზრდობაა.

დისკრიმინაცია - ანალოგიურ სიტუაციაში მყოფ ადამიანებისადმი განსხვავებული მოპყრობა, ან განსხვავებულ სიტუაციებში მყოფი ადამიანებისადმი ერთნაირი მოპყრობა, რომელსაც არ აქვს ობიექტური და მიზ ნობრივი დასაბუთება.

დეკორაცია - ახალგაზრდები მონაწილეობენ ისეთ ღონისძიებებში, როგორიცაა მაგალითად, სიმღერა, ცეკვა ან სხვადასხვა ლოგოს გამომსახველი მაისურების ტარება, მაგრამ მათთვის თითქმის გაუგებარია, რა ღონისძიებაში იღებენ მონაწილეობას.
წყარო: მონაწილეობის კიბე: ეცადე იყო გულახდილი!

ეიბლიზმი - დისკრიმინაციული, მჩაგვრელი, ძალადობრივი ან ექპლუატაციური ქცევა, რომელიც ხორციელდება იმ რწმენით, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანი სხვებზე ნაკლებია. ცრურწმენა, სტერეოტიპები ან ინსტიტუციური დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ.
წყარო: კომპასის ლექსიკონი.

თანამმართველობა - თანამმართველობის მოდელი გულისხმობს, რომ პასუხისმგებლობა და გავლენა თანაბრად გაზიარებულია სახელმწიფოს წარმომადგენლებსა და ახალგაზრდებს შორის. თანამენეჯმენტის მოდელი, რომელიც უკვე 40 წელია მოქმედებს ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ სექტორში წარმოადგენს მონაწილეობითი დემოკრატიის ცოცხალ მაგალითს. ეს მოდელი აერთიანებს ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და ახალგაზრდულ საკითხებზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებს. ეს არის თანამშრომლობის უნიკალური მოდელი, სადაც ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და მთავრობებს თანაბარ ხმა აქვთ ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ სექტორთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ახალგაზრდებსა და მთავრობების წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობა ხორციელდება მხარეებს შორის იდეების, გამოცდილების გაზიარებისა და დიალოგის მეშვეობით, ურთიერთგაგებისა და პატივისცემის სულისკვეთებით.
წყარო: New and Innovative Forms of Youth Participation in Decision Making Processes.

ინკლუზია - გულისხმობს ყველა ადამიანის მიღებას და ჩართვას, განურჩევლად მათი რასისა, სქესისა, ენისა, ეთნიკური კუთვნილებისა, სპეციალური სამედიცინო ან სხვა საჭიროებისა. ინკლუზია ნიშნავს მათთვის თანაბარი წვდომის და შესაძლებლობების მიცემას, დისკრიმინაციის და ბარიერების აღმოფხვრას. ის გავლენას ახდენს საზოგადოების ცხოვრების ყველა ასპექტზე. პრაქტიკა ან პოლიტიკა არის ინკლუზიური, თუ იგი თანაბარ წვდომას აძლევს შესაძლებლობებზე და რესურსებზე იმ ადამიანებს, რომელთა საჭიროებები სხვა შემთხვევაში არ იქნებოდა გათვალისწინებული, მაგალითად, იმ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ ფიზიკური ან მენტალური სპეციალური საჭიროებები, ან მათ, რომლებიც წარმოადგენენ უმცირესობებს.
წყარო: https://www.inclusion.me.uk/news/what_does_inclusion_mean ; Oxford Languages.

კომპეტენცია - კომპეტენცია არის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობა, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის სამუშაოს (როლის ან პასუხისმგებლობების) ძირითად ნაწილზე და კორელაციაშია პიროვნების სამუშაოს შესრულებასთან. კომპეტენციების განვითარება შეიძლება შეფასდეს მიღებული სტანდარტების/კრიტერიუმების შესაბამისად ორგანიზაციების ან თავად ინდივიდების მიერ და გაუმჯობესდეს ტრენინგებით და სხვა აქტივობებით. ტერმინი კომპეტენცია შეიძლება დაიყოს კონცეპტუალურ, პროცედურულ და შესრულების კომპეტენციებად; ან მაგალითად, არსებობდეს პრობლემის გადაჭრის ზოგადი კომპეტენციები, კრიტიკული აზროვნების უნარები და სოციალური კომპეტენციები.

კონსულტაცია - ინიციატივა მომდინარეობს უფროსებისგან და დაგეგმვის პროცესში კონსულტაციას გადიან ახალგაზრდებთან. შედეგად უფროსები აწვდიან მათ ინფორმაციას უკვე მიღებული გადაწყვეტილებებისა და ღონისძიების განხორციელების შესახებ.
წყარო: მონაწილეობის კიბე: ეცადე იყო გულახდილი!

კულტურათაშორისი დიალოგი - ურთიერთგაგებისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე მოსაზრებების ღიად გაზიარება იმ პირებსა თუ ადამიანთა ჯგუფებს შორის, რომლებიც საკუთარ თავს განსხვავებული კულტურული კუთვნილების მქონე პირებად თუ ჯგუფებად აღიქვამენ. ინტერკულტურული დიალოგი საჭიროებს საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის თავისუფლებასა და უნარს და, ასევე, სხვების მოსაზრებებისა და თვალსაზრისის მოსმენის სურვილსა და უნარს.

მანიპულაცია - ახალგაზრდები აკეთებენ და/ან ამბობენ იმას, რასაც უფროსები სთავაზობენ, მაგრამ თითქმის არ ესმით საკითხი და მათ არც მოსაზრებებს ეკითხებიან. უფროსები იყენებენ მათ გარკვეულ იდეებს,

თუმცა არ უხსნიან, რა გავლენა იქონია მათმა მოსაზრებამ საბოლოო შედეგზე.
წყარო: მონაწილეობის კიბე: ეცადე იყო გულახდილი!

მარგინალიზაცია გულისხმობს ცნების, ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის უმნიშვნელოდ ან მეორეხარისხოვნად აღქმას. მარგინალიზებული ჯგუფები არიან გარიყულნი მიმდინარე სოციალური, ეკონომიკური, საგანმანათლებლო ან/და კულტურული პროცესებიდან. მაგალითად, მარგინალიზებულ ჯგუფებს წარმოადგენენ ის ადამიანები, რომლებიც არ არიან გათვალისწინებულნი მათი რასის, გენდერული იდენტობის, სექსუალური ორიენტაციის, ასაკის, ფიზიკური შესაძლებლობების, ენის, ან/და იმიგრაციის სტატუსის გამო.
https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC7228861/; Oxford Languages.

მასობრივი სპორტი - სპორტის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს ფიზიკურ აქტივობას და წარიმართება ორგანიზებული ან არაორგანიზებული ფორმით, ასევე, ხელს უწყობს ადამიანის ფიზიკურ განვითარებას ან/და ჯანმრთელობის განმტკიცებას.

მეინსტრიმინგი - Mainstream ნიშნავს მდინარის მთავარ შენაკადს, ძირითად კურსს, გაბატონებულ მიმდინარეობას. შესაბამისად, მეინსტრიმინგი არის პროცესი, რომელიც გულისხმობს რაიმე საკითხის დანერგვას ნორმად/გავრცელებულ მიდგომად. მაგალითად, გენდერული მეინსტრიმინგი არის საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტრატეგია გენდერული თანასწორობის რეალიზებისთვის. ის გულისხმობს პოლიტიკის მომზადებაში, შექმნაში, დანერგვაში, მონიტორინგში და შეფასებაში გენდერული საკითხების გათვალისწინებას. ამასთან, მარეგულირებელი ზომების მიღებას და პროგრამების მხარდაჭერას იმ მიზნით, რომ მოხდეს ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის დამყარება და დისკრიმინაციის აღმოფხვრა.
წყარო: Cambridge English Dictionary; https://eige.europa.eu/gender-mainstreaming/what-is-gender-mainstreaming

მობილობა - მოსწავლეთა, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილება სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს, კანონის თანახმად კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდში მიღებული განათლებისა და კრედიტების აღიარება.

მონაწილეობა - პროცესი, რომელშიც ინდივიდები მონაწილეობას იღებენ გადაწყვეტილების მიღებაში ინსტიტუციებში, პროგრამებში და გარემოზე, რომელიც მათზე ახდენს გავლენას.
წყარო: ვანდერსმანი 1984.

მობილური ახალგაზრდული საქმიანობა - ახალგაზრდული საქმიანობის ფორმა, რომელიც, ძირითადად, ხორციელდება იქ, სადაც ახალგაზრდული სერვისები არ არის განვითარებული; დაფუძნებულია ახალგაზრდების ინდივიდუალურ საჭიროებებზე. ის უზრუნველყოფს ახალგაზრდებისთვის საგანმანათლებლო, სასწავლო შესაძლებლობების შექმნა-განვითარებას; ამცირებს ახალგაზრდების გეოგრაფიულ გარიყვას (Geographical Exclusion); პასუხობს ახალგაზრდების სხვადასხვა ინტერესსა და საჭიროებას; ავსებს სხვადასხვა სახის ახალგაზრდულ საქმიანობას.

მოსაზიდი (outreach) ახალგაზრდული საქმიანობა - ახალგაზრდებზე მორგებული ღონისძიებები, რომელიც ხორციელდება იქ სადაც ახალგაზრდები იკრიბებიან და მიზნად ისახავს მათ მოზიდვას და ჩართვას რუტინულ ახალგაზრდულ საქმიანობაში და სერვისებში.

მოხალისეობა - საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა, რომლსაც პირი ეწევა სხვების დასახმარებლად თავისუფალი ნებით და არ არის მოტივირებული რაიმე ფინანსური ან მატერიალური სარგებლის მიღებით.
წყარო: საქართველოს კანონი მოხალისეობის შესახებ

მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკა - ადგილობრივი ხელისუფლების ყველა ის ქმედება (ან უმოქმედობაც), რაც ახალგაზრდებზე გავლენას ახდენს და არ აქვს მნიშვნელობა, ასახულია შესაბამისს დოკუმენტში (სტრატეგიაში) თუ პირდაპირ, პრაქტიკულად ხორციელდება. ახალგაზრდობის კეთილდღეობისა და განვითარების მხარდაჭერის მუნიციპალური პოლიტიკის დოკუმენტები (სტრატეგიები), რომელიც სახელმწიფო ახალგაზრდობის ახალგაზრდულ პოლიტიკას დაეფუძნება და პარალელურად გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სპეციფიკური საჭიროებები და ინტერესები, ხოლო ამის საფუძველზე შემუშავდება შესაბამისი მიდგომები და პროგრამები, რომლებიც ახალგაზრდების მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება.

NEET ახალგაზრდები - განათლების, დასაქმებისა და ტრენინგის მიღმა მყოფი ახალგაზრდა, არააქტიური და/ან უმუშევარი ახალგაზრდა, რომელიც არის განათლების, დასაქმებისა და ტრენინგის მიღმა მყოფი. ახალგაზრდების ეს ჯგუფი არის სოციალური გარიყვის მაღალი რისკის ქვეშ.
წყარო: Young people not in education, employment or training (NEET), UK Office for National Statistics.

პრევენცია - წინასწარი ღონისძიებები რაიმე არასასურველი მოვლენის თავიდან ასაცილებლად.

საველე (detached) ახალგაზრდული საქმიანობა - ახალგაზრდების კონკრეტული ჯგუფისთვის მიმართული საქმიანობა, რომელიც ხორციელდება იქ, სადაც ეს ახალგაზრდები არიან – ქუჩებში, კაფეებში, პარკებში, ბარებში, კლუბებში და ა.შ.

სათემო ახალგაზრდული საქმიანობა - ახალგაზრდული საქმიანობის ფორმა, რომელიც ორიენტირებულია კონკრეტული თემის წარმომადგენელი ახალგაზრდების გაძლიერებაზე და მათი მონაწილეობრივი შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე.

სამოქალაქო სივრცე - საყოველთაოდ აღიარებული წესებისა და პირობების ერთობლიობა, რომელიც ადამიანებს საშუალებას აძლევს თავისუფლად, დაუბრკოლებლად და დისკრიმინაციის გარეშე გამოიყენონ მათი სამოქალაქო უფლებები, მიიღონ მონაწილეობა, შეძლონ ერთმანეთში კომუნიკაცია, კავშირების შექმნა და ამ გზით გავლენა იქონიონ პოლიტიკურ და სოციალურ სტრუქტურებზე.
წყარო: https://web.archive.org/web/20160501080422/http://transparency-initiative.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2015/05/TAI-Civic-Space-Study-v13-FINAL.pdf

სასკოლო ახალგაზრდული საქმიანობა - ემყარება ფინეთში წარმოშობილ მოდელს, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდული მუშაკები მჭიდროდ თანამშრომლობენ სკოლებთან. ამ მოდელის დროს, ახალგარდული მუშაკები, გარდა უფრო ტრადიციული სივრცეებისა (მაგ. ახალგარდული ცენტრი) სკოლებშიც ახორციელებენ ახალგაზრდულ საქმიანობას. მოდელი ხელს უწყობს სკოლებსა და ახალგაზრდულ სერვისებს შორის თანაშრომლობის გაუმჯობესებას და ემსახურება ახალგაზრდების კეთილდღეობის განვითარების ჰოლისტიკური, თანამშრომლობითი მეთოდების დანერგვა-გამტკიცებას.
წყარო: Sarah Bright, Youth work : histories, policy and contexts, 2015. Youth Work in Schools Annette Coburn and Sinéad Gormally

სახელმწიფო ახალგაზრდობის პოლიტიკა - საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია ახალგაზრდა ადამიანის პიროვნული თვითრეალიზაციისათვის საჭირო სამართლებრივი, ეკონომიკური, ორგანიზაციული პირობებისა და გარანტიების შექმნა, ახალგაზრდულ და ახალგაზრდობაზე მომუშავე ორგანიზაციების განვითარება და მათი ინიციატივების წახალისება, ახალგაზრდობის, როგორც სოციალური გარდაქმნების გამტარებლისა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების მამოძრავებელი ძალის მხარდაჭერა, მისი სოციალური, ეკონომიკური, საგანმანათლებლო, კულტურული და პოლიტიკური ინტეგრაციისა და საზოგადოებაში თვითდამკვიდრების მიზნით შემუშავებული ღონისძიებების განხორციელება;
წყარო: კანონი ახალგაზრდობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ.

სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდები - ახალგაზრდები, რომლებსაც გააჩნიათ (ან არიან):

შეზღუდულ შესაძლებლობები: ახალგაზრდები რომელთაც აქვთ განვითარების შეფერხება, გადაადგილების შეზღუდვა, სენსორული (სმენა, მხედველობა) დარღვევები და სხვა;

ჯანმრთელობის მდგომარეობა: ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ ფიზიკური ჯანმრთელობის ქრონიკული პრობლემები, მძიმე დაავადებები ან/და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და სხვა;

სწავლასთან დაკავშირებული შეზღუდვები: ახალგაზრდები, რომელთაც აქვთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, ან არიან სავალდებულო (დაწყებითი ან საბაზო) განათლების მიღმა, ან იმყოფებიან სავალდებულო განათლების მიღმა დარჩენის რისკის ქვეშდა სხვა.

კონფლიქტით დაზარალებული ახალგაზრდები: საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ახალ-

გაზრდები; ახალგაზრდები იძუებით გადა-ადგილებულ პირთა ოჯახებიდან;

კულტურული ფაქტორი: ემიგრანტები ან ემიგრანტი ოჯახების შთამომავლები, საქართველოში საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირები (ლტოლვილები და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები), თავშესაფრის მაძიებლები, მოქალაქეობის არმქონე პირები და სხვა;

ეკონომიკური ფაქტორი: ახალგაზრდები ცხოვრების დაბალი დონით, სოციალური დაცვის სისტემაზე დამოკიდებულებით, გრძელვადიანი უმუშევრობის ან სიღარიბის პირობებში მყოფი ახალგაზრდები, NEET ახალგაზრდები (ახალგაზრდა, რომლიც არ არის დასაქმებული, არ დადის საგანმანათლებლო დაწესებულებაში, არ არის ჩართული არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობაში), უსახ-ლკარო ახალგაზრდები და სხვა;

სოციალური ფაქტორი: ახალგაზრდები, რომლებიც განიცდიან დისკრიმინაციას სქესის, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძ-ლებლობების და სხვა მიზეზების გამო; ძალადობის და ტრეფიკინგის მსხვერპლი ახალგაზრდები; შეზღუდული სოციალური უნარების, ანტისოციალური ან მაღალი რისკის შემცველი ქცევის მქონე ახალგაზრდები; საფრთხის შემცველ გარემოსა და სიტუაციაში მყოფი ახალგაზრდები; (ყოფილი) მსჯავრდებულები და პატიმრები; ქიმიური და ქცევითი, მათ შორის, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ახალგაზრდები; არასრულწლოვანი და/ ან ახალგაზრდა მარტოხელა მშობლები; ობლები; სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი და სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული ახალგაზრდები და სხვა;

გეოგრაფიული ფაქტორი: მაღალმთიან და რთულად მისასვლელ დასახლებულ პუნქტებში მცხოვრები ახალგაზრდები; ნაკლებად განვით-არებული ინფრასტრუქტურის მქონე ტერიტორიებზე მცხოვრები ახალ-გაზრდები (შეზღუდული საზოგადოებრივი ტრანსპორტი, გაუმართავი ინფრა-სტრუქტურა) და სხვა.

სტრუქტურული დიალოგი - ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ახალგაზრდები მათ-დამი კეთილგანწყობილ გარემოში სრულფასოვნად მონაწილეობენ ახალგაზ-რდული პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრაში, განვითარებაში, შეფასებასა და მონიტორინგში.

სტრუქტურული დისკრიმინაცია - საზო-გადოების ორგანიზების სისტემა – ნორმები, რუტინები, მიდგომები და ქცევები, რომლებიც ქმნიან ბარიერებს ნამდვილი თანასწორობისა და თანაბარი შესაძლებლობების მისაღწევად.

უფლებამოსილებით აღჭურვა - პროცესი, რომელიც კონცენტრირებულია ადგილობრივ თემზე, მოიცავს ურთიერთპატივისცემას, კრიტიკულ რეფლექსიას, ზრუნვას, ჯგუფურ მონაწილეობას, რის შემდეგაც ინდივიდები, რომლებსაც ნაკლები შესაძლებლობა აქვს იუმჯობესებს სხვადასხვა რესურსებზე ხელმისაწვდომობას და კონტროლს.
წყარო: ვაილი და რაპაპორტი 2000, კორნელის უფლებამოსილებით აღჭურვის ჯგუფი.

უფლებებთან ხელმისაწვდომობა - ახალ-გაზრდული საქმიანობის ერთერთი ყველაზე ახალი ფორმაა ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა, რისი წარმოშობაც საზოგადოების მზარდი გაციფრულების ფონზე, რელევანტური პასუხია ეპოქის გამოწვევებზე. ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა, გულისხმობს ციფრული მედიისა და ტექნოლოგიების პროაქტიულ გამოყენებას ახალგაზრდულ საქმიანობაში. მისი ინტეგრირება შეიძლება ნებისმიერი სხვა ტიპის ახალგაზრდულ საქმიანობში ეს იქნება ღია, მობილური, ცენტრზე დაფუძნებული თუ საინფორმაციო ახალგაზრდული საქმიანობა.

ფიზიკური აქტივობა - არის სხეულის მოძრაობა, რომელიც იყენებს კუნთის ენერგიას. ფიზიკურ აქტივობას აქვს სხვა-დასხვა ფორმები: ფეხით ან ველოსიპედით გადაადგილება, ორგანიზებული და არა-ორგანიზებული სპორტული ვარჯიში, აქტიური დასვენება (ცეკვა, იოგა, სხვ.), ფიზიკური შრომა და სხვა. ფიზიკური აქტივობის დასახასიათებლად გამოიყენება ინტენსივობის მაჩვენებელი.

ფორმალური განათლება - წარმოადგენს განათლებისა და წვრთნის სტრუქტურულ სისტემას, რომელიც მოიცავს დაწყებითი სკოლამდელიდან და დაწყებითი სკო-ლიდან, საშუალო სკოლის ჩათვლით, საგანმანათლებლო სისტემას უნივერ-სიტეტამდე. იგი, ჩვეულებრივ, ხორციელდება ზოგად და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში და გულისხმობს კურსდამთავრებულთათვის სერტიფიკატების გადაცემას.
წყარო: https://rm.coe.int/1680496561

ფორმალურს-გარე (ინფორმალური) სწავლა - ნიშნავს მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარე პროცესს, რომლის დროსაც ყოველი ინდივიდუალური პიროვნება იძენს დამოკიდებულებებს, ღირებულებებს, უნარებს და ცოდნას, საგანმანათლებლო რესურსებისა და ამ რესურსების გავლენის საშუალებით, საკუთარ გარემოში თუ ყოველდღიური გამოცდილებიდან (ოჯახში, თანატოლების გარემოცვაში, მეზობლების წრეში, ნაცნობებთან ურთიერთობისას, ბიბლიოთეკაში, მასმედიის საშუალებით, სამუშაო ადგილზე, გართობისა და სპორტული შეჯიბრებების თავშეყრის ადგილზე და ა.შ.).
წყარო: https://rm.coe.int/1680496561

ქარტია - საერთაშორისო პრაქტიკაში აღნიშნავს როგორც ვალდებულებების შემცველ ინსტრუმენტს, ასევე, ვალდებულებებისაგან თავისუფალ ინსტრუმენტს, როგორიცაა ევროპის გაერთიანების ადამიანის საყოველთაო უფლებათა და მოვალეობათა ქარტია.
წყარო: https://rm.coe.int/1680496561

ღია ახალგაზრდული საქმიანობა - ახალგაზრდულ სივრცეში (ახალგაზრდულ ცენტრში ან კლუბში) განხორციელებული კურიკულუმით ნაკლებად დატვირთული საქმიანობა, რომელიც ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს აქტიურად შექმნან და ჩაერთონ სხვასხვა სასწავლო, სამოქალაქო და რეკრეაციულ ღონისძიებებში.

ღია ახალგაზრდული ცენტრი - ღია სივრცე ახალგაზრდებისთვის, სადაც მათ შეუძლიათ თავისუფალი დრო გაატარონ მშვიდ, უსაფრთხო, სასიამოვნო და მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებულ გარემოში. ღია ახალგაზრდული ცენტრის კარი ახალგაზრდებისთვის ყოველთვის ღიაა, არ კეთდება დამსწრე ახალგაზრდების სიები (ჯგუფების დაკომპლექტებისა და ჯგუფის ზომების ლიმიტების დაწესების თავიდან აცილების მიზნით), რადგან ახალგაზრდას ცენტრში მისვლის შესაძლებლობა აქვს მაშინ როდესაც უნდა და როდესაც სჭირდება.

ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა - გულისხმობს ციფრული მედიისა და ტექნოლოგიების გამოყენებას /or addressing (მათზე) ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკის დროს. მისი გამოყენება შეიძლება ნებისმიერი ფორმის ახალგაზრდულ საქმიანობაში (ღია ახალგაზრდულ საქმიანობაში, ინფორმაციულ ახალგაზრდულ საქმიანობაში, მობილურ ახალგაზრდულ საქმიანობაში და სხვა). აქვს იგივე მიზნები, რაც, ზოგადად, ახალგაზრდულ საქმიანობას. შეიძლება განხორციელდეს, როგორც პირის-პირ, ისე ონლაინ სივრცეში (ან ამ ორი სივრცის ნარევ გარემოში). ემყარება იგივე ეთიკას, ღირებულებებსა და პრინიპებს, რასაც ზოგადად, ახალგაზრდული საქმიანობა.
წყარო: https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/fbc18822-07cb-11e8-b8f5-01aa75ed71a1

ჯანსაღი ცხოვრების წესი - ცხოვრების წესი, რომელიც ამცირებს ავადობისა და ნაადრევი სიკვდილობის რისკს და ხელს უწყობს ადამიანების ფიზიკურ, ფსიქიკურ და სოციალურ კეთილდღეობას.

ჰობი-განათლება - არის ახალგაზრდული საქმიანობის მიმართულება, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდების მრავალმხრივ განვითარებას მათი ინტერესების/ჰობის საფუძველზე. ჰობი განათლება ეროვნული ან ინსტიტუციონალური კურიკულუმის საფუძველზე ხორციელდება ახალგაზრდების ნებაყოფლობითი მონაწილეობით. იგი ახალგაზრდული საქმიანობის ყველაზე ფორ-მალიზებული ნაწილია, რადგანაც იმართება ცენტრალიზებული იერარქიული სტრუქტურით.

ჰობი-განათლების დაწესებულება - სოციალური და რეკრეაციული ცენტრი, რომელიც მხარს უჭერს ახალგაზრდებს ფიზიკური, სოციალური, ემოციური და შემეცნებითი შესაძლებლობების განვითარებაში, მათ აძლევს შანსს სოციალიზაციის პროცესებში აქტიურად ჩაერთონ, მიიღონ სიამოვნება, შეხვდნენ მეგობრებს და მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა საინტერესო აქტივობაში. ჰობი განათლების დაწესებულება ახალგაზრდებს სთავაზობს ორგანიზებულ სასწავლო პროგრამებს ფიზიკური აქტივობებისთვის, როგორიცაა ცეკვა, იოგა და საბრძოლო ხელოვნება; აკადემიური და ხელოვნების პროგრამები, როგორიცაა მეცნიერება, ხელსაქმე და თეატრი; შესაძლებლობები და სივრცე არასტრუქტურიზებული საქმიანობისთვის, როგორიცაა თამაში, საზოგადოებრივი შეკრებები, კლუბური შეხვედრები და სხვა.

ახალგაზრდობის სფეროს
ლექსიკონის შექმნისთვის
მადლობას ვუხდით:

ნიკა ბახსოლიანს,
ნინო წულაიას,
თამარ მამულიას,
ნინო მიხანაშვილს,
დეა აბულაძეს,
სალომე შაქარაშვილს.

სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ შემუშავდა მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების პროგრამა, რომლის მიზანს წარმოადგენს მტკიცებულებებზე და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ადგილობრივი ახალგაზრდობის პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერება და მხარდაჭერა, რაც თანხვედრაშია საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ 2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციასთან.

პროგრამის ფარგლებში შეიქმნა:
- მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის შესახებ მასიური ღია ონლაინ კურსი და მისი დამხმარე ვებ-პლატფორმა www.mooc.youthagency.gov.ge;
- მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის ეროვნული სტანდარტის დოკუმენტი;
- ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების გამოწვევების, საჭიროებების, რესურსებისა და ინტერესების კვლევა;
- მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის კოორდინატორთა მხარდასაჭერი სამენტორო სქემები და ჩატარდა სატრენინგო კურსები და შეხვედრები;
- ჩამოყალიბდა პროგრამის განხორციელების საკონსულტაციო გუნდი.

ჯამში ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო თანამშრომლობს 31 მუნიციპალიტეტთან.

www.youthagency.gov.ge

ახალგაზრდობის სააგენტო 2019 წელს დაარსებული სამთავრობო უწყებაა, რომლის ხედვაა, რომ საქართველოში ახალგაზრდული გარემოს შექმნა შესაძლებელია ახალგაზრდების უშუალოდ მონაწილეობითა და ჩართულობით. ამასთან, მიზნად ისახავს ახალგაზრდული სფეროს ეკოსისტემის შექმნას ევროპული სტანდარტებით, სადაც ყველა ახალგაზრდა შეძლებს საკუთარი პოტენციალის რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში აქტიურ მონაწილეობას.

ახალგაზრდობის სააგენტო | Youth Agency